**`me, biZina ivaniSvili, koalicia `qarTuli ocnebis~ lideri, 27 maiss 15:00 saaTze, gelodebiT aq, Tavisuflebis moedanze, rom erTad daviwyoT saqarTvelos gaerTianebis procesi da yvelam erTad avixdinoT `qarTuli ocneba~!**

# საერთო გაზეთი

№24 (208) ● 23-29.V.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## biZina ivaniSvilis Riawerili saqarTvelos prezidents mixeil saakaSvils

„თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და უარს არ იტყვით კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ მე:

ა. არ გავხდები ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანამონაწილე, არ ვისარგებლებ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებით და არ მივიღებ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში;

ბ. გავაგრძელებ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იმ ფარგლებში, რასაც საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის - მირჩევნია, კანონის ზღვარზე ვიარო, ვიდრე თქვენთან ერთად გავიდე ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ სივრცეში“.

**`visac guli erCis, visac es qveyana stkiva, 27-Si, 15.00 saaTze, Tavisuflebis moedanze movides!~**

**`xom SeiZleba erTxel Cvenc viyoT gmirebi da 27 maiss yvelani Tavisuflebis moedanze gamovcxaddeT?~**




ISSN 2233-3983

**27 maisis aqcia imis dasturia, rom xelisufleba garbis Tbilisidan da aRlums ibarebs xalxi**

**`winaaRmdegobis moZraoba~ mouwodebs yvelas, rom 27 maiss rac SeiZleba meti adamiani gamovides da moixados Tavisi moqalaqeobrivi vali!**

# biZina ivaniSvilis Ria werili

## saqarTvelos prezidents mixeil saakaSvils



1. საქართველოს პარლამენტმა ამა წლის 22 მაისს მიიღო კონსტიტუციური ცვლილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს ეძლევათ ქვეყნის პარლამენტში არჩევის და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობების დაკავების უფლება. მე დღემდე იმედს ვიტოვებდი და საჯაროდაც ვაცხადებდი, რომ ეს უგუნური გადაწყვეტილება საბოლოოდ არ იქნებოდა მიღებული, მაგრამ მორჩილმა საპარლამენტო უმრავლესობამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და მორჩილად აუწია მას ხელი. ამასთანავე, თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები კონსტიტუციური ცვლილებების მიზნად ასახელებენ ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალების მოცემას, ხოლო მიზეზად - თქვენ მიერ ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობის ხელახლა მისაღებად ჩემ მიერ თითქოსდა არასწორი გზის არჩევას.

2. გასაგებია, რომ თქვენ იძულებული ხართ ანგარიში გაუწიოთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ერთსულოვან მოთხოვნას - მომცეთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ ჩადენილი შეცდომის (მოქალაქეობის ჩამორთმევა) გამოსწორება ცივილიზებული, კანონიერი და ღირსეული გზით (ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭება) და ახალ, გაცილებით მძიმე შეცდომას უშვებთ. ამ ცვლილებების მიხედვით, თუ პირს, რომელიც ერთდროულად ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეცაა და საქართველოს მოქალაქეც, არ შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ხოლო თუ იგივე პირი უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე, მაშინ მას შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამგვარი აბსრუდი, მართლაც რომ, პირველია მსოფლიოში...

3. მე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ვიმეორებ, რომ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილება არის სახელმწიფოებრიობის და კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოში არ მოიპოვება. მეტიც, იგი თავისი სამართლებრივი არსით და პოლიტიკური კონტექსტით სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასია. კონსტიტუცია მართლაც ერთი პირისთვის და ერთი პირის გამო იცვლება, მაგრამ ეს ერთი პირი ვარ არა მე, არამედ ხართ თქვენ - სწორედ თქვენს პოლიტიკურ შიშებს შეეწირა ჩემი მოქალაქეობა და ახლა უკვე ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი და პრესტიჟი ეწირება თქვენსავე ბავშვურ ახირებას და პროპაგანდისტულ ხრიკებს.

4. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ უკანონოდ ჩამომართვით საქართველოს მოქალაქეობა, შემდეგ უკანონოდ მითხარით უარი ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭებაზე და ახლა ჩემი სარჩელების განხილვის გაჭიანურებით არ მაძლევთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსთვის დროულად მიმართვის საშუალებას, მე არ ვაპირებ ჩემი პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციის შეურაცხყოფისა და სახელმწიფოს ნგრევის ფასად მოვიპოვო. მე და ჩემი გუნდის წევრებს პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოს აღმშენებლობისა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისთვის გვესაჭიროება და არა პირიქით.

5. ამიტომ, მოგმართავთ, არ მოაწეროთ ხელი კონსტიტუციურ ცვლილებებს. ამით თქვენ გადაარჩენთ ქვეყნის პრესტიჟს და მის კონსტიტუციურ ფუნდამენტს, რომელიც შეუდარებლად მაღალი ღირებულებაა, ვიდრე თქვენი, ჩემი და ყველა პოლიტიკური ძალის აწმყო თუ მომავალი, ერთად აღებული. ამასთანავე, მე არ ვაპირებ ახირებაში გაგეჯიბროთ და მზად ვარ მოგცეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორების კიდევ ერთი საშუალება - ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად მოგმართოთ ისეთი განცხადებით, რომელზეც თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები და საჯარო მოხელეები მიუთითებენ.

**6. თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და უარს არ იტყვით კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ მე:**

**ა. არ გავხდები ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანამონაწილე, არ ვისარგებლებ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებით და არ მივიღებ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში;**

**ბ. გავაგრძელებ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იმ ფარგლებში, რასაც საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის - მირჩევნია, კანონის ზღვარზე ვიარო, ვიდრე თქვენთან ერთად გავიდე ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ სივრცეში;**



გ. ყველა კონსტიტუციურ გზას გამოვიყენებ პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" გამარჯვებისთვის და საბოლოოდ მაინც შევასრულებ ქართველი ხალხისათვის მიცემულ ყველა დანაპირებს.

7. იმედს ვიტოვებ, რომ თქვენ, თქვენი გუნდის წევრები და თქვენი მრჩევლები მოუხმობთ კეთილგონიერებას და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ეს გადაწყვეტილებები მე არ მჭირდება, ქვეყანას სჭირდება.

22 მაისი, 2012

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# kviris Canawerebi

ვახტანგ ხარჩილავა



**დარწმუნებული ვარ, 27 მაისს, „თავისუფლების მოედანზე“ ძალიან ბევრი ხალხი მივა და მათ შორის მივლენ ისეთებიც, რომლებიც, შეიძლება, ბოლომდე არ ეთანხმებოდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ტაქტიკას და სტრატეგიას, რომლებსაც, შეიძლება, ძალიანაც არ მოსწონდეთ ვიღაც-ვიღაცები ამ კოალიციის შემადგენლობიდან, მაგრამ მისვლით მაინც მივლენ!**

უნდა მივიდნენ!

უნდა მივიდნენ, თუნდაც იმის დასტურად, რომ ქართველი ხალხი ცოცხალია და თავისი სამშობლოს დათმობას ასე ადვილად არ აპირებს.

უნდა მივიდნენ, იმის სათქმელად, რომ ამ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მთავარი სიტყვა ქართველ ხალხს ეკუთვნის და არა რომელიმე ცალკეულ პარტიას, არა რომელიმე უცხო ქვეყნის ელჩს, არა რომელიმე უცხო სახელმწიფოს.

უნდა მივიდნენ თუნდაც იმისთვის, რომ პოლიტიკოსებს შეახსენონ — დემოკრატიას აშენებს მისი უდიდებულესობა ხალხი.

უნდა მივიდნენ იმისთვისაც, რომ უშუალოდ „ქართული კოალიციის“ ლიდერისგან გაიგონ, რა გზით და როგორ აპირებს იგი საქართველოს ამოყვანას იმ ჭაობიდან, რომელშიც ქვეყანა ნელ-ნელა ეფლობა და სადაცაა ფსკერამდე დავა.

* * *

დავით გარეჯს გვართმევენ და ხმას არავინ იღებს.

მერე გარდაბანს წაგვართმევენ და არც მაშინ ამოვიღებთ ხმას.

გარდაბანს ბოლნისს მიაყოლებენ, ბოლნისს მარნეულს, რუსთავს და არც მაშინ იქნება ვინმე ხმის ამომღები.

თბილისი უცხო ტომელთა ალყაშია კარგა ხანია და ეს ალყა ნელ-ნელა რომ ვიწროვდება, არც ამას ამჩნევს ვინმე.

საზღვრის გასწვრივ კომპაქტურად დასახლებულ უზარმაზარ რკალს ქმნის.

ერთი ჰოპ რომ დაიძახონ, ეგრევე შეუძლიათ ეს ტერიტორიები თავიანთ ძირითად სახელმწიფოს მიუერთონ, ქართველებს კი მორცხვად ჩაუქინდრავთ თავები და არაფერს იმჩნევენ: — ვითომც არაფერი ხდება, ვითომ ყველაფერი რიგზეა.

ჩუმ, უხმაურო დაპყრობას ჰგავს ეს ყველაფერი, „გასაიდუმლოებულ“ ანექსიას




რაღაც უცნაური სენი გვჭირს — გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად გვართმევენ სამშობლოს და ამ დროს ხმის ამოღებისაც კი გვერიდება — არიქა, ზედმეტი არაფერი უთხრათ, მეზობლები არიან, ძმები არიან და უხერხულიაო — ერთმანეთს ვაჩუმებთ და პირზე ხელს ვაფარებთ.

მორიდებულები გავხდით, ზედმეტად მორიდებულები, მორცხვები და ხათრიანები, ამასობაში კი ესენი მრავლდებიან, მრავლდებიან, მრავლდებიან — სოფელი სოფელს ემატება, ქალაქი ქალაქს და ჰგავს, საქართველოს ხელისუფლება კი, როგორც ყოველთვის, ძალიან მხიარულ განწყობაზეა.

დავით გარეჯს გვართმევენ და ხმას არავინ იღებს.

ლაგოდეხსაც მალე წაგვართმევენ და არც მაშინ ამოვიღებთ, ალბათ, ხმას.

ლაგოდეხს მარნეული მიჰყვება, მარნეულს — გარდაბანი, გარდაბანს — ბოლნისი, ბოლნისს — რუსთავი და არც მაშინ იქნება ვინმე ხმის ამომღები.

თფუი!

* * *



ვიღაც-ვიღაცებმა „შემომითვალეს“ — ერთი ადგილი დააყენოს მაგ კაცმა, თორემ ასე და ასე ვუზამთო.

შეშინების მიზნით გაგიკეთეს ეს ამბავიო, — მეუბნებიან.

კი, ბატონო, შეშინებული ვარ, მაგრამ მერე რა, გაზეთის გამოცემა შევწყვიტო, წერა მივატოვო თუ რა ვქნა?

ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ხელისუფლებისთვის ყველაზე საშიშნი შეშინებული ადამიანები არიან, რადგან ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა შიში აზრს კარგავს და, აი, მაშინ შიში სასტიკ რისხვად და აგრესიად გარდაიქმნება ხოლმე.

ამ ხელისუფლების ყველაზე მძიმე შეცდომა, ალბათ, ის არის, რომ მას ჰგონია, ყველაფერი თვითონ უნდა აკეთოს, ყველაფრის ავტორი და შემოქმედი თვითონ უნდა იყოს, მათ შორის დემოკრატიისაც.

არადა, დემოკრატია ის სპეციფიკური „ნაგებობაა“, რომელსაც ცალკე ხელისუფლება ვერასოდეს ვერ ააშენებს — ის უნდა აშენოს ყველამ ერთად — ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, საზოგადოებამ, თითოეულმა ადამიანმა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დემოკრატიის შენობას ან ყველა ერთად აშენებს, ან ის საერთოდ არ აშენდება.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას თავისი მტერი ჰგონია ყველა, ვინც რაღაც კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს მისი მისამართით.

თუ დემოკრატიას ვაშენებთ, ის, როგორც ვთქვი, ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ, თუ დესპოტიას და ტირანიას აშენებს ეს ხელისუფლება, მაშინ გვითხარით გულახდილად და არჩევანს ამის მიხედვით გავაკეთებთ — ან მართლა ბოლომდე შევშინდებით და ხმას არ ამოვიღებთ, ან კალამს დავდებთ და კეტს ავიღებთ ხელში...



# 27 maisis aqcia imis dasturia, rom xelisufleba garbis Tbilisidan da aRlums ibarebs xalxi

*გვესაუბრება „ქართული ოცნების“ წევრი* **დავით ფაცაცია**

**— დათო, დღეს გაიმართა მსვლელობა დავით გარეჯის დაბრუნების მოთხოვნით, რომელშიც თქვენც იღებდით მონაწილეობას, რამდენად ხართ კმაყოფილი საზოგადოების აქტიურობით?**

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ძირითადად ახალგაზრდები, სტუდენტები აქტიურობდნენ. ამ მსვლელობის ორგანიზატორები „შავფაროსნები“ ანუ ხრიდოლის ორგანიზაცია იყო და ეს ღონისძიება კიდევ ერთი გამოხატულებაა იმის, რომ ახალგაზრდული და ვაჟკაცური, ქართული ენერგია ძალიან აქტიურად იფეთქებს ყოველთვის, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დგება. 1988 წელს, როდესაც დავით გარეჯის საკითხი ასევე მტკივნეულად იყო დასმული, მაშინ ამან შედეგად მოიტანა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.დღეს კი, პრაქტიკულად გაუფასურებულია ყველა ღირებულება. ხელისუფლების ძალადობა და ადამიანების პერმანენტული დატერორება უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდა. პერიოდებს თუ შევადარებთ, დღევანდელი მდგომარეობა 1937 წელს მოგვაგონებს. ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანი უკვე გაუტოლდა ორჯონიკიძეს, კამოს და სხვა გამყიდველებს, რომლებმაც ფაქტობრივად გაანადგურეს ინტელიგენცია, მოსპეს ღირებულებები და ფასეულობები, რელიგიური შული გაალვივეს. დღევანდელი



მსვლელობა კი წინასწარი ალღუმი იყო იმისა, რომ ჩვენ- ჩვენს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და მტკაველ მიწასაც კი არავის შევარჩენთ. იმიტომ, რომ ის რაც ჩვენია, ჩვენ გვეკუთვნის. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ამ აქციაში მონაწილე ახალგაზრდები იყვნენ თსუ-ს ალტერნატიული თვითმმართველობის წევრები, რომელსაც „სტუდენტური ხმა“ ჰქვია და პრაქტიკულად აერთიანებს უნივერსიტეტის ყველა ღირსეულ წარმომადგენელს. მე ვიცნობ ამ ახალგაზრდებს, ისინი ძალიან აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებებით და როდესაც ცვლილებების დრო დადგება, სწორედ ეს ახალგაზრდები იქნებიან ავანგარდში, ისევე როგორც დღევანდელ აქციაზე.

**- დათო, როგორც აფხაზეთიდან დევნილმა, თქვენ როგორ აღიქვით პრეზიდენტის განცხადება, სოხუმი ჩვენი ქალაქი არასოდეს ყოფილაო?**

- საუბედუროდ, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, გუშინ ხაბაზმაც გააკეთა მსგავსი განცხადება და სამარცხვინოა, რომ მსგავს ადამიანებს პარლამენტში ასეთი განცხადებების გაკეთების საშუალება აქვთ. ის, რაც სააკაშვილმა განაცხადა, შეურაცხყოფაა ყველა დევნილის, განსაკუთრებით ჩემი და ჩემი ყველა ახლობლის თუ მეგობრის. იმ ადამიანების, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი და ამას სააკაშვილი ისე ასაღებს თითქოს არაფერი, თითქოს ჩვენ იქ არ ვცხოვრობდით. ყველაზე აბსურდული კი ის არის, ამაზე რითი აპელირებს: სოხუმზე ლექსები და სიმღერები არ იწერებოდაო. ძალიან მაინტერესებს ამ ლოგიკას რომ მივყვეთ, რამდენი ლექსი იცის ზუგდიდზე, ოზურგეთზე ან მესტიაზე და ა.შ. ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ საქართველო საერთოდ არ ყოფილა ჩვენი. რეალობა ისაა, რომ სააკაშვილი მართლაც არ ეკუთვნის საქართველოს. ყველა მისი ნაბიჯი, რაც გადადგმული აქვს ამ წლების განმავლობაში, მეტყველებს ძალიან ცუდ რაღაცაზე. ომის დროს ყველაზე სტრატეგიული ობიექტი, ენგურჰესი გადაეცა რუსეთს. ბიძამისი, თემურ ალასანია შეიძლება ითქვას, ორ თვეში ერთხელ საზღვარს სცდება ხოლმე ჩრდილოეთის მხარეს. საგარეო საქმეთა მინისტრი შარშანდლამდე იყო რუსეთის მოქალაქე და ეს არის ის ადამიანი, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ატომური უსაფრთხოების აგენტად. ამას დაუმატეთ ვლადიმერ პუტინის მთავარი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძე, რომელიც, ერთის მხრივ, მისი დამფინანსებელი იყო და, მეორეს მხრივ, შტაბის ხელმძღვანელი. ასე რომ, როდესაც სააკაშვილი საუბარს იწყებს რუსეთის აგენტებზე, აგენტები პირველ რიგში თავის თავში მოიკითხოს. ერთის მხრივ რიტორიკა სულ სხვაა და საქმე სხვა, მაგრამ დღეს უკვე სამწუხაროდ საქმეც და რიტორიკაც ერთი და იგივეა და სააკაშვილი თავისი მეტყველებითაც კი, რუსეთს უფორმებს იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა მისი.

**— გადავიდეთ 27 მაისის აქციაზე, რას უნდა ველოდოთ ამ დღისგან?**

— ამჟამად რისი თქმაც შემიძლია არის ის, რომ ხელისუფლება გარბის თბილისიდან და ალლუმს იბარებს ხალხი. შარშან, როდესაც ხელისუფლებამ იძალადა და ადამიანების ლიკვიდაცია მოახდინა, მაშინ ისინი იძახდნენ, რომ 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა და ყოველწლიურად უნდა აღინიშნებოდეს. დღეს კი აღმოჩნდა, რომ სულაც არ ყოფილა ისეთი პრინციპული საკითხი ალლუმის პარლამენტის წინ ჩატარება და შარშან, იქ შეკრებილი ადამიანები დახოცა, უბრალოდ ხელისუფლების და პირადად სააკაშვილის ნება-სურვილი იყო. აქედან გამომდინარე მის კისერზეა ის სისხლიც და მსხვერპლიც. უბრალოდ სააკაშვილი ძალიან მშიშარა ადამიანია და მისმა შიშმა გამოიწვია შარშანდელი 26 მაისიც. ჩემს პირად მაგალითზე გეტყვით, 27 მაისს ზუსტად ერთი წელი ხდება მას შემდეგ, რაც მე სააკაშვილს ის სიტყვები ვუთხარი, რაც უნდა მეთქვა: მკვლელი, ნაძირალა და არაკაცი. მისი სახე იყო დაუვიწყარი, როდესაც ამ სიტყვებს ვეუბნებოდი. ის არის ერთი ჩვეულებრივი, მშიშარა ადამიანი, რომელიც ნებისმიერი გამვლელის განცხადებაზე შეშინდება. სწორედ ამიტომ დაარბია მან მიტინგი, მაგრამ დღეს, როდესაც სერიოზული ფაქტორი ამუშავდა მის წინააღმდეგ, ის უკვე გარბის. იმიტომ, რომ შარშან თუ 3 000 კაცი იდგა პარლამენტთან, წელს 100 000 იდგება. გახსოვთ ხომ 2009 წლის 26 მაისი და დინამოს სტადიონი? სააკაშვილი მაშინაც გაიქცა და პარლამენტის ნაცვლად სასაფლაოსთან იდგა.

ასე რომ სააკაშვილი 26 მაისს გაქცეულია ქუთაისში, შემოდგომას გაქცეული იქნება სულ სხვაგან და არ გაგიკვირდეთ, თუ ეს ქვეყანა რუსეთი აღმოჩნდება.



**— იქნებ დავაკონკრეტოთ, 27 მაისს იმართება ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქცია თუ იწყება „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია? თუ ეს აქცია მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ნაწილია, მაშინ რატომ უნდა მოვიდეს სხვა პარტიის ამომრჩეველი?**

- ეს არის პირველ რიგში ალლუმის ჩაბარება და მეორეს მხრივ, 27 მაისიდან იწყება გამარჯვების პროცესი, პოლიტიკური კამპანიის პროცესი, რაც მოიცავს სხვადასხვა მოქმედებებს. პოლიტიკური პროცესი, ბუნებრივია, ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ განსაკუთრებულ ფაზაში ის გადავა უკვე 27 მაისიდან. ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდება. მათ შორის, ბევრი რამ მეც არ ვიცი ჯერ და უამრავი სიურპრიზი თუ ყოველკვირეული სიახლე იქნება. 27 მაისი არის დემონსტრირება ჩვენი ნაციონალური ენერგიის, რომელიც, აუცილებლად აკუმულირებული იქნება მხოლოდ გამარჯვებისთვის. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ ხელისუფლებას დაუპირისპირდეს ერთობა და აი, ამ ერთობის პროდუქტი უნდა იყოს ღირსეული ადამიანების ხელში მოხვედრა იმ სისტემის, რომელსაც ჰქვია ხელისუფლება.



წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პასუხი არ აგეს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, თუ სამართლებრივად არ დაისაჯა ყველა ის ადამიანი, ვისაც სერიოზული დანაშაული აქვს ჩადენილი, სახელმწიფო, როგორც ასეთი ვერ შედგება. ანუ სახელმწიფოს შემადგენელი ყოველთვის არის სამართლებრივი უზენაესობა, ადამიანის უფლებები, მედია გამჭვირვალობა და ეკონომიკური განვითარება. ყველა ეს სისტემა რეალობაში ამუშავდება შემოდგომის შემდეგ. დღეს არის ერთიანობის მოთხოვნა და აუცილებლობა, ხოლო შემოდგომის შემდეგ, გამოცდილი, ღირსეული და სწორი გზით მცხოვრები ადამიანების მოხვედრა იქ, სადაც მათ უნდა ჩაიბარონ პასუხისმგებლობა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ როდესაც პირველად შევხვდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მე მასთან შეკითხვა არ მქონდა. იმიტომ, რომ მისი ცხოვრება, განსაკუთრებით ეს ოცწლიანი პერიოდი, მეტყველებს იმაზეც, თუ რას გააკეთებს ის მომავალში.

— დათო, ასი ათასი ადამიანი ახსენეთ წეღან და თუ მართლაც ეს რაოდენობა იქნება, როგორ წარმოგიდგენიათ შემდეგ, ამდენი ადამიანის უკან, სახლებში გაშვება? გამოცდილებით ვიცით, რომ მსგავსი მომენტი შემდეგ ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს საპროტესტო მუხტზე

— განსხვავებით იმისგან, რაც ხდებოდა ადრე, ახლა არავინ არ იძახის, რომ 27 მაისს რომ მოხვალთ ყველაფერს ამ დღესვე დავამთავრებთ. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რისთვის და რატომ მოვდივართ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ განსხვავებით წარსულისაგან, როდესაც მტერს ხმლით უნდა დახვედროდი, დღეს სიტყვა და სამოქალაქო აქტიურობაა მთავარი. დღეს ხმლის კი არა, ხმის ამოღებაა საჭირო და ამ ხმის ამოღებით, ერთობით, იმის დემონსტრირება, რომ ბევრნი ვართ და ვერავინ ვერ მოგვერევა.

**ლელა არაბული**

**გვესაუბრება პარტია – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე:**



# visac guli erCis, visac es qveyana stkiva, 27-Si, sam saaTze, Tavisuflebis moedanze movides!

**– ქალბატონო მანანა, მოსახლეობა 27 მაისის მოლოდინშია. რისთვის იკრიბებით ამ დღეს, რას სთავაზობთ მოსახლეობას?**

– უპირველესად ხაზგასმით მინდა აღვნიშნო – 27 მაისს დაგეგმილი ღონისძიება საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების გამოცხადებაა. პრაქტიკულად, ესაა საარჩევნო კამპანიის საზეიმო გამოცხადება. ეს არ არის საპროტესტო აქცია ან მიტინგი, არამედ მშვიდობიანი მსვლელობა, შეკრება, სადაც რამოდენიმე გამომსვლელი გამოვა. ბატონი ბიძინა პირადად მიმართავს მოსახლეობას – ამომრჩევლებს, მხარდამჭერებს. საქართველოს გაერთიანების პროცესი დაწყებულია, რასაც სათავეში „ქართული ოცნება“ უდგას და იგი ოქტომბერში არჩევნების მოგებით უნდა დასრულდეს. ამ პროცესმა საქართველო საბოლოოდ უნდა გააერთიანოს, რაშიც, უპირველესად, ჩვენი ძმების – აფხაზების, ოსების შემოერთება იგულისხმება. 27 მაისი ადამიანების გაერთიანების და შემდგომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაწყისი იქნება. „ქართული ოცნების“ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, უმთავრესი ამოცანა იქნება ქვეყნის რეალურად დემოკრატიული განვითარების გზაზე დაყენება, სამართლიანობის აღდგენა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, ქვეყნის გამთლიანება-გაერთიანება, თითოეული ადამიანის კეთილდღეობა, ანუ ადამიანზე ორიენტირებული ხელისუფლების შექმნა. 27 მაისი ამ ყველაფრის დასაწყისია. ჩვენი მხარდამჭერები ნამდვილად ვერ დაეტეოდნენ სტადიონზე ან რომელიმე დახურულ სივრცეში, საკმაოდ ბევრნი ვართ და ამიტომ გახდა საჭირო ღია ცის ქვეშ შეკრება, იმ მოედანზე, რასაც თავისუფლების სახელი ჰქვია და რომელიც ყოველთვის პოლიტიკური ცენტრი იყო. სააკაშვილი ცდილობს თბილისისთვის ამ სტატუსის ჩამოცილებას, იგი ვერ იტანს თბილისს და თბილისელებს, მან მთელი რიგი სახელმწიფო სტრუქტურები სხვადასხვა ქალაქებში გადაიტანა. პრაქტიკულად, ცდილობს დედაქალაქის როლის დაკნინებას, მაგრამ თბილისელები ღირსეულად დადგებიან ამ ღონისძიებაზე.

**– ქალბატონო მანანა, დასაწყისშივე ახსენეთ, ეს საპროტესტო აქცია არ იქნებაო, მაგრამ განა ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ქმედებები, თუნდაც „ქართული ოცნების“ მიმართ, პროტესტს არ იწვევს?**

– ამ ხელისუფლებამ ყველა რესურსი ამოწურა, მათ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანეს, უკან დასახევი გზა, რა თქმა უნდა, აღარ არის, მაგრამ ცვლილება არჩევნების გზით უნდა მოხდეს. უამრავ მხარდამჭერს ველოდებით ისეთს, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებული არ არის. ვფიქრობ, თუ ადამიანებს აქციაზე უნდათ დასწრება, სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა, მათ ეს არ უნდა დაუშალონ. რაც შეეხება, თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, 27 მაისის აქციის საფუძველი ამ ხელისუფლების მიმართ პროტესტია. ჩვენ ხელისუფლება რომ მოგვწონდეს და მხარს ვუჭერდეთ, მაშინ წავიდოდით და ხელისუფლების ღონისძიებას დავესწრებოდით. რა თქმა უნდა, შეკრების საფუძველი ისაა, რომ ხელისუფლებამ ამოწურა ყველა რესურსი – 8 წლის მანძილზე ქვეყანა უკიდურეს სიდუხჭირემდე და გაჭირვებამდე მიიყვანა. ყოველდღიურად უამრავ ადამიანთან მიხდება შეხვედრა – ისინი სიცოცხლის გადარჩენას ითხოვენ. სამწუხაროდ, ვნახე 3-4 წლის ბავშვი, რომელმაც არ იცის რა არის წიწიბურა და სხვა პროდუქტები, მხოლოდ პური აქვს გასინჯული. ასევე, დედოფლისწყაროში ვნახე ბავშვი, რომელიც ბალახით იკვებება და მოიწამლა. საუბარია ჩვენი თანამოქალაქეების გადარჩენაზე. ყველა რეგიონში უმწვავესი სიდუხჭირეა. საინტერესოა, მე სხვა ქვეყანაში, სხვა რეალობაში ვცხოვრობ, თუ ტელევიზიით რასაც მაჩვენებენ სხვა ქვეყანაში ხდება?! ჩნდება კითხვა – სააკაშვილს კისერზე ჩამოკიდებული ხალხი, რომლებიც ლამის ღმერთად აცხადებენ მას და ხალხი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით, სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან?! ანუ ხელისუფლება ცდილობს ილუზიაში ამყოფოს მოქალაქეები. ეს უნდა დასრულდეს, საქმე უკვე ერის გენოფონდის განადგურებამდეა მისული. ვნახეთ მოსახლეობა, რომელსაც თვეობით არ აქვს დენი. 21-ე საუკუნეში დენს გვამადლის ხელისუფლება?! იკითხონ რამდენ ადამიანს შეუძლია ახალ საავადმყოფოებში მკურნალობა?! ოზურგეთში უშველებელი ქარხანა ვნახე, რომელიც მიშამ სამჯერ გახსნა და დღეს დაკეტილია. რომელი სამუშაო ადგილების შექმნაზე გველაპარაკებიან, ხალხი მოდის და ჩვენი პარტიის ოფისს სთხოვს დასაქმებას, ვალების გასტუმრებას, წამლის ფულს – კანონი ყველანაირ დახმარებას კრძალავს. ივანიშვილს ქვეყნის ამ ჩიხიდან გამოყვანა უნდა, მას სურს საკუთარი სახსრები ქვეყანას დაახარჯოს და ამის საშუალებასაც არ აძლევენ. ამ დროს ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავს. ხალხი, აქ წვიმის გამო ილუპება იმიტომ, რომ სადღაც სანიაღვრე არ მუშაობს, მაშველი დროზე ვერ მოდის, ამ დროს პრეზიდენტს ყოფნის სინდისი, წავიდეს და მილანში „იშოპინგოს“, ან ფეხბურთის მატჩს უყუროს. არ მინდა ასეთი პრეზიდენტი! არ შეიძლება საქართველო ასეთი ხელისუფალის ანაბარა დავტოვოთ. ხალხმა ძალიან კარგად იცის, რა რეალობაშიც ცხოვრობს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული პროგრამა, რაც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს. ამ პროგრამას საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე დავდებთ და საზოგადოება გაიგებს, თუ როგორ შეიცვლება ჩვენი ცხოვრება გონივრული არჩევანის, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის შემთხვევაში.

**– როგორც ახსენეთ, საკმაოდ ბევრ ხალხს ელოდებით, რეგიონებიდან თუ ჩამოგყავთ მოსახლეობა?**

– რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა ჩვენ არ დაგვიგეგმავს, ამის ორგანიზებას არ ვაკეთებთ. ეს აქცია, პრინციპში, თბილისელთათვისაა. უფრო სწორედ, ეს აქცია თბილისში იმართება. რა თქმა უნდა, რეგიონების მოსახლეობას თუ სურვილი აქვს და საკუთარი ძალებით შემოუერთდებიან აქციას, თბილისის კარი ყველასათვის ღიაა. ჩვენ, ადამიანების კოლონებად ჩამოყვანას, ქუდზე კაცს არ ვგეგმავთ.

**– როგორც მივხვდი, 27 მაისს მოსახლეობისთვის პროგრამის წარდგენა მოხდება. თუმცა აპირებთ თუ არა ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე შეფასებების გაკეთებას იმ ფაქტებზე, რაც ახლა თქვენ ჩამოთვალეთ? რეაგირება საჭირო არ არის, ესეც ხომ საარჩევნო კამპანიის ნაწილია? ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს სცდება, დაშინების მიზნით იტაცებენ ადამიანებს, ვფიქრობ, სწორედ ამ ყველაფერზე შეფასების გაკეთებაა აუცილებელი და არა პროგრამის წარდგენა?**

– ამათ სხვა მეტი არაფერი შეუძლიათ, მხოლოდ დამუქრება, დაშინება, მაგრამ ვერ დაგვაშინებენ – შეუძლებელია ბოროტებამ სიკეთეზე გაიმარჯვოს, ყოველთვის სალი აზრი, გონიერება, სიკეთე იმარჯვებს. არ შეიძლება შავი, ბნელი საქმის მკეთებლები დაუსჯელნი დარჩნენ. დარწმუნებული ვართ, ეს შიში გატეხილია და 27-ში სწორედ ხალხის თავმოყრა იქნება დემონსტრირება იმისა, რომ შიში დაძლეულია. ისინი, მუდმივად ფიქრობენ, ვის რა გაუფუჭონ, დაუზიანონ. ქობულეთში ყოფნისას, ჩემი მანქანა დაჩხაპნეს. სჯობს გონს მოეგონ და მიხვდნენ რას ემსახურებიან.

**– თქვენ განაცხადეთ, რომ 27 მაისის აქციაზე არ აპირებთ პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნას.**

– ცხადია, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ, მაგრამ არჩევნების გზით. არჩევნები ოქტომბერშია და იქ უნდა დააფიქსიროს საზოგადოებამ საკუთარი არჩევანი, სწორედ ამის დასაწყისი იქნება 27 მაისს, ანუ ამ დღეს გადატრიალებას, ხელისუფლების გადაყენებას არ ვაპირებთ, მაგრამ ოქტომბერში ცვლილება აუცილებლად მოხდება არჩევნების გზით.

**– მოსალოდნელია თუ არა ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციები და რამდენად მომზადებული ხვდებით ამას?**

– გამორიცხული არაფერია, წინასწარ ძნელია ისაუბრო, რა მზაკვრული გეგმა მოუვა ხელისუფლებას თავში. თუმცა, ჩვენ იმდენად ორგანიზებული ვიქნებით, რომ მერწმუნეთ, მსგავსი ორგანიზებული აქცია ჯერ არსად ჩატარებულა. დეტალურად გვაქვს გათვლილი, რომელ ქუჩებზე უნდა ვიმოძრაოთ, სად იქნება საჭირო გზის გადაკეტვა და ა.შ. ჩვენი მხარდამჭერებიდან პროვოკაციას გამოვრიცხავთ. თუ ხელისუფლება გარედან რაიმე მანიპულაციის დაწყებას დააპირებს, ეს დასაძლევია, ამის გამიჯვნა ძალიან მარტივი იქნება. ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, რადგან ჩვენ მხოლოდ ზეიმისთვის და საარჩევნო კამპანიის გამოცხადებისთვის ვიკრიბებით.

**– როგორ ფიქრობთ, მხოლოდ საარჩევნო პროგრამის მოსმენა და უკან გაბრუნება, ხალხს ხომ არ გააღიზიანებს?! ან სულაც, მარტო პროგრამის მოსასმენად ხალხი რომ არ მოვიდეს?**

– არა, არა, ხალხმა იცის, რომ ჩვენ კონკრეტული მიზნით მივდივართ – ეს არის საარჩევნო კამპანიის საზეიმო გახსნა. ღონისძიება 40 წუთი გაგრძელდება და შემდგომ დავიშლებით იმიტომ, რომ უფრო კარგად მოვემზადოთ, ვიმუშაოთ, რათა ოქტომბერში გავიმარჯვოთ. ანუ ხალხმა იცის თუ რისთვის მოდის. ჩვენ 27 მაისს პარლამენტში ან პრეზიდენტის სასახლეში შესავარდნად არ ვიკრიბებით. ასე რომ, იმედგაცრუებებზე საუბარი არ არის.

**– მაგრამ მხოლოდ საარჩევნო კამპანიის პროგრამის გაცნობა, დებულებების წაკითხვა ტელევიზიითაც ხომ შეიძლებოდა?**

– რომელი ტელევიზიებით – ნაციონალური არხებით, სადაც მხოლოდ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია ხდება?! კარგად მოგეხსენებათ, როგორ იზღუდება ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ჩვენს გაზეთებზე დიდი მოთხოვნაა, ტირაჟი არ გვყოფნის, ხალხი მოწყურებულია ინფორმაციას. რა თქმა უნდა, პროგრამა დაიბეჭდება და ისეც გავრცელდება, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ბევრი ხალხი გამოვა და დააფიქსირებს „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერას. ყველას მოვუწოდებთ, ვისაც გული ერჩის, ვისაც ეს ქვეყანა სტკივა, 27-ში, სამ საათზე, თავისუფლების მოედანზე მოვიდეს!

**– ბოლოს, მინდა გკითხოთ, აპირებთ თუ არა რეაგირებას სააკაშვილის სიტყვებზე: აფხაზეთი ჩვენი არასდროს ყოფილაო. ნორმალურ ქვეყანაში ამის მერე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა. სხვათაშორის „სახალხო კრება“ ითხოვს იმპიჩმენტს.**

– ჩვენი აზრი არაერთხელ დავაფიქსირეთ. პრეზიდენტისგან ამის ღიად თქმა – სწორედ სამშობლოს გაყიდვის, ღალატის ტოლფასი განცხადებაა. პრეზიდენტი რომ არაადეკვატურია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, მისი პრიორიტეტია 35-ე სართულზე უნივერსიტეტში ეშმაკის ბორბლის დამონტაჟება, როცა აქ ხალხი იღუპება. მახათას მთაზე ყველამ ვიხილეთ– ის არ იყო ფხიზელ მდგომარეობაში. დიდი ხანია, იგი ფხიზელი აღარ არის და ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა. 2008 წლის აგვისტოში რაც ვნახეთ, ამის მერე სხვას რაღას უნდა ველოდოთ, ამის შემდეგ მას პრეზიდენტობის უფლება აღარ ჰქონდა. წაგებული ომის მთავარსარდალი რომ პრეზიდენტად რჩება, კიდევ უნდა არსებობდეს კითხვები?!

**თამარ შველიძე**




იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# mogwons Tu ar mogwons aqciis organizatori yvela qarTvelis adgili aris iq, sadac dRevandeli reJimis winaaRmdeg brZola iwyeba

*გვესაუბრება „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე* ***მამუკა გიორგაძე***

**— ბატონო მამუკა, 27 მაისს „ქართულმა ოცნებამ“ მრავალრიცხოვანი აქციის ჩატარება გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავიდან ქუჩის აქციების წინააღმდეგი იყო. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მათი გეგმების შეცვლა და თქვენ რა მოლოდინი გაქვთ ამ აქციისგან?**

— აქცია იქნება, პრესკონფერენცია თუ სხვა სახის ღონისძიება, ყველა მათგანი საშუალებაა იმისათვის, რომ მიღწეული იქნას ძირითადი მიზანი. შესაბამისად, ყველა ქმედება ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც მიზნისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული გარკვეული ნაბიჯი. ამიტომ, დღეს კამათი იმასთან დაკავშირებით, აქცია უნდა იყოს, თუ არ უნდა იყოს, ჩემთვის ნამდვილად უადგილოა. თუ ეს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქციაა, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას და ბუნებრივია, მოგწონს თუ არ მოგწონს აქციის ორგანიზატორი, ყველა ქართველის ადგილი არის იქ, სადაც დღევანდელი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს. მეორეს მხრივ, როგორც აცხადებენ, ეს არის საარჩევნო პრეზენტაცია და მაშინ იქ მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანების ადგილია, რომლებსაც უნდათ მოისმინონ საარჩევნო მესიჯები და რომლებიც პოტენციური ამომრჩევლები არიან. 27 მაისამდე ჯერ კიდევ არის დრო და სასურველი იქნება თუ უფრო მკაფიო განცხადება გაკეთდება, რომ ვიცოდეთ ეს შეკრული მუშტი სწორი მიმართულებით მოხვდება იმას, ვისაც უნდა მოხვდეს, თუ შეიძლება კიდევ ერთხელ დავდგეთ საფრთხის ქვეშ, ისედაც ძალიან დიდი იმედგაცრუების ტალღა გადავიტანეთ ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში. დაწყებული „მიშა მოვდივარ“-ით და დამთავრებული მოწოდებებით — „შევიკრიბოთ და დღესვე დავამთავროთ ეს რეჟიმი“. ამიტომ, უფრო მკაფიო უნდა იყოს, რატომ და რისთვის მივდივართ ამ აქციაზე და რა შედეგს ველოდებით.

**— ყველაზე ხშირად „ქართულ ოცნებას“ სწორედ შენელებული ტემპებით მოქმედების მტკივნეულ საკითხებზე მკაფიოდ, აგრესიულად არ რეაგირების გამო საყვედურობენ. ესეც ბრძოლის ტაქტიკად განვიხილოთ?**

— ცოტა რთულია სხვა ორგანიზაციის გეგმებზე საუბარი, როცა არ იცი, რა აქვს მას ჩაფიქრებული. იქნებ რაიმეს ამზადებს, რაც ვთქვათ ხვალ გამოჩნდება. ამიტომ, ჩვენ ვერ ვიქნებით ზედმეტად მომთხოვნები, რომ გაგვიხსნან თავიანთი კარტები. მაგრამ, მეორეს მხრივ, სასურველი იქნებოდა, რომ მეტი შემართება და აქტიურობა ყოფილიყო „ქართული ოცნების“ მხრიდან. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვნახეთ ბრძოლა, დაპირისპირება პრინციპულ განსხვავებებში, ვერ ვნახეთ წინა პლანზე წამოწეული პრინციპული თემები, რომელიც შეიძლება გახდეს ძირითადი განმასხვავებელი, თუნდაც არჩევნების დროს. მხოლოდ ის, რომ მიშა უნდა წავიდეს ანუ ნეგატივზე აგებული პოლიტიკა შედეგის მომცემი ვერ იქნება. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ საზოგადოებაში ძველი მუხტი აღარ სჩანს. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს აქვს იმის სურვილი, რომ ივანიშვილმა მოუგოს სააკაშვილს, მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოებას თუ გადავავლებთ თვალს, ეს არ არის ის მუხტი, რაც იყო 2007 ან 2009 წლებში. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ კონსტიტუცია შესაცვლელია, მაგრამ რით ვანაცვლებთ, ამაზე იქნებ დღესვე მოვახდინოთ ოპოზიციური აზრის ან ქართული საზოგადოებრივი აზრის კონსესუსი. ჩემთვის ასევე სრულიად გაუგებარია ის მომენტი, რომ, იცით რა, არ შეიძლება კონსტიტუციის ერთ კაცზე მორგება, მაგრამ თუ ამას ხელისუფლება გააკეთებს, მე დავთანხმდები. ნათელაშვილი იქცეოდა ასე თავის დროზე, ბოიკოტს უცხადებდა არჩევნებს, თუ ერთი ვინმე მაინც მიიღებს მონაწილეობას, მეც მივიღებო და 6 საათზე თუ იყო განცხადების შეტანის ბოლო ვადა, 6-ს რომ ხუთი წუთი აკლდა, მაშინ შეჰქონდა. (იცინის). ვიცნობთ რა სააკაშვილს, ის ნამდვილად არ არის გულმოწყალე და არ მჯერა, რომ მთელი „ნაცმოძრაობა“ მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ მიაღებინოს ივანიშვილს მონაწილეობა არჩევნებში. ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე შეიძლება დააყენოს საქართველო იმან, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ საარჩევნო უფლებები. არც ისაა გამორიცხული, რომ ბოლო წუთს ივანიშვილს რაიმე ერთი პუნქტი მოუძებნონ, არჩევნებში არ მისცენ მონაწილეობის უფლება და ეს კანონი დარჩეს უცხოეთის დანარჩენი მოქალაქეებისათვის. სწორედ ამიტომაც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საჭიროა სტრუქტურირებული ბრძოლა. ამ დროს კი „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებულმა პარტიებმა დაიბევეს, როგორც მათ ჰგონიათ, ადგილები გამსვლელ საარჩევნო სიაში და შემდეგ მათი აქტიურობა სადღაც გაქრა. უმეტესი მათგანი, პრაქტიკულად მხოლოდ ივანიშვილის განცხადებებზე აკეთებს კომენტარს. არცერთი პოლიტიკური ინიციატივა, არცერთი ქმედება. ე.ი. იმისთვის იბრძოდნენ, რომ გარანტირებულ ადგილს მოხვედრილიყვნენ სიაში? თავისი სახის შესანარჩუნებლად ალასანიამ მოძებნა სამეგრელოს თემა და მეტნაკლებად დამოუკიდებლად სჩანს. დანარჩენებმა კი პრაქტიკულად შეწყვიტეს პარტიული ფუნქციონირება. ელემენტარულად, დღეს ყველანი თბილისის ქუჩებში უნდა ვიდგეთ. სააკაშვილმა ფრაზა თქვა, — სოხუმი არასოდეს არ იყო ჩვენიო მაშინ როდესაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად წმინდანად შერაცხული ამბროსი ხელაია გვყავს, ხოლო მოქმედი პატრიარქი 11 წელი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია. და ამით მთელ საქართველოს სახეში „სთხლიშა“ სააკაშვილმა, დაანებეთ აფხაზეთზე ფიქრს თავიო და, ამ დროს, ჩვენ ვსაუბრობთ კოალიციის შიგნით ინტრიგებზე, პარტიებს შორის არსებულ დამოკიდებულებებზე, ვსაუბრობთ იმაზე, რომელი ფორმა გამოვიყენოთ რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ა.შ. თუ ვინმეს მიაჩნია თავისი თავი ეროვნული ძალების შემაკავშირებელ, ძლიერ ლიდერად და აქვს რესურსი, გადავარჩინოთ მაშინ დავით გარეჯი, დავიბრუნოთ სოხუმი. ბოლო-ბოლო ლიტვის პრემიერი ჩამოვიდა და გვითხრა, რომ ლიტვამ კანონით აკრძალა სამხრეთ ოსეთის ხსენება. იმ ტერმინის ხსენება, რომელიც დაამკვიდრა საქართველოში რუსეთის მეფისნაცვალმა, მთავარმმართებელმა კნორინგმა და შემდეგ ბოლშევიკების ამიერკავკასიის ბიურომ. საქართველოში კი სააკაშვილის თავხედურ ნათქვამზე არანაირი რეაგირება არ არის. მე ნამდვილად არ მინდა პესიმიზმში ჩავვარდეთ, მაგრამ სასურველია, ასეთი საკითხები რაც შეიძლება მალე გაირკვეს და თუ ბრძოლაა- ბრძოლა იყოს, მისთვის ყველა დამახასიათებელი და შესაბამისი ატრიბუტიკით.

**-ბატონო მამუკა, არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, რეაგირებენ არამედ აბსოლუტურად ჩუმადაა საზოგადოებაც, ხალხი. საქმე იმაზე უფრო ღრმა პრობლემასთან გვაქვს, ვიდრე პარტიების უპასუხისმგებლობა და უუნარობაა.**

- სრულიად გეთანხმებით. ეს პარტიებიც ამ საზოგადოების პროდუქტია და როცა ჩვენ ვსაუბრობთ ზოგადად საზოგადოებაზე, ეს ყველაფერი აისახება მის პოლიტიკურ ნაწილზე. იმიტომ, რომ პარტია არის საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გამომხატველი. ის ადამიანები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სოლიდურად, მაღალი რეიტინგებით, პრაქტიკულად, ხელისუფლებაში იქნებიან თუ ოპოზიციაში, დიდად მაინც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამწუხაროდ, მათი რესურსები არ იხარჯება დანიშნულებისამებრ. შე კაი დედმამიშვილო, საქმე აკეთე და ეს საქმე თავისთავად პიარი არ იქნება? შენივე პიარი არ იქნება, შენ რომ განსაკუთრებული იქნები, დასვამ ეროვნულ თემატიკას, პირდაპირ ისაუბრებ ყველა მტკივნეულ პრობლემაზე და არ იფიქრებ იმაზე, ვინმე არ გავალიზიანოო?



**— თქვენ კარგად გახსოვთ ხელისუფლებაში, როგორც ზვიად გამსახურდიას მოსვლა, ასევე 2003 წელს სააკაშვილის. ორივე შემთხვევაში, ერთი ფაქტორი არსებობდა, ხელისუფლებაში მომავალ ძალას, მხარდამჭერები ჰყავდა მოქმედი ხელისუფლების შიგნით. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება ივანიშვილთან დაკავშირებით, ეს მის შანსებს ბევრად არ ამცირებს?**

— 1990-91 წლების დროს ხელისუფლების შიგნით არსებული რესურსი ვისი მითითებით მოქმედებდა ჯერჯერობით დადგენილი არაა და ამ შიდა სახელისუფლო რესურსმა შემდგომ რამდენად ითამაშა უარყოფითი როლი, ესეც ჯერ კიდევ გააზრებული არ გვაქვს. გამსახურდიას პრაქტიკულად შეატოვეს ხელისუფლება ხელში და მათვე უზრუნველყვეს შემდეგ გამსახურდიას ხელისუფლების გარკვეული ნაწილის მასთან დაპირისპირება. ამიტომ, ეს პროცესები საჭიროებს ძალიან სერიოზულ, ღრმა ანალიზს, რადგანაც იქ ძალიან დიდი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტების როლი. ძალიან დიდი იყო პოლიტიკური ჭიდილი, არა პიროვნულ ნიადაგზე, არამედ სერიოზულ იდეოლოგიურ თემაზე, გლობალიზაციის პირობებში, საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოს სტატუსის, როლის, ფუნქციის შესახებ. ეს თემა შესასწავლია და აღარ განვავრცობ მაგრამ, აი 2003 წელს ეს თავიდან ბოლომდე მართული პროცესი იყო. ვისი მითითებით მოქმედებდა ხაბურზანია, კარებს რომ უღებდა მათ? ან ვისი მითითებით მოქმედებდა ჯორბენაძე, რომელიც, იმის მაგივრად, რომ თავის პარტიას დახმარებოდა, სააკაშვილს ეხმარებოდა. ვისი მითითებით ჩამოდიოდა იგორ ივანოვი მიტინგზე სააკაშვილის მხარდასაჭერად? როგორ მოხდა, რომ ექვსი თვის თავზე, პროდასავლური დროშით მოსულ სააკაშვილს ასლან აბაშიძესთან ბრძოლაში, რუსეთმა დაუჭირა მხარი? ეს იყო მართული პროცესები და საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ შიდა წრიდან, მათი გაყოფის შედეგად წარმოიქმნა ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გათამაშდა 2003 წლის ე.წ. რევოლუცია, რის შედეგადაც გაბითურებული გამოვიდა ქართველი ხალხი. ხოლო იმ სპექტაკლის მონაწილეები, ყველანი ძალიან კარგად გრძნობენ თავს. ერთი-ორ ადამიანს თუ ცოტა თავში წამოარტყეს და ერთი-ორი მილიონი წაართვეს, ეს თვითონ ჟანრის კანონია. ერთი-ორი კაცი გაიქცა და სადაც არიან, იქაც მშვენივრად გრძნობენ თავს. როდესაც მწარე გამოცდილებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ დღესაც არ ვიცით, ხელისუფლების შიგნით არსებული კლანები რას მოიმოქმედებენ და ვისი დავალებით როდის, რომელ ეტაპზე და რომელი მათგანი აღმოჩნდება იმ ფუნქციის შემსრულებელი, რაც 2002-2003 წლებში სააკაშვილმა და ჟვანიამ შეასრულეს. ეს ჯერჯერობით სერიოზული დაკვირვების საგანი უნდა იყოს და, მეორეს მხრივ, ძალიან ბევრს, ოპოზიციურ სპექტრში აქვს „მოქალაქეთა კავშირის“ და „ნაცმოძრაობის“ წევრობის ისტორია. დღეს ტელევიზიით აქტიურად გამოჩენილი სახეები, ყველა 2003 წლის რევოლუციის შემოქმედები არიან. აქედან გამომდინარე, ჩვენს საზოგადოებას დიდი დაფიქრება მართებს. საჭიროა, რომ სააკაშვილის შეცვლის სურვილმა არ გადააჭარბოს საღ გონებას, თორემ შესაძლებელია, რომ სახელისუფლო კლანებმა შემდეგ, ამ სურვილის გადამეტების გამო, ისეთ მდგომარეობაში დაგვტოვონ, სანანებელი გაგვიხდეს.

**ლელა არაბული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# eliso CafiZe: 27 maiss biZina ivaniSvili mniSvnelovan mesijebs gaaJRerebs

*რატომ გადაწყვიტა „ქართულმა ოცნებამ“ ამ ფორმით წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება და რა გეგმები აქვს პოლიტიკურ კოალიციას 27 მაისს, საკითხის ირგვლივ „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი* ***ელისო ჩაფიძე*** *ესაუბრა.*

**— ქალბატონო ელისო, „ქართული ოცნება“ 27 მაისს წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ფარგლებში მანიფესტაციის გამართვას გეგმავს. რატომ გადაწყვიტეთ, ამ ფორმით საარჩევნო კამპანიის დაწყება?**

— ჩვენ საარჩევნო კამპანიის დაწყება დაგეგმილი გვქონდა 26-27 მაისს. თუმცა აღმოჩნდა, რომ დღე ხელისუფლებამ შეგვირჩია, როცა 26 მაისთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობები შეგვიქმნა, რაც ვფიქრობ, თითიდან გამოწოვილი მიზეზებია. „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანია ის, რომ არ შევიკრიბოთ ვიწრო სივრცეში და ვაჩვენოთ, საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებას, თუ რამდენი მხარდამჭერი და მომხრე ჰყავს „ქართულ



ოცნებას“. მოგეხსენებათ, შეკრება ტარდება მხოლოდ თბილისში და, აქედან გამომდინარე, არ მოგვიწოდებია ჩვენი მომხრეებისთვის რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლის შესახებ. 27-ში იქნება პირველი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილის, ჩვენი ლიდერის, ქართულ საზოგადოებასთან. მანიფესტაციაზე გაიჟღერებს მნიშვნელოვანი მესიჯები და რაც მთავარია „ქართული ოცნება“ იწყებს საარჩევნო კამპანიის ათვლას საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან. ჩვენ გვსურს შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საამაყო იქნება მომავალი თაობებისთვის.



**— მანიფესტაციის ჩასატარებლად თავდაპირველად განაცხადი ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის სტადიონზე გქონდათ.**

— ამასთან დაკავშირებით ძალიან კარგი განცხადება გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა: ჩვენი მომხრეების რაოდენობას სტადიონი ვერ დაიტევდა, ამიტომ გადავინაცვლეთ თავისუფლების მოედანზე.

**— თავიდანვე გეცოდინებოდათ თქვენი მხარდამჭერების მასშტაბების შესახებ. მაშინ რატომ არ გააკეთეთ განაცხადი პირდაპირ თავისუფლების მოედანზე და რატომ მოითხოვეთ მანიფესტაციის ჩასატარებლად სტადიონები?**

— გვინდოდა მოგვესინჯა ტესტი, თუ რამდენად მოდის ხელისუფლება კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე „ქართულ ოცნებასთან“. საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ ხელისუფლებას ეშინია „ქართული ოცნების“ და მას სწორედ ამიტომ უბლოკავს ხალხთან ურთიერთობის საშუალებებს. ხელისუფლება სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის ოფისების გახსნასთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ვიმარჯვებთ ამ სერიოზულ ბრძოლაში.

**— რატომ გადაწყვიტეთ საარჩევნო კამპანიის დაწყება მაინც და მაინც თბილისიდან, თან ამ ფორმით?**

— ჩვენ საარჩევნო კამპანია უკვე დიდი ხანია დაწყებული გვაქვს. 27 მაისს იქნება უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის ხალხთან შეხვედრა. რეგიონებში შეხვედრებს, რაც შეეხება კოალიციის წარმომადგენლები ყოველდღიურად სხვადასხვა რეგიონებში იმყოფებიან და მხარდამჭერებს ხვდებიან.

**— რა მოლოდინი გაქვთ 27 მაისთან დაკავშირებით, ელოდებით მასშტაბური რაოდენობის მხარდამჭერს და თუ გააკეთებთ პოლიტიკურ გზავნილებს?**

— 27 მაისი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი დღე, სადაც ბიძინა ივანიშვილი გააჟღერებს მთავარ მესიჯებს: თუ რა დაპირებებით მოდის „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, საზოგადოებისთვის იქნება შეთავაზებული პროგრამული გეგმები სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენმა ადამიანმა მოაწერა ხელი ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენას, შესაძლოა ყველა მათგანმა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხოს, მაგრამ ველოდები, რომ იქნება ბევრი მხარდამჭერი.

**— იმ შემთხვევაში, თუ 27 მაისს ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა გამოვიდა, მათ მანიფესტაციიის დასრულების შემდეგ სახლებში დააბრუნებთ, თუ შესაძლოა, ველოდებით პროცესების სხვა კუთხით განვითარებას?**

— „ქართული ოცნება“ არის კონსტრუქციული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ველოდებით და ვემზადებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ჩვენ ვაპირებთ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით, ამიტომ არანაირ ექსტრემისტულ გაცხადებებს ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება. ხალხი ამ შემთხვევაში ქუჩაში მშვიდობიანი მიზნით გამოგვყავს და მომავალშიც ასევე მშვიდობიანი მისიით, ოღონდ საპროტესტოდ გამოვიყვანთ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს, ან ჩაიდენს ისეთ ქმედებას რასთან დაკავშირებით პროტესტი გაგვიჩნდება. ბუნებრივია, ოპოზიციაში იმიტომ ვართ, რომ ხელისუფლების ქმედებების მიმართ პროტესტი გაგვიჩნდა, მაგრამ მთავარი რის გამოც ვარ ამ პოლიტიკურ ძალაში არის ის, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი, სამართლებრივი გზებით ვაპირებთ ხელისუფლების შეცვლას.

# guram xozrevaniZe: iunkerTa saflavze mravalfunqciuri Senobis aSeneba

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ბათუმის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები საუბრობენ, რომ ბათუმში იუნკერების საფლავებზე მრავალსართულიანი ნაგებობა შენდება. თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს“ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები ესაუბრნენ.**

**გურამ ხოზრევანიძე:** „დემოკრატიული მოძრაობის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, — ეს საკითხი არ არის ლოკალურად მხოლოდ აჭარისა და ბათუმის პროლემა. ეს ზოგადად მთლიანი საქართველოს პრობლემაა, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. აჭარაში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა განელებული არ



გვქონდა, რომ ხელისუფლებამ ახალი სიურპრიზი მოგვიმზადა. კერძოდ, ბათუმში იუნკერების საფლავზე 40-სართულიანი, მრავალპროფილიანი ნაგებობის აშენება იგეგმება. აღნიშნული ტერიტორია თურქულ კომპანიაზე ერთ ლარად გაიყიდა. საფლავების მიმდებარე ტერიტორია უკვე შემოსაზღვრულია და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. თქვენ, როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია ადგილზე, სადაც დაკრძალულია 50-ამდე იუნკერი, მათ შორის, ერთი ქალბატონი, გააჩაღო ასეთი მშენებლობა. იუნკერებმა გმირობა სწორედ იმ პერიოდში ჩაიდინეს, როდესაც არსებობდა საშიშროება, რომ აჭარა მთლიანად საქართველოს მოწყვეტოდა. შესაბამისად, ვფიქრობ, ამ ადგილას გმირების პატივსაცემად უნდა აშენებულიყო ღირებული ძეგლი და არა მრავალპროფილიანი შენობა. ამიტომ, ამ ტერიტორიაზე რაიმე ნაგებობის აგება, არის დანაშაულის ტოლფასი.

იმ ტრადიციებზე, რომლებზეც ჩვენ გავიზარდეთ, კიდევ უნდა გაიზარდოს კიდევ ბევრი ქართველი ახალგაზრდა, რადგან ეს არის იმ ადამიანების პატივისცემა, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობასა და ერთიანობას. გარდა ამისა, ნაგებობა მთლიანად დაუკარგავს ხიბლს ძველი ბათუმის ისტორიულ უბანს.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მიზანია, მთლიანად შეცვალოს ქალაქის სილუეტი, ააშენოს ცათამბჯენი შენობები და ბათუმი გადააქციოს სათამაშო ბიზნესის, კაზინოებისა და საეჭვო გასართობების დედაქალაქად. თუმცა, ადგილობრივები ვერ შევეგუებით ამ გარემოებას და სიტუაციის შესაცვლელად ყველაფერს გავაკეთებთ.

**— კონკრეტულად რომელი კომპანია ასრულებს სამშენებლო სამუშაოებს?**

— ზუსტად ვიცი, რომ თურქული კომპანიაა, მაგრამ ისეთი რთული სახელწოდება აქვს, მეშინია სახელწოდება არ დავამახინჯო და დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— განცხადებით თუ მიმართეთ შესაბამის ორგანოებს?**

— განცხადებით მივმართეთ ბათუმის მერიას და პასუხს ათი დღის ვადაში ველოდებით.

**— მერია შესაბამის ნაბიჯებს თუ არ გადადგამს, აქციებს გეგმავთ?**

— ჩვენ არ ვაპირებთ შევეგუოთ ამ უმსგავსობას და საჭიროების შემთხვევაში მიზნის მისაღწევად, აქციების ჩატარების აუცილებლობა თუ დადგება, გავმართავთ.



**თემურ ჭანტურიშვილი:** ქალაქ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, — ჩვენ არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგები არ ვართ, მით უმეტეს, თუ ქვეყანაში ინვესტიციები შემოვა, მაგრამ ქვეყანა, რომელიც საუთარ თავს არ აფასებს, ის არც სხვის მეგობრად გამოდგება. ნაცვლად იმისა, რომ გმირების საფლავებზე მათი ხსოვნის პატივსაცემად შესაბამისი მემორიალი დადგან, მათ საფლავებში საკანალიზაციო მილების ჩადგმას გვთავაზობენ.

დღეს ბათუმი, პრაქტიკულად, ქალაქი აღარ არის, დღეს ბათუმი საქართველო არაა. თქვენ თუ შენობებს ქალაქს ეძახით, ეს არ არის ქალაქი. ბათუმში ძალიან საეჭვო ვითარებაა და სწორედ ესაა აღმაშფოთებელი, რადგან ბათუმი, ფაქტობრივად, დაკარგულია. შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში ჩოლოქის ხიდი აღარც არსებობდეს და ჩოლოქზე თურქეთის საზღვარმა გადმოიწოს. სამწუხაროდ, ასეთია ბათუმში შექმნილი მწარე რეალობა.

**გვერდი მოამზადა**
**მირანდა ნაბახტეველმა**

# `xom SeiZleba erTxel Cvenc viyoT gmirebi da 27 maiss yvelani Tavisuflebis moedanze gamovcxaddeT?~

**თამარ დათუსანი, პენსიონერი:** — „რას ჰქვია მოვდივარ თუ არა, რა თქმა უნდა, მოვდივარ! მივდივარ იმიტომ, რომ ხალხთან დგომით გამოვხატო ჩემი პოზიცია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მოშორდნენ ესენი აქედან, დაიკარგონ!

ამ გამყიდველების მოსვლამდე, სამშობლო მქონდა, ნამდვილად ვიცოდი რომ საქართველოში ვცხოვრობდი, ახლა, ისიც არ ვიცი, ნამდვილად საქართველოში ვცხოვრობ თუ აფრიკაში, ჩინეთში, თურქეთში თუ კიდევ სადღაც ჯანდაბაში!

ვისაც ქართველად მიაჩნია თავი და ადამიანური ღირსება აქვს, 27-ში იქ უნდა დადგეს, სადაც ჩვენი მარადიული ქართული ოცნების რეალიზების შანსს საფუძველი ჩაეყრება მხოლოდ ჩვენივე სიმრავლით!“

**თამარ ლაბარტყავა:** —



„მოვდივარ, აბა?! ჭირი და სიკვდილი ამგენის თავს! ოღონდ ესენი მოშორდნენ აქაურობას და, თავისუფლების მოედანზე კი არა, ეშმაკს ჩავყვები ჯოჯოხეთში. ვინ არიან კაცო, ესენი, სიდან მოვიდნენ, ვინ გააკეთათ ეს უპატრონოები ამისთანა თავფეხიანად მახინჯები! რა არის იცი, არც მე ვარ ანგელოზი, შეიძლება არ ვარგოდეს ადამიანი შესახედად, მაგრამ ამფერი აყროლებული სული ჰქონდეს და კიდევ მისი გადასაწყვეტი იყოს ქვეყნის ამბავი, ვარესის ღირსები ვართ.

მოდის კაცი, ბიძინა, ქართველი ქართული ოცნების ასახდენად, სხვა თუ არაფერი, მოსაპარი არაფერი აქვს, იქით აძლევს საქართველოს და ამბობს, არ მინდა კაცო, არაფერი, ქვეყნის წაღმასვლას ერთად ჩავუყაროთ საძირკველი და გავდგები მერე განზე, ახალი ხელისუფლების ოპოზიცია ვიქნები, გეზს რომ არ გადაუხვიოსო და რა ქნას მეტი? ამისთანა კაცს არ დავუდგები გვერდზე?“

**ლილი ბექურიძე, პენსიონერი:** — „ძალიან მიჭირს გადაადგილება ხელჯოხის გარეშე, მაგრამ ყველანაირად ვეცდები მისვლას. შეიძლება, ბევრს არ მოსწონს „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ცალკეული სუბიექტი ან კოალიციაში შემავალი პარტია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს შეკრება ერის ნების გამოხატულების საზომია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და არა იმის, ვინ მოგწონს და ვინ არა. იმ ვიღაცაზე თუ ვიღაცებზე მეტად „ნაცმოძრაობა“ ვისაც ესიმპათიურება და ეიმედება თავის ოცნებებში, ირბინოს და იყვიროს „მიშა, მიშა!“ მისი ნებაა.

**ლალი ლომთაძე, უმუშევარი:** — „27-ში მივდივარ, აბა, რა?! კარგად იცი, მუდმივი ოპოზიციონერი ვარ და არ დავიღლები, სადაც საქართველოსა და შესაბამისად ქართველი ხალხისთვის სასიკეთო სვლის ნაპერწკალს დავინახავ, ყველას დავუდგები გვერდზე. რა დროს პირადი და ცალკეული პარტიული ინტერესებია, როცა ერი მტრის წინააღმდეგ ერთიანდება.

გახსოვს, შარშან, 26 მაისს, დარბევამდე ცოტა ხნით ადრე, ერთმანეთს შევხვდით გიმნაზიასთან, შენს საქმეს აკეთებდი და თქვენი გაზეთიც მომეცი — ნინო ბურჯანაძის დაქალი კი არ ვარ, საქართველოს გამო ვიდექი იქ. არც ივანიშვილს ვიცნობ, მაგრამ იქ ვიქნები 27 მაისს, იმიტომ, რომ თითოეული ადამიანის ვალია, დადგეს იქ, სადაც მისი დგომა მისივე ვალია ქვეყნის წინაშე.

იმ საშინელი ღამის წლისთავი დგება და მინდა ვიკითხო, ვინც შარშანდელი მაისის აქციებს მხოლოდ ნინო ბურჯანაძის აქციებად აღიქვამდა, ახლა რა ჰგონია, ივანიშვილის აქციაა 27 მაისს? ვისაც ასე ჰგონია, თავისი უბედურება ეყოფა, რა ვუშველო, მაგრამ ვინც შარშანდელ მაგალითზე რამე გაიგო და ისწავლა, ვფიქრობ, რაგინდ შეშინებული იყოს, ფეხებს ძალას დაატანს და იმ დღეს თავისუფლების მოედანზე მოვა.

**ლიანა, საჯარო მოხელე:** — „არა, არ მოვდივარ... არ მოვდივარ კი არა, ვერ მოვდივარ. შენი ჭირიმე, ვინმე ისეთმა რომ იქ დამაფიქსიროს, ხო დამემხობა თავზე ყველაფერი.

**ალექსანდრა, პენსიონერი (ქართული თარგმანი ჩემია):** — „მე ვერ წავალ ამხელა მანძილზე, უკვე მოვხუცდი, მაგრამ არჩევნებზე წავალ და ხმას მივცემ ბიძინა ივანიშვილს.

რამდენი მთავრობა გამოვიცვალეთ და რამდენი უბედურება ვნახეთ, მაგრამ ამ „ჩოკნუტიმ“ ყველას ერთად აღებულს გადააჭარბა.



საქართველო რომ ასე დაეცა, თქვენი, ქართველების ბრალია. მე რუსი ვარ, სამადლოდ საქართველოში შემოხიზნული და რა უფლება მაქვს, რამე ვთქვა, ან ვინ მეკითხება რამეს, უდანაშაულო შვილი მომიკლეს და ყური არავინ შეიბერტყა, მაგრამ თქვენ ხომ საკუთარ სახლში ხართ, რატომ იტანთ ამხელა დამცირებას და შეურაცხყოფას? ვერ ხედავთ, რომ საქართველო აღარ გაქვთ? რუსი არ არის ქართველის მტერი, ქართველის მტერი ვინცაა, სახლში გყავთ, ბანდა, რომელსაც „ნაციონალებს“ ეძახით და ის „შპანა“, კაპიკებზე რომ ყვირიან „მიშა, მიშა!“ ვოტ ვამ ვაშა მიშიკო!“

**უსახელო სტუდენტი:** — „ვაიმე, სახელსაც ვერ ვიტყვი, მიწიდან ამომთხრიან, ილიას უნივერსიტეტში ვსწავლობ და ქუჩაში მომისვრიან. რა თქმა უნდა, 27-ში თავისუფლებაზე ვარ, მაგრამ რისი იმედით იცი, ისეთი პარიკი მაქვს, შანსი არაა ვინმემ მიცნოს, თან სათვალესაც გავიკეთებ.

**მალხაზი:** — „არ ვიცი, ჯერ ვიფიქრებ, ღირს თუ არა 27-ში მისვლა. იმდენჯერ მოვტყუვდი, უკვე საკუთარი თავის მრცხვენია. რა არის იცით, ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როცა ხვდები, რომ ვიღაც, ვისაც საკუთარი პოლიტიკური ამბიციები აქვს, ისე გიყურებს, როგორც ბრძოლის იარაღს, სულიერ ნივთს. 2007-ში რიყეზე რომ ალყაში მოგვაქციეს და გვგუდავდნენ, სად იყვნენ ეს ე.წ ლიდერები, რატომ ერთი მაინც არ წაბორძიკდა სადმე, დაჭერებზე აღარ ვლაპარაკობ. ერთი, სუბარს მოხვდა, სხვას ვის? რომელი დარბეული აქციაც გინდათ, ის დამისახელეთ, 26 მაისის გარდა, რომელ აქციაზე მინაყეს რომელიმე ლიდერი? — არადა, ჩვენი, ხალხისგან კი იმსახურებენ მართლა გვარიან მინაყვას.“



**ნინო და ანა:** — „ძალიან გულით გვინდა მისვლა, მაგრამ დანამდვილებით გეუბნებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივალთ ჩემი ოჯახიდან ექვსი ადამიანი. რა ვქნათ, პატიმარი გვყავს, ისეთი მუხლით ზის, ამნისტია არ ეხება. სამი წელი დარჩა მოსახდელი და ვერ გავრისკავთ. ეს კი არა და, „პატიმრების აქციაზე“ ვერ გამოვჩნდით. ასე არაა, მოდითო, ნუ გეშინიათო, რომ გვამშვიდებენ, აბა, გამოვჩნდეთ სადმე, ცემით ხეთქავენ მერე ჩვენს პატიმრებს. იგივეს თქმა შემიძლია ჩემს მეზობლებზე, ზუსტად იმავეს ამბობენ.

**„კემპი“, მძღოლი:** — „27-ში კი არა, ყოველდღე მივალ, ოღონდ ეს მთავრობა მოშორდეს. „მარშუტკაში“ მიცემული 5 000 დოლარი ოხრად დამრჩა, ველარცა ვყიდი, იმდენმა გაყიდა 1500-ებში, აღარავის უნდა და უქათმო საქათმესავით უქმადა დგას. ის „როჟები“, ბიძინას რო წყვილწყივილადა ჰყავს იქა, არავის რო არ ევასება, ვაბშე არ მაინტერესებს დღეს. ვინც მაგას ამბობს არმისვლის „პრიჩინად“, იმათ მინდა გავაგებინო: ძმაო, დაო, ჯერ მოდი, ეს „ხურუშიანიები“ მოვაშოროთ და მერე, ხო ამბობენ, ხალხის არჩევანი იქნებაო, მერე ეგენი მივაყოლოთ. მაგათაც აქციები ხო არ უნდა, არ მივცეთ ხმა და ჰაიდაა“...

**სტურუა:** — „ბიძიკო, რას გეტყვით იცი, ბაბუაჩემი მასწავლიდა, ბრძენი კაცი იყო, ადამინებს ერთი პირი რომ ჰქონოდათ, ღმერთამდე ავიდოდნენ და მიტომ მოუშალა ბაბილონის გოდოლის მშენებლებს პირი, განსხვავებულ ენებზე აამეტყველა ერთ დილასო. ასეა დღესაც, ისე მოუშალა ვიღაც უხილავმა ქართველებს პირი, ერი ერი ვართ ვითომ, ერთ ენაზე ვმეტყველებთ თითქოს, მარა რათ გინდა, აღარ გვეყურება ერთმანეთის. არავის დოუტანებია ძალა ჩემდა, მიშას მიეციო ხმაიო, ჩემით ვხაზავდი 5-იანს, მარა, ნამეტანი ქნა უკვე, ნამეტანი! ექიმიზა ვარ ჩამოსული და რა ვნახე ეს ჩემი თვალით, გადარევასსა ვარ! ბოდიში მომითხოვია და, ბოვშ ბიჭს ეჭირა ხელში წარწერა, იმფერი ვარო, აგერ მეორეს ეჭირა, შენც ამფერი გახდიო. რაა აგი! აი მილიცია კი დალაყუნობდა მისდა, იგენს იცავდა ისევ. ესაა ქვეყანაა? ამისდა მოკლენ ერის კაცები?

5 ივნისამდე მიწევს ექიმთან სიარული და მივალ იმ 27-ში იქანაც, აბა, რაი ვქნა, საცა აგენი მართლები ყოფილან და კაცს და ქალს ფასი დაკარგვია, იქინა ველარ დავრჩები და სადაცა ხომ უნდა ვიყო?“

**მზია, უმუშევარი:** — „ჩემნაირი გაჭირვებული ხალხისთვის მზრუნველი მთავრობა არასდროს



რომ არ იქნება, ვიცი, მაგრამ კაცი იმედითააო, ხომ გაგიგიათ, ამიტომ, თუ რაღაც სასწაული არ შემემთხვა, აუცილებლად მივალ. კარგად მახსოვს, რა იმედით ვაძლევდი „ნაცმოძრაობას“ ხმას, მაგრამ კარგი რა? 27-ში მივალ იმიტომ, რომ რასაც ამბობს „ქართული ოცნება“, მომწონს და რატომღაც მგონია, რომ მთლად სიტყვების რახარუხი არ უნდა იყოს, რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილის მჯერა.

**რამინი, სურსათის მაღაზიის გამყიდველი:** — შუადღეს მაინც არაა მყიდველი, 27-ში დავკეტავ ამ ჩემს დახლს და მივალ თავისუფლების მოედანზე, მაგრამ შინაურულად გეკითხები, გამოვა რამე ამ საქმიდან?

**ანა და ქეთი (ე.წ თინეიჯერები „პუშკინის სკვერთან“):** — „არც მიშა, არც ბიძინა, ერთი დიქტატორია, მეორეს დიქტატორობა უნდა. გაუმარჯოს თავისუფლებას!

**ანატოლი:** — „გამარჯობა საქართველო! კარგი ქართული ვიცი, იმიტომ, რომ თბილისელი რუსი ვარ, ქართულ სკოლაში დავდიოდი საბურთალოზე და ქართველი ძმაკაცები მყავს. გვარი მაქვს რუსული, თორემ რომ იცოდეთ, სიზმრებს ქართულად ვხედავ. გამოდის, ოცნებებიც ქართული მექნება, ხომ ასეა? მამაც თბილისელი რუსია და დედაც, იმათაც კარგი ქართული იციან. ეხლა, შემთხვევით ვარ აქ, 25-ში ისევ მივდივარ, მაგრამ ჩემი გულისყური, როგორც ყოველთვის, სადაც უნდა ვიყო, აქეთ არის. აბა, თქვენ იცით, მაგრად დადექით!



მოიშორეთ რა, შიში, გამოდით ქუჩაში და დაიცავით თქვენი კონსტიტუციური უფლებები!

**მარიამი:** — „მიშა მაგასა და ჯანდაბა! სად წამსვლელი ვარ, ძლივს დავფარფატობ მომაკვდავი პეპელასავით და გამჭყლიტავს ვიღაცა, მე შენ გეტყვი და, მოგეერიდებიან! ეს რა უქნა ამ ახალგაზრდებს ამ არაკაცმა, ჰა? ზრდილობა აღარ დაუტოვა, ნამუსი და სინდისი, მიუშვა და მიუშვა. აქციაზე ვერა, მაგრამ არჩევნებზე რამენაირად მივლასლასდები. ესეთი რამე გაგიგია?



მე, პირველად რომ უნივერსიტეტში შემოვარდნენ და საზოგადოებამ ეს შეარჩინა, მაშინ ვთქვი, წასულია საქმე, რახან უნივერსიტეტს დამცველი არ გამოჩნდა, საქართველოსაც აღარ ჰყოლია დამცველი-მეთქი.

ის თაობა მოსპეს, რომლიც ეროვნულ ფესვებზე იდგა, ზოგი გაანარკომანეს, ზოგი გააფუჭეს, ზოგი რა და ზოგი რა, ვიღა იყო ხმის ამომღები, სადღა იყო ძალა, რომლიც წინ აღუდგებოდა ამ უზნეობებს.

**გიო, დათო, ვახო (ე.წ. თინეიჯერები რუსთაველის ძეგლთან):** — „ჩვენ ყველგან დავდივართ და 27-შიც მივალთ თავისუფლების მოედანზე. ისე კი არ გაიგოთ, რომ საქმე არ გვაქვს და იმიტომ დავდივართ, არა, გვაინტერესებს ხალხის განწყობა. ახლაც, ამ კონცერტზე თუ მუსიკალურ აქციაზეც, არც ვიცით რა არის, იმიტომ ვართ, თორემ ამ უხმო და უსმენო ბიჭების ხავილი კი არ მოგვწონს. გეი-აქციაზეც ვიყავით, ოღონდ შორიდან მოთვალთვალის პოზიციიდან, გვაინტერესებდა, რამდენი ადამიანი იქნებოდა. მე თქვენც მახსოვხართ იმ გეი-აქციიდან, იმიტომ, რომ თავიდან ვიფიქრე, ამათთან ეს ქალბატონი, ნეტავ, როგორ მოხვდა, ალბათ, ხელმძღვანელიამეთქი, მაგრამ მერე დიქტოფონი დაგინახეთ ხელში.

რა გვაინტერსებს არაა მთავარი, მთავარი ისაა, გაიგო, ხალხს რა აინტერესებს. როგორც ჩვენ დავასკვენით, ერთ მუჭა ხალხს მხოლოდ თანამდებობა აინტერესებს ორივე მხარეს, ორ მუჭა ხალხს მართლა საქართველო ადარდებს, დანარჩენს კი არაფერიც არ აინტერესებს, ოღონდ მაძღარი იყოს.

**სამი გოგონა „პუშკინის სკვერში“ ყვირილით:** — „ჩვენ მიშა გვიყვარს! ძირს ივანიშვილიიიი!“

**ასაკოვანი ქალბატონი „პუშკინის სკვერთან“:** — „ჩემი ვინაობა საჭირო არაა, არაფერს წყვეტს, ნინო, თამარი, მარიამი, რომელიც გინდა დამარქვი, მთავარია, რომ სულით ხორცამდე ქართველი ვარ. გაზეთიდან ხართ, ხომ? აი, რას გეტყვით, იმ თქვენს კოლეგებს გადაეცით, მიშასები რომ ჰქვიათ, ბიზანტიის იმპერია დაეცა და „მიშას იმპერია“ მითუმეტეს, რა ფესვებზე ესა დგას, რომ არ გადავარდეს, მერე სად მიდიხართ, რას აპირებთ, თქვე ნამუსახდილებო-თქო.

**დიმიტრი:** — „სიმართლე გითხრათ, დიდად არც ივანიშვილის მჯერა, მაგრამ მაინც მივალ 27-ში. ივანიშვილის კი არა, მაგ კაცს რას ვერჩი, გარშემო რომ ჰყავს, იმ ხალხის არ მჯერა. ახლა არაა მაგის დრო, თორემ სათითაოდ ჩამოვუთვლი ყველას,



ვის რა ბრალი მიუძღვის საქართველოსა და აქ მცხოვრები ხალხის წინაშე, მათ შორის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის საქმეში...

ჩემი საფიქრალი მხოლოდ ერთია, სანამ კიდევ შეიძლება რაღაც ეშველოს საქართველოს, სანამ მთლად არ გადაჯიშებულა ქართველი ერი, სანამ მთლად არ გასხვისებულა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, სანა არ გავუყიდივართ ჯერ არცასახული ბავშვებიანად, რამე მოვახერხოთ, რამე, რასაც ერთობა ჰქვია ხილული მტრის წინააღმდეგ!

რატომ უნდა მშურდეს ლიბიელების, სირიელების, ეგვიპტელების, ბერძნების და საერთოდ, ჩვენი გარდაცვლილი წინაპრების, ხომ შეიძლება, ერთხელ ჩვენც ვიყოთ გმირები!

**მაია ჭელიძე**

# ამ კლოუნების თეატრში მთავარი კლოუნი სააკაშვილია

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია, პარლამენტარი, ბატონი პეტრე მამრაძე***

**— ძირითად საკითხზე გკითხავთ, 27 მაისს, ბიძინა ივანიშვილი ატარებს აქციას. ჩანს, იგი ქუჩის აქციებზე გადავიდა იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ, რაც მის გარშემო მოხდა. ფიქრობთ, რომ ეს სერიოზული ნაბიჯია და აუცილებელია გამარჯვებისათვის?**

— მე მახსოვს ბატონი ბიძინას ყველა განცხადება, რომელიც მას დღემდე გაუკეთებია, რაც შეეხება ასეთ ერთჯერად, კანონით დაშვებულ, ცივილიზებულ აქციას, რომელიც ყველა ქვეყანაში ხდება, ამას, ცხადია, რომ, აზრი აქვს საზოგადოების მობილიზებისათვის, ფორმირებისათვის, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა ხელისუფლების სამი ტელევიზია მხოლოდ „ნაციონალებისათვის“ მუშაობს და ხალხს არ აქვთ შესაძლებლობა ზუსტად იცოდნენ სიმართლე. ამ პირობებში ეს აქცია მართლაც მნიშვნელოვანი იქნება.



ბატონი ბიძინა წინააღმდეგია ნებისმიერი რევოლუციისა, მან ეს განაცხადა.

**— ხომ არ არის საშიში ის, რომ ეს 27 მაისი 2011 წლის 26 მაისს დაემსგავსოს და მძიმე შედეგები მოჰყვეს?**

— მე უდიდეს პატივს ვცემ იმ ხალხს, ვინც მაშინ 26 მაისს იქ იყო და დაზარალდა, მაგრამ მაშინდელმა იმ აქციის ორგანიზატორებმა იცოდნენ, რომ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. თუმცა, ფიქრობდნენ, რომ მთელი თბილისი ქუჩაში გამოვიდოდა და ამას მოჰყვებოდა მოვლენათა ესკალაცია, რასაც მოჰყვებოდა მსხვერპლი, ქაოსი და სააკაშვილი კვლავ გადადგებოდა.

ხელისუფლება მოიქცა პირიქით, სანიმუშოდ და ისე დასაჯეს ხალხი, რომ კარგა ხნით დააშინეს, თავად კი უსინდისოდ აღლუმი ჩაატარეს.

დღეს უკვე ის ეტაპები გაიარა ჩვენმა მოსახლეობამ, როცა ქუჩის აქციების სჯეროდათ. ეს უკვე წარსულია, შემზარავი შედეგები მივიდეთ და დღეს ამისგან დამცავი იმუნიტეტი უკვე არსებობს. ამიტომ მე მჯერა, რომ ეს აქცია იქნება ერთჯერადი და არ იქნება იმის მცდელობა, რომ ის შემდგომში გადაიზარდოს პერმანენტულ რეჟიმში. ისიც მინდა, მკითხველს შევახსენოთ, რომ **2009 წლის 9 აპრილს დაწყებულმა აქციებმა ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, მხოლოდ გაახანგრძლივა დღევანდელი რეჟიმის ვადა, დამატებითი წლები აჩუქეს მათ.** მე მაშინაც ამ აზრზე ვიყავი და ვაცხადებთ, რომ ის აქციები იქნებოდა კონტრპროდუქტიული, რომელიც გააძლიერებდა სააკაშვილის ხელისუფლებას. მე ის სავსე სტადიონიც მახსოვს, რომელიც უცებ დაშალეს იმიტომ, რომ ძალიან სარფიანად მოილაპარაკეს ხელისუფლებასთან.

**— ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მიღება შემოვლითი გზებით დაიწყეს, თანაც, ახალი კონსტიტუციური კანონით...**

— რეჟიმის მოქმედება ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე გადავიდა სრულ აბსურდში, რომელიც სააკაშვილს „კლოუნების თეატრმა“ შექმნა, ვინმემ რომ ჩამოწეროს, რამდენი ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, ეს ისეთივე ანეგდოტია, როგორც ის, თუ რამდენი მინისტრი შეცვალა სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში.

**— მაინც რამდენი?**

— ეს ციფრი ასზე მეტია. ისე, ასეთ „კლოუნადას“ სჯობს, რომ პირდაპირ კონსტიტუციაში ჩაწერონ პირდაპირ, გვარით და სახელით — ბიძინა ივანიშვილს მისცენ მოქალაქეობა — და მისცენ უფლება მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ეს სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, ისეთ ჩიხში შეიყვანეს მისთვის მოქალაქეობის უფლების მინიჭების საკითხი. ის, რასაც ამ უდიდეს პიროვნებას დღეს უკეთებენ, მურმან ლებანიძის სიტყვებით ვიტყვი, ეს გახლავთ: **„გახრწნა, დაცემა, ადამის ტომის“, და სხვა არაფერი.**

ის საკითხი, რომ შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში ახალი კანონით, ცოტა მეეჭვება, ვფიქრობ, იმიტომ, რომ საქართველოდან წასულმა ძალიან ცოტა მოქალაქემ თუ მიიღო ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეობა, ეს ასე იოლი არ გახლავთ.

სამწუხაროა, რომ სრულიად არასახელმწიფოებრივი მიდგომა არის არსებული კონსტიტუციის მიმართ და ის, რაც უნდა იყოს სახელმწიფო აზროვნების დასაყრდენი, დღეს გადააქციეს „კლოუნადისა“ და აბსურდის თეატრის საგნად.

**— რატომ გიკვირთ, ამას წინათ სააკაშვილმა ისიც თქვა, რომ აფხაზეთი არც არასოდეს ყოფილა ჩვენიო. შემთხვევით წამოსცდა?**

— სულაც არ იყო ეს შემთხვევით, მრავალჯერ დაამტკიცა, რომ მას საქართველოს ბედი სულაც არ აღელვებს. პიარის დროს ამბობს ყველაფერს, რაც ენაზე მოადგება. იყო დრო, როცა კოდორის ხეობას ის, ძვირფას ადგილად თვლიდა, თანხებიც გამოყო იმისათვის, დრომ ეს იყო ზემო აფხაზეთი და იქ ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულიყო. 2009 წლის ავანტიურის შემდეგ კი თამამად განაცხადა, რომ ოკუპანტებმა დაიპყრეს ადგილები, სადაც ქვისა და ღორღის მეტი არაფერია და ამ ადგილებს არანაირი ფასი არა აქვს ქვეყნისათვის.

მინდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი გოჯი ქართული მიწისა, ჩვენი წინაპრების სისხლით არის მორწყული. აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხომ ქართული იყო? გალის რაიონი ასი პროცენტით ქართული არ იყო? მაშინ რას იტყვის, იმ ტერიტორიებზე, სადაც ამჟამად ეთნიკურად არაქართველები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ცხოვრობენ? შეიძლება ხვალ გამოაცხადოს№ რომ ეს მიწები ქართული არ არის, არაფრისგან არ ვართ დაზღვეულნი!



წარმოიდგინეთ, რომ ასეთი რამ წამოსცდენოდა ოპოზიციის წარმომადგენელს, მაშინ რას იზამდნენ? „კლოუნების თეატრი“ რომელიც დღეს დუჟმორეული გამოდის და ამართლებს სააკაშვილის, საქციელს, ხომ ჩაქოლავდნენ ასეთ ოპოზიციონერებს? ისიც წარმოიდგინეთ, რომ ოპოზიციის რომელიმე ლიდერს ემსახურება ÊÃÁ-ს ჯარში, მაშინ რას იტყოდნენ? ისიც წარმოიდგინეთ, რომ ოპოზიციის რომელიმე ლიდერის ბიძას გაეროში ემსახურა რუსეთის კვოტით სამხედრო შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელად, მაშინ რას იტყოდნენ? ისიც წარმოიდგინეთ, რომ ოპოზიციის რომელიმე ლიდერს აგვისტოს ომის დროს ჰქონოდა გრიგოლ ვაშაძის მსგავსად რუსეთის მოქალაქეობა, მაშინ რას იტყოდნენ. მე მხოლოდ და მხოლოდ ადგილი მენანება გაზეთში, თორემ ამ სიას უფრო ფართოდ წარმოგიდგენდით!

**ზუგდიდთან და გორთან ახლოს რომ საბაჟოებს ხსნიან, ეს არ ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას?**

ისიც გაიხსენეთ, რა თქვა სააკაშვილმა 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების მერე: — მე რომ ვყოფილიყავი ოპოზიციის მხარეს, ამ ხელისუფლებას რამდენიმე დღეში დავამხობდიო. ეს ვინმეს ხომ არ დაგავიწყდათ?

**— ჩიკაგოს სამიტზე რას იტყვით, „ასპირანტი“ საქართველო შეძლებს ნატოში შესვლის საკითხის წინ წაწევას?**

— ნატომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ მიიღო სერიოზული გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, საქართველოს არასოდეს არ ექნება შანსი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოში მიიღონ! ჩვენ არამცთუ ვუახლოვდებით ნატოს სტანდარტებს, არამედ უფრო ვცილდებით.

ცნობილი პოლიტოლოგი — უოლტ რასელ მიდი წერდა, რომ სააკაშვილმა საქართველოს გაუკეთა ის, რასაც ყველაზე საშიში მტერიც კი ვერ გაუკეთებდაო, ვინაიდან მისი ავანტიურისა და ქცევის გამო საქართველოს არ მიიღებენ ნატოშიო. დღეს ნატოზე საუბარი არის მხოლოდ პიარი! გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ნატოს რუსეთთან, ვიდრე ჩვენთან. ავღანეთში ყველაფერი შედის რუსეთზე გავლით — ეს მათი სერიოზული თანამშრომლობაა. ხშირად ამბობენ ხელისუფლების წევრები, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მართალია, **გასაკეთებელი მართლაც ძალიან ბევრია იმიტომ, რომ სულ უფრო ვცილდებით საერთაშორისო სტანდარტებს ნებისმიერ საკითხში, ისე როგორც ნატოსთან მიმართებაში.**

მართალია ისიც, რომ ყოველთვის მადლობას ეტყვიან საქართველოს იმის გამო, რომ რაც შეიძლება მეტი სამხედრო პირი გააგზავნოს იქ. მე მომხრე ვარ იმისა, რომ იქ გააგზავნონ სამხედრო ჯარისკაცები პროპორციული წესით, მაგრამ მაინცდამაინც მსოფლიო რეკორდი რატომ უნდა დავამყაროთ? რატომ მალავენ დაღუპული ჯარისკაცების რაოდენობას? სააკაშვილი დღეს ცდილობს, რომ არაპროპორციულად დიდი კონტინგენტის გაგზავნის გზით დაუმტკიცოს ნატოს, რომ ის დარჩეს ხელისუფლებაში. ეს მეტყველებს მის აშკარა არადემოკრატიულ ქმედებებზე. ნაციონალები ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს რომ გააყალბებენ, ეს აპრიორშივე ცნობილია, იმიტომ რომ მმართველ პარტიას სხვა გზა არ აქვს. 4,5 მილიარდი დოლარი დახმარება, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მიიღო აგვისტოს ომის შემდეგ, უკვე ამოიწურა. ამ თანხამ, ერთი მხრივ მოსახლეობა გადაარჩინა, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც თანმდევმა ეფექტმა, გადაარჩინა სააკაშვილის რეჟიმი და გაუხანგრძლივა მას არსებობა! თუმცა ეს მათ არასოდეს უფიქრიათ, ეგონათ ხალხს ეხმარებოდნენ. მათ მხრიდან თანხების ხარჯვის მონიტორინგი რომ ყოფილიყო, ხელისუფლება ამ თანხებს ასე ვერ მიიტაცებდა.

**ეთერ კასრელიშვილი**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.ge

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი


## კახა კალაძე: მინდა, პატარა წვლილი მეც შევიტანო ამ გამარჯვებაში



„სიმართლე გითხრათ, მართლა რთული გადაწყვეტილება იყო ჩემთვის. არ იყო ადვილი, როდესაც 18-წლიანი საფეხბურთო კარიერის შემდეგ, ამთავრებ მოღვაწეობას შენ საყვარელ სპორტში, რომელმაც ცხოვრებაში მოგცა ყველაფერი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება შენი ქვეყნის ბედს, საქართველომ გადაწონა ყველაფერი და მივიღე ეს გადაწყვეტილება”, - ეს განცხადება ტელეკომპანია “კავკასიისთვის” მიცემულ ინტერვიუში კოალიცია “ქართული ოცნების” წევრმა, ყოფილმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ განაცხადა,

კალაძის თქმით, მას სურს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს იმ საქმეში, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია.

“ჩემი ქვეყნის მომავალის გასაუმჯობესებლად, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, მინდა, რომ პატარა წვლილი მეც შევიტანო ამ გამარჯვებაში. მე უმდიდრესი ადამიანი ვარ. ჩემი დიდი სიმდიდრე არის ქართველი ხალხის სიყვარული, რასაც მე ვგრძნობ ქუჩაში გავლისას, ურთიერთობების დროს. ეს სიყვარული, მინდა, დავუფასო ჩემს ხალხს. ჩვენ გავაკეთებთ მომავალს ქართველ ხალხთან ერთად, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი”, - განაცხადა კალაძემ.

**„მედიანიუსი“**

*გვესაუბრება მწერალი*
*ელიზბარ ჯაველიძე*



# yvela mkvleloba, romelic am xelisuflebam Caidina, amerikis xeldasmiT moxda

**— ბატონო ელიზბარ, „სახალხო კრებამ“ 26 მაისის დაგეგმილი ღონისძიება გააუქმა, ივანიშვილსაც არ გამოუვიდა 26 მაისს შეკრება. გამოდის, რომ ეს დღე ხელისუფლებას დარჩა?**

— როგორც აცხადებენ, 26 მაისი საერთო სახალხო დღესასწაულია და მისი დასაკუთრების უფლება არავის აქვს. ფილარმონიაში შეხვედრას ამ დღის დასაკუთრების მიზნით კი არ ვაკეთებდით, არამედ ჩვენი მიზანია — 26 მაისი ქართველ ხალხს და არსებულ რეჟიმს არ დავავიწყოთ, რომელთაც მთელი საქართველო ქართველების სისხლით მორწყეს, სულში ჩაგვაფურთხეს. სხვათაშორის, მთელი ოპოზიცია, მაშინაც და ახლაც, ცდილობს 26 მაისს ჩადენილი სახელისუფლო დანაშაული გააქარწყლოს, ანდა ყველაფერი „სახალხო კრებას“, კერძოდ, ნინო ბურჯანაძეს დააბრალოს. იმ დღეს, ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ უკან არ დაგვეხია. ხალხს დავპირდით, რომ შუა გზაში არ მივატოვებდით და ბოლომდე ვიბრძოლებდით. ჩვენ ვიცოდით რა ტირანთანაც გვქონდა საქმე და ისიც ვიცოდით, რომ დაგვარბევდნენ. დღეს სააკაშვილს ზოგიერთი როგორც დიქტატურისკენ მიდრეკილს, ისე ახასიათებს. სინამდვილეში, იგი ტიპიური ტირანია. ჩემს წიგნში აღწერილი მაქვს კალიგულასა და სააკაშვილის მსგავსების შესახებ, 21 პუნქტი მაქვს ჩამოწერილი, სადაც ისინი ერთი-ერთში ჰგავანან ერთმანეთს. 26 მაისს სხვადასხვა ღონისძიებებს ჩავატარებთ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ, საბოლოოდ, 26 მაისი აღსანიშნავად ხელისუფლებას დარჩა, „ქართული ოცნება“ ამ დღეს 27 მაისს აღნიშნავს და ფილარმონიაში დაგეგმილი შეკრება სულ ტყუილად გაუქმდა, მოვერიდეთ, ვინმემ არ დაგვაბრალოს, ხელი შეგვიშალესო. 26 მაისი დაანონსებული გვქონდა, მაგრამ ხელისუფლება ამას გამოიყენებდა და იტყოდა, რომ ოპოზიციამ გაერთიანება ვერ მოახერხა. არადა, ჩვენი მიზანი სწორედ გაერთიანება იყო. ძალიან გამიკვირდა, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ მაინცდამაინც 26 მაისს გადაწყვიტა შეკრება, რადგან მათ იცოდნენ, რომ ჩვენ ღონისძიება უკვე დაგეგმილი გვქონდა. თუ ისინი 27 მაისს გამოვლენ და იტყვიან, რომ ამ დღეს, შარშან დიდი დანაშაული მოხდა, მაშინ მათთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს. მაგრამ, ისინი აცხადებენ, რომ 27 მაისს უბრალოდ ამომრჩევლების რაოდენობის დემონსტრირებას მოახდენენ და 26 მაისზე საუბარი არ იქნება.

**— მათ ასევე განაცხადეს, რომ არც სააკაშვილის გადადგომას არ მოითხოვენ, უბრალოდ პროგრამას გააცნობენ საზოგადოებას.**

— ეს ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში რაღაც ძალა მუშაობს, რომელიც ხელისუფლებას აწყობს, პირველ რიგში, სააკაშვილს. გარკვეულ ძალებს დღესაც აწყობთ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა. იგი რუსეთსაც და აშშ-საც ყველა ნება-სურვილს უსრულებს. მისი მთავარი პრინციპი საქართველოს გაწირვის ხარჯზე ტახტის შენარჩუნებაა. ფაქტია, ის რაც საქართველოს ანგრევს, მიხეილ სააკაშვილს აძლიერებს. ისტორიულ წარსულს თუ გადავხედავთ, დღევანდელი პოლიტიკა სწორედ ასეთია — სააკაშვილმა ქართველი ერის მოსასპობად, საქართველოს დასაშლელად ყველაფერი გააკეთა. მაშინ როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო აშშ-დან დაწყებული საბერძნეთით დამთავრებული ქუჩაში იყო გამოსული, მათ შორის აღმოსავლეთიც ე.წ. „ვარდისფერმა რევოლუციამ“ მოიცვა, სწორედ ამ დროს ივანიშვილი გამოვიდა და თქვა, — მივდივართ არჩევნების გზით, არავითარი ქუჩაში გამოსვლა, ფოთოლიც კი არ უნდა შეირხესო. რა თქმა უნდა, ამან კიდევ ერთხელ გააძლიერა სააკაშვილის ავტორიტეტი, რამეთუ მთელი მსოფლიო ირყევა, ინგრევა, საქართველოში კი ფოთოლიც არ იძვრის. რას ნიშნავს ეს? — რომ თხა და მგელი ერთად ძოვენ, სიმშვიდეა, არაფერი გვაწუხებს და თურმე დემოკრატიული მოდელის სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ობამამ დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა სააკაშვილი. თუ 26 მაისს მომხდარ დარბევას ავიღებთ და ამას პუტინის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე დარბევას შევადარებთ, როგორც ცა და დედამიწა, ისეთ განსხვავებას აღმოვაჩენთ. განსხვავებით საქართველოსგან, რუსეთში არავინ უცემიათ, თუ ვინმე დაიჭირეს მეორე-მესამე დღეს გამოუშვეს, არავინ მოუკლავთ, ტანს ზემოთ გახდილ გოგონებს მილიცია ვერ იჭერდა იმიტომ, რომ ეშინოდათ მკერდზე ხელი არ მოხვედროდათ. ესენი კიდევ ამბობენ, პუტინი დიქტატორია, რუსეთში ტირანული მმართველობაა და საქართველო დემოკრატიის შუქურააო. ამ ინფორმაციას მთელი ამერიკა და დასავლეთი აშუქებს. სწორედ ესაა ორსახოვნება და სტანდარტი — მათ აწყობთ რუსეთში აირიოს საქმე და იძახიან ეს რა უბედურებები ხდებაო, ჩვენ კი დემოკრატიულ ქვეყნად გვაცხადებენ — აქ არც არავინ მოუკლავთ თურმე და არც ქართველთა სისხლით არ მოურწყავთ მიწა. რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, როდიონოვს არ გაუკეთებია. მან გასასვლელი დატოვა, მიშამ ალყაში მოაქცია ხალხი, რათა ისინი ჩაეხოცათ. ხალხის ამგვარად დაშლას ჯონ ბასმა მწვანე შუქი აუნთო. ყველა მკვლელობა, რომელიც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, ამერიკის ხელდასმით მოხდა. იგივე ზურაბ ჟვანიას მკვლელობაც, თუ ამერიკას არ ენდომებოდა, ესენი ისე ვერ გაბედავდნენ ამის გაკეთებას. თუნდაც იმიტომ, რომ აშშ ექსპერტიზის დონის მიხედვით უმაღლესი ქვეყანაა. არადა, ჟვანიას საქმეზე ისეთი დასკვნა გამოაგზავნეს, კაცი ვერ გაიგებს — მოიწამლა, მოკლულია თუ რა მოხდა. ასეთი აბდა-უბდა დასკვნების დაწერა აშშ-ს დონეზე არ შეიძლება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილი, როგორც ყველა სურვილის აღმსრულებელი, აშშ-ს აწყობს. მიშა რუსეთსაც აწყობს — მას არ ელაპარაკებიან, სამაგიეროდ სააკაშვილი, მათ ტერიტორიებს უთმობს, ენერგორესურსებიც მათ გადაულოცა. ბუნებრივია, არ უნდათ გონიერი და ჭკვიანი მმართველი.



**— სააკაშვილი ბოლო დროს არაადეკვატურია. გარდა იმისა, რომ იგი აშშ-ის, რუსეთის სურვილების აღმსრულებელია, ახლახან, ისიც განაცხადა, აფხაზეთი ჩვენი არასოდეს ყოფილაო.**

— დიახ, სამწუხაროდ მან განაცხადა, რომ აფხაზეთი ჩვენი არ არის და აჭარაც თურმე გამოყოფილი ყოფილა საქართველოსგან და ახლა დავიბრუნეთ. „სახალხო კრება“ ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას ვაპირებთ. მისი აბსურდული წარმოსახვანი მარტო საზოგადოებას კი არ აბნევს, არამედ პერსპექტივაში ქმნის იმ მოდელს, რომლის მიხედვითაც საქართველო რამდენიმე ქვეყნად უნდა დანაწევრდეს. ეს მოდელი უკვე დაწერილია, თუ როგორ წარმოუდგენიათ ამერიკის გოსდეპარტამენტის გეოგრაფებს მსოფლიოს განრიგი. აქ წერია, რომ საქართველო წვრილ წარმონაქმნებად უნდა დაიშალოს. სამაჩაბლოს და აფხაზეთს რომ თავი დავანებოთ, რომელიც თურმე ჩვენი ისედაც არ ყოფილა, აღარც აჭარაა ქართული. სააკაშვილი ასლან აბაშიძეს აუგად იხსენიებს, მაგრამ მას ძაღლიც უყვარდა და ადამიანიც. რაც მთავარია, თავისი ქვეყანა უყვარდა, არცერთი თურქი არ დაუსახლებია აჭარაში, დღეს 20 ათასი თურქი მარტო ბათუმშია ჩასახლებული, ხდება ქართული მოსახლეობის პირწავარდნილი, ლაგამაწყვეტილი ისლამიზაცია. გამსახურდიას დროს ათასობით კაცი ქრისტიანდებოდა, დღეს პირიქითაა — ქართველი ახალგაზრდობა თურქეთში მოლების სკოლებში იღებენ ისლამის განათლებას. ამ უბედურების სათავე ჩვენი ხელისუფლებაა.

**— როგორ დავაღწიოთ თავი ამ უბედურებას — ხელისუფლების შეცვლით?**

— ჩემი აზრით, ეს ხელისუფლება კი არ უნდა შეიცვალოს — ეს არაფერს მოგვცემს, არამედ სისტემა, რომელიც საქართველოს ანგრევს, თავად უნდა დაინგრეს, შეიცვალოს. ეს ე.წ. პოსტმოდერნისტული ლიბერალიზმია, რომელიც ქადაგებს — ეროვნების, ნაციის მოსპობას, საერთოდ სახელმწიფოს უკუგდებას და პლანეტარული იმპერიის შექმნას, რომელზეც ერთპოლუსიანი სამყარო და მის სათავეში აშშ იქნება. ესაა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, მაგრამ აშშ არ იქცევა ისე, როგორც ჩვენი მეზობელი ქვეყანა მოიქცა. მე მათ არ ვამტყუნებ — დათვი არ უნდა გაალიზიანო, ხელი არ უნდა შეუყო გალიაში, თორემ წაგაჭამს. რუსეთმა წაგვაჭამა თავიც — აფხაზეთი და გულიც — სამაჩაბლო ამოგვიღო. პუტინი თავის ქვეყნისთვის იღწვის. რაც შეეხება აშშ-ს, იგი არ ჩქარობს, მას თავისი გეგმა აქვს, რომელიც სენატში დამტკიცებულია. ეს ნიშნავს, რომ უნდა განვითარდეს, დამკვიდრდეს ლიბერალური იდეოლოგია. ლიბერალიზმის ძირითადი თეზისი გახლავთ ცნობილი ამერიკული ღირებულებანი — თავისუფალი ბაზარი, უშიშროება და მუცლის სიმაძღრე. ამერიკელები ამბობენ, რომ ეს სამი, ძირითადი თეზისი მთელს მსოფლიოში უნდა გავრცელდეს და არ შეიძლება ამაზე უარი ვთქვათ. მაგრამ, ხომ უნდა დავფიქრდეთ როგორ თავისუფლებას ქადაგებენ ისინი?! თავისუფლება სულიერი კატეგორიაა. როცა ზნეობრივად ხარ ამაღლებული, შეიძლება ციხეში იჯდე, მაგრამ თავისუფლად გრძნობდე თავს. ადამიანი, როგორც მოაზროვნე, ისე ზნეობრივი ცხოველია. ადამიანს შეუძლია ანგელოზზე მაღლა დადგეს, რამეთუ ანგელოზს ქცევის სხვა უფლება არ აქვს. თინა ხიდაშელმა განაცხადა: გავალ პარლამენტის წინ და რასაც მინდა იმას ვიზამო. ესაა თავისუფლება?! უბედურების სათავე ისიცაა, რომ ეროვნების გადაგვარება, ერის უფლებების უგულვებელყოფა ხდება. მათ წინ ადამიანის უფლებები წამოსწიეს იმიტომ, რომ ერის უფლებები დაგვავიწყონ. ახლა, მიხაკო წერეთლის გადმოსვენება უნდათ, იგი ბაბუაჩემის ძმა იყო. 26 წლისამ „ერი და კაცობრიობა“ დაწერა. აბა,

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჰკითხეთ, ხელისუფალთ თუ წაუკითხავთ ეს წიგნი?! — აზრზე არ არიან, საერთოდ. მიხაკო ამბობს — ერი არის უმაღლესი, უნივერსალური ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ხერხემალი არის ხალხი, ხოლო სახელმწიფო მისი აბჯარია. თუკი არსებობს ერი, რომელმაც აბჯარი დაკარგა, ყოვლადშეუძლებელია ამ აბჯრით შემოსვას არ ეცადოს იმიტომ, რომ აბჯარმა — სახელმწიფომ უნდა დაიცვას ერი. ჩვენთან პირიქით ხდება, სახელმწიფო, ე.წ. აბჯარი ხანჯლებად, მტრად მოგვევლინა, რომელიც სპობს და ანადგურებს ერს. ამიტომაა, რომ დღეს ყველა გაიძახის — მოქალაქეს და არა ერის შვილს. დღეს, თუ გაგიგიათ ვინმეს ეხსენებინოს — სამშობლო, ერი, პატრიოტიზმი. ეს ყველაფერი გაცვეთილი, ჩამორჩენილობის მაჩვენებელი ფრაზებია თურმე. აქედან გამომდინარე, აცხადებენ ჩვენ ეთნიკურ უმცირესობებს ვიცავთო. კი, ბატონო, დაიცავით, მაგრამ საკუთარი ერის უფლებებს რატომ არ იცავთ?! — როდესმე უთქვამთ, რომ ქართველი დაჩაგრულია?!

**— ივანიშვილმა თქვა — აქ საქართველოს გაერთიანება იწყებაო. როგორ ფიქრობთ იგრძნობა, დღეს ეს მუხტი?**



— დარწმუნებული ვარ 27-ში ძალიან ბევრი ხალხი მოვა. ხალხი ნახირი არ არის, რომ უბრალოდ სადმე შეყარო. ასეთ შემთხვევაში სააკაშვილი იგივეს იზამს — ჩამოიყვანს ყვითელ ავტობუსებს და ხალხს დაიჭერს. ამ შეკრებას მარტო ის მიზანი კი არ უნდა ჰქონდეს — არჩევნებს ვიწყებთო. ივანიშვილმა სწორი განცხადება გააკეთა — აქ იწყება საქართველოს გაერთიანებაო. აი, ამ იდეით უნდა შეიკრიბოს ხალხი და არა არჩევნებზე საუბრით. არჩევნებზე საუბარი ადრეც იყო — „რვიანის", „ექვსიანის" მიერ, მაგრამ ამან რაიმე შედეგი გამოიღო?! — არა და არც გამოიღებს. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს გამარჯვებისთვის. ეს დამნაშავე ხელისუფლებაა და მათ, იდეა კი არა, დანაშაული აერთიანებთ. სხვათაშორის, ახლა უნდათ პარლამენტში ზონდერები შეიყვანონ, რომლებიც ჩვენს დარბევაში იღებდნენ მონაწილეობას. ამიტომ ამ ძალასთან ბრძოლაა საჭირო. კარგია, რომ ივანიშვილი შეკრებას აპირებს, მაგრამ მან აღარ უნდა დათმოს — გაულახეს ხალხი, დაუყაჩაღეს საინკასაციო მანქანა, მოქალაქეობა ჩამოართვეს და ხმა არ ამოუღია. არცერთი სკოლის შინა-განაწესი ისე არ იცვლება, როგორც კონსტიტუცია. ამით ამცირებენ მას. სააკაშვილს როგორც უნდა, ყველაფერი ისე ხდება. ელჩებმა ერთი ამბავი ატეხეს, ქუთაისში ნაგვის მანქანამ სანთლები რომ ჩააქრო და ბავშვს ფეხები დაუსველდა. აქ არ იყო, ეგ ოხერი, როცა 26-ში ხალხი დახოცეს, რატომ არ ამოიღო ხმა?! აშშ-ს ფეხზე ჰკიდია საქართველოში დემოკრატიაც, ხალხის შიმშილით სიკვდილიც, მას ტერიტორია სჭირდება, რათა დაშალოს ქვეყანა. ქუთაისის პარლამენტში გადატანაც საქართველოს დაშლის გეგმის ნაწილია. მიდის აგიტაცია-პროპაგანდა, რომ რეგიონალური ენები უნდა ვაღიაროთ, მათ შორის სვანეთში სვანური, სამეგრელოში— მეგრული, კახეთში — კახური. როცა რუსეთის იმპერიას ჩვენი დაშლა სურდა, სწორედ ამას ქადაგებდა. დღეს უნდათ აფხაზეთს შეუერთონ სამეგრელო, აჭარა დაკარგულია, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთმანეთს დაუპირისპირონ და ასე დაიყოფა საქართველო. სააკაშვილს ეს სრულებით არ ანაღვლებს.

**— გამოდის, რომ აშშ-ს ელჩის შეშფოთება მოჩვენებითია?**

— აშშ-ს კონგრესის მიერ შეიქმნა სამმართველო, როგორ გაავრცელონ დემოკრატია მსოფლიოში. თუ მშვიდობით არ გინდა, ძალით მოგახვევენ თავს. ეს საელჩოებმა უნდა განახორციელონ. ყველა საელჩო უნდა იქცეს კუნძულად, რომელიც წარმართავს ქვეყანას. დღეს, ჩვენს სახელმწიფოს აშშ წარმართავს. შსს-ში პირველ სართულზე რომ შეხვიდეთ გამჭირვალე შენობაში, სულ ამერიკელებს უჭირავთ. ამერიკელი და ფრანგი კი არა, ქართველ გლეხს, ქართულ სულიერებას, ზნეობას, განათლებას მიხედონ. დღეს ჩვენთან პოლიცია გახდა მთავარი პრიორიტეტი. მერაბიშვილის სადღეგრძელო რომ მოვისმინეთ, მსგავსი დავით აღმაშენებელზე არ თქმულა.

ივანიშვილმა იგრძნო, რომ ხელისუფლებასთან ადამიანური, ტკბილი ენით საუბარი არ შეიძლება. მიკვირს, ამას აქამდე რატომ ვერ მიხვდა, ამ ხალხს ხომ მშვენივრად იცნობს. ხელისუფლება მაშინ დათმობს, როცა ხალხის სიმრავლეს, მუშტს, ხალხის ძალას დაინახავს. ეს ძალა უნდა გამოჩნდეს, მაგრამ თუ არ გამოჩნდა, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილი გაიმარჯვებს. ამას წინ მანანა კობახიძე გამოვიდა, რომელსაც გამორჩეულად ვცემ პატივს და ისაუბრა, თუ რას აპირებს „ქართული ოცნება".სოციალური პრობლემების გადაჭრის სურვილი ძალიან კარგია, მაგრამ ერთხელ მაინც არ უნდა წამოსცდეთ, რომ ეროვნული ფასეულობები, განათლება, რელიგია იწიხლება და ამას დაცვა სჭირდება?! რატომ არ ახსენებენ ამას? ახალ აღთქმაში წერია — ნუ გეშინის იმისა, ვისაც შეუძლია ხორცი მოგიკლას, არამედ გეშინოდეს იმისა, ვინც სულს გიკლავს. აი, ამ სულის მკვლელობის წინაშე ვდგავართ დღეს, რაც ამთავრებს საქართველოს არსებობას. თუ ამ სისტემის დასანგრევად ერთად არ ვიბრძოლეთ, არაფერი გამოვა. თუ „სახალხო კრებამ" შევატყვეთ, რომ რეალური ბრძოლის ნაცვლად მოლაპარაკება მიდის და ადგილები უკვე გადანაწილებულია, მარტო დავიცავთ კბილებით იმას, რასაც ქართული სულიერება ჰქვია.

**თამარ შველიძე**

# ase ebrZvian marTlmadideblobas?!

## gldanis eklesia ieRovnelebma daarbies

ქვეყანაში, სადაც რამდენიმე დღის წინ ღვთისმშობლის ხატებს სისხლი დაედინა — ჯერ დედოფლისწყაროში და მერე თბილისის 175-ე სკოლაშიც, ქვეყანაში, რომლის რელიგიურ აღმსარებლობად, მადლობა ღმერთს, რომ ჯერ კიდევ მართლმადიდებლობა ითვლება, საოცრებები ხდება: ღვთივსათნო მამის დავით გარეჯელის ლავრას მუსულმანები ეპოტინებიან, ხოლო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ექსტრემისტურ ორგანიზაციად შერაცხვას ლესბოსელთა და გეი გაერთიანება ლამობს. ყოველივე ამას კი ახლახან კიდევ ერთი უბედურება დაემატა — გლდანის ღვთისმშობლის ეკლესიაში იეღოველები შეიჭრნენ და ხატები გაიტაცეს.




1953 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს მიწაზე პირველმა იეღოველმა დაადგა ცოდვიანი ფეხი და ამერიკელი ვაჭრის — რასელის იდეოლოგიას ჭეშმარიტი სარწმუნოება დაარქვა, იეღოველთა გაერთიანებები უიმედოდ ბჟუტავდა ჩვენს მართლმადიდებელ ქვეყანაში, მაგრამ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ სექტამ განსაკუთრებული გაფურჩქვნა და აღმავლობა დაიწყო...



გლდანის ღვთისმშობლის ეკლესიიდან ხატების მოპარვა ამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. როგორც ამბობენ, იეღოველებმა რამდენიმე ხნის წინ ცეცხლიც კი წაუკიდეს ეკლესიას.

ეს ტაძარი იეღოველთა წინააღმდეგ დღემდე მუხლჩაუხრელად მებრძოლი, პატიოსანი მღვდლის მამა ბასილ მკალავიშვილის თაოსნობით არის აშენებული. ხოლო გლდანში არსებული მძლავრი იეღოვური გაერთიანება, როგორც ვხედავთ, კვლავაც არ ისვენებს და როგორც მოსისხლე მტერს, ისე ებრძვის არა მხოლოდ მამა ბასილ მკალავიშვილს, არამედ ქრისტეს ეკლესიას და მართლმადიდებლობას.

— ხატები ღვთიური არაა, ის უნდა განადგურდეს... იესო ქრისტე ღმერთი არ არის, ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩვენ, იეღოველებმა შემოვიტანეთ საქართველოში, — ამბობს ფარულ ჩანაწერში იეღოვას მოწმე ქალბატონი. იგი ეკლესიის ძარცვის მონაწილის, 27 წლის სოსო ხმალაძის დედა გახლავთ.

სოსო ხმალაძე იეღოვას მოწმე ქალბატონს დარაჯობდა გარეთ, როცა იეღოველი ქალბატონი ეკლესიას ძარცვავდა და წმინდა ხატებს ხელყოფდა. მოპარული ხატები სამართალდამცავებმა ვერ აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, ისინი უკვე განადგურებულია, რადგან, როგორც სოსო ხმალაძის დედა ამბობს, მათი აზრით: „ხატების განადგურება ღმერთს უხარია".

ისეთი დრო დაგვიყენეს „ვარდოსნებმა", რომ ისტორიასაც თავის ჭკუაზე ატრიალებენ და წარსულსაც, მაგრამ ჩვენს წინაპრებს წმინდა სამებისთვის რომ არ ეცათ თაყვანი ან ღვთისმშობლის ხატზე ფეხი დაებიჯებინათ, საქართველო, ალბათ, დღემდე მართლა ვერ მოაღწევდა. ბევრს აღარ გავაგრძელებ და ყველა გონიერმა ადამიანმა იცის საქართველოში ჩვენი ქვეყნის ბალავარი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე რომ დგას და მისი მოშლა და საქართველოს აღგვა პირისაგან მიწისა ერთი რომ იქნება.

ზნეობრივი ხრწნა საქართველოში მაშინ დაიწყო ფერიის მთაზე ეკლესიის საძირკველი რომ ამოთხარეს ნაციონალებმა, გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კარი „კამაზით" რომ შეელეწეს, მამა ბასილ მკალავიშვილი ცემით რომ გამოაგდეს იქედან და მერე იეღოველთა შეურაცხყოფის ბრალდებით ციხეში რომ გამოამწყვდიეს 6 წლით?! შემდეგ ამას სხვა უბედურებანიც მოჰყვა, ეროვნული სულისკვეთების ადამიანების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და შედეგად ის მივიღეთ, რომ დღეს საქართველოში იეღოველთა სექტა ერთ-ერთი მძლავრი რელიგიური გაერთიანებაა, ყველა რეგიონში გახსნილი აქვთ ფეშენებელური სამლოცველოები და არ უჩივიან ფულის ნაკლებობას.

**გამოდის, რომ დღეს იეღოველთა მწვალებლურ სექტას მხოლოდ მამა ბასილ მკალავიშვილი ებრძვის თავის მრევლთან ერთად.**

ათობით ათას დოლარად შეფასებული მანქანებით მოგრიალე და ძვირფასი თვლებით შემკობილი ჯვრებით გულმკერდდამშვენებული ეპისკოპოსები კი კუნთმაგარი დაცვით დადიან და იეღოველებს, სავარაუდოდ, შეხვედრისას მხოლოდ თვალს არიდებენ. არავინ ამბობს, რომ ხელჩართული ბრძოლა უნდა გამართოს ვინმემ, მაგრამ შარშან რელიგიის შესახებ მიღებული კანონი რელიგიურ უმცირესობებს, რომლებიც მალე, ალბათ, უმრავლესობები გახდებიან, უფრო მეტად რომ შეუხსნის ხელფეხს, კიდევ ერთხელ დამტკიცდა 15 მაისს.

**როდის ამოიღებს ხმას იეღოველთა თვითნებობაზე საპატრიარქო? მაშინ, როცა მათაც მიუცუცქდება რქა-ჩლიქებიანი, წვერცანცარა იეღოვას მოწმე და დაშაქრული ხმით ეტყვის — გსურთ ჭეშმარიტ ღმერთზე საუბარი? — მაშინ უკვე გვიანი იქნება.**

**ირანდა კალანდაძე**



# gayiduli qveyana

ხმამაღლა ვეკითხებით „სააკას“ ხელისუფლებას — როცა ქვეყანას ყველა სტრატეგიული ობიექტი გაუყიდეთ, როცა ქვეყნის საგარეო ვალი ასტრონომიულად გაზარდეთ, როცა ქვეყნის ეკონომიკა (თუკი ასეთი რეალურად არსებობს) ასი პროცენტით დამოკიდებული გახადეთ სხვა ქვეყნის ნება-სურვილზე,როცა თქვენ, სხვა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებთ ნებისმიერ საკითხში, როცა თქვენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვიეთ და ამავდროულად, დარჩენილ ტერიტორიასაც დიდი კითხვის ქვეშ აყენებთ — ხართ კი, რეალურად დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება და ყოველივე ამის შემდეგ თავად ქვეყანა, არის კი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო?!

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრიდან მოყოლებული, „ახალგაზრდა რეფორმატორი პრეზიდენტი სააკაშვილი“ და მისი, ასევე მოღალატე მთავრობა, ზედიზედ რომ ყიდდა იმას, რაც ქვეყნის სუვერენიტეტს ამაგრებდა — დამოუკიდებლები როგორღა ვართ, გამაგებინეთ ერთი? გაყიდული მსხვილი ობიექტების არასრული სია, კი, აი, ასე გამოიყურება, ძვირფასო მკითხველო, და აბა მითხარით, თუნდაც ამ მცირე ჩამონათვალის წაკითხვის შემდეგ, არ გაგიჩნდებათ შეკითხვა, ამ ხელისუფლებას, აქვს კი უფლება, საქართველოს ხელისუფლება ერქვას?

1) ენგურჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

2) ჟინვალჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“.

3) რიონჰესი — რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“.

4) გუმბათი 1, გუმბათი 2 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

5) ლაჯანურჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

6) შაორჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

7) აჭარის წყალი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“.

8) ვარციხე 1 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 2 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 3 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

ვარციხე 4 — რუსული კომპანია „ინტერ რაო“.

9) ხრამი 1 — რუსული კომპანია „რაოესი“.

10) ხრამი 2 —რუსული კომპანია „რაოესი“.

11) ხრამი 3

12) ხრამი 4 — აშენების ნებართვებიც „რაოესს“ ევალება ხელშეკრულებით.

13) ხრამი 5

14) ყაზტრანსგაზ თბილისი — რუსული კომპანია „გაზპრომი“.

15) გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

16) შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.

17) გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

18) გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

19) მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოგრამი ხაზები — რუსული კომპანია „ინტერრაო“.

20) „მადნეული“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

21) „კვარციტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

22) საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან —„რუსეთის რკინიგზა“.

23) კომპანია „ბილაინი“ — რუსული კომპანია.

24) „აზოტი“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

25) „გაერთიანებული ქართული ბანკი“ — რუსული კომპანია „ვითიბი“.

26) „ლუკოილ ჯორჯია“ — რუსული კომპანია „ლუკოილი“.

27) ზესტაფონის „ფერო“ — რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.

28) ელმავალმშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“.

29) არამიანცის, თბილისის №1 საავადმყოფო — რუსული კომპანია „ბატუსი“.

30) თბილისის წყალი — რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ პაუერი“.

სტრატეგიულ ობიექტთა თუ არასტრატეგიული დანიშნულების, მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამონათვალი, რამდენიმე დღის წინ „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ გამოიტანა საზოგადოების სამსჯავროზე, მაგრამ ბატონმა გიამ შეზღუდული საეთერო დროის გამო, ალბათ ვერ მოასწრო იმის თქმა, რომ — ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გამყიდველ ხელისუფლებას არჩევნებს კი არ უნდა ვუმართავდეთ, არამედ ერთი „ურა“-თი ციხეში უნდა ვერეკებოდეთ და მეტიც, 5-6 თვეს არ უნდა ვაძლევდეთ „ფორად“, რომ რაც დარჩათ გასაყიდი, ისიც არ მიაყიდონ ე.წ. „ოკუპანტ ქვეყანას“!-ო.



ახლა, გავაანალიზოთ თუნდაც ენერგოსისტემაში შექმნილი ვითარებით ვინ ხეირობს? და ეს მაშინ, როცა დენის საფასური ჩვენში კატასტროფულად დიდია?

ვინ და რუსეთის ხელისუფლება და რუსეთის ხელისუფლებასთან ჩახუტებული „რაოესი“, „ინტერრაო“, „ენერგოპრო“ ხომ? გამოდის, რომ ჩვენ საქართველოს ბიუჯეტს კი არ ვავსებთ რეალურად, არამედ რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტს ვამდიდრებთ და გამაგებინოს ვინმემ, დამოუკიდებელი ქვეყანა, თუნდაც ამ „მცირე“ დეტალით რა ჯანდაბის მანქანებით ვართ? ანდა ქვეყნის ენერგორესურსების 95 პროცენტი ოკუპანტად შერაცხული ქვეყანა რომ გიკონტროლებს, დამოუკიდებელი როგორ გვქვია? წიაღისეულ სიმდიდრეებს — ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, ქვანახშირს, მარგანეცს და ა.შ. თუ რუსული კომპანია „პრომიშელინვესტი“ ითხრის მიწიდან, გააქვს ქვეყნის გარეთ, ყიდის ცეცხლის ფასად და მე, როგორც ქვეყანას, აქედან მხოლოდ გროშებს მიგდებს და ამაზე ქვეყნის ხელისუფლებას პროტესტი არ უჩნდება — რატომ გვქვია დამოუკიდებელი ქვეყანა?

თუკი „საქართველოს რკინიგზაც“, რომლის გასაყიდი პაკეტი ამ რამდენიმე დღის წინ გაიტანეს ლონდონის ბირჟაზე — სულ მალე, ერთ-ერთი რუსული კომპანიის გახდება (ეს კი უეჭველად ასე მოხდება). ეს ისევე როგორც ზემოთჩამოთვლილი ყველა სტრატეგიული ობიექტიც რუსულმა კომპანიებმა იყიდეს, მაშ რეალურად როგორი ქვეყანა გვერქმება სულ მალე? გაყიდული და სხვის მიერ შესყიდული ქვეყანა, ხომ?

აბა, მაშინ როგორ ვართ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და რას დავეთრევით ხან ჟენევაში, ხან სტრასბურგში, ხან ამერიკაში და ხანაც პარიჟ-ლონდონებში ყვირილით — პუტინმა ოკუპაცია გვიყოო?

ანდა, ამ ყველაფრის შემდეგ, განა სასაცილო არ არის, საკუთარი ნება-სურვილით გაყიდული ქვეყნის დედაქალაქში „ოკუპაციის“ მუზეუმები მოაწყო და სკოლებში ლექციებს ატარებდე — ბავშვებო! გძულდეთ რუსები იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლოს მტრები არიანო!

**„ნაცებო“ — 2008 წლის აგვისტოს შემდეგ 4 თვეში, 31 დეკემბრის ღამით 12 საათზე, მაინცდამაინც „ოკუპანტი“ რუსებს „ენგურჰესი“ რომ აჩუქეთ, აბა, გვიპასუხეთ რას ნიშნავდა ეს?**

ანდა, ის რას ნიშნავს — ქვეყნის არცერთი საზღვარი (თურქეთის გარდა) ოფიციალურად დაფიქსირებული რომ არ გაქვთ და სადემარკაციო ხაზი არცერთ სხვა დანარჩენ მეზობელთან რომ არ გაქვთ გავლებული?

**ვის ეძახით, ყოველივე ამის შემდეგ ოკუპანტს, თქვე მართლა ამ ქვეყნის ოკუპანტებო, დამაქცევლებო და გამყიდველებო?**

**ხვალ, რომ რუსებმა მართლაც შემოგვიტიონ და გვითხრან — რაც კი ქართულ მიწაზეა, ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნისო — არ იქნებიან მართლები? ჰოდა, მართლები რომ იქნებიან, თქვენც იმიტომ უმზადებთ ნიადაგს შემოსასვლელად და „ნატო“ იქნება, „კატო“ იქნება თუ ვიღაც ამერიკელი „ტრაკო“ — ფეხებსაც ვერ მოსჭამს იმ „ძიაძია ვანიას“, რომელმაც თქვენ ხელისუფლებაში მოგათრიათ და მოგათრიათ იმ მყარი გარანტიით, რომ მთელი საქართველო, ზუსტად თქვენი ხელით დაეთრიათ!**

ძვირფასო მკითხველო!

რაც წაიკითხეთ, განა ამ ფაქტების შემდეგაც გაქვთ ილუზია, რომ „დამოუკიდებელ“ ქვეყანაში ცხოვრობთ და რეალურად „არჩევნებში“ გამარჯვებული ხელისუფლება გყავთ სათავეში?

ანდა, ამ არასრული ჩამონათვალის შემდეგ, არ გაგიჩნდათ ლეგიტიმური კითხვა — რატომ მიჰყიდეს „დემოკრატიის პროჟექტორმა“ ნაც. მოძრაობამ, საქართველოს მთავრობამ და დღედაღამ რუსების მაგინებელმა სააკაშვილმა ოკუპანტ ქვეყანას ყველაფერი ის, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად საუკეთესო ბერკეტი იქნებოდა?

მაინც ვერ დარწმუნდით, რომ სააკაშვილის ლანძღვის უკან, დიდი რუსეთისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა მიშა!

ჰოდა, თუ დარწმუნდით ძალიანაც კარგი, მაგრამ, ვაი, რომ უკვე ძალიან გვიანია?!

**ირინე გოგოსაშვილი**

## saqarTvelos mosaxleoba saqarTvelos ki ara `okupanti~ ruseTis biujets avsebs

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `winaaRmdegobis moZraoba~ mouwodebs yvelas, rom 27 maiss rac SeiZleba meti adamiani gamovides da moixados Tavisi moqalaqeobrivi vali!

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე**

**— ბატონო სოსო, როგორია თქვენი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ პოზიცია 27 მაისთან დაკავშირებით.**

— „წინააღმდეგობის მოძრაობამ“ მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას, ვინაიდან, ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ რეჟიმის შესაცვლელად საჭიროა მშვიდობიანი მასობრივი მანიფესტაცია; მეორე, მოსახლეობის აღწერა ამომრჩეველთა რეალური რაოდენობის დადგენის მიზნით; მესამე, მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მეოთხე, პირუთვნელი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის. (ყველა ამ მიმართულებით, იცით, რომ გამალებით ვმუშაობთ და ჩვენს გვერდითაა სტუდია „ობიექტივი“.)

27 მაისის აქციას რომ მხარს დავუჭერდით, ეს ცხადია, რადგან, რაშიც ვაკრიტიკებდით იქ თავმოყრილ ძალებს, ის იყო, რომ ქუჩის მიმართ ალერგიულად იყვნენ განწყობილნი და არა მხოლოდ ქუჩის, პროტესტის ნებისმიერი გამოხატვის მიმართ — ეს ჩვენ მიგვაჩნდა აბსოლუტურად მავნებლურ აზროვნებად. მოგეხსენებათ, ის აზრიც კი შეიმუშავეს იქ ზოგიერთებმა, რომ ხალხის გამოსვლა სააკაშვილს აწყობსო. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მთელ არაბულ აღმოსავლეთში დაიწყო რევოლუციები. რამდენად „სასაცილოა“ ეს არგუმენტი, რამდენად ჭაში არიან და მხოლოდ საკუთარი გუბედან ხედავენ, რამდენად მოწყვეტილები არიან რეალობას ამ არგუმენტის ავტორები, ხომ ცხადია — წარმოიდგინეთ, ვინმეს ეთქვა, რომ ხალხის გამოსვლები აწყობდა მუბარაქს, ან ბაშარ ასადს აწყობს გამოსვლები სირიაში და პუტინს რუსეთში — ეს ხომ აბსურდია!

**ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი ტიპის მავნებლურმა აზროვნებამ უკან დაიწია „ქართულ ოცნებაში“ და რეალისტურად შეხედეს ვითარებას, რომ თუ არ იქნა ხალხის გამოსვლა ქუჩაში, არც არაფერი იქნება. იქნება პოლიტიკური შტილი, რომლის დროსაც, ხელისუფლებას აქვს ყველა მექანიზმი იმისათვის, რომ უცვლელად იყოს იქ, სადაც არის. აქედან გამომდინარე, ეროვნული ძალების ამოცანად მიმაჩნია, პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გამოვიდეს, რათა დააფიქსიროს თავისი პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ბევრი ადამიანი ქუჩაში ნიშნავს იმას, რომ ეს ბევრი ადამიანი დაცული იქნება, უპირველესად, ერთმანეთის რიცხოვნებით და მეორე, ხალხი გულს მოიცემს — გულმოცემული ხალხი უკვე სხვანაირად იმოქმედებს არჩევნებზე, მათი დაშინება უკვე შეუძლებელი იქნება. ამიტომ, „წინააღმდეგობის მოძრაობა“ მოუწოდებს ყველას, რომ 27 მაისს რაც შეიძლება მეტი ადამიანი გამოვიდეს და მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი.**

შეიძლება, ცალკეული პოლიტიკოსი არ მოგვწონდეს მისი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენ მათ გამო არ გავდივართ ქუჩაში, ჩვენ გავდივართ საქართველოსთვის — ეს უნდა გავაცნობიეროთ.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ, პარიზში, ერთ პლანში რომ ვიხილეთ საქართველოში თითქოსდა ერთმანეთზე მტრად მოკიდებული პოლიტიკური სუბიექტები, რბილად რომ ვთქვა, უხერხულობას არ ქმნის?**

— ქმნის! რუსებს აქვთ ასეთი სიტყვა „პრეკრასნოდუშიე“, რაც ახასიათებდა რუსეთის რევოლუციის წინარე დროის რუსულ ინტელიგენციას. ისინი ვერ აღიქვამდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც ატარებდა თავის თავში რევოლუციური მოძრაობები და ლიბერალური ტერმინოლოგიით უკეთებდნენ ინტერპრეტაციას.

ჩვენთან არის პარტიულად მოქმედი ნეოლიბერალური დანაშაულებრივი დაჯგუფება. იგი მოქმედებს ჩვენი ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ და მიზანმიმართულად ასრულებს ჩვენდამი მტრულად განწყობილი და ზოგადად, ადამიანურობისადმი მტრულად განწყობილი ძალების შეკვეთას იმიტომ, რომ აქ არის მათი იდეოლოგიური, პოლიტიკური და ფინანსური დანაყოფები. მათ ხელშია სახელმწიფო აპარატი მთლიანად და როგორც ინსტრუმენტებს, ისე იყენებენ სახელმწიფო უწყებებს თავიანთი ტერორისტული იდეოლოგიის განსახორციელებლად.

არსებობს კიდევ უარესი, ვისაც სინამდვილეში ეყრდნობიან, მეორე ფენა, „მერე, რა!“ წეღან გითხარით, „პრეკრასნოდუშიე“ ადამიანები, რომელთაც საერთოდ დაბინდული აქვთ გონება და არაადექვატურად რეაგირებენ რეალურ საფრთხეზე. ისინი, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ეფარებიან ქრისტიანული ჰუმანიზმის ტერმინოლოგიას. მათ საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ ეს აბსოლუტურად შეუთავსებელია რეალობასთან.

**— მაგალითად, კონკრეტულად როგორ მოქმედებს ნეოლიბერალური დაჯგუფება და რას ვერ ხედავენ „მერე რა“ ადამიანები.**

— მათი მართვის სქემა არის შემდეგი, შეირჩეს ისეთი ტიპის ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში მცხოვრები უმრავლესობისათვის უცხონი არიან. ვინ არიან ესენი: სექსუალური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობები. ხდება ამ ადამიანების საკადრო შერჩევა და დასმა ხელისუფლებაში, ანუ იქმნება განშტოებული დაჯგუფება, რომელიც პირდაპირ მტრულად არის განწყობილი უმრავლესობისადმი, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენდამი, ქართველებისადმი.



**— თუმცა, ინფორმაცია გაედინება პირიქით, თითქოს მათ მტრობს და ავიწროებს უმრავლესობა...**

— დიახ, მათი სქემა მიზნად ისახავს, რომ ქართველები წარმოაჩინონ ათასგვარ ფობებად; მათ მიერ დამორჩილებული სააგენტოებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, რომელთაც აფინანსებენ, შეარჩიონ და ინფორმაცია გაავრცელონ ისე, რომ უმრავლესობა წარმოაჩინონ ქსენოფობებად, ჰომოფობებად, არმენოფობებად, აზერბაიჯანოფობებად და ა.შ ფობიებით შეპყრობილ შუა საუკუნეობრივ მასად.

ამის ბოლო მაგალითია ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ერიკ რუბინი, რომელიც 2008 წელს აშშ-ის ელჩი იყო რუსეთში. კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან თქვა, რომ მათი კვლევებით, საქართველოს მოსახლეობის 60% მხარს უჭერს მმართველ პარტიას — „მარგალიტები“ მრავლად იყო, მაგრამ რამდენიმეზე გავამახვილოთ ყურადღება. თურმე, სააკაშვილი ძალზე სენსიტიურია, მგრძნობიარე, იმდენად პატრიოტიცაა, რომ მიუხედავად ამერიკელი ბიძიების შეგონებებისა, „არ შეხვიდე მიშიკო, ცხინვალში“, არ მოუსმინა, არ შეუშინდა რუსეთს და შეიჭრა ცხინვალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად — ამ მითის დანერგვაც კი ხდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ისტერიით დაავადებული ხალხი მართლა იჯერებს ამგვარ ტყუილებს. ეს მთავარი მესიჯია, მიშას გამოყვანა პატრიოტად — რატომ არ გაგეცინება, კაცი, რომელმაც დაანგრია ქვეყანა, პატრიოტად გამოჰყავს ამერიკელებს.

რაც მთავარია, კიდევ, თურმე, ბატონი რუბინის აზრით, მათთვის მიწოდებული სიგნალები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან, რომ დემოკრატიის მშენებლობაში ხარვეზებია, გადაჭარბებული ყოფილა, თუმცა, ნაკლოვანებები ყოფილა, რომელზეც საქართველოში აშშ-ის დეპარტამენტის დასკვნაში იქნება საუბარი — საქმე გვაქვს მრავალსართულიან ტყუილთან.

გახსოვთ, მათი კვლევების პროცენტული მაჩვენებელი, მიშას 60%, თარგამაძეს 15% და 25% იქით, „ქართულ ოცნებას“, ანუ წინასწარ თქვა რასაც გეგმავს „ნაციონალური მოძრაობა“, ანუ რას გამოუწერს აშშ.

რაც შეეხება „სიგნალებს“, არანაირ სიგნალებს ამერიკული სახელმწიფო ორგანოები არ იღებენ, ისინი ისმენენ მიშას მონოლოგებს, რომლებითაც ლობირებულ ორგანიზაცებში გამოდის ჩვენი ხალხის ფულით (ვალად იღებენ მსოფლიო ბანკიდან, იპოთეკით იტვირთება ჩვენი ქვეყნა და ეროვნული აქტივები აღარ გვაქვს)

აშშ-ს საქართველოში სჭირდება მხოლოდ სტაბილურობა, ამის პოლიტიკური გარანტი არის სააკაშვილი, ძალოვანი უზრუნველყოფა — მერაბიშვილი, არაფერი სხვა, მათ აქ არ უნდათ. არავითარ დემოკრატიაზე არ არის ლაპარაკი. დემოკრატიაზე ვინც ლაპარაკობს, ისინი აშშ-ის ამ ძალის სქემის ლეგალიზაციას უწყობენ ხელს — ეს უნდა გვესმოდეს!

**— მაშინ, ასე გკითხავთ, რა მოვუხერხოთ სტაბილურობას, ანუ აშშ-ის მთავარ ინტერესს საქართველოში. განა ამერიკელებმა თვითონ არ იცოდნენ რას წარმოადგენდა მუბარაქი ან რას წარმოადგენს ასადი? მაგრამ სანამ თვითონ არ შეწუხდნენ, არც არაფერი ესმოდათ და ვერც ვერაფერს ხედავდნენ...**

— პირველი, საჭიროა ისეთი ტიპის მოქმედებები ევროპაში, რომელიც ამ რეჟიმის ნამდვილ სახეს იმ დონეზე წარმოაჩენს, რომ თვით ამერიკელებმაც ვეღარც დახუჭონ თვალები და მეორე, მასობრივი გამოსვლები. მათ მხოლოდ ერთი რამ უნდა დაინახონ, რომ სააკაშვილი და მისი რეჟიმი აღარ არის სტაბილურობის გარანტი. საქართველომ უნდა შეძლოს, რომ თავისი ინტერესების გამომხატველი ხელისუფლება მოიყვანოს ქვეყნის სათავეში.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული ქვეყანა. ტყუილია ის, რომ თითქოს არაფერს წარმოვადგენთ. ვინც მართავს პოლიტიკურ ელიტას საქართველოში, მას შეუძლია აწარმოოს ენერგეტიკული და სხვა მანიპულაციები, პოლიტიკურ ვაჭრობაში გამოიყენოს ძალიან დიდი დივიდენდების მისაღებად. ამიტომაა, რომ



**საქართველოსთვის უბედურებად იქცა მისი გეოსტრატეგიული სიკეთე, ყველა ძალა ჩვენს გაგლეჯვაზე და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე მუშაობს. გამომდინარე აქედან, ვინაიდან სრულად დასაკუთრების საშუალება არ ჩანს, მუშაობენ მის დაშლაზე. მაგალითად, თურქეთი აჭარისკენ მოიწევს; რუსეთმა უკვე წაგვართვა ტერიტორიები; სომხეთი სამცხე-ჯავახეთისკენ; აზერბაიჯანი კიდევ აქეთ — ეს რატომ ხდება, იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება არის მარიონეტული, აბსოლუტურად მართული.**

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ქვეყნის სათავეში იქნება ქვეყნის ინტერესების გამომხატველი, მყარი ხელისუფლება, ძალიან ძნელია მისით მანიპულირება და ამ გეოპოლიტიკური სიკეთით ისარგებლებს იმ დოზით, როგორც მიღებულია ცივილიზებულ მსოფლიოში. ტრანსნაციონალური კომპანიები და დიდი სახელმწიფოები კი, უბრალოდ ქრთამავენ გარკვეულ ჯგუფს ადამიანებისას, (მანამდე მოჰყავთ ხელისუფლებაში) რომლებისთვისაც საკმარისია გროშები.

ჩვენ ვართ მსოფლიო ენერგეტიკული გიგანტი მსოფლიო ჰიდროელექტრო სადგურების სიმძლავრეებით, ანუ ყველანაირი პირობა გვაქვს რომ გვქონდეს იაფი ელექტროენერგიაა, მაგრამ ეს ყველაფერი გადაცემული აქვს რუსეთს და მიმდინარეობს მოსახლეობის დაყაჩაღება.

სტატუსზე არაა საუბარი, არც ფინანსური უზრუნველყოფის ხარისხზე, ზოგადად ვამბობ, როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი შეეგუოს ქვეყნის ასეთ მდგომარეობაში ყოფნას. ეს არის კოლექტიური უზნეობა, რის შედეგადაც ჩვენ გვყავს შესაბამისად უზნეო, სამარცხვინო და კომიკური პერსონაჟი ქვეყნის პირველ პირად, ხოლო ამ კოლექტიური უზნეობის ნაყოფს მომავალში მოვიმკით.

**— რას ჰქვია კიდევ რამის მომკა, მართლა, აღარ კმარა?**

— ის რვა წელი, რომელ მასობრივ სიცრუეშიც ვცხოვრობთ, შეუძლებელია დაუსჯელი დარჩეს, რადგან, ეს არის ყველანაირი კანონის უხეში დარღვევა, ღვთაებრივისაც და ადამიანურისაც, რის შემდეგაც იწყება შეუქცევადი პროცესები, ალბათ, ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით ახლა.

ოფიციალურად დავკარგეთ ტერიტორიები — ყური არ შევიბერტყეთ ე.ი ვერ ხდება რეალობის ადექვატური აღქმა; კიდევ ერთი საოცარი შეურაცხყოფა იყო ვილაც აბდულა აზიზიეს სახელობის ნაგებობა რომ უნდა დაედგათ, კარგი, შეიკრიბა იქ 5000 კაცი და თურქეთმა უკან წაიღო ეს მოთხოვნა, მაგრამ რატომ 5 კი არა, 50 000 კაცი არ იყო? — იგივე ითქმის სვანეთის საგანძურზეც, ახლა დავით გარეჯის ამბავი...

**— საკმაო ხანია „აღმოვაჩინე“, რომ სიტყვა „სამშობლო“ ამოვარდა მეტყველებიდან და „ქვეყანა“ ჩაენაცვლა, რაც აბსოლუტურად სხვა დატვირთვისაა.**

— იმიტომ, რომ ეს ალბათ, ქსენოფობიაში ითვლება... პოლიტკორექტული ტერმინოლოგია, როგორიც არის, მაგალითად, „სექსუალური უმცირესობები“ — ეს ხომ კიდევ ერთი საოცრებაა. ხომ იყო მარქსიზმი, რომელმაც საბოლოოდ უამრავი მსხვერპლი მოიტანა, იგივე სიტუაციაა ნეოლიბერალიზმთან დაკავშირებით, რომლებიც უფრო, ნეოტროცკისტებს ჰგვანან, ნამდვილად რაღაც საერთო აქვთ გენეტიკურად. მათთვის დამახასიათებელი ის არის, რომ რაღაც საკრალური და წმინდა, ასეთი მცნებები მათთვის არ არსებობს. პირდაპირ წერია, რომ ადამიანის შინაარსი ამოიწურება მისი სოციალური ფუქნციით, ანუ რა როლს ასრულებს კომერციული თვალსაზრისით, — რასაც არ აქვს კომერციული დანიშნულება, მას არ აქვს ღირებულება. ეს რომ გადავთარგმნოთ მარქსისტული ტერმინოლოგიით, ერთნაირია იდეოლოგიურად და ამას დაინახავს ყველა, ვისაც გონება არ აქვს დაბინდული. აქედან მოდის ბენდუქიძის ცნობილი ფრაზა „ყველაფერი იყიდება სინდისის გარდა“, რომელიც მას უკვე დიდი ხანია გაყიდული აქვს ამას რომ ამბობს...

**— თუ იცით, მტკვარი გაყიდეს თუ ჯერ კიდევ ჩვენია?**

— უბრალოდ, მყიდველი არ ჰყავთ, ან ვინ იყიდის... ესენი, თავიანთი მტაცებლური ბუნებით თვითონვე ეწინააღმდეგებიან იმას, რისკენაც მიისწრაფვიან, ანუ გაყიდვას. ეს პარადოქსიც სჭირთ, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი იდეოლოგიის გამგრძელებელი ადამიანი ფსიქოლოგიურად ნორმალური იყოს. დოსტოევსკის „Áåñû -ის“ პერსონაჟები არიან, ეშმაკეულის შეპყრობილები...

**— შეპყრობილზე უარესი იყო სააკაშვილი მახათას მთაზე... საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე დიპლომატიური კორპუსი და რად მივაჩნივართ ჩვენ, ერი.**

— ადგილობრივი მოსახლეობისგან მანჰეტენი რომ იყიდეს 20 დოლარად „თეთრმა ამერიკელებმა“ და ტერიტორიები ზიზილ-პიპილოების თუ „ცეცხლოვანი წყლის“ სანაცვლოდ, იმ ინდიელების შთამომავლები ახლა რეზერვაციებში არიან — ზუსტად ასეთი მიდგომა აქვთ დღეს ჩვენს მიმართაც. ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, რომ ჩვენც ზუსტად ისე ვიქცევით, როგორც ის ინდიელები იქცეოდნენ. იყო ასეთი ბელადი სიტინგ ბული, „მჯდომარე ხარი“, რომელმაც ერთ-ერთი ბრძოლა მოიგო (ბევრი არ მოუგიათ), რითი დაამთავრა იცით, ცირკში გამოდიოდა თავისი ტრადიციული ჩაცმულობით...

**— ცოტაც და, ჩვენ ჩოხა-ახალუხი და ჩიხტიკოპი გვეცმევა ადგილობრივ ცირკში...**

— ამიტომ, ასეთ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, გონებას უნდა მოვუხმოთ.

**მაია ჟღენტი**

# ratom unda mivides qarTveli sazogadoeba 27 maiss Tavisuflebis moedanze?

როგორც ცნობილია, 27 მაისს თავისუფლების მოედანზე კოალიცია „ქართული ოცნება“ დიდ სახალხო შეკრებას გეგმავს და, შესაბამისად, დათქმულ დროს, დათქმულ ადგილზე ხალხის მოზღვავებასაც ელოდება!

ჩემი ღრმა რწმენით, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე, რაც შეიძლება მეტი საზოგადოება თუნდაც იმიტომ უნდა მივიდეს, რომ წარსულში მიშა სააკაშვილის ხელისუფლებაში მომყვან, ახლა კი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მომყვან ე.წ. პოლიტიკოსებს ფიზიკურად დაენახონ, აგრძნობინონ ძალთა უპირატესობა, საკუთარი დამოკიდებულება ქვეყნის მომავალზე. „ღია მიკროფონის“ მოთხოვნით ხმამაღლა დააფიქსირონ პოზიცია და ასევე „ღია მიკროფონის“ მეშვეობით თავად ბიძინა ივანიშვილისგან მიიღონ გარანტია იმისა, რომ — არჩევნებამდე 5 თვით ადრე არცერთ საკითხს კოალიცია „ქართული ოცნება“ ხალხთან შეთანხმების გარეშე არ გადაწყვეტს!

ჩემი ღრმა რწმენით 27 მაისს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საქართველოს მოქალაქეებმა ხმამაღლა უნდა ჰკითხონ:

1) „დეფოლტის“ მიჯნაზე მყოფ საქართველოში, მაშინ, როცა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების 95 პროცენტი გაყიდულია, არჩევნების მოგების შემდეგ, კოალიცია „ქართული ოცნება“ ამ ობიექტების ნაციონალიზაციას განახორციელებს, ანუ საქართველოს დაუბრუნებს?

2) რას მოიმოქმედებს კოალიცია „ქართული ოცნება“ მაშინ, თუკი სააკაშვილის ხელისუფლება წინასაარჩევნოდ კიდევ ერთ პროვოკაციას განახორციელებს და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ შელახავს?

3) კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რა პოზიცია აქვს აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და რას ფიქრობს ამის შესახებ „ქართული ოცნების“ მამოძრავებელი მთავარი ძალა, ინტელექტუალებით დაკომპლექტებული „რესპუბლიკური პარტია“?

4) კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რა პოზიცია აქვს სექსუალური უმცირესობის მიერ ამას წინათ თბილისში ჩატარებულ „გეი აქციაზე“? იზიარებენ თუ არა ისინი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაქ ობამას. ამასწინდელ მოწოდებას იმის შესახებ, რომ: „ნებისმიერ ქვეყანას, ვისაც ამერიკასთან მეგობრობა უნდა, შემწყნარებლობა უნდა გაიჩინონ სექსუალურ უმცირესობათა მიმართ?-ო.

5) თუკი კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვა — „სიღარიბის ზღვარს მიღმა“ მყოფი მოქალაქეებისთვის, რა სასწრაფო ღონისძიებებს განახორციელებს, რომ 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქე შიმშილითარ დაიხოცოს?

6) კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყებს თუ არა დენზე, გაზზე, წყალზე, ნაგავსა და მიწაზე დაწესებული ტარიფების დაწევას და იმ დავალიანებების „ჩამოწერას“, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილმა მოსახლეობამ ვერ გადაიხადა?

7) კოალიცია „ქართული ოცნება“ რადიკალურად შეცვლის თუ არა დღევანდელ საგანმანათლებლო პოლიტიკას და გადახედავს თუ არა სწავლისთვის დადგენილ დღევანდელ ტარიფებს?

8) კოალიცია, ქართული ოცნება“ და თვითონ ბიძინა ივანიშვილი დაიწყებს თუ არა მოლაპარაკებებს კოლეგა ბიზნესმენებთან, კერძოდ კი ბანკების ხელმძღვანელ პირებთან იმის შესახებ, რომ — 158 000 მოქალაქის ბინებზე ბანკებმა ყადაღა მოხსნან და ადამიანებს უსახლკაროდ დარჩენის პერსპექტივა აღმოეფხვრათ?

9) კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რა ღონისძიებებს განახორციელებს უმუშევრად დარჩენილი (საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტი) ადამიანების დასაქმების კუთხით?

10) კოალიცია „ქართული ოცნება“ თუკი ხელისუფლებაში მოვა, ჯანდაცვის კუთხით რა რეფორმებს გაატარებს, ანუ სამედიცინო მომსახურებას, თუნდაც პოლიკლინიკების დონეზე, არასრულწლოვანებისთვის უფასოს გახდის თუ არა? უნარშეზღუდული, ლეიკემიით და ონკოლოგიური ავადმყოფი ბავშვებისთვის სასწრაფოდ რა პროგრამებს შეიმუშავებენ და თუ გაუზრდიან მათ სახელმწიფო დახმარებას?

11) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის კოალიცია „ქართული ოცნება“ საპენსიო თანხებს გაზრდის, თუ არა?

12) კოალიცია „ქართული ოცნება“ ვეტერანებისთვის შეღავათიან გადასახადებს დააწესებს, თუ არა?

13) კოალიცია „ქართული ოცნება“ რა სახელმწიფო პროგრამებს შეიმუშავებს, რომ დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი ჩვენი მოქალაქე, კვლავ სამშობლოში დაბრუნდეს და ქვეყნის აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა?

საქართველოს ყველა მოქალაქე 27 მაისს, თავისუფლების მოედანზე თუნდაც იმიტომ უნდა მივიდეს, რომ „ქართული ოცნებისგან“ იმ დღესვე მიიღოს გარანტია იმ ადამიანების დაპატიმრებაზე, რომლებმაც არამხოლოდ ასობით ოჯახს, არამედ სრულიად საქართველოს მიაყენეს ზიანი და „ნულოვანი ტოლერანტობის“ წყალობით ერის გენოფონდის შემდგომი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს!

ქართულმა საზოგადოებამ „ქართული ოცნების“-გან სწორედ 27 მაისს უნდა მიიღოს გარანტია იმისა, რომ — თუკი ისინი ხელისუფლებაში მართლაც მოვლენ:

1) „ქართულმა ოცნებამ“ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დამნაშავე ხელისუფლების დაპატიმრების სანქციები, რომლებმაც ქუჩა-ქუჩა დახოცეს ქართველი ბიჭები, სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი, ავთანდილ გამცემლიძე, ნიკა კვინტრაძე და მრავალი ახალგაზრდა კაცი!



ქართულმა საზოგადოებამ კოალიცია „ქართული ოცნებისგან“ 27 მაისსვე უნდა მიიღოს მყარი გარანტია იმაზეც, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გადაიხედება ყველა ის „საქმეები“, რომლის გამოისობითაც ათასობით საქართველოს მოქალაქე, დღეს გისოსებს მიღმაა დარჩენილი და პატიმრობას სრულიად უკანონოდ იხდის!

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 27 მაისს უნდა უპასუხოს ხალხს, ათეულობით მილიარდი დოლარის მიმთვისებელი ხელისუფლების საბანკო ანგარიშებს რა ბედი ეწევათ და დაიწყებს თუ არა „ქართული ოცნება“, ქვეყნიდან უკანონო გზით გატანილი ფულის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების პროცედურებს? კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 27 მაისს საზოგადოებამ უნდა ჰკითხოს — საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, დაიწყება თუ არა მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო იმპიჩმენტის პროცედურები ახალ პარლამენტში და თვითონ პარლამენტი ქუთაისში გააგრძელებს მუშაობას თუ საქართველოს დედაქალაქ თბილისში? უდავოა, რომ ა.წ. 27 მაისს თავისუფლების მოედანზე მიმსვლელთა უდიდესი მასა, სოციალურად გაჭირვებული ადამიანებით იქნება წარმოდგენილი. ჰოდა, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ მათ უნდა დაუთმოს, თუნდაც 5 წუთით, მიკროფონი, რათა უკეთ გაიგონ, სინამდვილეში რა ვითარებაა შექმნილი ქვეყანაში ამ კუთხით!

ძვირფასო მკითხველო! დამეთანხმეთ, რომ, თუკი „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების შეკრება მაინცდამაინც „თავისუფლების მოედანზე“ მოიწადინა, მაშინ სამართლიანი იქნება, რომ სწორედ თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპით იქნას უზრუნველყოფილი ტრიბუნაზე გამომსვლელთა ვინაობაც, რომ მოსაზრებათა „ბალანსი“ საბოლოოდ იქნას გარკვეული და შეკრებილ საზოგადოებას, მხოლოდ პოლიტიკოსების ხმის ტემბრით, გულზე მჯიღის ცემით მოუწიოს არჩევანის გაკეთება ოქტომბერში ვის გვერდით დადგეს! ვიმეორებ, თუკი „თავისუფლების“ მოედანი თავისუფლების პრიციპით შეარჩია „ქართულმა ოცნებამ“, მაშინ ნება იბოძონ და ტრიბუნაზე მხოლოდ 1 პროცენტიანი პარტიის ლიდერებს კი ნუ მისცემენ მიკროფონს, არამედ ხალხს მოუსმინონ და მათ შეკითხვებსაც, კეთილი ინებონ და პასუხი იქვე გასცენ!

წინააღმდეგ შემთხვევაში — 27 მაისის თავყრილობაც იმ აქციებს დაემსგავსება, რომელიც საზოგადოებას ამ 8 წლის განმავლობაში მრავალჯერ უნახავს და ამ აქციებიდან „ვინც გამოცხვა“, ისიც მშვენივრად დაინახა.

პირადი ჩემი „ქართული ოცნება“ ნამდვილად არ გახლავთ უავტორიტეტო პოლიტიკური „ლიდერების“ გაუთავებელი ლაყბობა! არც ისაა ჩემი „ქართული ოცნება“, „ჩემო ვანო“ — „ჩვენო ვანოდ“ გადაიქცეს! ქართულად ნამდვილად არ მეოცნებება ის ადამიანები, ვინც „გეი პარადების“ ხელისშემშლელთა დაპატიმრებას მოითხოვს! და, არც ის მექართულება, ყველა ვიგინდარას „ლიბერალური“ გარემო შევუქმნა ჩემს საქართველოში, ჩემს სამშობლოში და შემდეგ ყელმოღერებით ვიძახო — იმას იმიტომ ვაკეთებ, რომ დასავლეთმა, ევროპამ და ამერიკამ თავისად მიგულოსო!

ძვირფასო მკითხველო! ჩემი „ქართული ოცნება“ ჩემი სამშობლოა, ჩემი რელიგიაა, ჩემი ენაა, ჩემი შვილი, შვილიშვილები და მოხუცი დედაა! ჩემი „ქართული ოცნებას“ ჩემი დედმამიშვილები, ჩემი სამეგობრო და მშვიდი საქართველოა, გამთლიანებული და ბედნიერი ცხოვრებით გარანტირებული! დარწმუნებული ვარ, თითოეულ თქვენთაგანისთვისაც ასეა და თუკი პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ ამ ყველაფრის გარანტად გეგულებათ, მობრძანდით თავისუფლების მოედანზე 27 მაისს და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია და კითხვები, რომელიც თქვენს გულებშია — აუცილებლად დასვით!

27 მაისს, როგორც თავში ვთქვი, ძალიან ბევრი ხალხი უნდა შეიკრიბოს „თავისუფლების მოედანზე“, რათა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაითავისოს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი საყოველთაო თემა: „ძალაუფლება ხალხშია და არა რომელიმე ხელმწიფეში, ვინც არ უნდა იყოს ის!

**ირინე გოგოსაშვილი**

## მინდია გულუას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ექნება

**პოლიტიკური პარტიის — „განახლებული საქართველოსთვის“ — საერთაშორისო მრჩეველ მინდია გულუას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ექნება. აღნიშნული საკითხი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტის მესამე მოსმენით განხილვისას გააპროტესტა. მისი თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებების თავდაპირველი ვარიანტით, მინდია გულუასა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვა მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მათ ეს უფლება წაერთვათ. „საკონსტიტუციო ცვლილების ბოლო ვარიანტში საქართველოში ცხოვრების 5-წლიანი ცენზი რომ ჩაწერეთ, მინდია გულუას არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაერთვა. თუკი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ლოგიკა ის არის, რომ ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს თანაბარი უფლებები მიეცეს, მაშინ გაუგებარია, რა დააშავა მინდია გულუამ? ეს არის გულუას მიმართ დისკრიმინაციული ცვლილება“, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ. კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის განმარტებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე მინიმალურ ცენზს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს და ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდეს.**



**„თუ ასეთ ცენზს არ აკმაყოფილებს, მინდია გულუა იქნება თუ ვინმე სხვა, ყველას ვერ ექნება არჩევნებში მონაწილეობის უფლება“, — აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა. შეგახსენებთ, პარლამენტი დღეს მესამე, საბოლოო მოსმენით კენჭს უყრის საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლის ფორმულირება ასეთია: „2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან ასევე აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებულნი არიან, ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში და ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“.**

**„მედიანიუსი“**



**leliko jafariZe:**

# Tqven, batono biZina, Tqveni sidinjiT xalxis ocneba ukve aasruleT _ miSasrul Sizofrenikad aqcieT da es ukve mTelma msofliom dainaxa!

**გვესაუბრება სახალხო არტისტი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრი ლელიკო ჯაფარიძე**

**– ბატონო ლელიკო, სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენ მითხარით, რომ დაგირეკეს. ვინ იყვნენ და რა უნდოდათ?**

– დამირეკეს სამეგრელოდან ისეთმა ბიჭებმა, რომლებმაც, რომ იტყვიან, ქიციც იციან და ქიცმაცურიც. პატრიოტი ბიჭები არიან და დღეს ბოღმით არიან სავსე ახალაიების კლანის თვითნებობის გამო. მე ამ ხალხს ჯერ კიდევ მოსკოვიდან ვიცნობ და ამიტომაც დამირეკეს და მკითხეს: რა ვქნათ, მეტის მოთმენა რომ აღარ შეგვიძლიაო.

**– მერე რა უპასუხეთ თქვენ?**

– მე ვუთხარი, შეიძლება, ალასანია ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ იცოდეთ, მაგას დაუდექით გვერდით და ამ კაცთან კონტაქტები არ დაკარგოთ-მეთქი.

დღეს, მართალია, ე.წ. კანონიერი ქურდები ნაციონალებმა ჩაანაცვლეს და თვითონ ჩაგრავენ ხალხს, მაგრამ ის კანონიერი ქურდები ადრე გაჭირვებულებს ესარჩლებოდნენ და ახლა უბრალო ადამიანის დამცველი არც ხელისუფლებაა, არც სასამართლო და არც არავინ.

ოპოზიციას რაც შეეხება, მე კარგა ხანია ამ ხელისუფლებას ოპოზიციაში ვუდგავარ და ყველა ოპოზიციონერს ვიცნობ. შესანიშნავად ვიცი, ვინ ვინ არის.

დღეს „წინააღმდეგობის მოძრაობაში“ ვარ იმიტომ, რომ აქ მართლაც პატიოსანი ხალხია შეკრებილი. უკომპრომისოდ ებრძვიან ამ ხელისუფლებას და უნიკალური დოკუმენტური მასალაც აქვთ გაგზავნილი საზღვარგარეთ, უმაღლეს სტრუქტურებში ამ ხელისუფლების სამხილებად.

ყველას მოგეხსენებათ, მე გარკვეული პერიოდი „სახალხო კრებაში“ ვიყავი და ვიბრძოდი ნინო ბურჯანაძის გვერდით, მაგრამ როცა რაღაც არ მომეწონა, იქ ყოფნა ჩემთვის მიუღებელი გახდა. ახლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდის სააკაშვილს და მის ხროვას და ქართველ ხალხს შორის და ამპარტავნების დრო არაა, თორემ მე კი, არა, მგონი, მთელი საქართველო გრძნობს და იცის ნინო ბურჯანაძეს შეუკავებელი ზიზღი რომ აქვს ამ ხელისუფლების მიმართ.

**რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს და მის გარემოცვას, პარანოიკები არიან და ჩემი აზრით, ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი არა მხოლოდ მიშა, არამედ შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტებიც არიან.**

**სააკაშვილს და სააკაშვილისტებს, ნათელაშვილს და მის მომხრეებს თუ ერთ ფსიქიატრიულ კლინიკაში მოვათავსებთ, კაი სანახაობა იქნება.**

**– ისე, ბატონო ლელიკო, მიხეილ სააკაშვილი ამ ბოლო დროს უფრო განერვიულებული მეჩვენება. თქვენ რას ფიქრობთ, ეს რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**– ეს კაცი, ჩემო კარგო, ამ ზომამდე ბიძინა ივანიშვილის სიდინჯემ მიიყვანა, მეშინია, ისე არ გაგიჟდეს, ზღვაში ცურვა რა მოსატანია და, სასქესო ორგანოებგადმოყრილმა არ დაიწყოს სირბილი ბათუმის, ქუთაისის ან კახეთის გზებზე.**

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სააკაშვილი მოხარული იქნება, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა მის საკვერცხეებზე დაიწყებს ნადირობას... საერთო ჯამში კი, ყოველივე ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ახლა მინდა გავიხსენო ერთი მნიშვნელოვანი ამბავი. ამ არანორმალურმა რომ გამოაცხადა ომი და შევარდა ცხინვალში, მაშინ პუტინი ჩინეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე იმყოფებოდა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, კარგად მახსოვს, მაშინვე წამოდგა და წამოვიდა. პრეზიდენტი ასე უნდა იქცეოდეს. როცა ქვეყანა თავზე გენგრევა, ფეხბურთის საყურებლად რა ჯანდაბა გინდა? მილანში ვარ ნამყოფი იქ, სადაც ეს გიჟი დაბორიალობდა და ვიცი, იმ მაღაზიებში ნემსი რომ იყიდო, ერთი ცალი 100 დოლარი ღირს. ეს დადის საათების საყიდლად. რა უბედურებაა, რანაირად დადის – ჯინსებში გამოწყობილი, მუცელგადმოგდებული პრეზიდენტი, რა უბედურებაა, ხალხო, ვერ გავიგე. ან ვისი ფულით დადის მაღაზიებში, ჩვენი გადასახადებით?

**წყალდიდობისას დაღუპული ბავშვები არ იყვნენ ჯერ დასაფლავებული, ეს ფეხბურთის მატჩზე ზის და სიცილით კვდება, ესაა საქმე?**

როგორ ჰგონია, მთელი ცხოვრება „ახრანით“ ივლის? ჰოდა, თუ პუტინი არ ჩამოჰკიდებს, ვფიცავარ, მე ჩამოვკიდებ მაგას ერთი ადგილით.



რაც არ უნდა თქვას მიშამ, მე ლელიკო ჯაფარიძე, რუსეთში ნაშოვნი ფულით ჩამოვედი საქართველოში და ვიყიდე საცხოვრებელი ბინა, რომელიც დამინგრიეს. 30 წელიწადი რუსეთში ქართული სახელით ვმოღვაწეობდი ისე, რომ ჩემი ქვეყნის პრესტიჟი არათუ შემილახავს, პირიქით, წარმომიჩენია და არც აწი ვაპირებ საქართველოს მტრებს რაიმე შევარჩინო. მიფრთხილდეს ყველა, ვისაც ჩემი ქვეყნისთვის ცუდი უნდა. იცით, ყველამ, ვისაც ვგულისხმობ.

ახლა მინდა ბიძინა ივანიშვილს მივმართო: ბატონო ბიძინა, მოგმართავთ პირადად თქვენ, ჩემი ცხოვრების გზა ყოველთვის იყო კაცური, ორპირი არასდროს ვყოფილვარ, გთხოვთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას სენსაციების მაძებარ ჟურნალისტებს. ნუ დააყენებთ გვერდით ისეთ პოლიტიკოსებს, ვისიც ხალხს არ სჯერა და არ ენდობა. იბრძოლეთ უკომპრომისოდ, ბოლომდე.

**თქვენ, ბატონო ბიძინა, ხალხის ოცნება უკვე ნახევრად აასრულეთ – მიშა სრულ შიზოფრენიკად აქციეთ და ეს უკვე მთელმა მსოფლიომ დაინახა. კაცი გადარიეთ, კუბლაშვილები, წიკლაურები, აკუები და გოკუები აგონიაში არიან. ჩვენ თქვენს გვერდით ვართ. 27 მაისს გამოვალთ და ეს დღე მიშას დასასრულის დასაწყისი იქნება!**

ახლა, თქვენი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას მიმართ მინდა გამოვხატო თანადგომა. არ შედრკეთ, ბატონო ვახტანგ ღმერთმა არ ქნას და რაიმე პრობლემა არ შეგექმნეთ ან თქვენ ან თქვენს ეროვნულ და პატრიოტულ გაზეთს, თორემ ყველანი თქვენს გვერდით დავდგებით...

**ირანდა კალანდაძე**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# iqmneba Tu ara axali mxedrioni?

ხშირად მოგვისმენია, სააკაშვილის რეჟიმი ახალი „მხედრიონის“ შექმნას აპირებსო. რა ახალი „მხედრიონის“ შექმნაზეა ლაპარაკი, როცა ძველი „მხედრიონელები“ ისედაც მრავლად გვყავს ხელისუფლებაში. ამ გასამხედროებული ფორმირების სახელს, რომელსაც მეორენაირად „ქართველ მაშველთა კორპუსსაც“ უწოდებდნენ, უკავშირდება მრავალი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, როგორიცაა: 1994 წლის 20 აპრილის ტერორისტული აქტი გენერალ გია გულუაზე, რომელიც საკუთარ სახლთან (ნუცუბიძის ფერდობზე) ორ თანმხლებ პირთან ერთად ჩაცხრილეს, იმავე წლის 20 ნოემბერს ხუთი ადამიანის მკვლელობა ბორჯომში, დაახლოებით ორ კვირაში ედპ-ის თავმჯდომარის გია ჭანტურიას მკვლელობა, 1995 წლის ივნისში ტერორისტული აქტი სოლიკო ხაბეიშვილზე, ხოლო 29 აგვისტოს ე.წ. იმელის შენობასთან ტერორისტული აქტი ედუარდ შევარდნაძეზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენი წყარო, რომელიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, გიორგი ჭანტურიას მკვლელობას „მხედრიონის“ სახელს არ უკავშირებს, არადა „მხედრიონის“ ხელმძღვანელობა და ზოგიერთი წევრი ამ ბრალდებითაც გაასამართლეს. სხვათა შორის, მოგვიანებით ირინა სარიშვილმა მისი მეუღლის მკვლელობაში შს ექს-მინისტრი შოთა კვირაია და ძმები რურუები დაადანაშაულა, ისინი ხელმძღვანელობდნენ გიას ლიკვიდაციის ოპერაციასო, არადა, იგი თავიდან ამ მკვლელობაში მაშინდელ უშიშროების მინისტრ იგორ გიორგაძეს ადანაშაულებდა. ყოფილი მხედრიონელები დღესაც ამტკიცებენ, რომ მათ ჭანტურიას მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონიათ, იგივეს ამბობდა ჯაბა იოსელიანიც. რურუების გასამართლებლად მათ ისიც თქვეს, ნიკა რურუა იმ დროს ამერიკაში იყო სასწავლებლადო, თუმცა სად იყო მისი ძმა ჟორიკა რურუა, რომელიც ძალზე აქტიური პერსონა გახლდათ, არაფერს ამბობენ. რეალურად ვინ მოკლა გია ჭანტურია, უფრო ზუსტად ვინ მოაკვლევინა, ამის ოფიციალურ ვერსიას, ალბათ, ვერასდროს მოვისმენთ.



იმ პერიოდში უამრავი ვერსიები ვრცელდებოდა ამ მკვლელობასთან დაკავშირებით. ისიც ითქვა, ჭანტურია რუსეთმა მოიცილა თავისი ერთგული აგენტის ხელით, საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა რომ შეეჩერებინაო. თენგიზ კიტოვანმა კი ამ მკვლელობაში ედუარდ შევარდნაძე დაადანაშაულა, გიას პრეზიდენტობა უნდოდა, თანაც რაღაცა წილების დათმობას სთხოვდა შევარდნაძეს და იმიტომაც მოიშორაო. სხვათა შორის, კიტოვანი ტრანსპორტის პოლიციის უფროსს, გენერალ გია გულუას მკვლელობასაც შევარდნაძის სახელს უკავშირებდა, ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში დიდი „წვლილი“ მიუძღვით ავთანდილ იოსელიანს, შოთა კვირაიას, ედუარდ შევარდნაძეს, გია გულუას და ეს უკანასკნელი, როგორც არასასურველი მოწმე, მოიცილესო. ჭანტურიას მართლაც რომ ჰქონდა დაპირისპირება მაშინდელ სახელმწიფო მეთაურთან, ამაზე აქტიურად ვრცელდებოდა ხმები. მართალია შევარდნაძე ამ ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ ამ დანაშაულში რომ მაშინდელ ხელისუფლებასაც მიუძღოდა გარკვეული წვლილი, ამის გამორიცხვა, ვფიქრობთ, არ შეიძლება, რადგან საქმეში ჩახედული ხალხი არ მალავდა, რომ ჭანტურია პოლიტიკური მოტივით იყო მოკლული. როგორც აღვნიშნეთ, თავიდან ირინა სარიშვილი მკვლელობაში იგორ გიორგაძეს ადანაშაულებდა, რომელიც ამ მკვლელობიდან ცოტა ხანში შევარდნაძემ დააჯილდოვა და გენერალ-ლეიტენანტობაც უბოძა. ცხადია, ამ ყველაფერმა ეჭვები გააძლიერა, თუმცა სარიშვილმა მოგვიანებით პოზიცია შეიცვალა და გიორგაძის თანამებრძოლიც კი გახდა, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ გიორგაძე ამ მკვლელობაში გარეული არ იყო. ერთ-ერთი ვერსიით მკვლელობა ედპ-ს ყრილობაზე გიორგი ჭანტურიას მოხსენებას უკავშირდებოდა. რის თქმას აპირებდა ჭანტურია უცნობია, რადგან დედამისის განცხადებით, ტერაქტის შემდეგ მისი საქაღალდედან ეს მოხსენება გაქრა. მაშინდელმა მაღალჩინოსანმა ავთანდილ მარგიანმა ისიც თქვა, ედპ-ის ლიდერი დიდ ფულს შეეწირაო. ამ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვის აეროპორტიდან ავსტრიაში ერთ-ერთი ქართული პოლიტპარტიის სახელზე მილიონნახევარი დოლარი გაჰქონდათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგორ გიორგაძე რუსეთში საქართველოს ელჩის გია ზუმბაძის დაკითხვას ითხოვდა, მაგრამ ნება არ დართეს. ზუმბაძე მაშინ ედპ-ის წევრი ყოფილა. მარგიანი ვარაუდობდა, რომ სწორედ ამ ფულს შეეწირა გია ჭანტურია. მართალია, მკვლელობის სხვადასხვა მოტივებზე საუბრობდნენ, მაგრამ საზოგადოება ერთში დარწმუნებული იყო - ჭანტურიას ლიკვიდაცია „მხედრიონის“ ხელით მოხდა, რადგან ეს მკვლელობა მათ ხელწერას ჰგავდაო. ისე, რა მნიშვნელობა აქვს ჩახმახს ვინ გამოჰკრა თითი, მთავარია დამკვეთი ვინ იყო. გია ჭანტურია „მხედრიონის“ თავგასულობის ალაგმვას თურმე მართლაც ითხოვდა, თუმცა მას ჯაბა იოსელიანთან სერიოზული კონფლიქტი არ ჰქონია, რადგან ამ უკანასკნელს მაშველთა კორპუსში გავლენა კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა და ფორმირებას რეალურად გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი მართავდნენ.

ამ მკვლელობის გახსნის პერსპექტივა არ ჩანდა და ალბათ საქმეს თაროზეც შემოდებდნენ, მაგრამ მალე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მოგეხსენებათ, 1995 წლის დასაწყისში უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა აფხაზეთისკენ „საომრად“ მიმავალი თენგიზ კიტოვანი ზესტაფონში დააკავა და ციხეში გამოამწყვდია, ე.ი. შევარდნაძემ არასასურველი პერსონების ჩამოცილება დაიწყო. მალე ჯერი „მხედრიონზეც“ მიდგა. იმავე წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ მარნეულის „მხედრიონის“ განიარაღება გადაწყვიტა. მათმა ხელმძღვანელობამ ეს რომ გაიგო, რუსთავში მათი სოლიდური დესანტი ჩავიდა და ქვემო ქართლის მაშინდელ გუბერნატორ ლევან მამალაძეს საკუთარ კაბინეტში მაგრად სცემეს. იმასაც ამბობდნენ, გიგა გელაშვილმა მამალაძეს თავში ავტომატის კონდახი ურტყაო. პროცესები დროებით შეჩერდა, თუმცა 29 აგვისტოს შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ სამართალდამცავებმა ჯერ გიგა გელაშვილი და უშიშროების მინისტრის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი დააკავეს, ცოტა ხანში კი მათ ჯაბა იოსელიანი და „მხედრიონის“ დანარჩენი წევრებიც მიაყოლეს. მათ ბედს გაიზიარებდა იგორ გიორგაძეც, მაგრამ მან თავს გაქცევით უშველა. გიგა გელაშვილს, თემურ ხაჩიშვილს, ჯაბა იოსელიანს, გოჩა გელაშვილსა და №1 ქილერად მოხსენიებულ გოჩა თედიაშვილს შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზების გარდა, ბრალი გენერალ გია გულუას, გია ჭანტურიას და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაშიც წაუყენეს. მოგვიანებით ჭანტურიას მკვლელობაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი პირი მოსკოვში დააკავეს. ეს გახლდათ კრიმინალური ავტორიტეტი თემურ ქურდიანი („კულინარიელების“ საძმოს ე.წ. კრიშა), რომელიც გიგა გელაშვილის დამატებითი ჩვენების საფუძველზე დააკავეს. გელაშვილის ჩვენებით, ქურდიანი ხსენებული მკვლელობების დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და მსხვერპლის მიახლოებას რადიოგადამცემის საშუალებით ატყობინებდა ჯგუფის სხვა წევრებს. მოგვიანებით გელაშვილმა ეს ჩვენება უარყო, წამების შედეგად დამაწერინესო. სასამართლო პროცესი ჩიხში შევიდა, პროკურატურას განსასჯელებისთვის ბრალის დამტკიცება უჭირდა, თუმცა მოულოდნელად გოჩა თედიაშვილმა განაცხადა, რომ სამივე მკვლელობაში მონაწილეობდა, რომელთა ორგანიზატორად დავით სანიკიძე დაასახელა. ეს განცხადება ბომბის აფეთქების ტოლფასი იყო, რადგან სანიკიძე, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად ითვლებოდა, ედუარდ შევარდნაძის მეგობარი გახლდათ. სანიკიძე ცნობილი ავსტრიული სამშენებლო ფირმა აბვ-ს და „მარკო პოლოს“ გენერალური მენეჯერი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ ფირმის აშენებულია სასტუმრო „მეტეხი-პალასი“ თბილისში და „მარკო-პოლო“ გუდაურში. მისი სახელი უკავშირდებოდა ე.წ. მეტეხის საძმოს და ამ საძმოს მიერ ჩადენილ მკვლელობებს. სანიკიძის დაკვეთებს კი თურმე გიგა გელაშვილის ჯგუფი ასრულებდა. თუ თედიაშვილი სიმართლეს ამბობდა, მისი ეს განცხადება, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ მაინც მიუთითებდა ჭანტურიას მკვლელობაში შევარდნაძის ინტერესებზე. ხსენებული „მხედრიონელები“ ამ მკვლელობისთვის გაასამართლეს, თუმცა 2002 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ისინი შეიწყალა და ციხიდან გაათავისუფლა, რაც, ვფიქრობთ, ბევრ რამეზე მეტყველებს.



გენერალი გია გულუა ჭანტურიას მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ, 1994 წლის აპრილში საკუთარ სახლთან, გერმანული სკოლისა და ბაგა-ბაღის სიახლოვეს ავტომატებით ჩაცხრილეს. ამ ტერაქტს მისი ორი თანამშრომელიც შეეწირა. შოკირებული მეზობლები და სკოლის მოსწავლეები უყურებდნენ, როგორ დააცალეს მკვლელებმა ავტომატების მთელი მჭიდი გულუას ავტომანქანას, ჯერ შორიდან შემდეგ მიუახლოვდნენ, მჭიდი შეცვალეს და ისიც დააცალეს, რის შემდეგაც აუღელვებლად ჩასხდნენ უნომრო ავტომანქანაში და მიიმალნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ პოლიციის ციმციმიანი მეორე ავტომანქანა მათ მოშორებით ელოდებოდა. პოლიციამ კი დააკავა რამდენიმე ათეული უნომრო ავტომანქანა, მაგრამ ეს ღონისძიება „ცხელ კვალზე“ არ გატარებულა (დანაშაულთა უმეტესობა კი სწორედ „ცხელ კვალზე“ იხსნება) და ცხადია, არც საქმე გახსნილა, ალბათ, ვერც გაიხსნებოდა, რომ არა თედიაშვილის სკანდალური აღიარება. გულუას მკვლელობასთან დაკავშირებითაც უამრავი ვერსია ვრცელდებოდა, იმასაც ამბობდნენ ზვიადისტებმა იძიეს შურიო, თუმცა საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ამ ტერაქტში სამთავრობო წრეების ხელი ერია, ამას მკვლელების ცინიკური და აუღელვებელი ქმედებაც მოწმობდა. ერთ-ერთი ვერსიით გულუას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯაბა იოსელიანთან, იგი ახლობლებს გაუფრთხილებიათ კიდეც „მხედრიონელები“ მოკვლას გიპირებენო. ამ მკვლელობამდე ორი დღით ადრე გულუას შევარდნაძესთან ჰქონია საუბარი, თუმცა მათი საუბრის დეტალები უცნობია. ამ მკვლელობისთვის „მხედრიონელები“ კი გაასამართლეს, მაგრამ ვინ დაუკვეთა რეალურად ეს მკვლელობა, დღემდე უცნობია. და კიდევ ერთი, ძალზე საინტერესო დეტალი. საქართველოში რომ ნარკოტრანზიტი ყვაოდა და დღესაც ყვავის, ყველას კარგად მოეხსენება. გაეროს 2010 წლის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე ყოველწლიურად 11 ტონა ჰეროინი მიედინება. როგორც ამბობენ, საქართველოში სამშენებლო ფირმა აბვ-სა და „მარკო პოლოს“ ავსტრიულ პროექტებს თვალს ნარკობიზნესის წარმომადგენლებიც ადევნებდნენ. იმ პერიოდში, ანუ „მხედრიონის“ ზეობისას, ნარკოტიკების შემოდინება აეროპორტის გავლითაც ხდებოდა. მართალია, შევარდნაძეს ძალაუფლების განსამტკიცებლად ფული ძალზე სჭირდებოდა, მაგრამ მაფიასთან თანამშრომლობაზე უარი უთქვამს. ნარკოსაქმოსნებმა მოლაპარაკება მაშინდელ ტრანსპორტის პოლიციის უფროს გია გულუასთან სცადეს და მას ერთ მილიონ დოლარსაც დაპირდნენ. გულუა შს მინისტრობას აპირებდა და, ალბათ, ამიტომაც თანამშრომლობაზე უარი თქვა, უფრო მეტიც, იგი დაჭერით დამუქრებია ნარკობარონებს, თუმცა დაასწრეს და თავიდან მოიშორეს. გუდაურის „მარკო პოლო“ იმ პერიოდში ნარკოცენტრად ყოფილა ცნობილი. სხვათა შორის, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ზეიკიძე თავის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებდა, რომ გენერალ გულუა ვიღაც-ვიღაცებთან დაპირისპირებული იყო აეროპორტთან, ბენზინის გადაზიდვებსა და ნარკოტიკებთან დაკავშირებით. გულუასთან მეც დაპირისპირებული ვიყავი და ერთი პერიოდი მისი და თბილისის პროკურორ მიხეილ ქურდაძის მკვლელობას მეც კი მაბრალებდნენო. მკითხველს შევახსენებთ, რომ პროკურორი ქურდაძე 1993 წლის მარტში საკუთარ სახლში (კოსტავას ქუჩაზე) მოკლეს. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ მასზე კრიმინალურმა სამყარომ იძია შური, თუმცა მოკლულის ოჯახს ეს ვერსია არ სჯერათ, სამართალდამცავებს ეს დანაშაული ობიექტურად რომ გამოეძიებინათ საქმე გაუხსნელი არ დარჩებოდაო.

**მანანა სუხიშვილი**

**(გაგრძელებას შემდეგ ნომერში)**

*ვესაუბრებით ექსპერტს კავკასიის საკითხებში* ***მამუკა არეშიძეს***

**— რატომ წამოიწია დავით გარეჯის პრობლემატიკამ დღეს? როგორ ხედავთ პროცესის განვითარებას, მაშინ, როდესაც საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროს განცხადებები გარეჯს აზერბაიჯანულ ტერიატორიას მიაკუთვნებს, ''წინაალმდეგობის მოძრაობამ'' კი პერმანენტული საპროტესტო აქციების შესახებ ინიციატივა გააჟღერა?**

— ასეთი აზრი მეც მომივიდა და „კავკასიის'' ეთერით ვისაუბრე მგონია, რომ სტაბილური პროტესტის ფორმა აუცილებელია, მით უფრო, როდესაც



**— რამდენად ემუქრება ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას სერიოზული საფრთხე?**

— ზუსტად ეს არის გამიზნული.პროცესის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაუძლებს ქართული საზოგადოება ამ გამოწვევას. ყველაფერი გაკეთდა ოპოზიციისა და საზოგადოების მხრიდან, რომ ეს ხიფათი თავიდან ავიცილოთ, რომ დაპირისპირება მოვლენაში არ გადაიზარდოს. მთავარი დამნაშავე ამ სიტუაციაში ხელისუფლებაა, როგორც ახლანდელი, ისე წინა წელიც, და არა მხოლოდ აზერბაიჯანი, რადგან უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო. აზერბაიჯანი საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს. ჩვენ — ჩვენის მხრივ, რაც გასაკიცხია, უნდა გავკიცხოთ, მაგალითად ეფემერული ალბანური თემა. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ეს ყველაფერი სპეციალურად დაგეგმილი პროცესია.

**— თუ ხედავთ კავშირის რაბათისა და აზიზიეს მეჩეთის მშენებლობებთან?**

— რაბათის მშენებლობისას, მიუხედავად იმისა, რომ ერთის რკინიგზა, რომელსაც რუსეთი აკონტროლებს.რუსეთის მთავარი ამოცანაა სამხრეთ კავკასიის კონტროლისათვის ამ რკინიგზის აღდგენა უახლოეს პერსპექტივაში. სომხეთმა საკუთარი რკინიგზა რუსეთის სარკინიგზო სისტემის შვილობილ კომპანიას მიჰყიდა. სავარაუდოდ, 2015 წლისათვის, რკინიგზა შეიძლება ევროპაში განთავსებული წვრილი რუსული ფირმების მიერ იქნას შეძენილი.

**— რუსეთის პრეზიდენტი მესამედ მოსვლისთანავე აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო პრეზიდენტებს შეხვდა.**

— ამაში განსაკუთრებულს არაფერს ვხედავ, რუსეთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გაგვაოცებს მომავალი საპრეზიდენტო ვადის საკვანძო მომენტების პრეზენტაციებით. ეს არის რუსეთის გავლენის გაზრდა სამხრეთ კავკასიაში, ორივე რესპუბლიკას თავისი ადგილი აქვს ევრაზიის კავშირის პროექტში. ეს შეხვედრა დასავლეთისათვის გამიზნული მესიჯი იყო მაშინ, როდესაც კავკასიის რეგიონზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ირანის ომის საფრთხე, საზღვრების ცვლილებების საფრთხე რეალურია. დღეს სამხრეთ კავკასიაზე რამდენიმე მხარე აცხადებს პრეტენზიას, თურქეთს თავისი, დამო-

# mamuka areSiZe:

# daviTgarejis Temis wamoweva specialurad dagegmili procesia

ქართული საზოგადოების ახალგაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა მიიღო აგრესიული ფორმა. ჩემთვის ეს არაა რიგითი ფაქტი, ეს ერთგვარი ტესტირებაა ქართული საზოგადოებისათვის, თუ რამდენად გაიმეორებს 90-იანი წლების ანტი-აფხაზურ და ანტი-ოსურ აქტივობებს, რასაც საყოფაცხოვრებო დონეზე ეთნიკური დაპირისპირება მოჰყვა. ამ მოვლენით უნდა გადაფარონ ის სხვა მნიშვნელოვანი პროცესი, რომლის მონაწილეც ქართული საზოგადოებაა. აღსანიშნავია, რომ 30 მაისის დავით-გარეჯის ხსენების დღეა, შესაბამისად, მოვლენათა განვითარების პიკი უნდა ყოფილიყო 30 მაისს, როგორც ამას მავანი ვარაუდობს.

**— არის ვარაუდები, რომ ხელისუფლებამ გარეჯის მიმდებარე ტერიტორია რაღაცის სანაცვლოდ დასთმო, სხვა ვერსიით - გაყიდა...**

— ამ მოსაზრებაში ეჭვი მეპარება, რადგან აზერბაიჯანი არ დამალავდა ხელმოწერილ დოკუმენტს, იტყოდა ამის შესახებ. სულ მცირე, შეიძლება, რაღაც წინაშეთანხმებისმაგვარი იყოს ხელმოწერილი. რაც შეეხება ხმებში გაცვლას, არ მეჩვენება აბსოლუტურ თემად. აზერბაიჯანის მოსახლეობა ნაკლებად ფიქრობს ამ თემაზე. საქართველოს აზერბაიჯანელები კი ასრულებენ მითითებებს ბაქოდან, მაგრამ დღეს ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ბევრი მათგანი განაწყენებულია ოფიციალური ბაქოს პოლიტიკით, რადგან ბევრი აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე გამოუშვეს მშენებლობებიდან, იმ მოტივით, რომ საკუთარი მოქალაქეები ჰყავთ დაუსაქმებლები.

კონტექსტში განიხილება აზიზიეს მეჩეთთან, თურქული გავლენა არ არის დომინანტური. აჭარაში სხვა მდგომარეობაა.თურქეთი მას თავის ტერიტორიად თვლის, ბათუმის აეროპორტი შიდა აეროპორტად ითვლება. გარეჯის ფაქტით სხვა ფაქტები გადაიფარა, ამასობაში ბათუმში სიმბოლურ ერთ ლარად გაყიდულ იუნკერების საფლავზე თურქული კომპანია მშენებლობას იწყებს. ქართულმა საზოგადოებამ ვერ მოასწრო ამ ფაქტზე რეაგირება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რისთვის სჭირდებათ დაპირისპირება არჩევნებამდე? ორი ვარიანტია, ან სხვა ძალა არსებობს — ჩრდილოეთით ან სამხრეთით და საქართველოს ხელისუფლება აზრზე არ არის, ან მეორე — საქართველოს ხელისუფლებას აწყობს, მართავდეს ქაოური სიტუაციის შექმნას, ფარული დაპირისპირებით შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მართვა. ფიარტექნოლოგიებში სტრესულ მდგომარეობაში საზოგადოების მართვა აპრობირებულია ბევრ ქვეყანაში. შესაძლებელია ბევრი სხვა საკითხი გადაიფაროს, სტრესის მიზეზი ჩააქრო.., საზოგადოებამ აგვისტოს ომი ''ჭამა'', გარეჯსაც გადაატანინებენ.

**— რუსული მედიით გავრცელდა ინფორმაცია სომხეთის მიერ საქართველოს რკინიგზის შეძენის შესახებ. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?**

— რკინიგზასთან დაკავშირებით ხელისუფლება ამბობს, რომ 25 % ს ჰყიდის და ეს ვერ იქნება საკონტროლო პაკეტი. ერთი შეხედვით, ეს განცხადება ლოგიკურია. საქართველოსრკინიგზის შემადგენლობაშია აფხაზეუკიდებელი პოლიტიკა აქვს, მას არ აღელვებს, რას ფიქრობს დასავლეთი ან რუსეთი. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომის პერიოდში პირველად შეეჯახა რუსეთის და თურქეთის ინტერესები კავკასიაში, მიუხედავად 40 მილიონიანი ტვირთბრუნვისა. პოლიტიკა სხვა რამეა. დასწრებაზეა, მსხვილი მოთამაშეები როგორ გამოიყენებენ სიტუაციას. ჩვენ კი დაკავებული ვართ შიდა პოლიტიკური გარჩევებით. ნაზარბაევმა იმდენი ქნა, რომ ყაზახეთი ნელ-ნელა ჩინეთის გავლენის ქვეშ ექცევა, რაც დანარჩენ მოთამაშეებს არ აწყობთ. ბრძოლა მიდის შუა აზიისა და კავკასიისათვის. მთავარია აზერბაიჯანის გაჩერება, ის რომ იყოს დამჯერი, უნდა გადავუკეტოთ ენერგო - მატარებლების გავრცელების არეალი...

**— მაშინ ხომ ჩვენც დავზარალდებით?**

— ჩვენი ტერიტორიის გავლით უნდა გადავუკეტოთ, ჩვენი მეშვეობით უნდა მოხდეს ეს. აზერბაიჯანს 25 მილიარდიანი სარეზერვო ფონდი აქვს. თუკი დამჯერი იქნება, მაშინ ენერგორესურსების გასაღები იქნება რუსეთის, თურქეთის ან დასავლეთის კონტროლის ქვეშ.

**— როგორც ჩანს, ქვეყნის მომავალი და შექმნილი მდგომარეობა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაზე არ ყოფილა დამოკიდებული...**

— სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რომ არც რეგიონულ პოლიტიკაში და არც გეოპოლიტიკაში, აღარ ეთქმის არაფერი.

**— ბატონო მამუკა, რას ნიშნავს ქვეყნისთვის წლევანდელი 27 მაისი?**

— ეს დღე ხალხის კონსოლიდაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თარიღია. წარმოდიგინეთ, რა მოხდებოდა ამ დღისათვის ქართულ-აზერბაიჯანული დაპირისპირების ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო. მთავარია, რომ ამ დღეს უნდა გაჟღერდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მესიჯები საქართველოს ყველა მოქალაქისადმი.

**ნინო ფირცხალავა**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# 2011 wlis tragikuli 26 maisi













# qarTvelersac gadasalaxi aqvs Tavisi wili qarTuli udabno



**ვახტანგ ხარჩილავა**

ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილაო-მეთქი, – ვწერდი ერთ-ერთ წერილში.

სატიაგრაჰა ჭეშმარიტებაში შეუპოვრობას, არაძალადობრივი გზით წინააღმდეგობას ნიშნავს, რომელიც ინგლისელ კოლონიზატორთაგან ინდოეთის გათავისუფლების მთავარ ლოზუნგად აქცია დიდმა ინდოელმა მოჰანდას კარამჩანდ პორმანდარმა, იგივე მაჰათმა განდიმ.

ქართული სატიაგრაჰა ჯერ არ შექმნილა-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მთლად მართალი არ ვიყავი.

ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს დღეს ქართულ პოლიტიკაში, თამამად შეიძლება ქართული სატიაგრაჰას დასაწყისად და დასაბამად ჩავთვალოთ.

– მხოლოდ არჩევნებით, მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ძალადობრივ მეთოდებზე უარის თქმით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას, – ამტკიცებს ბიძინა ივანიშვილი.

– არა იარაღით, არა ძალადობით, არამედ მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობით თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს. ამგვარი ბრძოლა მაღალ სულიერებას, ზნეობრივი და მორალური ნორმების ერთგულებას, კეთილშობილებას, შემწყნარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ბრძოლაა საკუთარ მანკიერებასთან, ბრძოლა იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ. ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ არ ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ჩვენ მოვიგებთ ამ ომს – არწმუნებდა განდი ინდოელებს.

იგივეს ეუბნება ბიძინა ივანიშვილი ქართველებს, თუმცა ქართველებს მაინცდამაინც ნათლად არ ესმით ამ მოწოდების დედააზრი და გამარჯვების მოპოვება მამაპაპური წესით, მუშტის ერთი დარტყმით, უფრო მარტივი და იოლი ჰგონიათ.

შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში საკუთარი მანკიერების ძლევის გზა, არაძალადობრივი, მშვიდობიანი წინააღმდეგობა, ზნეობრივი ნორმების დაცვა, ხანგრძლივ დროს და, რაც მთავარია, შრომას, ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ჩვენ კი, ქართველები, ცოტა წავიზარმაცებთ და ამიტომაც მოწინააღმდეგის ერთი დაკვრით ნოკაუტში ჩაგდება უფრო გვირჩევნია.

**ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობს სიტყვას მსოფლმხედველობა, თუმცა ქართველებს, რომლებსაც დიდი ხანია სიტყვების შინაარსი არ აინტერესებთ, არც ამჯერად მოუკლავთ თავი იმის გაგებით, რას გულისხმობს და საერთოდ, რა მსოფლმხედველობაზე ლაპარაკობს ივანიშვილი?**

რა მსოფლმხედველობაა ეს და რა პრინციპებს და რა ღირებულებებს ეფუძნება იგი?

ერთი შეხედვით, ივანიშვილი თითქოს მაჰათმა განდის მოძღვრების პირდაპირ კალკირებას ახდენს, თუმცა სინამდვილეში მისი მოსაზრებები ღრმად ქრისტიანული და აბსოლუტურად ქართულია.

სამწუხაროდ, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს ჯერჯერობით არ გაუშიფრავთ და არ გაუანალიზებიათ ის იდეოლოგია, რასაც ივანიშვილი გვთავაზობს და არც იმ ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე გაუმახვილებია ვინმეს ყურადღება, რომლითაც ივანიშვილი ამ იდეოლოგიური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებას აპირებს.

დასანანი და გულსატკენია, რომ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებას ასე ზერელედ, ზედაპირულად და პრიმიტიულად აფასებს ქართველი საზოგადოება – გამოჩნდა მდიდარი ადამიანი, სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილი მილიარდერი, რომელსაც ბიზნესი მოსწყინდა და ახლა პოლიტიკოსობა მოესურვა.

არადა, **ბიძინა ივანიშვილის მილიარდები საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმ კონცეფციასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, უალტერნატივო და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია გამარჯვების მისაღწევად**.

მილიარდერები, როცა მათ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება სურთ, რადიკალურად განსხვავებულად იქცევიან – ისინი ძალაუფლებას ყიდულობენ, ან ძალისმიერი მეთოდებით მიიტაცებენ ხოლმე.

ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა რომ სდომებოდა, იმ ფულით, რაც პარტიული სტრუქტურის შექმნას, მრავალრიცხოვანი კოალიციის შენახვას, გრძელვადიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარებას დასჭირდება, სრულიად უმტკივნეულოდ, ყოველგვარი დავიდარაბის და რისკის გარეშე, 50-60 პარლამენტარის მანდატს იყიდდა და ასევე იყიდდა ნებისმიერ თანამდებობას.

მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია, უფრო ზუსტად, არც უფიქრია ამის გაკეთება.

ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუცილებელი პირობით – ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლის და ყველა იმ გასაჭირს, ყველა იმ ხიფათს გაიზიარებს, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდება.

როგორც ვთქვით, მას სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო თავი აერიდებინა ამ სახიფათო გზის გავლისთვის და სასახლიდან გამოუსვლელად, რბილ სავარძელში ჩამჯდარს მიეღო იმდენი ძალაუფლება, რამდენსაც მოი-

# is, rasac biZina ivaniSvili akeTebs, qarTuli satiagrahaa





სურვებდა, მაგრამ მან უარი თქვა ამ კომფორტულ ცთუნებაზე და თავისი თავის, როგორც პოლიტიკოსის, შექმნა და გამოძერწვა საკუთარი ხელით ირჩია.

ეს გზა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიადგე — სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი მოასწრო თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში და დაეწყო ნულიდან, დაეწყო სუფთა ფურცლიდან, არის გადაწყვეტილება იმ კა-



ცისა, რომელმაც ასევე ნულიდან დაიწყო ბიზნესი და საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფულობით და, რაც მთავარია, წესიერებით, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

**ბიძინა ივანიშვილის კრედო, მისი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა თვითონ უნდა „ააშენოს“ ტაძარივით საკუთარი თავი, თვითონ უნდა სრულყოს და დახვეწოს ისე, რომ ამ ტაძარმა დროს გაუძლოს და თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის ორიენტირად იქცეს.**

* * *

ქართველებს ერთი უცნაური თვისება გვაქვს — ყველას ჭკვიანი ჰგონია თავისი თავი, თანაც განსაკუთრებულად ჭკვიანი.

ბევრი არაფერი გვაბადია, მაგრამ, აი, ჭკუა გვაქვს თავსაყრელად და, რა თქმა უნდა, ჭკუის დარიგებაც ძალიან გვიყვარს.

ნახეთ, რა კარგი გამოთქმაა — ჭკუის დარიგება.

თითქოს საჩუქრებს ვარიგებდეთ, ისე ვარიგებთ და ვარიგებთ ქართველები ჭკუას, თუმცა ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ქართველმა შეიძლება ნოტის წაკითხვაც არ იცოდეს, მაგრამ შეუძლია კომპოზიტორს ჭკუა დაარიგოს და ასწავლოს, როგორ უნდა შექმნას მშვენიერი მუსიკა.

ქართველს, რომელსაც თავის ცხოვრებაში ფუნჯი არ აუღია ხელში, შეუძლია მხატვარს მისცეს რჩევა თუ როგორ უნდა დახატოს გენიალური ნახატი.

ქართველს, რომელსაც 5 ლარი არ უდევს ჯიბეში, შეუძლია 5 მილიარდის პატრონს ჭკუა დაარიგოს და მენეჯმენტის სფეროში „კვალიფიციური“ რჩევები მისცეს.

ქართველები ჭკუას განსაკუთრებულად გულუხვად და ხელგაშლილად პოლიტიკის დარგში არიგებენ.

**ბიძინა ივანიშვილსაც ბევრი ჭკუის დამრიგებელი და მრჩეველი გამოუჩნდა, რომლებიც თავიანთ წმინდათაწმინდა მოვალეობად თვლიან, ასწავლონ პოლიტიკოს ივანიშვილს, როგორ უნდა აკეთოს პოლიტიკა, ვინ დაიყენოს გვერდით, ვინ შერისხოს, როგორ ილაპარაკოს და რაზე ილაპარაკოს.**

**არადა, დროის, ამ უმცირეს მონაკვეთში, ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ის უკვე შედგა, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, რომელიც არც თავისი წინამორბედებიდან და არც თავისი თანამედროვეებიდან არავის არ ჰგავს.**

ბიძინა ივანიშვილი არის სრულიად ახალი პოლიტიკური აზროვნების და ახალი პოლიტიკური კონცეფციის პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს ქართულ პოლიტიკას ცივილური სახე დაუბრუნოს.

ვიღაცები მას უკან, პოლიტიკური ჯუნგლებისკენ მიექაჩებიან, მაგრამ მას ზუსტად აქვს განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ის ამ გეგმიდან არ გადაუხვევს.

* * *

მაჰათმა განდი ინდოელებს ეუბნებოდა — პრობლემა მხოლოდ იმაში კი არ არის, რომ ინგლისელები არიან ცუდები, ჩვენ არა ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ინგლისელი კოლონიზატორები იძულებულნი გახდებიან, ინდოეთიდან წავიდნენ.

**ქართულ სინამდვილეშიც დაახლოებით იგივე ხასიათის პრობლემა დგას, რაც განდისდროინდელ ინდოეთში. ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ცხოვრების მაგალითით ცდილობს ქართველ საზოგადოებას მიანიშნოს, რომ საჭიროა უკეთესები გავხდეთ, თუ გვინდა, რომ უკეთესი ხელისუფლება გვყავდეს.**

მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელი ერი უდაბნოში.

ჩვენც გვაქვს გასავლელი ჩვენი ქართული უდაბნო, ამისთვის კი დიდი მოთმინება და სულიერი სიმტკიცეა საჭირო.

* * *

მე ვნახე ბიძინა ივანიშვილის შეცბუნებული სახე, როცა მას ვიღაცები სთხოვდნენ ფეხი დაედგა პლაკატისთვის, რომელზეც სააკაშვილი იყო გამოსახული.

არ არის ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში იმისთვის მოსული, რომ ვიღაცას გადაუაროს, ვიღაც გასრისოს, ვიღაცას ფეხი დაადგას.

— მე არ მოვდივარ ვინმეს დასამარცხებლად, მე ყველა ქართველის გასამარჯვებლად მოვდივარო, — თქვა მან თავის პირველსავე წერილში.

კარგად ჩავუღრმავდეთ ამ სიტყვების შინაარსს და ნუ ვაიძულებთ მას დაემსგავსოს მათ, რომლებიც ძალადობით და სისასტიკით ცდილობენ ქვეყნის დაშინებას და დამონებას.

ბიძინა ივანიშვილი ქართული სატიაგრაჰას ქართულ მოდელს ქმნის და ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ ქართველმა ერმა წარმატებით გადალახოს თავისი წილი ქართული უდაბნო. ◘






**გოგი თოფაძე**: მართლა საოცარი ქვეყანა ვართ. 5 წელიწადში ერთხელ მოვიდა წვიმა და აირია ყველაფერი. რა არ ხდება უცხო ქვეყნებში, ტორნადო, ცუნამი და იგერიებენ როგორღაც. თბილისის რელიეფი განსხვავებულია, ცოტაა მისი მსგავი მსოფლიოში, მთა დაჰყურებს თავზე და ყოველთვის შეიძლება იქედან ღვარცოფი წამოვიდეს, ამიტომ, ამას ყველაფერს გათვლა სჭირდება. ძალიან კარგია, ცენტრალურ ქუჩებს რომ ალამაზებენ, რაღაც კეთდება, რაც წინა ხელისუფლების დროს საერთოდ მივიწყებული იყო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამას წინათ სწორედ ამ თემაზე ვკამათობდით, რომ ინჟინერი, მშენებელი უნდა იყოს ქალაქის მერი. ქალაქს რომ ხელმძღვანელობ, მისი სპეციფიკა უნდა იცოდე. მთელი წყალ-კანალიზაციის სისტემა მონგრეული იყო. მიწისქვეშა თბილისია უბედურ დღეში. ახალი სადენები და მილები კარგია, მაგრამ ცოდნა სჭირდება, როგორ გაკეთდეს. ეს არ არის ფასადების, ცენტრალური ქუჩების შეღებვა, სადაც სტუმარს გაატარებ; ამ ცენტრალური ქუჩების უკან, კვარტლებში, სადარბაზოებსა თუ სარდაფებშიც უნდა შეიხედო, რა ხდება. როდესაც თბილისის ხელ-



მძღვანელობაზე გაქვს პრეტენზია, უნდა იყო კარგი ინჟინერი, კარგი ორგანიზატორი და სწორედ იმით უნდა დაიწყო, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ქალაქს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება ჩვენს ქალაქში, ვთქავთ, იგივე უბედურება რომ დატრიალდეს, რაც ხშირად ხდება ამერიკაში, იაპონიასა თუ ჩინეთში. ერთი ღამის წვიმას ვერ გავუმკლავდით და აირია ყველაფერი. ხუთი ადამიანი ემსხვერპლა ამას, რა ცოტაა?! ახლა რამდენი მანქანაა დალეწილი?! და ამის მეორე დღეს რა ხდება?! ფეხბურთს ვუყურებდით გერმანული არხით და იქ აღნიშნა დიქტორმა, ასეთი ტრაგედია მოხდა ქვეყანაში, ამდენი ადამიანი იმსხვერპლა წვიმამ და პრეზიდენტი აქ რატომ არისო?! გაუკვირდა გერმანელ დიქტორს. მართლაცდა, ხუთი ადამიანი დაგელუპა, დაგელუპა იმიტომ, რომ არ მიხედე ქალაქს, და შენ ფეხბურთის საყურებლად გცალია?! ხომ არ შეიძლება ყველაფერი მოჩვენებითად აკეთო. რაღაც ციფრებს დასდევენ, რომ თურმე რაღაცაში საფრანგეთს გავასწარით, რაღაცაში კიდევ სხვა ქვეყანას, რად გვინდა ეს ციფრები, ჩვენ ხომ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაში და ვხედავთ, რა მოსწრებაც გვაქვს, რად გვინდა ეს მოჩვენებითობა.

ულამაზესი ქალაქია თბილისი, ყველას თავს აწონებს თავისი რელიეფით, თავისი ხალხით, ქუჩებით, მაგრამ გავიდეთ ამ ორი-სამი ქუჩის იქით და ვნახოთ რა ხდება. ან როგორ გეგმარდება, რას დაემსგავსა, ვერა, ვაკე, სოლოლაკი. მცხეთის ქუჩიდან გავრბივარ უკვე, ცხოვრება შეუძლებელია იქ, არც მანქანის გასაჩერებელია, არც მოწესრიგებული კანალიზაცია და წყალმომარაგება. ურბანიზაცია ხომ უნდა იყოს გათვლილი, ქალაქს რომ აშენებ, სახლს რომ აშენებ. იმის გამო, რომ ზედმეტი შემოსავალი ჰქონდეს მშენებელს თუ ამ მშენებლობზე თანხმობის გამცემს, შეიძლება არც ეზო დატოვო, არც მიწისქვეშა სადგომები ააშენო?! ბავშვებს ეზო აღარ დაუტოვეს, რომ ითამაშონ, სახლი სახლზეა მიდგმული. ღმერთისგან ბოძებული საოცარი ბუნება და კლიმატი გვაქვს, მაგრამ პატარა შეფერხება და მაშინვე ტრაგედიები ტრიალდება.

ერთი სიტყვით, სერიოზული ინჟინრული მიდგომა სჭირდება ქალაქს. ვიცი, ძნელი მოსაგვარებელია ეს პრობლემები. რადგან წლობით არის მიგდებული მიწისქვეშა თბილისი. ხო იცით, როგორ კეთდებოდა ხოლმე, ჯერ ასფალტს დააგებდნენ, მერე გადათხრიდნენ და გაიყვანდნენ ელსადენებს, მერე ხელახლა გადათხრიდნენ და კანალიზაციის მილებს ჩაყრიდნენ, სწორედ აქ ხდებოდა კორუფციული გარიგებები. ცოდოა, ჩვენი ლამაზი ქალაქი ასეთი ყოფისთვის, მგონი დროა, მოვკიდოთ ხელი და მივხედოთ. ვინც იქნება ხელისუფლებში, მან უნდა იფიქროს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ მოსაგვარებელია. რეალური პატრიოტი ამით დაიწყებდა ქალაქის შენებას და არა უჩვეულო და თვალსაჩინო ხიდებით. ამ ხიდის ფასად ნახევარ თბილისში გაკეთდებოდა სანიაღვრეები, მაგრამ სხვანაირად ფიქრობენ და რა ვქნათ. ასე რომ, მოჩვენებითი სამუშაობით არ უნდა ვიყოთ დაკავებული. ხალხს ისედაც უჭირს და, ამ უბედურების დამატება აღარ სჭირდება. რამდნი სახლი ჩამოინგრა ამ დღეს?! და რამდენია ისე დაფხავებული, რომ ჩამონგრევის პირასაა მისული. ერთი სერიოზული მიწისძვრა და დაინგრევა.

დღეს მოვისმინე, რომ რაღაც ათასლარიან ხეების დარგვაზეა საუბარი ანუ მილიონამდე დაჯდება, ერთი პატარა ტყე რომ გააშენო. რამდენი სანერგე მეურნეობა გვაქვს და აქ ვერ გამოიყვანენ კვიპაროსებს?! ძაან კი ვაგინებთ კომუნისტებს, მაგრამ კარგად მახსოვს, აპრილის თვეში შაბათი არ გავიდოდა ისე, შაბათობა არ მოეწყოთ და გარშემო მთებზე ხეები არ დაერგათ. ახლა ეს შაბათობაც მოჩვენებითია, წავა პრეზიდენტი, სპიკერი, მიიყვნს 15 ჟურნალისტს, ერთ ორმოს ძლივს ამოთხრის. ადრე რეალურად კეთდებოდა ეს, მთელი ქარხნები გაგვყავდა ხეების გაშენებაზე.

ან მთაწმინდის პარკი ავიღოთ, ნარიყალაზე რომ აკეთებენ საბაგირო გზას, ძალიან კარგია, მაგრამ მგონი მთაწმინდა უფრო აქტუალური იქნებოდა. ამხელა პარკია ბავშვებისთვის ძალიან კარგი გასართობი და დასასვენებელი ადგილი და სრულიად მოწყვეტილია ქალაქს. თაობა მოდის ისეთი, რომელსაც საერთოდ არ უნახავს ეს პარკი. სამწუხაროდ, სწორად არ ხდება დაგეგმარება.

რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივას, ალბათ, 27 მაისს თბილისის მოსახლეობა ძალიან აქტიურად გამოხატავს თავის პოზიციას. მოგახსენებთ, რომ ძალიან ბევრი რამ გაკეთდება, შესანიშნავი გეგმები აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ეს არ არის მხოლოდ სოფლის მეურნეობა ან ჯანდაცვა, ყველა სატკივარზე, რაც ქართველ ხალხს აწუხებს, ცოტა ხანში ძალიან დახვეწილი გეგმა იქნება წარმოდგენილი. ერთ რამესაც ვიტყვი, 95 წლიდან წამყვანი პოლიტიკური ძალებისგან დაპირებების მეტი არაფერი გვინახავს. დაპირება კი მეორე დღეს ყველას ავიწყდებოდა. ახლა დაპირებას დაშინებაც დაემატა. ამიტომ უნდა დავფიქრდეთ, რა გველის წინ. გვაქვს შანსი და უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, ჩვენი მომავალი თაობა. დავაყენოთ საქართველო იმ გზაზე, რომელიც გამოგვიყვანს ამ ჩიხიდან. აღარ არის შიშის დრო, ყველა თუ სახლში ჩავიკეტეთ სამსახურის დაკარგვის შიშით, ასე არაფერი გამოვა. დროა, გამოვიდეთ და მოვითხოვოთ, რომ 21-ე საუკუნეში ღირსეულად ვაცხოვროთ ჩვენი ხალხი.იქნებ იმაზე დავფიქრდეთ, რა მოხდება საქართველოში, თუ არ შეიცვალა ეს ხელისუფლება, რას დავუტოვებთ ჩვენს შვილებს. ამიტომ საჭიროა, 27-ში ყველამ გამოვხატოთ ჩვენი განწყობა, გვერდში დგომა. დღეს ცივილიზაცია სხვადასხვა პრობლემებს წყვეტს, ჩვენ კი ჯერ ისევ წინა და მეცხრამეტე საუკუნის პრობლმები გვაწუხებს. ყველაზე დიდი პრობლემა და ტრაგედია კი ის არის, რომ საქართველოდან ხალხი გარბის. როგორ შეიძლება შენი ქვეყნიდან გარბოდე, ელემენტარული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები მაინც რომ იყოს. ბატონ ბიძინას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ამ საკითხში და ამ პრობლმის მოგვარების გზები ძალიან მაღალ დონმეზე მუშავდება „ქართულ ოცნებაში“. თან ერთი რამეც კარგად დაიმახსოვრეთ, ბატონი ბიძინა ყოველთვის ასრულებს თავის დანაპირებს. რასაც ვერ ვიტყვი აქამდე, 95 წლიდან დღემდე არსებულ ხელისუფლებაზე. ზუსტად ვიცი, რომ თავს არ შეირცხვენს ეს დიდებული ქართველი კაცი. მან აქამდეც ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა. ამიტომ კარგად გაანალიზეთ, რას გპირდებათ ის და რა მოჰყვება ამ დანაპირების შესრულებას.

კარგად მოგეხსენებათ, რა დღეშია ხალხი, როგორ აჯარიმებენ მოვაჭრეებს, მაგრამ ჯარიმაზე დიდი ტრაგედია იცით რა არის, ამ მოვაჭრეს არავითარი იმედი არ აქვს, რომ უსაფუძვლო ჯარიმას გაასაჩივრებს სასამართლოში და პროცესს მოიგებს. ტრაგედიაა, რომ დღეს საქართველოში გორელი თუ თელაველი, ქუთაისელი თუ თბილისელი დაუცველად, მეორეხარისხოვან ადამიანდ გრძობს თავს თავის ქვეყანაში.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რამდენი სასამართლო პროცესი გადავიტანე ამ ბოლო წლებში და ერთიც არ მომიგია. ყველამ იცის, რომ თუ მთავრობის კაცი არ ხარ, სასამართლოში გამარჯვებაზე არც უნდა იოცნებო. სადაც გინდა იქ ირბინე. სამი ხახვისთვის რომ აჯარიმებ მეწარმეს, რატომრ ფიქრობ, რომ მას ოჯახი ჰყავს შესანახი. გახსოვთ ალბათ, რამდენს ვკამათობდით ფიქსირებული გადასახადის გამო, ამით კორუფცია მინიმუმამდე დავიდოდა. დაუწესე ამ პატარა ობიექტებს ფიქსირებული გადასახადი, რატომ უნდა აწვალო, სამი ხახვი გაყიდა თუ 25 ფორთოხალი. მაგრამ თავის დროზე აირჩიეს ვილაცის შემოთავაზებული ურთულესი საგადასახადო სისტემა და ამის გამო არის გალატაკებული მთელი ქვეყანა, ამიტომაც გარბის ქვეყნიდან მოსახლეობის 30%.

მოდით გავიხსენოთ, ვინ რას ლაპარაკობდა გასულ წლებში. ალბათ, გახსოვთ როგორ ვჩხუბობდით, როცა მორების გატანა დაიწყეს ქვეყნიდან, რასაც მოჰყვა მთელი ხე-ტყის განადგურება. ამას ხელს უწყობდა ხელისუფლება, რადგან შემოსავლის წყარო იყო რაიონების გამგებლებისთვის. დღეს კი შეჩერდა გატანა, მაგრამ გაჩეხილი ტყის შედეგია, რამდენი ღვარცოფი წამოვა, იმდენი ტრაგედია რომ ტრიალდება ქვეყანაში. ბევრი ვილაპარაკე ამაზე, მაგრამ ვინ მოგისმინა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ ქვეყანაში საზოგადოება მეორეხარისხოვანი ვართ, არც მეცნიერს უსმენენ და არც ხელოვნების მუშაკს. არადა, ისე რომ არ კეთდება საქმე, როგორც 21-ე საუკუნეს შეეფერება, ყველა ვხვდებით.

ამიტომ ვჩხუბობდით, ჯერ მიწისქვეშა თბილისს მივხედოთ, საძირკველი გავამაგროთ და მერე შევღებოთ ფასადები-თქო. ხომ არის საკითხები, რა პოზიციაც არ უნდა გეკავოს პოლიტიკაში, რომელზეც შეთანხმება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისთვის. მოდით დავფიქრდეთ ამ საკითხებზე და გაცილებით მეტს მივაღწევთ. დღეს, როცა გაჩნდა შანსი, გამოვიდეთ ამ სიდუხჭირიდან, მოგვარდეს გარკვეული პრობლემები, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა გმართებს, რას ეუბნები ხალხს. ზოგიერთ ტელეარხს ან სხვა მედიასაშუალებას, რაში სჭირდება ამდენი ტყუილის ლაპარაკი, ხვალ ხომ ამაზე პასუხი მოგეთხოვება. სიმართლესთან მიახლოებული მაინც ილაპარაკე. ხანდახან ისეთ ინფორმაციას მოგვაწვდიან ხოლმე, რომ თითქოს ჩვენზე მოწინავე ქვეყანა არ არის ამ პლანეტაზე. ამას სჯობია, ის ვთქვათ, რაც გვიჭირს.

27 მაისს, თუ დაგვაცალეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიწყებთ წინასაარჩევნო აქტიურობას. ვხედავთ და ვგრძნობთ, როგორი ანთებულია ხალხი. იმასაც ვგრძნობთ, რა მეთოდებით ებრძვიან ქართულ ოცნებას, როგორ აშინებენ ხალხს, მაგრამ ჩვენ მაინც გამოვალთ და დავაფიქსირებთ, რომ დაიწყო ჩვენი აქტიურობა. თბილისის რამდენიმე უბნიდან დაიძრება ტალღა და შევიკრიბებით თავისუფლებაზე. თუ დაგვაცალეს, სიტყვით მივმართავთ ხალხს. ამის შემდეგ დაიწყება ხალხისათვის ჩვენი პროგრამების დეტალურად მიწოდება. და გარწმუნებთ, რომ ყველაფერი, რაც ნათქვამი იქნება პროგრამებში, შესრულდება. ვიცი, რომ მოსახლეობას აღარ სჯერა დაპირებების, მაგრამ ნახავთ, რომ ამჯერად დანაპირები შესრულდება. ასე რომ 27-ის მერე ძალიან საინტერესო პროგრამებს მივაწოდებთ საზოგადოებას. მთავარია, გაბედეთ და დადექით ჩვენს გვერდით, როგორც გაბედა ზვიადაურმა, პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. დარწმუნებული ვარ ბევრი გადადგამს მსგავს ნაბიჯს. ხომ საშინელი მდგომარეობაა ქვეყანაში, სოფელი დაიშალა, ბიზნესი ჩავარდნილია, წარმოება მოგვიკლეს, მაგრამ დამერწმუნეთ, საქართველო ისეთი ქვეყანაა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, რენესანსი დაიწყება ჩვენს ქვეყანაში, სწორი საგარეო პოლიტიკით მოვაგვარებთ მეზობლებთან პრობლემებს და დავიბრუნებთ ბაზრებს, რაც ესოდენ აუცილებელია ქართველი გლეხისთვის, რომელმაც არ იცის, სად უნდა წაიღოს თავისი მოყვანილი პროდუქცია. მალე გამოქვეყნდება ქართული ოცნების პროგრამა სხვადასხვა დარგში და ნახავთ, რა პერსპექტივებია საქართველოში, რამდენის გაკეთება შეიძლება, რათა ხალხი მართლა დაბრუნდეს და დაიწყოს ნორმალური ცხოვრება.

**„კავკასია“**

# unda vizeimoT Tu ara 26 maisi?



***გურია ისეა გავერანებულ-გაპარტახებული, რომ გურულები ენამოსწრებულად ამბობენ, ჩვენი ერთადერთი შემოსავალი (შემოსავლელი) ჭიშკარიაო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვეულ ტრადიციას ღალატობენ და ქვეყნის პოლიტიკური წარსული და მომავალი აღარ აინტერესებთ.***

***ორიოდე დღის წინ რედაქციაში ერთი ნაღდი პატრიოტი გურული, ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგული კაცი თამაზ შათირიშვილი გვეწვია და ასეთი რამ გვიამბო:***

— იმ ხანებში, როცა უზენაესი საბჭო ჩამოყალიბდა და ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი გახდა, თბილისში ხშირად ჩამოვდიოდი, დავრეკავდი კანცელარიაში, მომიმზადებდნენ საშვს და ვესწრებოდი სხდომებს.

ერთ დღეს განიხილეს საკითხი არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულის აღდგენის შესახებ. მე და სულგანათლებული გურამ შარაძე გვერდიგვერდ ვიჯექით დარბაზში იარუსებზე. ისიც არ იყო დეპუტატი და როგორც მე, ისიც სტუმრის სტატუსით ესწრებოდა უზენაესი საბჭოს სხდომებს.

გამოვიდა ზვიად გამსახურდია, დარბაზი გაისუსა. პრეზიდენტმა საუბარი დაიწყო უქმე დღეების მნიშვნელობაზე, ბოლოს აღნიშნა: საქართველოში თავსმოხვეული, არაეროვნული, არამართლმადიდებლური დღესასწაულები ბევრია და ჩვენც ვზეიმობთ, აუცილებელია მათი აკრძალვა და ეროვნული, მართლმადიდებლური დღესასწაულების დაწესებაო. დაადგინეს, რომ აკრძალულიყო 8 მარტი, 1-2 მაისი, 9 მაისი, 7-8 ნოემბერი და საზეიმოდ და უქმე დღეებად დარჩენილიყო ახალი წელი, რომელსაც დაემატა სახელმწიფოებრიობის, და დამოუკიდებლობის აღდგენის დღე — 26 მაისი და საეკლესიო დღესასწაულები — ნათლისღება, აღდგომა, მცხეთობა, მარიამობა, გიორგობა და შობა. უქმე დღედ გამოცხადდა აღდგომის მეორე დღეც. მაშინ წამოდგა დარბაზში მზექალა შანიძე და მიმართა ზვიად გამსახურდიას: ბატონო ზვიად, ჩვენ, ქალები ვართ იმის ღირსი, რომ წელიწადში ერთი დღესასწაული გვეკუთვნოდესო? ზვიადი დაეთანხმა. ქალბატონმა მზექალამ განაგრძო — მიმაჩნია, რომ ქალთა დღედ თამარობა — 14 მაისი უნდა დაწესდესო. შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, როინ მეტრეველმა დაასახელა 1 ივნისი — საქართველოში წმინდა ნინოს შემობრძანების დღე. ზვიად გამსახურდია არც ერთ არჩევანს არ შეწინააღმდეგებია, მაგრამ ბოლოს ადგა და თქვა: მეც მაქვს ჩემი მოსაზრება — საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ომებში ღვთისმშობელი გვიფარავდა და ამიტომაც მოვაღწიეთ აქამდე. მიმაჩნია, რომ ქალთა დღესასწაულად დასახელდეს მარიამობა. თუ ჩემი წინადადება გაიმარჯვებს, ეს დღე იქნება ყველა ქალის დღესასწაული, მარიამ ერქმევა მას, ნინო თუ მაყვალაო.

ზვიადის წინადადებამ გაიმარჯვა. ამ გადაწყვეტილებას დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა.

**— პატივცემულო თამაზ, 26 მაისთან დაკავშირებით დღეს აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ამბობს, 26 მაისი ძველი სოციალ-დემოკრატების დღესასწაულიაო, ზოგი ამბობს — მერაბ კოსტავას დაბადების დღეო. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ დღემ შარშანდელი 26 მაისის შემდეგ სხვანაირი ელფერი შეიძინა.**

— შარშან 26 მაისს დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ მე ახლა მოგითხრობთ, როგორ დაწესდა 26 მაისი დამოუკიდებლობის დღედ. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე რეფერენდუმი ჩატარდა. დასმული იყო კითხვა: გსურთ თუ არა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა? გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თქვა: „დიახ“. მაგრამ შემდეგ ნოემბერში უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ დამოუკიდებლობის დღეს ვიზეიმებდით 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილი ტრაგედიის პატივსაცემად.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება. იმ დღეებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუასურებში ვიყავი დაკრძალვაზე. იმ წელიწადს 7 აპრილს იყო აღდგომა, სამშაბათს კი ჩემი ბიძაშვილის დაკრძალვა. დასაფლავების მეორე დღეს ცხენიანმა ფოსტალიონმა მომიტანა დეპეშა, სადაც ეწერა — გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას. შენი „ბორია“. „დობიროში“ (უბანს ჰქვია) დენი არ იყო და სოფლის ცენტრში გავიქეცი, ეს ამბავი მართალი თუ არის, ვინმეს მაინც ეცოდინება-მეთქი. —კიო, გამოაცხადეს დამოუკიდებლობაო, — დამიდასტურეს მეზობლებმა. თუკი ვინმეს ვიცნობდი ზვიად გამსახურდიადან დაწყებული აკაკი ასათიანი, ბურჭულაძე, ყველა მოვიკითხე და მივულოცე. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა მაშინ...

**— 3 მარტი დედის დღედ ვინ გამოაცხადა, თამაზ ბატონო?**

— ეს ამბავი ასე მოხდა: პარლამენტის ერთ-ერთ რიგით სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერი, შევარდნაძეს რომ თვალებში შესციცინებდა, რუსუდან ბერიძე გამოვიდა და მიმართა შევარდნაძეს: ბატონო ედუარდ, ჩვენ, ქალებს, მოგვწონდა 8 მარტის დღესასწაული, მაგრამ ერთმა კაცმა გაგვიუქმა. ისე თქვა, ყველამ იგრძნო, ზვიად გამსახურდიას რომ გულისხმობდა, მაგრამ მისი ხსენება, როგორც „უხსენებლის“ ისე არ უნდოდა.

— რომელი დღე? — ჰკითხა შევარდნაძემ.

— აი, თუნდაც ხვალინდელი დღეო, — უპასუხა რუსუდან ბერიძემ. იმ დღეს 2 მარტი იყო. ასეთი დიალოგი გაიმართა მაშინ ამ ორ სამარცხვინო გურულს შორის და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დააწესეს დედის დღედ 3 მარტი.



სამწუხაროდ, რატომღაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად აცხადებენ, 3 მარტი დედის დღედ ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადაო, მაგრამ ასე არ არის. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნოდარ ნათაძემ პირდაპირ თქვა ასეთი რამ— „დედის დღის“ დაწესება უზენაესი საბჭოს დამსახურებაა და ვამაყობ ამითო.

მოკლედ, ჩემო ირანდა, მთელ საქართველოს უნდა გავაგებინოთ, რომ ზვიად გამსახურდიას 3 მარტი დედის დღედ არ გამოუცხადებია. ზემოთ გითხარით, რომ მან ქალთა დღედ 28 აგვისტო, ღვთისმშობლობა აღიარა და ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო. ჯერ ერთი, როგორც ამბობენ, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია. თვითონ ზვიად გამსახურდიაც ამბობდა: ყოველ დილით რომ ვიღვიძებ ილიას ლექსით ვიწყებ ლოცვას და ამორ სტრიქონს ორჯერ ვიმეორებო:

*„მოჰმადლე ქართველს*
*ქართველის ნდობა და*
*სიყვარული*
*და აღუდგინე მშვენიერი*
*ესე მამული“.*

ასე, რომ ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობით კანონიერად არჩეული პრეზიდენტის გადაწყვეტილება სწორია, ეს დღესასწაულები უნდა ვიზეიმოთ.

**ირანდა კალანდაძე**

# `quCis aqcia unda iyos ara centraluri, aramed damatebiTi politikuri komponenti~

**ვესაუბრებით ექსპერტ-პოლიტოლოგს, ბატონ პაატა ზაქარეიშვილს**

**— 27 მაისს „ქართულ ოცნებას“ მასშტაბური აქცია აქვს დაგეგმილი. რას იტყვით „ქართული ოცნების“ ამ ინიციატივის შესახებ?**

— თუ ჩემი მოსაზრება გაინტერესებთ, მოგახსენებთ: ვინაიდან „ქართულ ოცნებაში“ მიღებულია ამგვარი გადაწყვეტილება, მაშინ უნდა შედგეს კიდეც. მე არ გახლავართ პოლიტსაბჭოში. თუ პარტიის პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა, რომ საჭიროა წინასაარჩევნო კამპანიისთვის, ამას პატივი უნდა ვცეთ და უნდა ჩატარდეს კიდეც. როცა პარტიაში განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად უმრავლესობა ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობს, ესე იგი, ეს კარგად მოფიქრებული, აწონ-დაწონილი და გათვლილი ღონისძიებაა.



**— ანუ მიგაჩნიათ, რომ ეს სასარგებლო იქნება წინასაარჩევნო კამპანიისთვის?**

— მოგეხსენებათ, რომ მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ქუჩის აქციებითა და რევოლუციებით ხელისუფლების ცვლილებების. თუ აქციის დროს გაჩნდება ლოზუნგი „მიშა წადი!“ და ამგვარი რაღაცები, ჩემთვის მიუღებელი იქნება. თუ განაცხადია იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიას ემსახურება და საბოლოო ჯამში არჩევნებით იცვლება ხელისუფლება, მისაღები ფორმა იქნება. ქუჩის აქცია უნდა იყოს არა ცენტრალური, არამედ დამატებითი პოლიტიკური კომპონენტი. დიდი იმედი მაქვს ცენტრალურად არ გადაიქცევა.

**— ყველასთვის მოულოდნელად გასულ კვირას ერთ მშვენიერ დღეს მთელი სიმწვავით წამოიჭრა დავით-გარეჯის პრობლემა, ხომ არ შეიძლება მოხდეს ისეც, რომ უცბად მოგვახსენონ, რომ ისეთი და აფხაზეთი ჩვენი არ იყო და არც იქნება?**

— სამწუხაროდ ეს „ერთი მშვენიერი დღე“ სააკაშვილმა უკვე არაერთხელ მოსინჯა. მან ხომ აღნიშნა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო. ეს არავითარ შემთხვევაში არაა შემთხვევითი წამოცდენა. ბოლო ორი წლის მანძილზე სააკაშვილს პარლამენტის წინაშე თავის გამოსვლებში არცერთხელ არ უხსენებია აფხაზეთი და სამაჩაბლო. უცბად კი აცხადებს აფხაზეთი ჩვენი არასდროს ყოფილაო. ამ ფონზე თავისთავად გარეჯის საკითხი არ არის შემთხვევითი. ასევე არც აზიზიეს მეჩეთის პრობლემა, საერთოდ აქ მეჩეთზეა საუბარი თუ რაზე, ბუნდოვანია. მიხეილ სააკაშვილს სჭირდება გადაიტანოს ყურადღება, ახლო მომავალში ჩიკაგოს სამიტია. ასევე სულაც არ გახლავთ შემთხვევითი გასულ კვირას სექსუალურ უმცირესობათა და ჰომოფობების აქციები. უნდა ავყვეთ თუ არა ჩვენ ამ განცხადებას და აქციებს? როცა რაღაც პოლიტიკურ ნაბიჯს ვდგამთ, უნდა დავფიქრდეთ ხომ არ ვთამაშობთ პრეზიდენტის თამაშის წესებით? სიტყვით თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. არავინ ზღუდავს ჰომოსექსუალისტებს, ასევე ჰომოფობებსაც. თუ რაიმე ან ვინმე არ მოგვწონს, გამოდი, ცალკე ჩაატარე მიტინგი თუ აქცია. დარბევები და ამგვარი რაღაცები ისევ მიხეილ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. მას სურს აჩვენოს მსოფლიოს — ხომ ხედავთ, მე როგორი დემოკრატი პრეზიდენტი ვარ, ჩემს მოქალაქეებს ნებისმიერი მოსაზრებით შეუძლია გამოვიდნენ, აქცია ჩაატარონ, სხვები კი მებრძვიან...

**— ანუ შესაძლებელია ეს ყველაფერი და დავით-გარეჯის საკითხიც სპეკულირების თემა გახდეს?**

— დავით-გარეჯი ყოველთვის სადავო იყო და არც დღეს არ წყდება ეს საკითხი. ყოველ შემთხვევაში, იმედია, რომ დღეს არ წყდება. იმედია, სააკაშვილს ამაზე ხელი არ მოუწერია. ეს საკითხი არჩევნების მერეც იქნება სადავო. თუ სააკაშვილი გაურიგდა აზერბაიჯანულ მხარეს და ხელი მოაწერა რაღაცას, ეს უკვე საშინელებაა. უხეშ მაგალითს მოვიყვან: მკვლელის დასჯით მოკლულს ვერ გააცოცხლებ. შესაძლოა გარიგება გულისხმობს შემდეგს. შეპირდა რაღაც-რაღაცებს, მისცა უფლება გაამაგრონ პოზიციები, ოღონდ სანაცვლოდ აზერბაიჯანულენოვანმა მოსახლეობამ მე მომცეს ხმაო. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ჩვენთვის, ყველასთვის უმჯობესია ემოციები გვერდზე გადავდოთ და სააკაშვილი შევცვალოთ. სანამ ჩვენ მას არ შევცვლით, ვერ მივხვდებით რას აკეთებს. იგი არის გაუმჭვირვალე ფიგურა, პოლიტიკურად კორუმპირებული და არ ვიცით რას აწერს ხელს. ოქტომბრის მერე გავერკვევით ყველაფერში. რაც არ უნდა მიტინგები ვატაროთ, არაფერი გამოვა. ვიმეორებ: ამითი შეიძლება მის წისქვილზე ვასხამდეთ წყალს. უნდა გავერკვეთ მის საქმეს ხომ არ ვაკეთებთ, არ გავუმყაროთ პოზიციები.

**თამუნა ქადაგიძე**

# xelisuflebas, romelsac xalxisena ar esmis, isam xalxsar undamarTavdes

ორ სუბიექტს, ჩვენს შემთხვევაში ხელისუფლებასა და ხალხს, კონსტიტუციით ერთმანეთთან ურთიერთობა ევალება. ორის ასეთი ერთმანეთთან შეუთავსებლობის პირობებში კი ეს ორი ერთმანეთს უნდა დაშორდეს. ასეა, ოჯახის შემთხვევაშიც, ერთმანეთთან ურთიერთობაზე პასუხმგებელი ორი პირის – ცოლ-ქმრის ურთიერთობა თუ გაუსაძლისი ხდება, ისინი ერთმანეთს კანონის ძალით შორდებიან. გამონაკლისს, ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი წარმოადგენს. მათ "ჯვარი ისევ იმან უნდა აჰყაროს", ვინც დაწერა- ანუ ეკლესიამ. ისიც გარკვეულ შემთხვევებში ახორციელებს ამას. ცოლ-ქმრული ურთიერთობა სუბიექტებს შორის, კანონით მოწესრიგებული ფორმისთთვის მოვიტანე თორემ, ჩვენ სააკაშვილსა და მის გუნდზე არც "ჯვარი დაგვიწერია" და არც "უბედურებასა და სიხარულში, ავადმოყოფობასა და ჯანმრთელობაში თუ სიკვდილამდე ერთად ყოფნის" ფიცი დაგვიდია უფლის წინაშე. ხელისუფლებასა და ხალხს შორის ურთიერთობასაც კონსტიუტუციაში აღნიშნული კანონი არეგულირებს, სადაც თეთრზე შავით წერია, რომ **"საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი"**. არც "ხალხის სახელით მოსული" ხელისუფლების უზურპატორი ნაციონალების გუნდი და მით უფრო, არც სააკაშვილი და "ისტორიკოსი" დედამისი, რომელსაც მიაჩნია, რომ დავით გარეჯი (სადაც თამარის ფრესკაცაა განთავსებული) საქართველოს ტერიტორია არ ყოფილა, ხალხზე რომ არ ფიქრობენ, უტყუარი ფაქტია.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენად ქართულია აღიარებული და სამართალწარმოებაც წესით ქართულ ენაზე უნდა ხორციელდებოდეს, ნაციონალები და "ევროპულად მოაზროვნე ქართველები" ხალხისთვის სრულებით გაუგებარ ენაზე მეტყველებენ. ხალხსაც "ალბათ" ამიტომაც არ ესმის მათი. გლეხ კაცს ტელეეკრანიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე – "ივენთზე ვართ მიწვეულიო" რომ ეტყვი, რა უნდა გაიგოს. ამ "ივენთსაც" იმიტომ ხმარობს, რომ ნაცებისგან დანიშნულს, სჩანს ეს თანამდებობა ეგემრიელა და "ნაცურად ამეტყველდა", თორემ ათი წლის წინ ამ კაცისთვის რომ გეკითხათ "ივენთი" რა არისო – პირს დააღებდა. ავტობუსის "მონიტორინგიც"- ავტობუსში მოსახლეობისგან ბილეთების აღების მაკონტროლებელი და შემმოწმებელი პირები "მონიტორინგის სამსახურის" წარმომადგენლებად იწოდებიან. ამ დროს "კონტროლის პალატა", რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტში გაწერილი წლის ხარჯების შემოწმება და კონტროლი ევალება, "კონტროლის პალატაა" და კიდევ კარგი ჯერ "მონიტორინგის" არა. იმის ნაცვლად, სააკაშვილისა და ხელისუფლებისგან საქართველოს ბიუჯეტის უკონტროლოდ ხარჯვის კონტროლს, თუ "მონიტორინგს" ახდენდეს, ოპოზიციური პარტიებისა და პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის ფინანსების კონტროლითაა დაკავებული. ანუ, თუ კონტროლის პალატა იმისთვისაა შექმნილი, რასაც დღეს ახორციელებს, მას პირდაპირ **"არჩევნებში ნაციონალების დამარცხებისთვის დახარჯული ფულის კონტროლის პალატა"** უნდა ერქვას. ხელისუფლებას კი საკუთარი ხალხის რომ არ ესმის, იქედანაც სჩანს, რომ ეს რაღაც "განსხვავებულთა მსვლელობა" მიუხედავად ხალხისა და საზოგადოების უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულებისა, მაინც ჩაატარა. მთავარია, ამით ყველაზე მეტად კმაყოფილი "ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს"- აშშ-ს ელჩია საქართველოში. იგივე აშშ კი დეკლარირებულად აცხადებს, რომ ის ქვეყნების საშინაო საქმეებში არ ერევა და ამ ქვეყნებში "მხოლოდ დემოკრატიის განვითარებას უწყობს" ხელს.

ამ ე.წ. "განსხვავებულების" უმეტესობასაც, ეს "განსახვავებულობა" იმისთვის სჭირდებათ, რომ ზოგმა რაიონიდან ჩამოსულმა თუ თბილისში მცხოვრებმა, ამით მაინც მიაღწიოს რაღაც პოპულარობას და თან სოლიდური ფულიც იშოვნოს. ისინი ყველაფერში ხელმოცარული და წარუმატებელი ადამიანები არიან. ისინი, ვინც სხვაგან ვერსად ივარგეს და ამ ფორმით უნდათ პოპულარობის მოპოვება. ჩაატარეს "განსხვავებულთა მსვლელობა", გამოეყარნენ ქუჩაში და დონორ ორგანიზაციებსაც დაანახეს, რომ საქართველოშიც არსებობენ ასეთები. ამით რა, გვარიშვილობა მოემატათ, განათლება თუ ხალხის პატივისცემა? – მხოლოდ გაილახნენ და საზოგადოების კიდევ უფრო მეტი ზიზღი დაიმსახურეს. გინდ ქსენოფობია უწოდოს ამას ვინმემ და გინდა ფაშიზმი. როცა






ადამიანი უზნეობის მხადაჭერას ეწევა, ნორმალურ საზოგადოებაში ის ყოველთვის უარყოფით დამოკიდებულებას და ზიზღს იმსახურებს. ამ "განსხვავებულთა მსვლელობის" გარეშე საზოგადოებამ არ იცის, იგივე ხელისუფლებაში ვინ და რამდენია ასეთი? ბიჭოლას მეტი, თბილისში მაჟორიტარად წარსადგენი რომ აღარ დაგვრჩება, იმ ხელისუფლებამ "ქუდი მაშინვე უნდა დაიხუროს" და წავიდეს. თან ამით ისევ ევროპას უმტკიცებენ, თუ თქვენ გყავთ ქალაქის მერები და თანამდებობის პირი პედერასტები, აგერ ბატონო, ჩვენცა გვყავს მაჟორიტარობის დეპუტატი პედერასტიო. გაიარეთ ღამით ცირკის მიდამოებში. იქ, სადაც ადრე მეძავი ქალები იდგნენ, უკვე "განსხვავებულნი" დგანან. ოღონდ ეს განსხვავება არა ნიჭით, განათლებით, სამშობლოსთვის თავის გამოჩენით განსხვავებაა, არამედ უზნეობით, გარყვნილებით და პედერასტობით. გაესაუბრეთ არა ვანოს კომპანიის ტაქსისტებს და გეტყვიან ღამ-ღამობით რამდენი პედერასტი უჯდებათ მანქანაში და რას სთავაზობენ. ეს არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა, როდესაც ვიღაც გარყვნილი ასაკოვანი ან ახალგაზრდა ფულების დასტას გიფრიალებს და ხელების ფათურს გიწყებს? არ უნდა გადმოათრიო ასეთი მანქანიდან და გახეთქო ცემით? აშშ- ელჩიც და „დემოკრატიული ინსტიტუტებიც" გეტყვიან არაო. **იმიტომ, რომ ეს მათი გამოხატვის უფლება, ყოფილა**. ჩვენი, ხალხის უფლებები, სად არის ამ დროს? რატომ არა მაქვს უფლება იგივე უცხოელი, რომელიც შეურაცხყოფას მაყენებს, საკადრისად ვუპასუხო? იმიტომ რომ ჩემი და თქვენი კანონი, რომელიც სააკაშვილმა და ნაცებმა აშშ-ს დირექტივებით შეადგინეს, გვიკრძალავს უცხოელისთვის საკადრისი პასუხის გაცემას. **მას კი შენიც, შენი სიწმინდეებისაც, შენი ენისაც და ისტორიის შეურაცხყოფის უფლებაც აქვს და თუ მოუნდა, ხელების ფათურიცსაც.** ან რატომ, რა დამსახურებისთვის უნდა ეწოდოს თბილისის ქუჩას ჯერ ბუშის, ახლა ბარაქ ობამას და გინაც ალიევის სანაპიროს სახელი და რატომ არ უნდა ეწოდოს იგივე გურამ შარაძის?

სახელისუფლებო ტელევიზიებმა ყურები გამოგვიჭედეს: "რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში გაყიდული აქტივების ფულს საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენებსო". "საკითხავი ის არის, რაში გამოიყენებს ამ ფულს ივანიშვილიო", –ბრძანა ნაციონალების "მაჩალკად" ქცეულმა ჩოლოყაშვილმა. თამამად შეგვიძლია გითხრათ, რომ პედერასტების მოსამრავლებლად და მათი პროპაგანდისთვის, ბატონო ჩოლოყაშვილო. რასაკვირველია, რუსეთში ივანიშვილისგან საკუთარი ბიზნესის გაყიდვით აღებულ ფულს "ცუდი სუნი ასდის", სამაგიეროდ არაბების, თურქების და პედერასტობისთვის გამოგზავნილ ფულს ექნება ისეთი "კეთილშობილი სურნელი", მთელს საქართველოს "საკმეველივით" რომ მოედება. თანაც, ეს ფული ევროპულია!. გარეჯის თემასაც, ალბათ, „პედერასტობის გამომზეურების" საკითხიდან ყურადღების გადასატანად იყო საჭირო, თორემ დავით გარეჯი აზერბაიჯანელების არასდროს რომ ყოფილა, ჩვენზე უკეთ მათ იციან, მაგრამ მაინც მოსინჯეს. ეს სულგაყიდული სააკაშვილი ყველაფერს ყიდის და თუ გაუვათ, რატომ არ იყიდიან? **შემთხვევითი არაა, რომ ეროვნული გამოღვიძების ყველა ეტაპი გარეჯის თემით იწყება!**

ხელისუფლებისა და ხალხის სხვადასხვა ენაზე საუბრის კიდევ ერთი ფაქტია უნარების ტესტები, რომელის გარეშეც ქართულ საზოგადოებას არც უმაღლესში მოწყობა, არც სამსახურის დაწყება შეუძლია სადმე, რადგან გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი "აიქიუ"- ანუ ინტელექტის კოეფიციენტი, უცხოელზე აუცილებლად დაბალია! იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ ეს უნარები "ევროპელი ინტელექტუალების ტესტებიდან" ითარგმნება და "აქოური ინტელექტუალების აიქიუც" მათ სწორად ვერ თარგმნის. "ევროპელის აიქიუც" გენეტიკიდან გამომდინარე, სრულებით განსხავებულია. მაგალითად: "მოხუცი მამა და ახალგარდა ძმა გეხრჩობა, გადარჩენის შანსი კი მხოლოდ ერთის გაქვს. სწორი პასუხია – მამა, იმიტომ, რომ ძმა ქონების მეწილეა". ასეთი პასუხი მხოლოდ "ევროპული აიქიუს" (ინტელექტუალის კოეფიციენტს) შეესაბამება და არა ქართველისას. საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის აღებისას გათვალისიწინებული ტესტების გამკაცრებული ფორმით ტესტირებაც ისევ მხოლოდ ივანიშვილის გამო გახდა საჭირო. საარჩევნო კანონების მცოდნე ივანიშვილის ბევრმა მომხრემ სერტიფიკატი არ უნდა აიღოს და ცესკო დავების დროს მონაწილეობა ვერ უნდა მიიღოს. ივანიშვილამდე ჩატარებული ტესტირებებისას, ჯერ შავი ვარიანტი იწერებოდა და შემდეგ თეთრ პირში გადაჰქონდათ (ყველა გამოცდაზე წესით ასეა). შუაში შესვენებასაც ითვალისწინებდნენ. ახლა პირდაპირ საბოლოო ვარიანტში პასუხობს ადამიანი. აპარტზე შემთხვევით არასწორად ხელის დაჭერის შემთხვევაში პასუხის გასწორება უკვე შეუძლებელია. მათემატიკური ტესტებიდან, აშკარად ნათარგმნი ყველაზე იუმორისტული ტესტი მაჩვენეს, რომლის თარგმანში კანდიდატების სახელები ქართული ვარიანტით შეიცვალა: **სამი კანდიდატიდან, ერთი ანაია, მეორე ბანაია და მესამე განაიაა**. ამან ტესტებში მომეცადინეებს, ბავშვობაში გაგონილი უზრდელი ბავშვების გათვლა გაახსენა და მეც, (ბოდიშის მოხდით) გაგახსენებთ მხოლოდ დასაწყისს: **"ანაცუა, ბანაცუა. ...."** ანაია- ბანაია-განაიაზე სხვა ასოცირება არ შეიძლება გაგიჩნდეს და მისი მთარგმნელიც, ალბათ, ამ ფრაზის შთაგონებით ხელმძღვანელობდა. **აქსიომად შეიძლება ჩავთვალოდ, რომ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ენა არ ესმის– ის ამ ხალხს არ უნდა მართავდეს! მე, დანარჩენ თბილისელებთან ერთად, 27-ში მივდივარ თავისუფლების მოედანზე. დანარჩენებმა თავისი საქმის თვითონ გადაწყვიტონ. ბრძოლა იწყება და ეს ბრძოლა გამარჯვებით უნდა დასრულდეს, იმის მიუხედავად, ვინ მოგვწონს იქ დღეს და ვინ – არა!**

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `marTlmadidebel mSobelTa kavSiris~ wevrebs da sasulier o pirebs apatimreben!

როგორც ცნობილია, 17 მაისს, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი, ფერად-ფერადი პლაკატებით და უცხოელი ინსტრუქტორების თანხლებით, უკაცრავად და „მეტრაკე" გოგო-ბიჭებმა რუსთაველის გამზირის „დასალაშქრად" აქცია მოაწყეს! როგორც მოსალოდნელი იყო. მათ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი" გადაეღობა და ეზოს წინ გაგრძელების საშუალება არ მისცა!

ქართველმა და არამარტო ეროვნებით ქართველმა მოქალაქეებმა, 17 მაისს ტელეეკრანებიდან შეიტყვეს, რომ თბილისში, დღისით, მზისით უსქესო ახალგაზრდების ჯგუფს ხელში პლაკატები ეკავათ, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი"! რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის მიუღებელმა ამდაგვარმა მსვლელობამ, დიდი ვნებათაღელვები გამოიწვია და რა გასაკვირია, რომ ვინმეს ამ ახალგაზრდებისთვის, ან წიხლი ამოერტყა, ან სახეში გაერტყა, ანდა სულაც მიეფურთხებინა?

ცნობილია, რომ უფალმა ცეცხლის წვიმა გამოუგზავნა მათ, ვინც გაუკუღმართებული სქესობრივი მიდრეკილებებით ცხოვრობდა და ამ ქალაქს – სოდომი ერქვა, (დღეს კი მკვდარი ზღვაა იმ ადგილას), მაგრამ ვიდრე ამდაგვარი ცოდვებისათვის ღმერთი საქართველოსთვისაც მოიცლის, არ უნდა დავფიქრდეთ, – ხატების სისხლით ტირილი, მიწისძვრა, ღვარცოფი და მრავალი სხვა უბედურება, რომელიც საქართველოში გახშირდა, რატომ ხდება?

მიხეილ სააკიანი ჩიკაგოს სამიტზე გამოსვლის დროს მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის – „მე ის პრეზიდენტი ვარ, ვინც ქართველებს მენტალობა შეუცვალაო" და ახლა მითხარით, ამ ტრაკის მიმცემ ბიჭებს, ამ ლესბოსელ გოგოებს, სააკაშვილის ხელისუფლების ხელშეწყობა რომ არ ჰქონდეთ, თავიანთი ცოდვის ბუნაგებიდან თავების გამოყოფას გაბედავდნენ? ქალაქის ცენტრში შეიკრიბებოდნენ და საკუთარი გარყვნილების პროპაგანდას გაწევდნენ?

თურმე ნუ იტყვით და, საქართველოს მოსახლეობის 99 პროცენტი, რომელიც ამდაგვარ პროპაგანდას აპროტესტებს, იმიტომ რომ ეს გარყვნილები დაჟეჟეს, არატოლერანტულები, სხვისი უფლებების შემლახავები და სისხლის სამართლის დამნაშავეები ყოფილან, ხოლო ამ პედერასტების და ლესბოსელების უფლებების დამცველნი კი – უპირველესი ქართველნი!

„პოლიციამ შესაბამისად არ იმოქმედა", „ვინ არიან ბოლოს და ბოლოს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი" და ის შაოსნები, მშვიდობიან აქციას, რომ არბევენ და მათ ამის გამო არავინ სჯის?" „17 მაისის აქციის ხელისშემშლელ პირებზე, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება და დამნაშავე პირები, მკაცრად უნდა გასამართლდნენ", – აი ამდაგვარი შეფასებები გაკეთდა გუშინწინ საზოგადოებრივი არხის გადაცემაში, რომელიც ეკა კვესიტაძეს მიჰყავს და რომლის სტუმარიც ვინმე ზურაბ ჯაფარიძე იყო!

როგორც აღნიშნული გადაცემიდან გამოიკვეთა, უფლებათადამცველმა ვინმე ზურაბ ჯაფარიძემ ხელისუფლების პოზიცია დააფიქსირა და დიდი ალბათობით არათუ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წევრებს, არამედ იმ სასულიერო პირებსაც დააკავებენ, რომელნიც წლების განმავლობაში, სწორედაც, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საექსპერიმენტო, ანტიმართლმადიდებლურ ქმედებებს ეწინააღმდეგება!

საზოგადოებას აგრეთვე კარგად ახსოვს, ისიც რომ სწორედ ამ სასულიერო პირების წინააღმდეგ განხორციელდა სატელევიზიო პროვოკაცია, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიაში" მოხდა და ამ ვერაგი ჩანაფიქრის მსხვერპლი გახდა, ის 8 მართლმადიდებელი ვაჟკაცი, რომლებსაც დავით აქუბარდიამ, ნინო ჯანგირაშვილმა, ალეკო ელისაშვილმა, ნინო ზურიაშვილმა და სხვა სიმახინჯეებმა გამოძახებულ პოლიციას დააპატიმრებინეს. მოგვიანებით, 5-8 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა სააკაშვილის სასამართლომ! არადა, როგორც გვახსოვს მაშინ, ვინმე გადაგვარებული „მწერლის" ერეკლე დეისაძის „წიგნის" „საიდუმლო სირობის" წინააღმდეგ მოეწყო მსვლელობა და პირადად მამა დავით ისაკაძემ მითხრა: – „ილიას უნივერსიტეტში", მსგავსი „ლიტერატურის" საპრეზენტაციო ღონისძიებები, ხშირად ეწყობაო! სხვისი არ ვიცი, მაგრამ მაშინ ინტერვიუში პირადად მითხრა „რესპუბლიკელმა" დავით ზურაბიშვილმა, რომ: „მეც ვესწრებოდი პრეზენტაციას და მინდა გითხრათ, რომ დეისაძის ამ წიგნში, დიდად აღსაშფოთებელი, არაფერი ამომიკითხავსო!" ახლა, ძნელია, გემოვნებაზე იდავო, მით უმეტეს ინტელექტუალ „რესპუბლიკელებთან", მაგრამ – „დედაჩემი, როცა ღვთისმშობლის სადიდებელ ლოცვას კითხულობს, მაშინ მიდ...ბაო"– როცა წერს ვინმე დეისაძე, თუ ქრისტიანი გქვია და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ცხოვრობ, არ უნდა იდავო კი არა, არ უნდა აღშფოთდე „ძვირფასო" დავით?

მოკლედ ეს ამბავი სულ რაღაც 3 წლის წინ მოხდა და ამგვარი უხამსობის წინააღმდეგ გაილაშქრეს მაშინ „იმ შავოსნებმა" სასულიერო პირებმა (ასე ეძახის ჯაფარიძე მღვდლებს) ი.გ. „მართლმადიდებელ მშობელთა



კავშირთან" ერთად, მათ აგრეთვე გაილაშქრეს ფერიის მთაზე დანგრეული ეკლესიის დამანგრეველთა წინააღმდეგ! ბათუმში „გეი აღლუმის" გამართვის წინააღმდეგ! გაილაშქრეს 8 მართლმადიდებელი ვაჟკაცის დაპატიმრების წინააღმდეგ და ახლა, როცა საკუთარი იდეოლოგიის საპროპაგანდოდ გამოსულ „გეი" მეტრაკეებსაც გადაუდგნენ წინ და ყველა მართლმადიდებლის 99 პროცენტის უფლებები დაიცვეს – დასაჭერები და გისოსებს მიღმა შესაყრელები არიან იმიტომ, რომ სააკაშვილის პედერასტ ხელისუფლებას ასე სწადია?

ვინმე ზურაბ ჯაფარიძეს თუ პედერასტები და ლესბოსელები მოსწონს, ისევე როგორც ზოგიერთ პარტიას, არასამთავრობო სექტორის ზოგიერთ წარმომადგენელს და ა.შ. – ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ტყუპტყუპად გააჩენინოთ საკუთარ ოჯახებში, გვარში და ჯიშში არ მოაკლოს ასეთები! მაგრამ, ვისაც არ მოგვწონს – ცხვირწინ ნუ გვიფრიალებთ თქვენს პლაკატებს და რაც მთავარია, ნუ ცდილობთ, რომ ჩვენი ბავშვების ტვინებზე იძალადოთ, გასაგებია?

მთელი უბედურება იმაშია, რომ ღვთისპირიდან გადავარდნილი ზურაბ ჯაფარიძისთვის, თეა თუთბერიძისთვის, „გეების" დამცველი არასამთავრობოებისთვის და ზოგადად, სატანების ბუდედ წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტისთვის" ამ უბედური პედერასტების უკანალების დაცვას, თავისი მიზეზი აქვს. კერძოდ, კი ის, რომ – პედერასტების უკანალებიდან, უწყვეტად მოედინება მწვანე „დოლარები" გრანტების სახით და ისევე, როგორც ხშირ შემთხვევაში, – მას სუნი არ აქვს!

თუკი ხელისუფლებად წოდებულმა დამნაშავეთა ხროვამ გაბედა და დააპატიმრა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი"-ს წევრები და სასულიერო პირები, ჩემი აზრით, სწორედ ეს უნდა გახდეს მასიური მღელვარების დაწყების ათვლის წერტილი და ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს მათ დასაცავად! არადა, როგორც ჩანს, მათ აუცილებლად დააპატიმრებენ!

მინდა პერსონალურად მივმართო ვინმე ზურაბ ჯაფარიძეს: „ბატონო" ზურაბ! მეც და საზოგადოებას ძალიან გვაინტერესებს – თქვენი შვილი (ბიჭი) სახლში საკუთარი სურვილით გაუპატიურებული რომ მოვიდეს, თოფს გაისვრით სიხარულის ნიშნად, მეზობლებს, ნათესავებს და მეგობრებს შემოიკრებთ სუფრაზე და მისი დავაჟკაცების სადღეგრძელოს, დიდი ყანწით შესვამთ? თუ, სირცხვილისგან ინფარქტი დაგემართებათ?

ჩემი ღრმა რწმენით, მეორე ვარიანტი უფრო რეალურია და ამას, სამედიცინო ტერმინი კი არა– ის „ფობია" ერქმება, რომლის წინააღმდეგაც ასე თავგამოდებით „იბრძვით"! თქვენ და თქვენს პრეზიდენტს, რომ გგონიათ მენტალობა შეგვიცვალეთ ქართველებს, ძალიანაც შემცდარხართ! ამგვარი „ფობიები" ჯანმრთელ ქართველობას უხსოვარი დროიდან მოგვყვება და ღვთის მადლით, ცოდვილი დედამიწის აღსასრულამდე ასე იქნება, თქვენნაირების ჯინაზე!

რაც შეეხება, იგივე ზურაბ ჯაფარიძის შეფასებას, „პოლიციამ შესაბამისად ვერ იმოქმედაო", – ნეტავ რას გულისხმობდა? ალბათ, იმას, რომ უნდა ეცემათ მღვდლები, აღშფოთებული ხალხი და ის ბავშვებიც ზედ უნდა მიეყოლებინათ, რომლებიც სკოლებიდან შინ მიმავალნი, გაფართოებული თვალებით კითხულობდნენ „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი"-ო.

პოლიციას როგორ შევაქებ, მაგრამ ჩემს სანაცნობოში ერთი-ორი მაღალჩინოსანი პოლიციელი, ამ რამდენიმე დღის წინ მეუბნებოდა – „ომში წასვლა და იქ სიკვდილი გვირჩევნია, პიდარასტების დასაცავად წასვლასო!

აი, ზურიკო! რას ფიქრობენ ქართველი პოლიციელები თქვენისთანებზე და მადლობა ღმერთს, რომ ასე ფიქრობენ!

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობენ პარლამენტარებად წოდებული გვამები და კანონპროექტს „ერთსქესიანი ქორწინების" შესახებ ახალი პარლამენტის შენობაში, ალბათ, მალე დააკანონებენ!

17 მაისს „გეი" გასეირნება კი, ჩემი ღრმა რწმენით, ამ კანონის პრელუდია იყო!

**ირინე გოგოსაშვილი**

# gogi qavTaraZe: iseTi rameebi xdeba, meCveneba, rom qveyanas patroni ar hyavs

*ინტერვიუ რეჟისორ*
***გოგი ქავთარაძესთან***

**– ბატონო გოგი, რა მნიშვნელობას ანიჭებთ 27 მაისს დაგეგმილ აქციას?**

– მე ვფიქრობ, რომ 27 მაისის აქცია გამაფრთხილებელი და სამაგალითოა. ამ დღეს ჩვენ დავინახავთ საზოგადოების განწყობას, თუ მოვა ხალხი, ეს იქნება „ხმა ღვთისა და ხმა ერისა". ჩემი აზრით, ბლომად ხალხი შეიკრიბება. ეს იქნება სიგნალი მომავალი არჩევნებისათვის. მართალია, აქცია თბილისში იმართება, მაგრამ ჩვენ დავინახავთ მომავალი არჩევნების კონტურებს.

**– როგორ აფასებთ კონსტიტუციის ასეთ ხშირ ცვლილებას, რომელიც ერთი ადამიანის გულისთვის ხდება?**

– ეს აბსურდია, სამარცხვინოც არის და არ შეიძლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვფიქრობ, იურიდიულადაც გაუმართლებელია. არ შეიძლება ყველაფერი შენს თავზე მოირგო. საზოგადოებასთან საერთო ენის გამონახვაა საჭირო, არ შეიძლება ასეთი დიფერენციაცია, როგორიც დღეს არის. ხალხმა საერთო, საქვეყნო საქმეზე უნდა იფიქროს და არა პირად კარიერაზე.

**– ამ ბოლო დროს წინ წამოიწია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხმა, რომელსაც ჩვენი მეზობელი ქვეყანა გვეცილება.**

– მე ვფიქრობ, რომ რაღაც ინფორმაცია ჩვენ, ხალხმა, ბოლომდე არ ვიცით, – ეს ერთ-ერთი მთავარია, რაც მინდა გითხრათ. ჩემი მოკრძალებული ცოდნით, ვიცი, რომ დავით გარეჯის კომპლექსი არ იყო აზერბაიჯანის საკუთრება. გაუგებრობაა! შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ – ტელევიზიებმა გვიჩვენეს ორი მესაზღვრე, საკმაოდ ინტელიგენტური, კარგი გარეგნობის, ჩამოყალიბებული ლოგიკით, ისინი ჟურნალისტების კითხვებს დელიკატურად პასუხობდნენ: – ყველა საკითხს ხელისუფლება გადაჭრის, მიდის მოლაპარაკებებიო. მივხვდი, რომ ეს ორი ადამიანი არ იყო მესაზღვრე. იმდენად სერიოზულ პრობლემად მიაჩნია აზერბაიჯანულ მხარეს ეს საკითხი, რომ იქ მოსულ ტურისტებს, ჟურნალისტებს მომზადებული ხალხი დაახვედრეს. როგორც რეჟისორს, შემიძლია თავი დავდო, რომ ეს ორი ადამიანი მესაზღვრე არ იყო, ესენი იყვნენ სერიოზულად მომზადებული ხალხი. ამით მივხვდი, რომ აზერბაიჯანული მხარისთვის მნიშვნელოვანია ეს საკითხი. პირველად არ ხდება, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ჰაიჰარად განიხილავს საჭირბოროტო საკითხებს. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მეზობლებთან ურთიერთობების საკითხებს. ჩვენ აზერბაიჯანთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, ფაქტობრივად, თანამოაზრეები ვართ ბევრ საკითხში და აქაც ბევრი ცხოვრობს აზერბაიჯანელი, იქაც ბევრია ქართველი, ყველამ ვიცით ეს. ჩვენ რომ ვხსნით აზერბაიჯანულ თეატრს, საინგილოში წიგნების ჩატანის უფლებას რატომ არ გვაძლევს იქაური მხარე? ვფიქრობ, უსამართლობაა. მართალია, ჩვენ არა გვაქვს ენერგორესურსები, მაგრამ ისინი უჩვენოდ ხომ ვერ გაიტანენ ამას, ამიტომ მათთვის საქართველო ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის, არადა, ვთხოვოთ ისტორიკოსებს, ვინც მუშაობს საზღვრების დემარკაციის საკითხზე, აუხსნან ხალხს, ახალგაზრდობას, რა მდგომარეობაა დღეს და, საერთოდ, რატომ მოხდა ეს გაუგებრობა. ეს არის, უბრალოდ, გაუგებრობა. როგორ შეიძლება დავით-გარეჯი, ვარძია სხვა



ქვეყანას ეკუთვნოდეს. ეს ხომ ჩვენი ფესვებია. არის კიდევ ერთი საკითხი, როცა ამბობენ, თითქოს ალბანური კულტურის ძეგლიაო. მართალია, დილეტანტურად ვმსჯელობ, ამიტომ, ყველამ მაპატიოს, მაგრამ დავით-გარეჯი არ შეიძლება იყოს ალბანური კულტურის; არ მინდა ვითარების გამწვავება, მაგრამ, როდესაც ასეთი ამბები ხდება, მეჩვენება, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს. არ შეიძლება მსგავსი საკითხები ჩვენს დონეზე წყდებოდეს. გამოდის, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ამბობს: ეს ტერიტორიები ჩვენი არასოდეს ყოფილაო. აბა, რა უნდაველაპარაკოთ აზერბაიჯანულ მხარეს, როცა ამას გეუბნება შენი ქვეყნის ჩინოვნიკი. გამოვიდეს და აგვიხსნას, რას ნიშნავს მისი განცხადება.

**– ბატონო გოგი, ხელისუფლება ხომ არ ცდილობს ხალხის ყურადღება არჩევნებიდან სხვა საკითხებზე გადაიტანოს, რათა შემდეგ მანიპულირება შეძლოს?**

– ხელისუფლების მომხრე ნამდვილად არ ვარ, მინდა ობიექტური ვიყო. მაგრამ შეიძლება, არის რაღაც ლოგიკა ამაში, თუმცა რაღა ეს ფაქიზი თემა აირჩიეს ხალხის ყურადღების გადასატანად. სხვა თემა მაინც აერჩიათ. ბევრი მსგავსი რამ ხდება დღეს საქართველოში. ამხელა ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, არ მინდა ვითარების გამწვავება, მაგრამ ტერიტორიული პრეტენზიები რომ სხვებსაც აქვთ, ფაქტია და ბოლოს რა დაგვრჩება, არ ვიცი. სამწუხაროდ, ვერ ვგრძნობ, რომ ვიღაცას ქვეყნისთვის გული შესტკივა. ზედმეტად დიპლომატურმა მიდგომებმა დაგვაკარგვინა აფხაზეთიცაა და სამაჩაბლოც, ყოველთვის ჩვენ რატომ უნდა დავთმოთ პოზიციები. რას ნიშნავდა ის, რომ გამოდის და ამბობს: აფხაზეთი ჩვენი არასოდეს ყოფილაო. ვიღაცა ტენდენციურობას დაგვაბრალებს, მაგრამ ამას რა პასუხი უნდა გასცე. ვიღაცამ დაგვიმტკიცოს, რომ თქვენი ტერიტორიები არ არისო და აღარ ვინერვიულებთ.

**– დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, მოახერხებს ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში გამარჯვებას?**

– მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვი. სურვილი და იმედი არის, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

**გია ბურდული**

# facebook

# xalxisazriT

გენერალური რეპეტიცია იწყებააააააა-ა)))))) ვაჩვენოდ ნაცებს კლასი და მათ მიერ დაქირავებულ ნდიასებს და მენდიაიებს)))) როგორი “დაბალი რეიტინგი გვაქვს!”

ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ცოტა რაღაც მეც გამეგება და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს 20 წამიანი კლიპი ტექნიკურად აბსოლუტურად გამართული პარამეტრებით არის გაკეთებული. ამ მცირე ქრონომეტრაჟიან ფირში (სულ 20 წამში) ბატონი ბიძინა იმდენად მოკლედ, ლაკონურად და ამავე დროს, ენერგიულად უგზავნის მესიჯს მოსახლეობას, რომ მისი შინაარსი თანაბრად ყველასთვის (საქართველოს თვითოეული მოქალაქისთვის) ცხადი და გასაგები ხდება. ჯერ ერთი, ბატონი ბიძინა, კამერის ობიექტივში მარჯვენა მხარეს დგას და მარცხენა ხელის მოძრაობით კადრში ვიზუალურ პროპორციებს აბალანსებს, მეორეც - მტრედს აბსოლუტურად სწორი სიმბოლური დატვირთვა აქვს მინიჭებული. ამიტომ, საერთოდ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მტრედი დამონტაჟებულია, თუ ნამდვილი. ამ შემთხვევაში მისი ფუნქციური დატვირთვა უფრო მნიშვნელოვანია:)))

ქუდზე კაცი! საკუთარი ოჯახების, მეგობრების, ახლობლებისა და სამშობლოს ნათელი მომავლის საძირკველში ჩადე ერთი ქვა. ის დროა, ყველა პირად კეთილდღეობაზე ზევით შენი სამშობლოს სიკეთე რომ უნდა დააყენო.. ის დროა, როდესაც გვეძლევა შანსი ავიხდინოთ “ქართული ოცნება”. ნუ დაელოდები კარგი დროის მოსვლას, თორემ უფრო გაახანგრძლივებ ცუდ დროს!

ყველა თავისუფლების მოედანზე!!! უფლება არ გვაქვს ამ დღეს სახლში ვიჯდეთ და იქიდან ვუგულშემატკივროთ “ქართულ ოცნებას”-ეს ოცნება ჩვენია და ჩვენ თავად, საკუთარი ძალისხმევითა და გონივრულობით უნდა ავიხდინოთ ის...

უფრო დიდი საქმე არ არსებობს, ვიდრე 27 მაისს თავისუფლების მოედანზე მისვლა და მშვიდობიან აქციაში მონაწილეობა. თუ ცოცხალი ხარ და გადაადგილება შეგიძლია. თუ გიყვარს შენი სამშობლო და გაღელვებს საქართველოს ბედი! თუ გაქვს ღირსება და გამცირებს ის ცხოვრება და ყოფა, სადაც ამ ხელისუფლების გამოისობით აღმოჩნდით — ყველა თავისუფლებაზე 27 მაისს!

ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა ჩვენი გვერდში დგომა-მან სასწორზე დააყენა მთელი თავისი ცხოვრება, ოჯახის სიმშვიდე და თავად ამოგვიდგა გვერდში დაშინებულ, დამცირებულ, დამშეულ ერს და ახლა ჩვენი ჯერია, როგორ ვიმარჯვებთ.. წინ, გამარჯვებამდე საქართველო!

ქართველები კარგად უნდა დავფიქრდეთ – იმ შემთხვევაში თუ ბიძინა ივანიშვილი დამარცხდება არჩევნებში, მაშინ ეს „ხელისუფლება“, კიდევ სულ ცოტა 15 წელი შენარჩუნებს ქვეყნის მართვის ძალაუფლებას და რაც მოგვივა ალბათ, ხვდებით. ამიტომ წაგება გამორიცხული უნდა იყოს!

27 მაისს ბიძინა ივანიშვილი სიტყვით მიმართავს თავისუფლების მოედანზე შეკრებილ მოსახლეობას. ეს იქნება საარჩევნო კამპანიის ცივილიზებული ფორმა, მშვიდობიანი აქცია.

ვინა თქვა ფოთი მიშას უჭერს მხარსო? იქ, სადაც ქართული ოცნება უნდა ახდეს, ნაცები ვერ იზეიმებენ :) ფოთში „ქართულმა ოცნებამ” უკვე გაიმარჯვა, შემოდგომაზე, უბრალოდ, იურიდიულად გავაფორმებთ.

მეგობრებო... პირადად მე 26 მაისიდან იქ ვიქნები, თქვენ 27-ში მშვიდად მოდით... :))))))))))))))))) ყველას დაგახვედრებთ ადგილს.. აბა, გელოდებით ...

დავანახოთ, რომ ძალიან ბევრი ვართ !!!ბრავოოოოოო)))) ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო... უკვე ეტყობა, რომ საუკეტესო მენეჯერი უდგას სათავეში კოალიცია ქართულ ოცნებას :)

*„ნაციონალებმა“ ქველმოქმედება კანონით აკრძალეს. თუმცა ეს კანონი მათ პირადად ივანიშვილისათვის მიიღეს. თორემ თვითონ, აკრძალვების მიუხედავად მშვენივრად უვლიან მას გვერდს.*

# saxelisuflo elitas saxelmwifo biujeti da `nacionaluri moZraobis~ fondi gaigivebuli aqvT

### ადმინისტრაციული რესურსის თვითმიზნობრივად გამოყენების ტიპიური მაგალითები

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უფასო სასადილო მზრუნველობა მოკლებულთათვის“. ამგვარი წარწერები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა, ქვეყნის არაერთ რეგიონში დააფიქსირეს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით პოლიტიკურ პარტიებს საქველმოქმედო საქმიანობა ეკრძალებათ. ეს ითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა, მითუმეტეს, რომ მზრუნველობამოკლებულებს ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები აფინანსებენ. ეს კი დამატებით, სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსის თვითმიზნით გამოყენების მუხლით კვალიფიცირდება.

ოზურგეთის გამგეობაში იმდენად არიან დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილნი ან იმ დონის არაპროფესიონალები სხედან, რომ არასამთავრობოებს დაუფარავად განუცხადეს, რომ მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოების გახსნა „ნაციონალური მოძრაობის“ პროექტია და მათ აქვთ უფლება სასადილოებს ინიციატორი პარტიის სახელწოდება მიაწერონო. მომხდართან დაკავშირებით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი დავით მესხიძე მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, რადგანაც მისი უშუალო მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ორგანოს მიერ დაფინანსებულ ობიექტებს. მითუმეტეს მაშინ, თუ ვინმე მათ პოლიტიკური მიზნით იყენებს. არა თუ წაახლისოს ამგვარი ქმედებები.

ანალოგიური წარწერის გამო ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან კონჯარიამ გაოცება ვერ დამალა – ამ სასადილოებს ავეჯი და სხვა ინვენტარი „ნაციონალური მოძრაობამ“ შეუძინა და აბრა რა პრობლემააო.

უფრო შორს წავიდნენ დუშეთის გამგეობაში. უფასო სასადილოზე გაკრულ აბრასთან ერთად „ნაციონალური მოძრაობა“ იტყობინება, რომ სურვილებისა და შენიშვნების შესახებ მოქალაქეები დაუკავშირდნენ დუშეთისა და მცხეთა-მთიანეთის „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონულ და სამხარეო ორგანიზაციებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს იურისტი ირინე ურუშაძე აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ეწევა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. ირიბად იყენებს სახელმწიფო (ამ შემთხვევებში მუნიციპალიტეტების) ფინანსებს პოლიტიკური სარგებლობისათვის (რეკლამის სახით), ისე, რომ საკუთარიდან ერთ თეთრსაც არ ხარჯავს.

### მოჩვენებითი გულმავიწყობა – სინამდვილეში კანონის სრული იგნორირება

ნაციონალების მიერ ერთი პიროვნების წინააღმდეგ მიღებული ახალი კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებს ფონდების (ნებისმიერი მიზნით) დაარსება ეკრძალებათ.

მაგრამ თბილისის ცენტრში, პარლამენტის გვერდით, ლესია უკრაინის №1, სადაც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ სათაო ოფისი იყო, დღესაც არსებობს ამ მოძრაობის საქველმოქმედო ფონდი.

ნაცელიტა ამ შენობიდან ცოტა ხნის წინ კახეთის გზატკეცილზე გადავიდა. ფონდი კი ძველ მისამართზე დარჩა. კანონით აკრძალვების გამო ნაცლიდერებს ფონდის არსებობას რატომღაც „მივიწყებული“ ჰქონდათ.

პარლამენტარი ანდრო ალავიძე აცხადებს, რომ „ფონდმა“ მუშაობა 2006 წ.შეაჩერა. ამის შემდეგ იქ არავითარი შეწირულობები, ტრანსაქცია არ განხორციელებულა. მგონი, აღარც არსებობს – მოჩვენებით გულმავიწყობს ნაციონალი დეპუტატი.

საჯარო რეესტრის მონაცემებით კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქველმოქმედო ფონდი 2005 წლის 16 ნოემბერს დაფუძნდა და დღესაც პარტიის ძველ მისამართზე – ლესია უკრაინას №1-შია.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლიკო კუბლაშვილი ასეთი ფონდის არსებობას საერთოდ ვერ იხსენებს და აცხადებს – „მე კონტროლის პალატას მივმართავ ფონდის საქმიანობა შეისწავლოს და დადოს“.

„ქართულ ოცნებაზე“ დაგეშილი კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი ნათია მოგელაძე აღნიშნავს, რომ ნაცების საქველმოქმედო ფონდის შესახებ ცოტა ხნის წინ შეიტყო. იგი აპირებს ინფორმაციების გამოთხოვას ფონდის ფინანსური საქმიანობის შესახებ შეისწავლის მათ. მაგრამ მოსალოდნელი სანქციების შესახებ არაფერს ამბობს.

საინტერესოა, რატომ არ მოხდა ფონდის ლიკვიდაცია თუკი ის 2006 წლიდან აღარ ფუნქციონირებს და რა მიზნებისათვის ინახავდა ხელისუფლება („ნაცმოძრაობა“). მას წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოგელაძის უწყება ამის შესახებ რაღაც აბდაუბდას მოგვახსენებს, თუ საერთოდ არ მიაჩუმათა საკითხი.

წავა ხელისუფლება პარიტეტული ორგანოს შექმნაზე?

პოლიტიკურ პარტიათა შესახებ მიღებულმა კანონმა მთელი ოპოზიციური სპექტრის უკმაყოფილება გამოიწვია. მითუმეტეს, როდესაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელისუფლების ქვემდებარე კონტროლის პალატაში შეიქმნა და მის ხელმძღვანელად ნაპროკურორალი ნათია მოგელაძე დაინიშნა.

სიტუაციის განსამუხტავად იურისტთა და უფლებების დამცველთა ერთ ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას ანტიკორუფციული კომისია, რომელიც პარიტეტულ შემადგენლობაზე იქნება დაფუძნებული.

იურისტთა განმარტებით ნოვაცია მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს არ უნდა შეეხოთ. ახლად შექმნილმა ორგანომ უნდა შეამოწმოს თანამდებობის პირთა მიერ შევსებული დეკლარაციების სიზუსტე.

საარჩევნო პოლიტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი აცხადებს, რომ კანონმდებლობით, აპრილში თანამდებობს პირებს (მათ შორის უმაღლესი რანგისას) უწევთ ქონებრივი დეკლარაციების შევსება, მაგრამ არსებული კანონებით არ არსებობს გადამოწმების, შეტანილი მონაცემების რეალურთან შედარების მექანიზმი.

კახიშვილის განმარტებით მსგავსი ორგანო შევარდნაძის პერიოდში 2001 წელს შეიქმნა. მისი შემადგენლობა 12-კაციანი იყო. მათგან 6 საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან უნდა ყოფილიყო. თუ შერჩევის პროცესში რაიმე პრობლემები შეიქმნება, შესაძლოა, გამოიყენონ სახალხო მსაჯულთა შერჩევის პრინციპი – საარჩევნო სიებიდან მოქალაქეთა ე.წ. „ბრმა შერჩევით“.

ვარდოსნებმა ხელისუფლებაში მოსვლიდან ცოტა ხანში ანტიკორუფციული საბჭო იმ მოტივით გააუქმეს, რომ ხელისუფლებაში კორუმპირებული ჩინოვნიკები არ ჰყავთ. მაგრამ რეალობა სხვას გვიჩვენებს, საზოგადოებაში სულ უფრო მყარდება ეჭვი, რომ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები ღრმად არიან ჩაფლულნი კორუფციის ჭაობში. ეს ეჭვები რომ გაქარწყლდეს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შექმნას ანტიკორუფციული, ხალხის ნდობით აღჭურვილი საბჭო. ეს ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. – აცხადებენ სპეციალისტები.

**ზაზა ბილიხოძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მსოფლიო პრესის მიხედვით

**თბილისის არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ შესაძლოა, რეგიონული დისბალანსი გამოიწვიოს**

საქართველოს ქალაქ ანაკლიაში „ჩერქეზთა დღეები“ მიმდინარეობს. გაიხსნა მემორიალი რუსეთის იმპერიაში ჩერქეზთა გენოციდისა, რომელიც შარშან საქართველოს პარლამენტმა აღიარა. გაიმართა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორია ჯეიმსთაუნის ფონდი, აგრეთვე — კონცერტი, გამოფენა...

ქართველ დეპუტატთა სამართლიანობას ჩერქეზული საზოგადოების ყველა ფენა როდი იზიარებს. ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩერქეზ რადიკალებთან შეთანხმებულ თბილისის ამ ნაბიჯს არადროულს უწოდებს. სხვები საქართველოს, მოსკოვთან კონფლიქტის ფონზე, ბრალად სდებენ მტკივნეული თემის აჟიტირებას. ქართველი პარლამენტარების გადაწყვეტილებამ გაართულა პრობლემის სამართლიანად მოგვარება რუსეთის ხელისუფლების მიერ, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ეს ნაბიჯი.

საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივმა ოპოზიციამაც დაადანაშაულა და ისინი თურქეთში სომეხთა გენოციდზე ალაპარაკდნენ. მათი ლოგიკა მარტივია: თუკი პარლამენტმა უცხოელთა ერთ ჯგუფს „გაუმართა ხელი“ და

## qarTuli opoziciis perspeqtiva



აღიარა ჩერქეზთა გენოციდი, მაშინ რატომ ეუბნებიან მსგავს თხოვნაზე უარს თავის თანამოქალაქე სომხებს?

ეს აშკარა არათანმიმდევრულობაა.

ასეთივე არათანამიმდევრულობა გამოჩნდა მსვლელობისას „გადავარჩინოთ დავით გარეჯა“, რომელიც კვირას გაიმართა: აზებაიჯანელი მესაზღვრეები დამთვალიერებლებს კომპლექსის ერთ ნაწილში აღარ უშვებდნენ; საქართველოს ხელისუფლებამ კი, მოულოდნელი განცხადება გააკეთა — „ჩაკეტილი“ ეკლესიები აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, სამწუხაროა, მაგრამ ამაში უკანაონო არაფერიაო...

ამის პასუხად გაჩნდა შეკითხვებიც: რატომ ხდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში — მაგალითად, თურქეთის ბატონობის დროს აშენებული მეჩეთების აღდგენის ან თბილისში სომხური სადავო ეკლესიების გამო ერთ წელზე მეტია, მძიმე და რთული მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ხოლო დავით გარეჯასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ერთი განცხადებით უარი თქვა ათეულობით ჰექტარ სასაზღვრო მიწაზე და იმავდროულად — ქართულ მონასტრებზეც? მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანთან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა?

შესაძლოა, კაცს ყველაფერზე ხელი ჩაექნია. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს საშინაო საქმეა, რაზე თქვას უარი და რა არ დათმოს ცოცხალი თავით, რა აღიაროს და რა — არა... სინამდვილეში ვითარება ძალზე სახიფათოა.

საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი დგება. პოლიტიკოსები სხვა ერის წარმომადგენლებს — ეროვნულ თემებს „სპეკულაციურ ოპერაციებში“ ითრევენ. ბუნებრივია, ყველა არჩევნებზე ცდილობდნენ, მოეპოვებინათ მათი მხარდაჭერა, მაგრამ არასოდეს გაჩაღებულა ბრძოლა „ფეთქებადსაშიშ ველზე“, როგორც ახლა ცდილობენ. საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა გააპროტესტეს სომეხთა გენოციდის განხილვის წინადადება. სომეხი დეპუტატები ამ პროტესტმა გაალიზიანა. სომხური დიასპორის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მოძრაობას — „გადავარჩინოთ დავით გარეჯა“, ხოლო ზერბაიჯანელებს არც ეს მოძრაობა მოუვიდათ თვალში და არც სომეხთა პოზიცია.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული რთული ურთიერთობა საქართველოში მცხოვრები ორი ერის წარმომადგენლებზე ჯერჯერობით განსაკუთრებულად არ ასახულა — დიასპორები მშვიდობიან თანაცხოვრებას განაგრძობდნენ. ახლა კი გაჩნდა იმის სიმპტომები, რომ სახელისუფლო თუ ოპოზიციური ბანაკის პოლიტიკოსთა დაუფიქრებელი განცხადებების გამო, ეს წონასწორობა დაირღვეს. ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ორი ხალხი, თბილისის გარდა, კომპაქტურად ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ცხოვრობენ, იმ რეგინებში, რომლებიც სეპარატიზმის დიდი რისკით გამოირჩევიან. ამიტომაც ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რა შეიძლება მოჰყვეს აშკარა ეთნონიშნით გამოხატული რეგიონული კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადატანას. აქვე უნდა გავიხსენოთ სტრატეგიული მიზანი, რომელიც „დიდი კავკასიის“ ცენტრად საქართველოს მოიაზრებს და რაც მეზობელ სახელმწიფოებს გულზე არ ეხატებათ.

ანაკლიაში გამართული ღონისძიება შეკითხვებს უჩენს ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, რომლებიც რუსეთის იმპერიაში ჩერქეზებზე არანაკლებად დაზარალდნენ და რომლებსაც გულზე მოხვდათ საქართველოს პარლამენტის მიერ გამოვლენილი „ფავორიტიზმი“. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საერთოკავკასიურ პრობლემატიკასთან შეხების მქონე თბილისურ პოლიტიკას დიდზე დიდი დაბალანსებულობა სჭირდება.

**ng.ru**

## nato afxazeTisa da samxreT oseTis saqarTvelos teritoriad aRiarebas iTxovs

ნატო კვლავაც გააგრძელებს მოსთხოვოს რუსეთს, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, აღიარებაზე და მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას, შევიდეს ჩრდილოატლანტურ ორგანიზაციაში. ჩვენ ვიწონებთ საქართველოს ვალდებულებას, არ გამოიყენოს ძალა და რუსეთსაც ამასვე მოვუწოდებთ — ვკითხულობთ ჩიკაგოში გამართული ნატოს სამიტის საბოლოო დეკლარაციაში.




ნატოს ქვეყნები მოუწოდებენ კავკასიაში უსაფრთხოებსა და სტაბილურობის ჟენევის დისკუსიის მონაწილეებს, შეასრულონ თავიანთი კონსტრუქციული როლი და კვლავაც გააგრძელონ მჭიდრო თანამშრომლობა ეუთოსთან, გაეროსა და ევროკავშირთან საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე კონფლიქტის მოსაგვარებლად. 2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეთანხმებით, ჟენევის დისკუსიები იმავე წლის ოქტომბრიდან იმართება. მასში აფხაზეთის, საქართველოს, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე ეუთოს, გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლები თანაბარი უფლებებით მონაწილეობენ. ნატოს სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, გააძლიერონ საქართველოს ჩართულობა ალიანსში, მათ შორის — საქართველოსთან პოლიტიკური დიალოგი, პრაქტიკული თანამშრომლობა და ურთიერთქმედება.

„ჩვენ კვლავაც გვაშფოთებს რუსეთის მიერ სამხედრო ძალის მომრავლება საქართველოს ტერიტორიაზე და ისევ და ისევ მოვუწოდებთ რუსეთს, უზრუნველყოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და საერთაშორისო დამკვირვებლების თავისუფალი შესვლა ამ ტერიტორიაზე“, — ხაზგასმულია დეკლარაციაში.

ნატო „საქართველოს ტერიტორიაში“ გულისხმობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაიმეორა მოწოდება რუსეთის მიმართ, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოების აღიარებაზე.

**kommersant.ru**

## 2014 wlis zamTris olimpiada: Cerqezebi genocidze laparakoben

ბოლო კვირის განმავლობაში, სტამბოლში, ბრიუსელსა და სხვა ცნობილ ქალაქებში დემონსტრანტები პუტინის საყვარელ პროექტს – 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადას აპროტესტებდნენ, გვამცნობს Newsweek-ის ჟურნალისტი ოლივერ ბულოხი. „მანიფესტაციის მონაწილეები არიან იმ ხალხის შთამომავლები, რომელსაც ოდესღაც შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმსა და თანამედროვე საქართველოს შორის თავისი ქვეყანა ჰქონდა. ეს ქვეყანა იმ სასტიკი კამპანიის დროს დაკარგეს, რომელსაც რუსეთის იმპერია კავკასიის დასაპყრობად ატარებდა.




„მოეწონებოდათ თვითონ რუსებს, მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს თავი მოეყარათ იმისთვის, რომ თხილამურებითა და ციგურებით მათი წინაპრების საფლავებზე ესრიალათ? და იმასაც კი ვერ მიხვდებოდნენ, რას სჩადიან? — კითხულობს ამერიკელი დანიელ მერზა, რომელმაც შარშან, ჩერქეზული წარმოშობის მეგობრებთან და ამ წერილის ავტორთან ერთად თურქეთში იმოგზაურა და სტამბოლში გამართულ დემონსტრაციაშიც მიიღო მონაწილეობა. ბულოხი გვიზიარებს შთაბეჭდილებებს: ათასობით ჩერქეზი ყვიროდა ლოზუნგებს, ხალხის მასა ქუჩებში მიედინებოდა და რუსეთის საკონსულოსთან პოლიციელთა სამმაგ კორდონში ხვდებოდა. მეგაფონში მოთხოვნები ისმოდა სხვადასხვა ენაზე, ინგლისურადაც და თურქულადაც: „არა — სოჭის ოლიმპიადას“, „ვაღიაროთ ჩერქეზთა გენოციდი“, „მივცეთ მათ სამშობლოში დაბრუნების უფლება“...

ჩერქეზი აქტივისტები პირველად ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოჩნდნენ, რამაც დამკვირვებლები უკიდურესად შეაშფოთა. „ვინ არიან ჩერქეზები?“ — ამ კითხვას მაშინ ბევრი სვამდა. არადა, საუკუნე-ნახევრის წინ, მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის ჩერქეზები იყვნენ „თავისუფლებისთვის მებრძოლები“, მათ სწყალობდნენ დასავლეთელი დიპლომატები, რომლებსაც რუსეთის ექსპანსია გლობალურ საფრთხედ მიაჩნდათ. ჩერქეზთა დამარცხება ჰუმანიტარულ კატასტროფად იქცა: იმდროინდელი ისტორიკოსის შეფასებით, 400 ათასი ჩერქეზი გაწყვიტეს, ხოლო ნახევარ მილიონამდე კი რუსეთიდან გააძევეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავის გადაწყვეტილებას სასწორზე ვერ შემოდებს, თუმცა ჩერქეზებისთვის სოჭის ოლიმპიადა არის უნიკალური შანსი, მსოფლიოში მიმოფანტულ თავიანთ თანამოძმეებს ერთად მოუყარონ თავი. ჩერქეზები მოკავშირეებს „მოსკოვისგან განაწყენებულთა შორის“ ეძებენ და ამის მაგალითად ჟურნალისტს მოჰყავს საქართველოს პარალამენტის შარშანდელი გადაწყვეტილება ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ.

**The Daily Beast**

**ინტერნეტმიმოხილვა**
**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

საქართველო, დღეს ძილ-სიფხიზლის სტადიაშია, ღრმად ვარ დარწმუნებული 27 მაისიდან საქართველო და ქართველი ხალხი გაიღვიძებს, ერთ მუშტად შეიკვრება ბატონი ბიძინას გარშემო, დაიწყება დიდი სახალხო, ეროვნული მოძრაობა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რაც ოქტომბერში დამთავრდება დიდი გამარჯვებით, აღნიშნული საბოლოოდ მიგვიყვანს საქართველოს გაერთიანებამდე და გაბრწყინებამდე, ახდება ქართველი ხალხის ოცნება, ღმერთი გფარავდეთ.

27 მაისი ერთიანობის, ღირსების და შიშის დაძლევის დღეა. ერთ მუშტად შევიკვრებით თქვენთან ერთად. დღევანდელ ხელისუფლებას, ან წინა და კიდევ იმის წინას, თუ ჰგონია რომ ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი გადაიხდის მათ შეჭმულ ვალებს და სახელმწიფო ქონებას, ძაან ცდებიან - საკუთარი სისხლის ფასად გადაიხდიან იმას, რას ნაძარცვი და ნაგლეჯი აქვთ ქვეყნისთვის!

ცოდვებმა უწია ჩვენს ძალად პრეზიდენტს, ძალიან ცუდადაა. ფსიქოლოგიური პრობლემების გარდა, მას სხვა მძიმე დაავადებაც სჭირს და ამას არ უნდა მედიცინის დოქტორის ხარისხი, ეს რომ შეამჩნიო. მშიშარა, უზნეო და ცოდო ადამიანია, მაგრამ 27 მაისს მან და მისმა დეგრადირებულმა, მლიქვნელმა მთავრობამ ხალხის ერთობა თუ არ დაინახა, მორიგ ავანტიურაზე წავლენ და კაცმა არ იცის მომავალში რას მოიმოქმედებენ. მაქსიმალურად ეცდებიან გზების ჩაკეტვას და ხელის შეშლას, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვივაჟკაცოდ თბილისელებმა და ამ ტარტაროზებს დავანახოთ ჩვენი ძალა - მთელი ქალაქი ფეხზე უნდა დადგეს. ქალებმა ცუდად არ გამიგოთ, არანაკლები მამაცი და შეუპოვრები ხართ თქვენ და ეს არაერთხელ დაამტკიცეთ. წმინდა იაკობ მოციქულის ხსენების დღეს გილოცავთ, მისი მადლი შეგვეწიოს!

facebook

# xalxis azriT

მწვანე გზა ჰქონოდეს ქართულ ოცნებას აღსრულებამდე! ღმერთი ჩვენსკენაა, ჩვენ გავიმარჯვებთ! ყველანი აქციაზე!! ერთად და მშვიდობიანად შევცვალოთ ხელისუფლება საქართველოს და ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისთვის !!!!!!!!

შეიძლება ადამიანს ფიზიკურად ბევრი დარტყმისა და ცემის ატანა შეუძლია თუნდაც უსამართლოდ, მაგრამ ღირსების შელახვას ვერ უნდა ეგუებოდეს, ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანი. გავიდეთ და ერთად დავუჭიროთ მხარი არა ბიძინა ივანიშვილს, არამედ ჩვენს ქვეყანაში გარდაუვალ ცვლილებებს უკეთესი მომავლის იმედით.

ბიძინა აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში და დამიჯერე, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება. იმიტომ კი არა, რომ ეს მე მინდა ან შენ, იმიტომ რომ სხვანაირად ვერც ის და ვერც მომავალი მთავრობა ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. თანაც ეს არც ბიძინას, არც სხვა ვინმეს კეთილ ნებას და სურვილზე არ არის დამოკიდებული. ქვეყანაში აღდგება სასამართლო და სამართალი ავტომატურად შეჭამს პურს. ბიძინას სხვა გზა არ აქვს - ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მისი რეიტინგი 0-ზე დავარდება, ქვეყანა კვლავ ჩაეფლობა ჭაობში და მოსახლეობა კვლავ ნიჰილიზმში გადავარდება. ამ ყველაფერს რაც მოჰყვება, მგონი კარგად უნდა გვესმოდეს. დროა, ერთხელ და სამუდამოდ გამოვიდეთ პერმანენტული რევოლუციების ეპოქებიდან. დროა, განვითარების მშვიდ, ნორმალურ და სტაბილურ კალაპოტში მოექცეს ქვეყანა.... დროა!!!

მანდ მოვალთ, ბატონო ბიძინა, აბა საქართველო აღარ გვაქვს, გაყიდეს და დარჩა ეგ მოედანი! სააკაშვილმა გარეჯიც გაასხვისა. 27 მაისამდე თუ მოედანის გაყიდვა ვერ მოასწრო - მოვალთ.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თავის თავის გამო არ მოსულა, ის ჩვენთვის მოვიდა, ჩვენც ასევე უნდა დაუდგეთ მას გვერდში და ქართულ ოცნებას ერთად ავიხდენთ !!! ამდენი გაჭირვებული თუ იყო საქართველოში არ მეგონა რა უფლებით იძახის ნაციონალური მოძრაობა რომ წინ მივდივართო ??? საკუთარი თავის წინ სვლას გულისხმობენ ეტყობა მატერიალური მდგომარეობით და ამაში მეც დავეთანხმები რომ წინ მიდიან საგრძნობლად .

# nino CxobaZe: saniaRvre sistemebze pasuxismgebeli uwyeba, samwuxarod, ar arsebobs



***თბილისში მომხდარ წყალდიდობას, რომელსაც ოთხი ადამიანი ემსხვერპლა საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშნები გააჩინა. შეიძლებოდა, თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება და არსებობს თუ არა საშიშროება ძლიერი წვიმის შემთხვევაში ანალოგიური სიტუაციის განმეორების მოსალოდნელ შესაძლებლობაზე „საერთო გაზეთს" არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრები" ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე ესაუბრა.***

**— ქალბატონო ნინო, თბილისში მომხდარ ტრაგედიას საზოგადოების ნაწილი სანიაღვრე სისტემის გაუმართაობას უკავშირებს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და თუ იზიარებთ ამ პოზიციას?**

— ზუსტად ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მომხდარი უბედურებისა და კიდევ ის, რომ თბილისში ხევები სათანადოდ გაწმენდილი არ არის. თბილისში 60-იან წლებში, როცა მდინარე კოჯრის წყლის ადიდების შედეგად გოგირდის აბანოებში ხალხი დაიხრჩო, მიიღეს გადაწყვეტილება და თბილისში ყველა ხევი მუდმივად მოწმდებოდა და შესაბამისად იწმინდებოდა. სამწუხაროდ, დღეს ეს სისტემა აღარ არსებობს და ამას კიდევ სანიაღვრე სისტემების გაუმართაობა ემატება.

**— თუ ფლობთ ინფორმაციას, ბოლოს როდის მოხდა სანიაღვრე სისტემების შეკეთება?**

— სადრენაჟო სისტემა თბილისში ძალიან ავარიულ მდგომარეობაშია. ის დაახლოებით ოც წელზე მეტია არ გაწმენდილა, შესაბამისად როდესაც დიდი ნალექის რაოდენობა მოდის და ამას სადრენაჟო სისტემა ე. წ. სანიაღვრეები ვერ ატარებენ, ხდება წყალდიდობები. ძალიან ბევრ შემთხვევაში მშენებლებმა არ იციან, როცა რაღაცას აშენებენ, რომ კეტავენ სანიაღვრე არხებს. იგივე შემთხვევა მოხდა ბათუმში, ქობულეთში, როცა წყალში დაიხრჩო ხალხი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სანიაღვრე სისტემებზე დაასხეს ასფალტი.

სანიაღვრე სისტემებზე პასუხისმგებელი თბილისის წყალკანალი იყო. დღეს წყალკანალი გასხვისებულია და თბილისის წყალმომარაგებას კერძო კომპანია უზრუნველყოფს. თუმცა, აღმოვაჩინეთ, რომ თბილისის წყალკანალის გასხვისების შემდეგ სანიაღვრე სისტემა კერძო კომპანიის მფლობელობაში არ გადასულა. ახლა აღნიშნული სისტემა თბილისის მერიას ეკუთვნის და შესაბამისად პასუხისმგებლობა მას ეკისრება. „მწვანეთა მოძრაობას" არაერთხელ დაგვისვამს საკითხი, რომ აუცილებლია სანიაღვრე სისტემების გამართულად მუშაობა, რადგან სანიაღვრე სისიტემა არ არის მხოლოდ წვიმის წყალი, ეს არის სადრენაჟო წყლები, ხევები, სადაც კოლექტორებია აშენებული. ვარაზის ხევზე რომ დავდივართ, იქ შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ პატარა მდინარე ვარაზი ჩამოდის. ამ ტერიტორიაზე აშენებულია კოლექტორი და მდინარე, ფაქტობრივად, მოქცეულია, ასე ვთქვათ, მიწის ქვეშ.

მინდა გითხრათ, რომ ზოგადად არსებობს რამდენიმე ტიპის სანიაღვრე სისტემა: ერთი — ეს არის მიწის ქვეშა წყლების შემგროვებელი სისტემა, მეორე — წვიმიდან მიღებული წყალი, რომელიც გზის სავალ ნაწილზე არ უნდა გროვდებოდეს და უნდა ჩაედინებოდეს სანიაღვრე სისტემაში და მესამე ეს არის პატარა მდინარეები, რომელიც დედაქალაქში საკმაოდ უხვადაა და ისინი საბოლოო ჯამში სანიაღვრე სისტემას უერთდებიან. მთავარი, რაც სანიაღვრე სისტემებს უკავშირდება არის ის, რომ იგი არავითარ შემთხვევაში საკანალიზაციო სისტემას არ უნდა უერთდებოდეს და დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს.

**— დღეს რა რეალობა გვაქვს ამ მიმართულებით?**

— სიტუაცია, ამ მიმართულებით არასახარბიელოა. სამწუხაროდ, აღმოვაჩინეთ, რომ ახალი კორპუსების სანიაღვრე სისტემა მიერთებულია საკანალიზაციო სისტემაზე. როცა სანიაღვრე სისტემებზე პასუხისმგებელი თბილისის მერიაა, სწორედ მან უნდა იზრუნოს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე. შესაბამისად აღნიშნული სისტემის მოუწესრიგებლობა გახდა თბილისში მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი კი გახდა ის, რომ ორთაჭალაში ხევი გაწმენდილი არ იყო. მოგეხსენებათ, ორთაჭალაში მოდის პატარა მდინარე შინდისის წყალი, რომელიც წვიმის შედეგად ადიდდა, კოლექტორმა წყალი ვერ გაატარა, რადგან ხეებმა ბუნებრივი გასასვლელი ჩახერგა, რის გამოც წყალი დაგროვდა და მომხდარი ტრაგედია გამოიწვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლექტორის ბრალეულობა ნაკლებ სავარაუდოა, რადგან უპირველეს ყოვლისა, მდინარის ხეობა ხეებისგან გაწმენდილი უნდა ყოფილიყო, რაც ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა.



**— ქალბატონო ნინო, გულუას მოედანზე ყოფნისას მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საფრთხეს ელოდებოდნენ, თუმცა არა პირდაპირ თბილისის ცენტრში. პრეზიდენტის განცხადებიდან ირკვევა, რომ ხელისუფლება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული იყო, თუმცა ადექვატური ნაბიჯები არ გადაუდგამს. როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?**

— ის, რაც დატრიალდა თბილისში, ლაგოდეხში, გურჯაანსა და მცხეთა-მთიანეთში, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან გლობალური დათბობის პირობებში წვიმისგან მოსული ნალექის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, ანუ ერთჯერადად შესაძლოა მოვიდეს წვიმის ისეთი რაოდენობა, რაც ვთქვათ, ერთ სეზონზე უნდა მოსულიყო. შესაბამისად, ქალაქი, რაიონები, დაბები ამ კატასტროფული მოვლენებისთვის მზად უნდა იყოს.

მოსახლეობა მდინარის კალაპოტში არ უნდა ცხოვრობდეს, რადგან მდინარის ადიდების შემთხვევაში აღნიშნულ სახლებს ნგრევა ემუქრება, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მხოლოდ 12 მაისის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო. ე.წ. ბარაკების დემონტაჟი. თუმცა, ვიღაცამ ხომ დაუკანონა ამ ხალს სახლები? ანუ ის, რომ სახლები ზედ სანიაღვრე არხზე და მდინარის კალაპოტშია აშენებული, ამის შემოწმება ხომ შესაძლებელია. ამიტომ სანიაღვრე სისტემასთან მიმართებაში კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია. მარტივი მაგალითი იმისა, რომ სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებაზე არ ვფიქრობთ, არის ის, რომ თუნდაც, თბილისში ყოველ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციამ ვერ მივაკვლიეთ სანიაღვრე არხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურას, თუ რომელ უწყებას დაუქვემდებარა მერიამ აღნიშნული სამსახური და ვინ აწარმოებს მონიტორინგს, ხეობებზე ვინ ატარებს მოკვლევას და ა.შ. საბჭოთა პერიოდში იმის გარდა, რომ აღნიშნული სისტემა წყალკანალს ჰქონდა მიბარებული და სწორედ ის იყო ვალდებული გაეწმინდა სანიაღვრე არხები, ქალაქში გარემოსდაცვითი სტრუქტურაც არსებობდა, რომელსაც ევალებოდა გაეკონტროლებინა ის, რომ სანიაღვრე არხები საკანალიზაციო სისტემაზე მიერთებული არ ყოფილიყო. სამწუხაროდ, დღევანდელი სტრუქტურა, რომელიც წესით პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებზე, დაკავებულია მხოლოდ გამწვანების ფუნქციით და მის შემადგენლობაში არ შედის სანიაღვრე სისტემების კონტროლი.

**— თუ არ არსებობს სტრუქტურა, რომელსაც ევალება სანიაღვრე სისტემების კონტროლი, მომხდარი ტრაგედიიდან გამომდინარე ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ არის ერთი კონკრეტული პირი დამნაშავე, არამედ ის, რომ მთლიანად სისტემა არ არის ისე გამართული, როგორც უნდა იყოს.

**— რამდენადაც ცნობილია თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მდინარის სათავეში და უშუალოდ დაათვალიერეთ შემთხვევის ადგილია. რა ვითარება დაგხვდათ?**

— ხევში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს და ხევის გაწმენდაზე ამ ეტაპზე არავინ ფიქრობს, რაც დამატებით ქმნის საფრთხეს. ხეები ხეობაში ისევ ჩახერგილია და თუ წყლის მაქსიმალური რაოდენობა ისევ მოვიდა, შესაძლოა იგივე საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ.

**— შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ხედავთ, რომ ხშირად წვიმს და ნალექის ექსტრემალური რაოდენობა მოდის, ამიტომ ახლავე უნდა დაიწყოს არა მარტო ბარაკების აშლა, არამედ უნდა გაიწმინდოს ხევები ხეებისგან. ხეები რომლებიც მდინარის კალაპოტშია და ქმნის საფრთხეს და შესაძლოა მდინარემ იგი მოგლიჯოს და შემდეგ ხემ კალაპოტი ჩახერგოს, ასეთი ტიპის ხეები უნდა მოიჭრას.

**— თბილისის მასშტაბით დაახლოებით, რამდენი ხევია, რომელიც გაწმენდას საჭიროებს?**

— ბევრია, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით ოცდაათამდე მაინც იქნება. ამიტომ ეს არა არის საკითხი, რომელიც შეიძლება ერთი ხელის მოსმით არ გადაიჭრას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გეგმა და რაღაც დაცულობის მომენტი საზოგადოებას უნდა ჰქონდეს.

**მირანდა ნაბახტეველი**

# frTxilad, qarTvelebi modian!!!

„ძაღლები და ქართველები არ დაიშვებიან“ – გვამცნობს წარწერა ესპანეთის მაღაზიებში. გიხაროდენ, სააკაშვილს ნამდვილად შეუძლია იამაყოს, რომ ქურდობასა და ყაჩაღობაში ნამდვილად ვართ პირველ ადგილზე ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. აი, საუკუნის ძარცვაც კი არ ჩაივლის ჩვენს გარეშე, იქაც უნდა გვახსენებ (ზოგიერთი იტყვის, ნიჭიერები ვააართ და იმიტომაო... ვერაფერი სატრაბახოა, ალბათ, დამეთანხმებით). სულ ახლახან განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, დანაშაული ევროპულ ქვეყნებთან შედარებით 5-ჯერ, 7-ჯერ შემცირდა, ხოლო რუსეთთან მიმართებაში ოთხჯეროო. მართლაცდა, ნეტარ არიან მორწმუნენი.

იმ „გაუბედურებულ“ რუსეთში (პოტიომკინის რომ შეარქვა ზოგიერთმა „მთავრობაძემ“) ქართველების ხსენების ისე ეშინიათ, როგორც შავი ჭირის. „წაეთრიეთ აქედან თქვე შავტრაკებო“, – ასე გაჰყვიროდნენ თურმე მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში მოზარდები. ასეთი აგრესია მშობლების ჩაგონებით რომ გაჩნდებოდა, ეჭვიც არ მეპარება რატომ მაინც და მაინც ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები...მოკლედ, კავკასიელები? იმიტომ, რომ...

### „Უ ՍՎᲔᲢᲙᲘ ᲓᲔᲜ ᲠᲝᲟᲓᲔᲜᲘᲐ“

„უ სვეტკი სოკოლოვოი დენ როჟდენია...“ალბათ, ჩემი თაობის და ჩემზე უფროსებს კარგად ახსოვთ ეს „გაპიტებული“ სიმღერა. ახლა, სამწუხაროდ, სხვა კონტექსტში მომაგონდა. აი, გაზეთი „კომერსანტი“ ასე, გვაუწყებს: ქართველებს რუსეთში „მუშაობის“ სქემა საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი. ჩამოდიან ორი-სამი კვირით. ფეშენებლურ ახალშენებში ქირაობენ ბინას. გარკვეული დროის განმავლობაში მეზობლებზე აწარმოებენ დაკვირვებას. მათი გადაადგილების გრაფიკს სწავლობენ. ამას გარდა, აგროვებენ ინფორმაციას მიმდებარე უბნებზეც. ხშირად სტუმრობენ სპა-სალონებსაც, რადგან იქ ბევრი ხალხი იყრის თავს.

სხვათაშორის, ქართველები ხარჯებს არ ერიდებიან. მოსკოვში „რასკოშნა“ ცხოვრობენ, რადგან იციან, ხარჯებს ქურდობით იოლად ამოიღებენ.

იყო შემთხვევა, ერთ-ერთ ახალშენს ქართველები ძვირფასი „ტაჩკით“(რუსული სლენგია და მანქანას ნიშნავს), ტორტითა და თაიგულით ხელდამშვენებულები მიადგნენ. განაცხადეს, სვეტას დაბადების დღეზე მივდივართო. იმ დღეს, მართლაც იყო წვეულება, დაცვა მოტყუვდა და თაღლითები დაუბრკოლებლად აღმოჩნდნენ სასურველ დროს, სასურველ ადგილზე.

### ᲔᲕᲠᲝᲢᲣᲠᲘ

ევროპის ზოგ ქვეყანაში ქურდობა არ ხდებოდა, სანამ...დიახ, სანამ ქართველები მოედებოდნენ იქაურობას. მიუხედავად იმისა, რომ (ისევ განვმეორდები და ვიტყვი...) სააკაშვილმა ყურები გამოგვიჭედა: დანაშაული და ქურდობა, ეს ცნებები პრაქტიკულად, ამოვძირკვე ქვეყანაშიო.

წარმოიდგინეთ, ევროპულ ქვეყნებში, მართლაც ტოვებდნენ მანქანებს უსაკეტოდ, კოკა-კოლითა და სხვა სასმელით სავსე მაცივრებს ღიად. ჰოდა, სწორედ მიშას ქვეყნიდან ჩასულების „საპატივცემულოდ“, დაუდვიათ ლუქი საკუთრებისთვის. რადგან ისინი „ონავრობას“ არ იშლიდნენ, ახლა კვირა არ გავა ისე, ევროპაში რომელიმე კარგად ორგანიზებული ქართული დაჯგუფების აყვანა არ გვამცნონ.

ამ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი: მიყვებოდა უკვე მრცხვენია ჩემი წარმოშობის. უნდა ვაღიარო, თუ საშუალება მომეცა, საქართველოდან ჩამოსულებს არ ვუჩნდები, არ ვუმხელ ვინაობას. იყო შემთხვევა, ერთ-ერთი ქართველი და მე ვიყავით ტანსაცმლის მაღაზიაში. რაღაც სპორტული აქსესუარი მოეწონა და სახელოში შეიჩურთა. რას აკეთებ, სულ ოთხი ევრო ღირს და მე გადაგიხდი-მეთქი.



არაო, ახლა ეს თუ არ მოვიპარე, ცუდად გავხდებიო... გადამრია კაცი.

კიდევ იყო შემთხვევა, იტალიელ მილიონერს დათვის ფიტულა, უნდოდა, საკმაოდ ძვირფასია და თანხას არ დავზოგავდი შესაძენადო, მაშინ მე მოგიტან და გადამიხადეო, გადაკიდებია ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულე. იმდენი უჩალიჩია, მოუპარავს, თურმე. ფიტული ემახე და საკმაოდ მძიმეა. სულ ბუმბულივით მიაქროლებდა-თურმე. ქანცგაწყვეტამდე ურბენია ისე, რომ, პოლიციას გადაურჩა. შეეცოდა იმ იტალიელსაც და მიუცია რაც დაჰპირდა, იმაზე მეტიც კი. პრინციპში, არც ის დარჩა ზარალში. „დათუნია“ მაღაზიაში მეტად ძვირი ყოფილა.

ახლა არის აქ ერთი, ყოველი შემთხვევისთვის იყო, ნამუსზე ხელაღებული ე.წ. ქართველი. ფრანგული ისწავლა აქ ყოფნის პერიოდში და ჩამოსულებს ეხმარებოდა, ვითომ. ერთი ქართველი გაუძარცვავს, თავში მძიმე ნივთი ჩაურტყამს და დაუტოვებია მისსავე მანქანაში უგონოდ. ღვთის წყალობით, ეს კაცი გადარჩა. სად არის ახლა ის ბოროტმოქმედი, კაცმა არ იცის. არადა, მისგან განწირული უცხოელი და უცნობი კი არ ყოფილა, არამედ, მის ოჯახთან, ცოლ-შვილთან ერთად ჭამდა, სვამდა და საბოლოოდ, ასე გაიმეტა.

### „ᲢᲠᲔᲢᲘᲛ ᲑᲣᲓᲔᲨ?“

თუ ქართველები ე.წ. მსხვილ ქურდობაში არიან დახელოვნებული, აი, სომხები წვრილმანი ბაცაცები ყოფილან და დახლის საქონლის აწაპვნით ხასიათდებიან.

ზოგადად, არსებობს სქემა: ბოსი, შემსრულებლები და ე.წ. შტატგარეშე(საკეტების ოსტატად წოდებული). ამ მესამეს, თურმე, ხშირ შემთხვევაში, ლამის საკეტების გამხსნელების მიკრო ქარხანა აქვს ბინაში. იწერენ ინტერნეტიდანაც, ანუ „ინოვაციების“ კურსში არიან.

ბინების გაქურდვა, სამკაული და ფული კი ქართველების „ჰობია“, რადგან ამ ნივთებისგან ხელის დაცლა დაკავების შემთხვევაში იოლია.

„ჩვენებურები“ საზღვარგარეთ იქაური პოლიციელების თავსატეხად იქცნენ. როგორც ამბობენ, ერთი ბინის „გასასუფთავებლად“ 20 წუთი სჭირდებათ, ყოფილა შემთხვევა, 40 წუთში 5 ბინაც გაუძარცვავთო.

უკვე გაძარცვულის მოსანიშნად კოკა-კოლის ბოთლისგან გამოჭრილ ნიშნულებს ტოვებენ და როცა იმავე ბანდის წევრი მიდის საქმეზე, უკვე იცის, რომელია თავისუფალი და რომელი – არა.

### ᲑᲣᲩᲥᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ

ოღონდ, ბუჩქები მოზარდების გასართობად კი არა, არამედ...

„იტალიაში ბოლო ერთ კვირაში ქურდობაში ეჭვმიტანილი მეთოთხმეტე ქართველი დააკავეს.

„34 წლის მამაკაცს, რომელიც რომში სახლის გაქურდვას ცდილობდა, პოლიციამ შემთხვევის ადგილთან ახლოს, ბუჩქებში მიაკვლია”, – ასე წერს სიტყვასიტყვით ერთ-ერთი ბლოგი ემიგრანტებისათვის.

სასაცილოა, სატირალი, რომ არ იყოს – როგორც ძველი ბერძნები იტყოდნენ. ამ გახსენებაზე, საბერძნეთის და კვიპროსის თემაც ხომ არანაკლებ აქტუალურია? როგორც ჩვენი შოუმენი ნიკა ქავთარაძე იტყოდა: – „გეიგებდით ჩვენს ამბავს“ და საბერძნეთიდან ხომ პანტაპუნტით გამოგყარეს ქართველობა. ახლა იგივე ბლოგზე ქართველი მოზარდი წერს, ვერ გამიმხელია წარმომავლობა, რადგან ცუდი რეპუტაცია გვაქვს. თუ სადმე გავერიეთ, სულ ხელებში გვიყურებენ, ეს ძალიან მთრგუნავსო.

აი, როგორ ვიქეცით, მართლაცდა პირველი ევროპელები უკანასკნელებად და რას დაგვამსგავსა, როგორც იტყვიან, სახელსა და გვარს არ დავასახელებ, არქიფო სეთურმა, მაგარია, აბა რა, თანაც ძალიან „მაგარი“.

**ᲜᲐᲗᲘᲐ ᲜᲝᲓᲘᲐ**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

# facebook

## xalxis azriT

თავისუფლებისთვის - თავისუფლებაზე!!! ყველაფრის მიუხედავად, ეს დაშინებული, გაუბედურებული და დამცირებული ხალხი მაინც დაამარცხებს მიშას, წელსვე!

რა მუხტი და როგორი საბრძოლო განწყობააა!!!!! თქვენ შემოგევლეთ ბატონო ბიძინა!!!! ერთად ყველას და ყველაფერს დავამარცხებთ !!!!!!!!!! მე მოვდივარ 27 მაისს!!!!!!!!!! დავდგეთ ყველა ერთად, ერთ მუშტად !!!!!!!!!!

ვისაც საქარტველოს მომავალი აგელვებს მხარი დავუჭიროთ ბატონ ბიძინა ივანისჰვილს. გისმინოთ ერმა და ბერმა. 27 მაისს ყველა თავისუფლების მოედანზე!!!

როგორც იქნა-ამ დღეს ველოდი, მოვესწარ —————- აუცილებლად მოვალ. ერთად ავიხდინოთ “ქართული ოცნება”! ერთად დავამარცხოთ უსამართლობა და კაცთმოძულეობა! გვიგულეთ თქვენს გვერდში და გუნდში !

სრულიად საქართველოს მოქალაქენნო, ქუდზე კაცი 27 მაისს, სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების მოთხოვნით გამოვიდეთ და დავდგეთ ერთად

თქვენ ერთ მუშტად უნდა შეგვკრათ 27-ში და საბოლოო გამარჯვებამდეც თქვენ უნდა მიგვიყვანოთ, ამ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი იმედი ბრძანდებით. მთელი საქართველო თქვენს გვერდით ვართ

თუ მანამდე არ დამიჭირეს, მეც მოვალ - მთელი თბილისი გამოვა, სულ მალე მთელი საქართველო დადგება ფეხზე:))))) ჯერ ნაცებისგან და შემდეგ რუსების საოკუპაციო ჯარისგან თანამიმდევრულად უნდა გავათავისუფლოთ საქართველოოო!!!!! ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, ბოლომდე იბრძოლებს!!!!!

მივიდეთ ყველა, დიდი და პატარა, თუ გინდ ღატაკი, მაგრამ მებრძოლი, რათა გაიგოს ნაცებმა, რომ ჯერ კიდევ არსებობს საქართველო. მივიდეთ იმიტომ, რომ დაინახოს მთელმა მსოფლიომ, და მოვითხოვოთ, რომ ხალხის გამარჯვებით დასრულდეს ბელგიაში, სააკაშვილის გასამართლების პროცესი.

ქუდზე კაცი გავიდეთ თავისუფლების მოედანზე, ხო იცით, რა დღეში ვარდება ხალხის რაოდენობას რომ ხედავს ჩვენი მაღალი“.

2012-წლის 27-მაისი:ეს თარიღი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ნაცისტური მოძრაობის (ალქაიდა) დასასრულის დასაწყისი.

არც ერთი ურდოს შემოსევის და დამპყრობლის დროს ქართველი ხალხი ისე დაბეჩავებული და დაკნინებული არ ყოფილა, როგორც 2004-2012-წლებში პრეზიდენტი, სააკაშვილის მმართველობის დროს.

ყველას და ყველაფერს გაუძლო ქართველმა ხალხმა. შაჰ-აბასს, მურვან ყრუს, ჩინგის ხანს, თემურ ლენგს, ჯალალედინს, სპარსეთის 100-წლიან ბატონობას კახეთში და რუსულ ჩექმასაც იმდენი ზიანი არ მოუტანია ქართველი ხალხისთვის, რაც სააკაშვილმა და მისმა ბანდამ.

2012-წლის შემოდგომის ცნობილი მოვლენები რომ არ მომხდარიყო, [ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკრა და წალეკა სააკაშვილი თავისი ბანდით] ენა, მამულის და სარწმუნოების დაკარგვა გარდაუვალი იქნებოდა.

27 მაისი უნდა გახდეს შიშის დაძლევის და ერთ მუშტად შეკრული საქართველოს პრეზენტაციის დღე!!!! მოვდივართ ბატონო ბიძინა, სახლში რა გაგვაჩერებს ! ერთად დავდგებით მთელი საქართველო !

ერთი უცნაურობა შევნიშნე ხალხში, გარეთ რომ გამოვდივარ, თითქმის ყველა სააკაშვილის ძაგებაშია და ამავდროულად დარწმუნებით სჯერათ, რომ ის კიდევ დიდხანს იბატონებს.. რატომ გჯერათ ესე შეუსაბამოდ, ადამიანებო??? სწორედ აქ არ უნდა გაქარწყლდეს თავისუფლების მოპოვების ერთიანი წყურვილი, ჟინი... თუკი არ მოგვწონს და უმრავლესობა ვაძაგებთ სააკაშვილს, შესაბამისად ვიმოქმედოთ... ზოგჯერ ჩვენს თავსაც ვაჯობოთ, რადგან გამარჯვების და გამთლიანების სურვილი იმდენად დიდია, რომ მას ვერაფერი ალუდგება წინ! წინ! წინ!.... ქართულო ოცნებავ - ფიქრთა რჩეულო, ყველა ვესწრაფვით, უნდა ავიხდინოთ ქართული ოცნება!!!... წინ!



# წამალი ჯანმრთელებსაც სჭირდებათ

სხეულის დასუფთავებისა და ნარჩენების გამტანმა სისტემამ მასზე მინდობილი საქმე მშვიდად რომ აკეთოს, ორგანიზმში ნორმალურად უნდა მიმდინარეობდეს ნივთიერებათა ცვლა.

ამაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ადაპტოგენებად წოდებულ მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ნივთიერებებს, რომლებიც გარემოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიურ მავნე მოქმედებათა ფაქტორების მიმართ ორგანიზმის არასპეციფიურ წინააღმდეგობის უნარს ზრდის.



ადაპტოგენების მოქმედების მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ის კი ცნობილია, რომ მათ სასქესო ჰორმონების მსგავსი ქიმიური სტრუქტურა გააჩნია და მოქმედების მექანიზმი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე გავლენა და ამ გზით უჯრედებზე, ქსოვილებსა და ორგანოებზე ზემოქმედებაა.

ნეიროენდოკრინულ, იმუნურ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე გავლენით, ისინი უშუალოდ მოქმედებს რნმ-ის, დნმ-ის, ცილების, ენერგეტიკული ცვლის ფერმენტთა სინთეზზე და აქტიურებს ნივთიერებათა ცვლისა და რეგენერაციის პროცესებს.

მარტივად რომ ვთქვათ, ადაპტოგენი ორგანიზმის რესურსთა მობილიზების გზით ეძებს დამატებითი ენერგიის წყაროებს, რათა იგი დიდი ხნით ფორსირებულ რეჟიმში მუშაობამ მწყობრიდან არ გამოიყვანოს.

მათი სახელწოდებიდანაც ირკვევა, რომ იგი აიოლებს ორგანიზმის მიჩვევას, ადაპტაციას სხვადასხვანაირი არახელსაყრელი პირობების მიმართ: ფიზიკური დატვირთვა, სიცხე, სიცივე, წყურვილი, შიმშილი, სტრესი, ჟანგბადოვანი შიმშილი, შხამები, მაიონებელი გამოსხივება და სხვა. ერთი სიტყვით, ადაპტოგენი — ჯანმრთელი ადამიანის წამალია.

### ადაპტოგენების ფარმაკოლოგიური თვისებები

მეტაბოლიზმის გააქტიურებით, ენდოკრინული და ვეგეტაციური სისტემების რეგულაციით, განსაკუთრებით მცენარეული წარმოშობის ადაპტოგენებს, ახასიათებს მასტიმულებელი და მატონიზებელი ეფექტი.

ეს საჭმლის მომნელებელ ჯირკვალთა გაძლიერებულ სეკრეციას, სისხლძარღვთა ტონუსის მომატებას, არტერიული წნევის დარეგულირებასა და გულის მუშაობის გაძლიერებაში გამოიხატება;

ადაპტოგენებისთვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული ფსიქომასტიმულებელი ეფექტიც, რაც ვლინდება შრომის უნარის (როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი) გაუმჯობესებაში, ასთენიისა და გადაღლის სიმპტომების შემცირებაში;

ხანგრძლივი გამოყენებისას ადაპტოგენები არ იწვევს მიჩვევას, არატოქსიურია და არ გააჩნია უკუეფექტები;

გააჩნია ანტისტრესული მოქმედება, რაც მეტაბოლურ პროცესთა გააქტიურებაში გამოიხატება;

კუნთების სისხლმომარაგებისა და ქსოვილებისთვის ჟანგბადის გაძლიერებული მიწოდებით, ადაპტოგენები იწვევს კუნთურ მუშაობას მინიმალური ენერგოდანაკარგებით;

მათი ანტიოქსიდანტური მოქმედება საიმედოდ იცავს უჯრედებს დაზიანებისგან.

მცენარეული წარმოშობის ყველა ადაპტოგენს გააჩნია იმუნოტროპული მოქმედება: ახდენს იმუნიტეტის სტიმულაციას, როგორც სპეციფიკურის, ისე არასპეციფიკურის და აძლიერებს ორგანიზმის ინფექციებისადმი მდგრადობას;

### ვის სჭირდება ადაპტოგენები

ადაპტოგენები განსაკუთრებით სჭირდებათ:

— აქტიურად მომუშავე ადამიანებს;

— ყველას ეპიდემიის კერაში;

— დასუსტებულ ადამიანებს;

— გეოგრაფიული სარტყელების ცვლილებისას;

— ხანგრძლივი მოგზაურობებისა და ფრენისას;

— შვებულების დროს ჯანმრთელობისა და ძალების მაქსიმალურად აღსადგენად;

— სპორტსმენებს;

— ხანშიშესულ ადამიანებს მეხსიერების გასაუმჯობესებლად.

### ვის ეკრძალებათ ადაპტოგენები

ადაპტოგენების მიღება აკრძალულია:

— მომატებული ნერვული აგზნებადობისას;

— ჰიპერტონული დაავადებისას;

— მიოკარდიუმის ინფარქტისას;

— მწვავე ინფექციური დაავადებებისას;

— ნებისმიერი წარმომავლობის ცხელებისას;

— უძილობისას;

— ორსულობისას.

ადაპტოგენები ზრდის სხეულის ტემპერატურას, ამიტომ ცხელ ამინდში მათი მიღებისას სიფრთხილე გმართებთ.

# სწორად დალიეთ წყალი

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციათა მიხედვით, დღეში რეკომენდებულია 2-3 ლიტრი წყლის დალევა. ეს მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, იცვლება წელიწადის დროისა და სხვა გარემო ფაქტორების მიხედვით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია გარემოს ტემპერატურა — ზაფხულში ხომ გაცილებით მეტ სითხეს ვსვამთ, ვიდრე ზამთარში.

წყლის დღეღამურ რაოდენობაში არ შედის წვნიანი და სხვადასხვა სახის „ფარული“ სითხე.

წყალს, გარდა იმისა, რომ ნებისმიერი საკვები შეიცავს, ორგანული ნაერთების დაშლის გზით დამატებით თავად ორგანიზმიც გამოიმუშავებს: 100 გრამი ცხიმების დაჟანგვისას 107 გრამი წყალი მიიღება, 100 გრამი ცილები 55 გრამს, ხოლო ნახშირწყლები — 41 გრამ წყალს წარმოქმნის.

წყლის მოთხოვნა იზრდება შემდეგ შემთხვევებში:

1. $37^0$C-ის ზევით მომატებულ ყოველ გრადუსზე სხეულს 10 პროცენტით მეტი წყალი ესაჭიროება;

2. საშუალო სიმძიმის ფიზიკური შრომისას შესმული წყლის რაოდენობა 4-5 ლიტრამდე მატულობს;

3. ღია ცის ქვეშ მძიმე ფიზიკური შრომისას ადამიანი 6 ლიტრამდე წყალს სვამს, ხოლო ცხელ საამქროებში მომუშავემ შესაძლოა 10-15 ლიტრამდეც კი მოიხმაროს.

### წყლის სმის რეჟიმი

— წყლის მაცოცხლებელი ძალისა და მისი მთელი ხიბლის შესაგრძნობად, იგი ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპებად უნდა დალიოთ.

— სპეციალისტები აუცილებლად მიიჩნევენ წყლის დალევას დილით, გაღვიძებისთანავე, საღამოს, ძილის წინ, აგრეთვე ჭამამდე 20 წუთით ადრე, თუ სადილზე ვაშლს, კიტრს მიირთმევთ ან ხილის ნატურალურ წვენს სვამთ — წლის დალევა აუცილებელი არ არის.

— აუცილებელია წყლის დალევა მწარე, მლაშე, ცხარე და ცხიმიანი, მშრალი საკვების მიღების შემდეგ. ასეთ დროს ცხელი ან თბილი წყლის დალევა სჯობს.



— წვნიანი კერძების მირთმევის შემდეგ, წყლის დალევა აუცილებელი არ არის, თუ ძლიერ არ გწყურიათ; რაც შეეხება ხილსა და ბოსტნეულს, მათი მირთმევიდან უმჯობესია, ნახევარი საათი წყალი არ დალიოთ, 1-2 საათით თავშეკავება გმართებთ სახამებლით მდიდარი საკვების მიღებისას, ცილოვანი საკვების მიღების შემდეგ კი 2-3 საათი მოგიწევთ წყურვილის თმენა.

— მოზრდილმა ადამიანმა მშვენივრად იცის, რამდენი წყალი უნდა დალიოს, აი, პატარებმა კი, ვიდრე წყურვილის შეგრძნება საბოლოოდ ჩამოუყალიბდებათ, სჯობს, მეტი წყალი დალიონ, ვიდრე ნაკლები.

— წყლის სმა უნდა შეიზღუდოს შეშუპებით მიმდინარე ზოგიერთი სახის წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევისას, ორსულობისას... ზოგადად შეშუპების ყველაზე ხშირი მიზეზი შეიძლება იყოს დაავადებული თირკმელები, გული და სისხლძარღვები.

### როცა ავად ხართ

თუ კუჭი და ნაწლავები გაწუხებთ, უმჯობესია თბილი, თითქმის ცხელი წყალი სვათ ზამთარშიც და ზაფხულშიც — დილით და საღამოს, ჭამის წინ.

დილით დალეული წყალი მაშინვე აქრობს ძილიანობას, საღამოს კი — პირიქით, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხელს უწყობს ღამით საკვების ნორმალურ მონელებასა და ძალების აღდგენას.

სადილამდე ნახევარი საათით ადრე დალეული წყალი წმენდს კუჭს, მას საკვების ახალი ულუფის მოსანელებლად ამზადებს.

ჯანმრთელ ადამიანებს ყოველთვის შეუძლიათ სვან როგორც თბილი, ისე ოთახის ტემპერატურის წყალ; რაც შეეხება ცივ წყალს და სასმელებს, ისინი ერთნაირად ეკრძალებათ ყველას, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც სიცხისგან გახურებულ ყელში ძლიერ ცივი წყალი ხელს უწყობს გადაციებას და ხახის დამცავი ლიმფოიდური რგოლის დაზიანებას. ეს კი ხშირად რესპირატორული ინფექციების განვითარების წინაპირობად იქცევა ხოლმე.

### გაუწყლოება რომ არ დაგემუქროთ

— მგზავრობის წინ დიდი რაოდენობით წყალი დალიეთ, თუ იცით, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გექნებათ წყლის რეგულარულად სმის საშუალება;

— თვითმფრინავში ყოფნისას, სადაც ჰაერი ისეთივე მშრალია, როგორიც უდაბნოში, ფრენის ყოველ საათში ერთხელ 1 ჭიქა წყალი უნდა დალიოთ;

— ცხელ ამინდში ქუჩაში გასვლის წინ შესვით 1-2 ჭიქა წყალი, ნუ გაგიტაცებთ უშუალოდ მზის ქვეშ წყლის სმა, რადგან ამან შესაძლოა გაძლიერებული ოფლდენა გამოიწვიოს და გაუწყლოების მიზეზად იქცეს;

— როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, წყლის სმა აუცილებლია ცივ ამინდშიც. ყინვაში ორგანიზმი მეტ ენერგიას წვავს, გაცილებით დიდი რაოდენობით წყალი იხარჯება სუნთქვისას;

— სხეულის ტემპერატურის მატებისას რეკომენდებულია დიდი რაოდენობით წყლის სმა;

— ჩვეულებრივზე დიდი რაოდენობით სითხე ესაჭიროებათ მეძუძურ დედებს;

— კოფეინისა და ალკოჰოლის გამოყენება იწვევს გაუწყლოებას, ყოველ შესმულ ფინჯან ყავაზე ან ალკოჰოლზე აუცილებელია დამატებით დალიოთ წყალი;

— თამბაქო ასევე ხელს უწყობს გაუწყლოებას, ამიტომ მწეველებმა, არამწეველებზე მეტი წყალი უნდა სვან.

### ერთი მითის შესახებ

წონაში დაკლების დროს ბევრი უარს ამბობს წყლის სმაზე, რადგან ფიქრობს, რომ წყალი ჭარბი კილოგრამების დაგროვებას უწყობს ხელს. არადა, წყალი ბუნებრივი შარდმდენია და დიეტისას წონაში სწრაფად კლების ყველაზე კარგი საშუალება დიდი რაოდენობით წყლის სმაა.

უფრო მეტიც, თუ დიეტისას შიმშილის შემაწუხებელ შემოტევას ვეღარ უმკლავდებით, გირჩევთ ხშირად დალიოთ წყალი: ის დაგიქვეითებთ მადას. ფრანგ ქალბატონებს უნაკლო ფიგურის შენარჩუნებაში სწორედ ის ეხმარება, რომ დღის განმავლობაში საათში ერთხელ მაინც მინერალურ წყალს სვამენ.

გვერდი მოამზადა
**ზვიად ლონღაძე**

**ზაურ კალანდია**
მწერალი

# soxumi xom Camowera, axla meSinia, am xelisuflebam Tbilisic ar amofxikos qarTuli qalaqebis siidan

ძვირფასო სოხუმელებო, სოხუმი ჩვენი ქალაქი რომ გვეგონა, თურმე ჩვენი არ ყოფილა! ამას მე კი არ ვამბობ, ვინმემ კალანდია, ამას პრეზიდენტი ამბობს, ქვეყნის მთავარსარდალი!

ჩვენ კი თავს ვუქნევთ...

აქა-იქ ტაშიც ისმის...

კი, ბატონო, შენ არ უკრავ... ვიღაცას პრეზიდენტის ერთი სიტყვისაც არ სჯერა, მაგრამ... მერე რა?!

მეშინია, მალე ქართველობაზე არ აგვალებინოს ხელი, კანონი არ გამოსცეს, როგორც ასეთი ქართველი ერი მოკვდაო! ჩვენი პარლამენტი ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებს, არ დაუდასტურებს თუ რა?!



რომელ ერთს დაუშლის ჭკუა ან გონება?!

ვისაც ქართველობა არ უნდა, გზაც იქით ჰქონია, ჯანდაბამდის... მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ვინც ქართველებად დავიბადეთ, ვართ და ვიქნებით. გასაგებია, რომ ეროვნულობა სიამაყესთან ერთად სასჯელიცაა, უმძიმესი ჯვარი და რას ვაშავებთ, ვიქნებით ამ ჯვრის მტვირთველები!...

შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია, მაგრამ სიკვდილზე დიდი ჰქონდეს, არა მგონია!

ხომ გწამთ, საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანააო!

პირჯვარს რომ იწერ, რომ ლოცულობ...

შენ ხომ სიკვდილი ბევრჯერ ნახე, იქ, აფხაზეთში ტყვიის ქარცეცხლში იყავი, მერე ჭუბერის გოლგოთა გამოიარე, გადარჩი... აქ ცოცხალი ხარ, მაგრამ რად გინდა, ჯოჯოხეთადქცეულ სამშობლოში უცხო ხარ, არავის სჭირდები, წელში გაწყვეტილ ჭიასავით დალასლასებ...

თუ შენ არ გამოფხიზლდი, შენი ღირსება თავად შენ თუ არ დაიცავი, უარესი გელის. უარესი რა იქნებაო, ამას მე ნუ მკითხავ.

დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის უფროსი ძმა, თუ არ ვცდები, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ოცდაჩვიდმეტ წელს დახვრიტეს. ერთხელ, პურობისას, საკუთარი ძმისა და თავის მეგობრებში ასეთი რამ უთქვამს: ისეთი გაუსაძლისი დროა, ჩვენ ყველანი ცოტ-ცოტათი ვჭამთ მძ...რს, მაგრამ იმას მაინც ნუ ვიძახით, იფ, იფ, რა კარგიაო!

ეს სიტყვები გახდა მისი დახვრეტის მიზეზი.

მიუხედავად იმისა, დღესაც არნახულად საშინელი დროა, ნებისმიერი ადამიანის ერთ სიცოცხლეზე მეტხანს მისი საქციელი და ღირსება ძლებს.

ამის იმედი მაქვს, ამიტომ ვწერ ამ წერილს.

... ქართულად არ ლაპარაკობდნენ სოხუმშიო, წმინდა წყლის სიცრუეა! ეს არის სწორედ საბჭოური მენტალიტეტი, ორასწლიანი, რუსული პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი — ეს მიწა შენია, მაგრამ მე თუ დამჭირდა, ჩემიო! ცალკე აფხაზს უქონავდა თავს, ცალკე ქართველს. ჩვენივე უჭკუობით ორივენი პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩით. ასე გვინერგავდნენ და რაც მისმა აღმატებულებამ, ბრძანა — თუ მთელი საქართველოსი არა, სამასი ათასი ლტოლვილის დაცინვა და შეურაცხყოფაა!

სოხუმზე არ იწერებოდა ლექსი და სიმღერაო, რომ ამბობს პრეზიდენტი, საიდან იცის?! რუსთაველსა და ორბელიანს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, გალაკტიონი ანა კალანდაძეში რომ ეშლება, ასეთი კაცი ლექსისა და სიმღერის განმსჯელად გამოდგება?

სხვა ენაზე მოჭიკჭიკენი ანუ უნიფხვო მეტიჩრები ყოველთვის იყო და არიან. ველარ ხედავთ, ვითომ გამარჯვებული სამაგალითო ქვეყანაში ქართული ანბანი არ შერჩა დედაქალაქის შუაგულის — რუსთაველის გამზირს!

სოხუმშიც იყვნენ, ალბათ, ისეთებიც.

რაც მე მახსოვს და ვიცი, იმას გავიხსენებ.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ქართული ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის საკითხი დადგა სოხუმში. რაც გიორგი ერისთავის და ივანე კერესელიძის დაარსებულმა ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა" შეასრულა. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ორი დიდი სამოციანელის, მოღვაწეობაში, იგივე როლი უნდა ეტვირთა. ამისთვის წლობით იბრძოდნენ აფხაზეთში მოღვაწე ადამიანები, ღირსეული ქართველები — ოთარ ჭურღულია და გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე და ვლადიმერ ჯოლოგუა, რენე კალანდია და გურამ ოდიშარია, დიმიტრი ჯაიანი და ნუგზარ მგალობლიშვილი, გიორგი სიჭინავა და ნოდარ ხუნდაძე. ლამის თითოეული ქართველი, სტუდენტობა, სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითმყოფადობის ბრძოლაში ჩართულნი. რა თქა უნდა, რუსები ფხიზლობდნენ, აფხაზებიც წუწუნებდნენ, გვევაჭრებოდნენ... ვაიქართველებიც ბლომად იყო, მაგრამ საწადელს მივაღწიეთ, დაარსდა ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „რიწა".

არადა, ლექსი და სიმღერა არ იწერებოდა სოხუმზეო...

სოხუმის ამბავი პრეზიდენტისთვის თურმე გარკვეულია.

ახლა ეკუთვნის თუ არა თბილისი ქართველობას, ეს დარჩა გასარკვევი.

ამიტომ ხომ არ გადააქვს პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში.

უფრო მეტსაც ვიტყვი.

პრეზიდენტის ასეთი ბჟუტური, უპირველესად, ჩვენი ეროვნული გმირის ბატონი ჟიული შარტავას შეურაცხყოფაა. რა, ჟიული შარტავამ რუსთა ქალაქისთვის გაწირა თავი? მისი თანამებრძოლებისა და გმირების გურამ გაბისკირიას, მამია ალასანიას, ჯუმბერ ბეთაშვილის დაცინვაა ეს. თუმცა საიდან უნდა იცოდეს, ვინ და რა ხალხი იყვნენ ესენი?

ჯუმბერ ბეთაშვილი — ეს სულით და სხეულით ულამაზესი ვაჟკაცი, ნაღდი ინტელიგენტი... უკანასკნელად 27 სექტემბრის დილით, სოხუმის მშრალ ხიდთან („წითელი ხიდი") ნახეს იარაღში ჩამჯდარი. მისი ბოლო სიტყვები იყო თურმე: მე აქედან არ წავალ, მე აქ უნდა მოვკვდეო და მოკვდა კიდეც სოხუმისათვის.

გურამ გაბისკირია — ძირძველი სოხუმელი კაცი, ყმაწვილობიდან ვიცნობდი, ჩემი თაობის იყო მართალი გითხრათ, ერთ რიგით ქართველად ვთვლიდი, რუსული უფრო უჭრიდა და ამიტომ... მაგრამ, როცა სოხუმის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, ყველამ ერთად ვნახეთ, მთელი მსოფლიო მოიარა იმ ფირმა, როცა ათასი რჯულის ვიგინდარა გაბისკირიაზე იქაჩება, დაიჩოქეო! „არასოდეს"! — პასუხობს იგი და სიკვდილს ღირსებით ეგებება... გურამ გაბისკირია — ეს იყო დიდი ქართველი. მე, რომელსაც მისი რუსული ადრე მაღიზიანებდა, ათასჯერ მაქვს ამის გამო ბოდიში მოხდილი და მისი სულის მოსახსენიებლად ეკლესიაში სანთლები დანთებული.

ამ კაცს ვუწუნებთ საქციელს და სოხუმი შენი არ იყოო, ჩავძახით საფლავში?!

თვრამეტი-ცხრამეტი წლის ირაკლი ალასანია მახსოვს, მამასთან მამია ალასანიასთან (რომელიც ჟიული შარტვას დაცვის უფროსი იყო და მასთან ერთად გმირულად დაიღუპა) და სიმამრთან, გამოჩენილ მწერალ გურამ ფანჯიკიძესთან ერთად იბრძოდა ომში. ბატონი გურამი ჩემს უფროს ძმასთან გენოსთან ჩერდებოდა სახლში და მათთან ერთად მეც ვიყავი. მაშინ სად იყო ჩვენი პრეზიდენტი, კაკებეს სასწავლებელში თუ რომელიმე ევროპის დიდ ქალაქში ველოსიპედით „კატაობდა"?...

ან გენერალი გენო ადამია როგორ არ გავიხსენო!

გენო ადამიას არამარტო ქართველები, აფხაზები, რუსები, ჩეჩნები, ყაბარდოელები სცემდნენ პატივს, ლამის თავიანთ გენერლადაც მოიხსენიებდნენ.

ის იყო უვაჟკაცესი კაცი და უშიშარი მეომარი.

ქალაქს წაკიდებული ცეცხლი ცას რომ შეუერთდა... შორიდან უყურებდა, როგორ ეცემოდა სოხუმი, მისი ღირსების ქალაქი... ჭუბურის გზას ვერ შეუდგებოდა, ვერც ღალიძგასთან დაბანაკებულ ვაიქართველებს სთხოვდა — შემომიშვით, ომგამოვლილი გენერალი გენო ადამია ვარო და უკან, უკვე ცეცხლმოკიდებული სოხუმისკენ შებრუნდა — ასამდე ტყვიით დაცხრილული კელასურის შუა ხიდს იქით შეეგება სიკვდილს...

აი, ამ კაცს უნდა წაართვა სოხუმი?!!

სადაც არ უნდა ემარხოს სოხუმელის ცხედარი, ის სოხუმს ეკუთვნის.

მაგრამ შენი მშობლიური ქალაქის სიყვარული თუ არ გაქვს, როცა ცოცხალი და მოქმედი პრეზიდენტი ემალები შენს ქალაქს, რომელ სიყვარულზე და ერთგულებაზეა ლაპარაკი?!



აი, როცა კოდორის ხეობას „ზემო სვანეთი" დავარქვით, ხოლო შიდა ქართლს „სამხრეთ ოსეთი", მაშინ ტაში კი არ უნდა დაგვეკრა პრეზიდენტისთვის, ეს რა კარგად მოიფიქრეო, უნდა მივმხვდარიყავით — შიშით, გარიგებით თუ უჭკუობით თმობდა (კარგავდა!) ამ ძირძველ ქართულ ტერიტორიებს და ერთად, ფილტვების გასკდომამდე გვეყვირა ყველას — ძირს გამყიდველი ხელისუფლება!!!

მე რომ გითხრათ, თქვენ უკეთ იცით, რა დღეშიც ხართ!

მე პირდად, ადრეც და დღესაც იმ აზრის ვარ... რომ ის ხალხი, ვინც ცეცხლმოკიდებული აფხაზეთი დატოვა და ჭუბერი-გოლგოთის გზით სამშობლოში შემოაღწია, ყველა მათგანი გმირია! მეტიც, იმ ასიათასი ქართველის ტოლი და მემკვიდრენი არიან ისინი, ვინც ჯალალედინის ბრძანებით — ჯვარზე ფეხი დაედგათ, გადაეთელათ, მაგრამ უარი თქვეს და სიკვდილი უყოყმანოდ არჩიეს! თუ ვინმე დაეჭვდება ჩემს ნათქვამში, ძალიან უბრალოდ ავხსნი. ქართველობაზე, ქართულ ენაზე უარი ეთქვა — სოხუმელს, გაგრელს, გულრიფშელს თუ სამურზაყანოელს, დღესაც საკუთარ კარ-მიდამოში იქნებოდა. რამდენად მშვიდად და კომფორტულად, ეს სხვა საკითხია!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივხვდეთ, რომ აფხაზეთისკენ და სამაჩაბლოსკენ მიმავალ გზებს ეს ხელისუფლება შეგნებულად კეტავს.

ამის მაგალითები უთვალავია.

ერთი ცხელ გულზე დაწერილი საგაზეთო წერილი კი არა, ტომეულები ვერ დაიტევს!

* * *

ბატონი თემურ შაშიაშვილი ხშირად იმეორებს: ჩვენ უნდა შევძლოთ ქართველში ქართველი, ოსში ოსი, აფხაზში — აფხაზში გამოვაღვიძოთო!

ვეთანხმები.

თუმცა ჯერ მაინც ქართველებმა უნდა გამოვიღვიძოთ.

სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

* * *

ამ დილაადრიან წერილს რომ ვწერ, კალენდრის ფურცელზე 12 მაისია.

მახსენდება, დღეს სამი საათისთვის ის, პარლამენტის წინ მიტინგია დანიშნული, დევნილები მართავენ საპროტესტო აქციას „გზა შინისკენ". მოსაწვევში წერია „2012 წლის 12 მაისი გამოცხადდება ოსთა, აფხაზთა და ქართველთა დღედ"-ო!

კარგი და პატიოსანი!

ვჩქარობ, რა იქნება. გამოვლენ ლტოლვილები, იტყვიან, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ჩვენი ჭრილობები ღიაა, მაგრამ ბრძოლისთვის მზადა ვართ, ჯერ კიდევ არ დავცლილვართ სისხლისგანო. ისიც მაინტერესებს, თბილისელებისთვის არის სოხუმი ქართული ქალაქი, საქართველოს ნაწილი, მისი ძირძველი კუთხე აფხაზეთი თუ მათაც ჩაიქნიეს ხელი... იქნებ ის უფრო აწუხებთ, თავიანთი ქალაქი მაინც შეინარჩუნონ... რა, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას დედაქალაქის ყოფნა-არყოფნა თუ?!

სანამდე მივედით...

მაინც არ ვიტყვი, ვაი ჩვენს პატრონს-მეთქი...

წინ 27 მაისიც არის!

არ უნდა გავიწიროთ!

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჯემალ დავლიანიძე

## სად არის ძაღლის თავი?

ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება იმაში, რომ შევარდნაძე ევროამერიკის ფარულ დაკვეთას ასრულებდა?

რადგან ასეა, გთხოვთ ყური მიუგდოთ, რას გაიძახოდა, რას ამბობდა შევარდნაძე 1977 წლის 8 სექტემბრის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" და როგორ ლანძღავდა ბურჟუაზიულ თუ კაპიტალისტურ სამყაროს:

„ადამიანი, რა ამაყად ჟღერს ა. გორკის უდიდესი ჰუმანიზმით აღსავსე ეს სიტყვები. სკოლის მერხიდანვე იცის ყველამ, მაგრამ არასოდეს ისე ამაყად და შთამაგონებლად არ აჟღერებულა, როგორც ახლა, ჩვენს დროში. არასოდეს და არსად არ ყოფილა ადამიანი ისე წარმოჩენილი, ისე პატივცემული, როგორც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში.

სწორედ იგი, საბჭოთა ადამიანი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმ მონაპოვართა შორის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რომ მოვინაგრეთ დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე. ადამიანი, რომელმაც, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, მოიპოვა თავისუფლება და შეძლო მისი დაცვა უმძიმეს ბრძოლებში... ადამიანი, რომელშიც შერწყმულია იდეური მრწამსი, მგზნებარე პატრიოტიზმი და თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

... ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა ერთიანობა კონსტიტუციის პროექტის დამახასიათებელი ნიშანია. მათ დიდ აღშფოთებას იწვევს, როცა იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგები და პოლიტიკოსები ფარისევლურად ღაღადებენ ჰუმანიზმზე (აქ ლაპარაკია ამერიკაზეც, საფრანგეთზეც, გერმანიაზეც, ბრიტანეთზეც... - ჯ.დ.), როცა ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, ჩვენი ცხოვრების წესს. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ის, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციები (მათ შორის უპირველესად მოიაზრება ამერიკის კონსტიტუციაც! — ჯ.დ.) აცხადებენ, და ის, რაც სინამდვილეში ხდება... იმ „თავისუფლებათა" შორის, რომლებსაც ბურჟუაზიული კონსტიტუციები აცხადებენ, წინა პლანზე დგას წარმოების საშუალებათა საკუთრების თავისუფლება, რაც ლოგიკურად ამკვიდრებს მეორე უფლებას — ადამიანთა ექსპლუატაციის უფლებას. სხვისი შრომით გამდიდრების უფლებას. ამიტომ არის ღრმა კლასობრივი უფსკრული ექსპლუატატორსა და ექსპლოატირებულს შორის. აქედან გამომდინარეობს მორალი — ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო. და, რაც უნდა გაიჭაჭონ ბურჟუაზიის იდეოლოგები და ოპორტუნისტები, რომლებიც ცდილობენ ფერუმარილით შეალამაზონ კაპიტალისტური წყობილება, უფსკრული უფსკრულად რჩება. მგელი მგლობას არ მოიშლის".

ამ სტატიაში შევარდნაძე მედგრად ებრძვის კაპიტალისტებს. იგი მათ მგლებს და აქედან გამომდინარე, მგლების ხროვას უწოდებს,

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–22

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

გვარწმუნებს, რომ უფსკრულზე ხიდი არ გაიდება, რადგან ნაპრალი ფართოვდება!

ისმის კითხვა: დღევანდელმა თუ გუშინდელმა კაპიტალისტებმა (ანუ ევროამერიკელებმა!) არ იცოდნენ, რომ შევარდნაძე მათი მლანძღველია? თუ იცოდნენ, მაშინ რატომღა აპატიეს უამრავი შეურაცხყოფა? განა ჯერ დისიდენტი და შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია ასე აგინებდა ბურჟუაზიულ წყობას და კაპიტალისტურ სამყაროს? განა ყოველივე პირიქით არ იყო?

შევარდნაძემ ერთხელ ამოიბღავლა — ადრე სულ შემცდარი ვიყავი, ახლა უკვე ნათელია ჩემთვის ყველაფერიო და მისი ბღავილი შესმენილ იქნა მსოფლიო ფარულ თუ ცხადად მმართველთა მიერ.

გაატარე, და ყოველივე გეპატიება. ამასაც არ გაკმარებენ, დაგაჯილდოვებენ უთვალავჯერ! მით უმეტეს, თუ საკუთარ ქვეყანას ააოხრებ, საკუთარ ქვეყანას გაალატაკებ, თუ მიწას გაჰყიდი... საქართველოს ხელისუფლებაში სწორედ ამგვარი გადაგვარებული ანტიადამიანი სჭირდება მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურებს!

საღვთო წერილებში სწერია, რომ გამოჩნდებიან ანტიქრისტეები, რომლებიც ღვთის სახელით დაიწყებენ ადამიანთა შეცდენას! განა დღეს თვალსაჩინო არ არის ეს ამბავი? აბა ნახეთ — დემოკრატიის სახელით მსოფლიოში რამდენი სისხლი ილვრება! რამდენი სიცრუეა, რამდენი სიყალბეა! რამდენი სავლეებია და რამდენი პავლეებია!

არადა, შევარდნაძე დღესაც მო-




სად არის ძაღლის თავი ჩამარხული?

შევარდნაძე შეურიგდა საზიზღარ ბურჟუაზიას, კაპიტალისტებს (ევროამერიკას), მაგრამ თავისი მიწა-წყლის კაცს, თავის თანამემამულეს, ზვიად გამსახურდიას ვერასგზით ვერ შეხედა თვალებში...

### პოლიტიკური სამხეცეთის წევრობა მარადიული გარანტიაა

კითხვა მეორდება უსასრულოდ: რატომ არჩია ევროამერიკამ მთელი სიცოცხლის მანძილზე „შემცდარი" და ეშმაკის ბილიკებზე მოსიარულე შევარდნაძე? რატომ დაუჭირა შევარდნაძეს მხარი თითქმის მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ? რატომ არ აღუდგა ხალხი სამხედრო გადატრიალებას და მისი მეოხებით ხელისუფლების მიმტაცებელ შევარდნაძეს? ვინ დაუბანგა ტვინები ხალხს, რომ მშობლიური მიწის, ქვეყნის მოყვარულ ადამიანს ფაშისტი, ნაციონალისტი და შოვინისტი უწოდა?

მაშასადამე, შევარდნაძის მსგავსი არსება, რომელიც მთელი სიცოცხლე უკეთურ ცხოვრებას ეწეოდა, საერთაშორისო პოლიტიკაში (ევროამერიკაში!) მისაღებია, ოღონდ!!! მსოფლიო მმართველთა, საიდუმლო მმართველთა პოლიტიკა

დაშია. მრავალ ქართველ ე.წ. ოპოზიციონერს და გაზეთს ძალუმად აინტერესებს მისი აზრი, შეხედულება და ვინ იცის რისთვის, რა ინტერესებისთვის, ტკიპასავით ზედ არიან მიკრულნი!

მასთან მეგობრობენ ჯეიმს ბეიკერი, ჰანს დიტრიხ გენშერი, გორბაჩოვი, მამა ბუში, ბილ კლინტონი და უამრავი ევროამერიკელი მოღვაწე.

უწინ ხომ კომპარტიის ყურმოჭრილი მსახურია, ახლა კომუნიზმის მაგიერ გლობალური დემოკრატიის მორევშია. ყველგან იმსახურა! ყველას ემსახურა — გარდა საქართველოსი. მართლაც, აბა ვკითხოთ — რა დამსახურება მიუძღვის სამშობლოს და ერის წინაშე? თითქმის 40 წელიწადი მართავდა (და ალბათ, დღესაც იგი მართავს) უბედურ საქართველოს და რა წვლილი მიუძღვის, რა გააკეთა, რითი დაიტრაბახებს?

ყველა მისმა მომხრემ მიპასუხოს, გარდა გახრწნა-გადაგვარებისა, გარდა გამყიდველობისა, რა სიკეთე მოიტანა ამ ვერაგმა და მელამ, ჩვენი მტრის მოსამსახურე კაცმა?

და, რაც მთავარია, შევარდნაძე ოსტატურად ახერხებდა, მზაკვრულად განეხორციელებინა ევროამერიკული ცენტრების დავალება ისე, რომ ყველაფერი რუსეთს დაბრალებოდა.

იგი ჭუჭყიანი საქმის, ბინძური დავალების საუკეთესო შემსრულებელი სუპერ-ვამპირი გახლდათ! მის საქმიანობას უკან მუდამ მოჰყვებოდა სისხლისა და გვამების, სიკვდილის კვალი. თუ საჭიროება მოითხოვდა, საზღვარგარეთელ, თვით ევროამერიკელ მზვერავებსაც კი უკეთებდნენ ლიკვიდაციას. მაგალითად, ამერიკელი ვუდროფის დღემდე ბოლომდე აუხსნელი სიკვდილი. ეს კაცი, ვუდროფი, თურმე სხვადასხვა ე.წ. მსოფლიოს მეორეხარისხოვან ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალების ოსტატი ყოფილა. შევარდნაძის მმართველობის დროს ყაზბეგის მხრიდან მომავალი ავტომობილის კაბინაშივე მოკლეს და დამნაშავედ ნატახტრის გზაგასაყარზე მდგომი ვიღაც ავტომატიანი, ქართველი გვარდიელი გამოაცხადეს. მკვლელობის მომენტში ავტომანქანაში, ამერიკელ ვუდროფთან ერთად იმყოფებოდა შევარდნაძის მაშინდელი დაცვის უფროსი...

ყოველივე წარიმართა ისე, თითქოს ქართველმა ჯარისკაცმა შემთხვევით გაისროლა და ტყვია მაინც და მაინც „ნივაში" მჯდომ ამერიკელს მოხვდა, ვგონებ შიგ შუბლში. დანარჩენი ამ საქმის ირგვლივ საიდუმლოებითაა მოცული! თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მისთვის დამახასიათებელი ხმაური არ წამოუწყია! მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლები ჩივიან დღემდე, -თვით ამერიკელი ადვოკატები აცხადებენ, რომ შეუძლებელია იმ ჯარისკაცის მოკლული იყოს ვუდროფი, სრულიად უდანაშაულო ადამიანი იხდის სასჯელსო!

შევარდნაძის დროს უამრავი ადამიანი დაიღუპა და გარდაიცვალა მეტად უცნაურ გარემოებაში!

მაგალითად, ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში — კახეთიდან ავტომანქანით მომავალ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ზურაბ პატარიძეს, გზაზე გადაუხიდეს სატვირთო „გაზ-53"-ი და იგი ადგილზევე გარდაიცვალა!

ასევე დახვრიტეს თვითმფრინავის გატაცების საქმის გამო, სრულიად უდანაშაულო მღვდელი თეოდორე ჩიხლაძე და სხვათა შორის, ხსენებული სასულიერო პირი, არა თუ ევროამერიკელ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, არამედ თვით საზოგადოებასაც არ დაუცვია! ულმობლად, მხეცურად დახვრიტეს თვითმფრინავის გატაცებაში მონაწილე ახალგაზრდები! არავითარი პატიება! არავითარი შეწყალება! საჭიროებამ მოითხოვა ანუ საბჭოთა კავშირის მართლმსაჯულება რომ გალანძღულიყო, შევარდნაძემ არ შეიწყნარა

ისინი და შემდგომ თქვა — მე ვინ მკითხავდაო! პილატემ ხელები დაიბანა, მაგრამ საოცარია მაშინდელი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თ. გერსამიას საშინელი განცხადება იმ ამბიდან ორიოდე ათეული წლის შემდეგ გაზეთში გაკეთებული: მე ჩემს თავზე ავიღე იმ ახალგაზრდების დახვრეტა! აუცილებლად უნდა დახვრეტილიყვნენ! დღესაც რომ მოაწყოთ სასამართლო და მე ვიყო თავმჯდომარე, ისევ დახვრეტას მივუსჯიდიო!

შევარდნაძემ მთელი ცხოვრება გაატარა და ატარებს:

კოსმოპოლიტიზმში, არაადამიანობაში, სივერაგეში, დაუნდობლობაში, სიცრუის სინამდვილედ წარმოსახვაში, მკვლელობაში, უღმერთობაში, მოჩვენებითობაში, ორპირობაში, ცბიერებაში, მუხანათობაში, ცინიზმში, ისტერიაში, კრეტინულ ენთუზიაზმში, სიბრიყვის ქარტეხილებში, სულმოკლეობაში, უთავმოყვარეობაში, არამზადობაში, უსამართლობაში, ღალატში.

### შევარდნაძე, რუსიფიკაცია და მუხრან მაჭავარიანი

შევარდნაძემ ოკეანესგაღმელი და ევროპელი საიდუმლო ძმობის დავალებით, საქართველოში რუსიფიკაციის კამპანია დაიწყო. იგი ცდილობდა რუსული ენა სახელმწიფო ენად ექცია.

შემეკითხებით — ეს ხომ რუსეთის ინტერესებში შედიოდაო?

არა! რუსეთს სულაც არ სჭირდებოდა, მოკავშირე რესპუბლიკებში რაღაც სპეციალური კამპანიები დაეწყო რუსიფიკაციის გამო, რადგან ბავშვმაც კი იცის — ეს მოქმედება დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

რუსული ენის სწავლების საქმე ყველგან მოგვარებული ჰქონდათ და ისწავლებოდა თითქმის პირველი კლასებიდან.

მაგალითად, მწერალთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის წიგნაკები ორ ენაზე იბეჭდებოდა. მწერლის თუ ჟურნალისტის ვინაობა წიგნაკში ჯერ რუსულად ეწერა, მერე იმ ეროვნულ ენაზე, რომელზედაც ესა თუ ის პიროვნება ლაპარაკობდა!

ასევე იბეჭდებოდა პასპორტებიც!

ისე, რომ რუსიფიკაციის კამპანია შევარდნაძეს დაავალეს დასავლეთიდან საიდუმლო გრიფით, ხოლო ამ ჩანაფიქრს თვით საბჭოთა კავშირში, ხელს უწყობდნენ ხელისუფლებაში შეპარული და ადრე დაკონსერვებული სპეციალისტები.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

შედეგი, როგორც ვთქვი – მოკავშირე რესპუბლიკებში უკმაყოფილების დათესვა გახლდათ.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ფაქტი:

1974 წელს საქართველოს დიდმა პოეტმა, მუხრან მაჭავარიანმა მოიცალა ქართველი ბავშვებისათვის და შეადგინა საყმაწვილო კალენდარი, სახელწოდებით „მთიები“, რომელიც ცოდნის წყარო იქნებოდა პატარა ქართველებისათვის! იმავე წელს წიგნი დაიბეჭდა 50 000-იანი ტირაჟით და... შევარდნაძის პირადი მითითებით, მთელი ტირაჟი დაწვეს და გაანადგურეს!

საყმაწვილო კალენდარი „მთიები“ იყო პირველი მერცხალი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ეროვნული ნიშნით შედგენილი ქართული სახელმძღვანელოები.

რატომ მოსპო შევარდნაძემ საყმაწვილო წიგნი?

იმიტომ ხომ არა, რომ 2000 წლისათვის ეს წიგნი მომავალ თაობას აღზრდიდა ეროვნული ნიშნით და ეს იქნებოდა უძლიერესი ახალგაზრდობა, მოყვარული თავისი მიწისა, მამა-პაპური ტრადიციებისა, ოჯახიშვილობისა, მართლმადიდებლობისა! ეს იქნებოდა თაობა, რომელიც გინებით და ლანძღვით საკუთარ დედას აღარ გააუპატიურებდა! ნარკომანებად არ იქცეოდნენ! ჰომოსექსუალიზმის და გახრწნა-გადაგვარების ჭაობში არ ჩაეშვებოდნენ! საკუთარ მიწას არ მიატოვებდნენ და სხვაგან არ გაიქცეოდნენ! და, თავისი სამშობლოსათვის სიკვდილამდე იბ-



რძოლებდნენ, მტერთან ივაჟკაცებდნენ, მოყვასს, თანამემამულეს არ გაძარცვავდნენ, არ მოკლავდნენ, საკუთარ მამულს არ ააოხრებინებდნენ და არ გაყიდიდნენ!

დღეს შევარდნაძე სახალხოდ ტრაბახობს, რომ 1978 წელს მან შეგვინარჩუნა სახელმწიფოებრივი ენა, როცა საბჭოთა კავშირის ცენტრიდან მოვიდა ბრძანება – ქართული ენა უნდა რუსულით შეცვალოთო (ხსენებული ბრძანება, თუ იგი მართლა არსებობდა, სულაც არ აძლევდა ხელს რუსეთს!). მაშასადამე, 1974 წლიდან, როცა მან ქართული წიგნი „მთიები“ დაწვა, 1978 წლამდე მას უკვე შეუცვლია მსოფლმხედველობა და ეროვნულ მოღვაწედ ქცეულა!

აბა ვკითხოთ შევარდნაძეს:

-რატომ არ გამოეცი 1974 წელს შენივე ნებით განადგურებული „მთიები“ თუნდაც 1978 წელს?

შევარდნაძეს თუ „გული ეწვოდა“ ქართული ენის შევიწროებაზე (სინამდვილეში თვითონვე იყო უპირველესი მტერი დედა-ენისა, რადგან ქართველთა დედა-ენა მას არასოდეს ჩაუთვლია თავის დედა-ენად!), ამდგარიყო და ოთხი წლის უკან ჩადენილი დანაშაული, 1978 წელს ან შემდგომ გამოესწორებინა – გამოეცა მუხრან მაჭავარიანის „მთიები“, მაგრამ ამაოდ!

„მთიების“ დაბეჭდვა სრულად შევძელი 1997 წელს, ჩემი რედაქტორობით გამომავალ გაზეთში „საქართველოს სამრეკლო“-ში. მაშინ წინასიტყვაობაში ვწერდი:

„ეს წიგნი 1974 წელს 50 000 ცალი დაწვა და გაანადგურა საქართველოს კომპარტიამ (ანუ შევარდნაძემ!). „მთიები“ დღესაც რეპრესირებულია. მისი წიგნად გამოცემა დღესაც შეუძლებელია, ამიტომ ვბეჭდავთ იმ ფორმით, რომ მკითხველმა გაზეთის ფურცლებიდან ამოჭრას და წიგნად აკინძოს“.

შევარდნაძე რომ ბაქიბუქობს და იბღინძება – ქართული ენა 1978 წელს მე შევუნარჩუნე საქართველოსო, ნუთუ ვერ ვკითხავთ: 1974 წელს, შენი პირადი მითითებით რომ დაწვეს მუხრან მაჭავარიანის საყმაწვილო წიგნი „მთიები“, იქნებ ან 1978 წელს მაინც დაგებეჭდა! ან 1980 წელს დაგებეჭდა! ან – 1992 წელს! ან 1994, 1997, 2000, 2003 წელსო!

სწორედ ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს საუბარი იმის შესახებ, თითქოს შევარდნაძემ ოდესმე – ერთხელ მაინც, რაიმე კარგი იფიქრა საქართველოზე!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# qarTuli marTlmsajuleba _ ganukiTxaoba, angareba, uvicoba

## მაღალჩინოსნებისთვის მორგებული კანონები გვაქვს, სამართალი — არა

2009 წელს დეკემბერში აღიძრა სისხლის სამართლის №006100030 საქმე და მე მცნეს დაზარალებულად. „გამოძიებას“ აწარმოებდნენ ვაკე-საბურთალოს პოლიციის გამომძიებლები, ჯიშკარიანი, კეჟერაშვილი (რომლებსაც თითი თითზე არ დაუკარებიათ. გამოავლინეს უმეცრება და უზრდელობა), ხოლო 2010 წ. მაისიდან ს.ფერაძე და ამავე რაიონის პროკურორი ს. ბარაბაძე, გამოძიების გაჭიანურების გამო საქართველოს მთავარი პროკურორისადმი მიწერილი სამი (!) კატეგორიული მოთხოვნის პასუხად მივიღე ბარაბაძის ფერაძისადმი მიწერილი ხუთი (!) წერილის ასლი, რომლებშიც „ბრძნულად“ მიუთითებს ერთი და იგივეს: „საქმის ერთობლიობაში განიხილეთ მიხეილ ბაბუნაშვილის განცხადება, უმოკლეს ვადაში საქმეზე ამოწურეთ საგამოძიებო მოქმედებები და წარმოადგინეთ რაიონულ პროკურატურაში შემაჯამებელი გადაწყვეტილებათა მისაღებად“.

ს.ს.№00610030 საქმის არსი, რომელიც შედგება სამი ფურცლისაგან (საქმის მიღებისას გამომძიებელმა ს.ფერაძემ აღნიშნა, რომ „აქ გამოსაძიებელიც არაფერია“) უმარტივესია: 2001 წ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვილას“, მის გამგეობას. თავმჯდომარეს ვახტანგ ჟორდანიას კანონის მოთხოვნილებათა სრული დაცვით ნოტარიული გაფორმებით ჩავაბარე ჩემი კუთვნილი 70 მ-2 ბინა, „ვილას“ ახლადაშენებულ სახლში 60 მ.2 ფართის და ავტოფარეხის გადმოცემის ნოტარიალურად დამტკიცებული გარანტიით. ეს გარიგება ჟორდანიამ და „ვილას“ მდივანმა დამატებით დაადასტურეს ხელწერილით, „ვილას“ ბლანკზე დაბეჭდილი დოკუმენტით ბეჭდის დასმის, ხელმოწერებით, მაგრამ...

1 წლის და 7 თვის განმავლობაში ეს მზესავით ნათელი უმარტივესი საქმე ვერ (ან არ) „გამოიძია 3 გამომძიებელმა“ და რაიონულმა პროკურატურამ (კ.ცაცუა, ზ.გურასპაშვილი, ს.ბარაბაძე), ხოლო 2011 წ. 22 ივნისს „პროკურორმა“ გურასპაშვილმა საერთოდ შეწყვიტა გამოძიება. აშკარად დაუჯერებელია.

ცნობისთვის გურასპაშვილის „დადგენილებაში“ და ჩემს მიერ მიწერილ საპროტესტო ოთხი წერილის პასუხად რაიონული პროკურორის კ. ცაცუას პასუხში მკაფიოდ ჩანს. რომ მათ არათუ შეუსწავლიათ საქმე, არც კი წაუკითხავთ, იმდენი ელემენტარული შეცდომა, უვიცობა, აბსურდია მათში. მე მეტნაკლებად მჯერა, რომ დაბალჩინოსნები არაკორუმპირებულნი არიან. მაღალჩინოსნების მიერ მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე ინიშნებიან გოგო-ბიჭები, რომლებიც უვიცობის და მაღალხელფასიანი თანამდებობების დაკარგვის შიშით მორჩილად და თვინიერად ასრულებენ მაღალჩინოსნების ბრძანებებს. აი, ეს არის უნიკალური, ფარული, ქართული სააკაშვილისებური კორუფცია, მაგალითი: ს. ფერაძის განცხადება –„მე რა მექნა, პროკურორმა მიბრძანა“:

რომელ მართლმსაჯულებაზეა ლაპარაკი: ჩემი საქმე (სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე) ორჯერ განიხილა საქალაქო სასამართლომ „მოსამართლეებმა“ თ.ჩიხლაძემ (მეუღლე საკასაციო სასამართლოს ხელმძღვანელობს!) და დ. ლიბრაძემ ორჯერ დამაყაჩაღეს 1497-1497 ლარით (სახ.ბაჟი) და გამოიტანეს „განაჩენი“ 2X2-50 წ. ორივე, მოსამართლის მანტიით შემოსილი დიქტატურის სასამართლოს მოჯამაგირეები“ არიან.

ვიმეორებ, აუცილებლად მივაღწევ სიმართლეს. გავრცელებულია აზრი, რომ თუ დღეს მოქალაქე დაუპირისპირდება რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურა, სასამართლო) ის წინასწარაა განწირული. მე ჩიხლაძეებს, ლიბრაძეებს, ცაცუებს, გურასპაშვილებს დავუმტკიცებ საწინააღმდეგოს. გამოაშკარავდება, თუ ვინ დგას ვ.ჟორდანიას ზურგს უკან და როგორი ანაზღაურებით, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი გასცა ბ-მა ალექსი კობაიძემ (იხ.გაზეთი „ქრონიკა“ №6, 2012 წ. გვ.22-23). მალე დადგება დრო და ფერაძე იტყვის, რომ მას უბრძანეს, მაგრამ საინტერესოა, რას იტყვიან გურასპაშვილი, ცაცუა. ალბათ, იმედი აქვთ, რომ კვლავ იარსებებს პროკურატურის მორჩილი „დემოკრატიული“ რეფორმებით დახუნძლული კუბლაშვილების უწყება.

მე5-ჯერ მივმართე უზენაესი სასამართლოს ე.წ. თავმჯდომარეს (იხ. გაზეთები „ახალი თაობა №279, 2009 წ. „ქრონიკა“ №29, 2010, „საერთო გაზეთი“ №33, 2010 წ. „საერთო გაზეთი“ №35, 2010 წ. პასუხისთვის დრო ვერ გამოინახა, ის რომ ბიზნესმენების „რაზბორკებითაა“ დაკავებული, რაც ძალზე სარფიანი საქმეა.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა იგივე პროკურატურაზე, 10-12 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების სახლი აბსოლუტურად უკანონოდ მიაკუთვნეს თაღლით ჟორდანიას მეშვეობით, ჯერჯერობით...



ჩემს მიერ დაწერილ ათობით საჩივარს ერთი პასუხი აქვს: წერე და იკითხე ესეც ჯერჯერობით... ცაცუას და გურასპაშვილს კანონის არაფერი გაეგებათ (თუ გაეგებათ, მით უარესი) და ამას ვერც მალავენ. ეს ე.წ. კანონის დამცველები ვერ მისაბუთებენ, რომ მართალი არ ვარ. „მოსამართლე“ ჩიხლაძე თავისი უვიცობით (თუ თავხედობით) განაჩენში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე მართალი ვარ, მაგრამ სარჩელზე უარი მეთქვას(!) „ქალბატონი თამარი“ ნათლად ამჟღავნებს დაუსჯელობის სინდრომს (თანაც თუ ასეთი მეუღლე გყავს...).

გაზეთ „ქრონიკის“ (№6, 2012 წ) ფურცლებზე (გვ. 22-23) გამოქვეყნდა ბ-ნი ალექსი კობაიძის წერილი, სადაც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ დღევანდელ ქართულ მართლმსაჯულებას ძმები კუბლაშვილები და მთავარი პროკურორი ზოდელავა (პავლე კუბლაშვილის ყოფილი მოადგილე) ხელმძღვანელობდნენ. ძმებმა კუბლაშვილებმა ჯერ კიდევ 2003 წლის აპრილში ცნობილი „ბუკიას ბაღის“ ტერიტორიაზე დაიწყეს 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ბაღი თბილისის მთავრობის მიერ 2003 წ. მარტში გადაეცა საპატრიარქოს (ე.ი. მშენებლობა დაიწყო დადგენილების გამოტანის შემდეგ)!!! მათ მოპარეს 600 მ. ბაღის ტერიტორია ქალაქს და მიითვისეს 26 ლარად. ძმები კუბლაშვილების უშუალო მონაწილეობით განადგურდა ოკრიბის უნიკაელური ჯიშის 100-წლიანი წაბლის ხეები და გატანილი იქნა საზღვარგარეთ გასაყიდად (და ბევრი, ბევრი სხვა) და აი, ეს სუბიექტები „ხელმძღვანელობენ“ მართლმსაჯულებას ჩვენს „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში და კიდევ გურასპაშვილის და ცაცუას დადგენილებაში წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ აღნიშნულია, რომ მე მაქვს გასაჩივრების უფლება ოთხჯერ. საკმაოდ შეურაცხმყოფელი ტონით მოვითხოვე რაიონული პროკურატურისაგან გამოძიების მასალის ასლები, მაგრამ, თურმე, მე, დაზარალებულს, ამის უფლება არ მქონია იმ ქვეყანაში, სადაც მართლმსაჯულება უფრო მაღლა დგას, ვიდრე „ჩამორჩენილ“ ევროპასა და ამერიკაში. როგორ გავასაჩივრო მათი აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილება, თუ არ მექნა გამოძიების მასალა. არადა, დადგენილებიდან ჩანს, რომ ეს მასალა ფალსიფიცირებულია: ძირითადი მოწმეების ჩვენებები ამოღებულია, ან ისინი არც დაუკითხავთ, ჩემი ჩვენებაც კი გაყალბებულია. დასკვნები მცდარია. უმეცრებასაც ხომ უნდა ჰქონდეს ზღვარი... რატომ არ შეიძლება მასალის ასლების გადმოცემა? ე.წ. დადგენილება ემყარება თაღლით ჟორდანიას ზეპირ ჩვენებებს, ხოლო ჩემი ნოტარიულად გაფორმებული დოკუმენტები უგულებელყოფილია, რატომ? (იხილეთ ზემოთ მოხსენებული 1100მ ფართი 10-12 მილიონის ღირებულებით).

ისმის ლოგიკური კითხვა: რა გავასაჩივრო, ან როგორ, თუ არ მეცოდინება რა წერია გამოძიების მასალებში. მაძლევენ „უფლებას“, მაგრამ არ მაძლევენ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას. მათ იციან, დადგენილება უკანონოა, მე ამას დავამტკიცებ. ეს არის მასალის არგადმოცემის ძირითადი მიზეზი. კ. ცაცუას მტკიცებით მისმა მოადგილემ გურასპაშვილმა გამოძიება შეწყვიტა საქართველოს სსსკ სრული დაცვით. თუ ეს ასეა, რატომ არ მაძლევენ გამოძიების მასალებს? რისი ეშინიათ? ეს პროფესიული სოლიდარობის ბრიყვული გამოვლინებაა თუ „მგელი მგლის ტყავს არ დახევს“. მათ ეშინიათ, რომ გამოაშკარავდება მათი ე.წ. „კანონის დამცველების“ უკანონო ქმედება, მიზეზი ამ ქმედებისა, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება შედეგი (და თანაც სულ მალე).

***P.S.** ზემოთჩამოთვლილი „სამართალდამცველები“ აფარებენ რა ხელს თაღლითს, ხდებიან სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის თანამონაწილენი (საქ. სსკ 180-ე მუხ. III ნაწ. „ბ“ პუნქტი). სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ რომელიმე მათგანი თავს შეურაცხყოფილად იგძნობს (მაგრამ ამისთვის ხომ ღირსებაა საჭირო), მე პასუხს ვაგებ სსკ ნებისმიერი მუხლით (მუხლებით), ან პირიქით.*

*დამატებით აღვნიშნავ, რომ მთ. პროკურორის სახელზე. 2012 წ. 30 იანვარს გაგზავნილ მე-4 წერილზე (№01-13 6161) დღემდე პასუხი არ მიმიღია.*

**მ. ბაბუნაშვილი**

„სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლთა კავშირი“

## მოგზაურობა სამშობლოში

*წრომიდან დასავლეთით, 7-8 კილომეტრში დგას წრომზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი — ხცისის დარბაზული ეკლესია. მისი მიგნება ძნელი არაა. სოფელი ხცისი ხაშურამდე, გზიდან სამხრეთითაა და ტრასაზე მისი მიმანიშნებელი ფირნიშიცაა გამოტანილი. ტაძარი სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრშია.*

*მაგრამ წრომსა და ხცისს შორის, სადაც მტკვრის პატარა შენაკადი — მიწობისწყალი ჩამოედინება და ამავე სახელწოდების სოფელია, კიდევ ერთი საინტერესო ძეგლია. ჩვენი მეგზურის თამაზ ლაცაბიძის თქმით, მისი უნახაობა არ იქნებოდა და ამიტომაც ხცისისკენ მიმავალი გზა ოდნავ გავიმრუდეთ. სოფელი მიწობი ახლოსაა, ნასაყდრალი — ოდნავ მოშორებით.*





# წვიმოეთის მადლი

## საციციანოს გვერდისძირი

სოფლისა და ხევის სახელის გაგონებაზე აღმოჩენის სიხარულმა ამიტანა. მან იოანე ბატონიშვილის „ისტორიის" („კალმასობის" ერთ-ერთი წიგნი) ის მონაკვეთი გამახსენა, რომელიც ლაშა-გიორგის ტრაგიკულ სიყვარულს შეეხება. ბატონიშვილი წერს, რომ მისი გულისწორი ველისციხელი სომეხი ვაჭრის მეუღლე კი არ იყო, არამედ ახაშენში მცხოვრები და ოდესღაც დიდგვაროვან კლდეკარის ერისთავთა შორეული ჩამომავალი. უმშვენიერესი სუსანა ხარჭად კი არ ესვა ლაშას, არამედ ჯვარდაწერილი მეუღლე იყო და დავითულუც კანონიერად უშვა. სიმართლე ისაა, რომ სამეფო კარმა და უწინარესად ლაშას დამ, ამპარტავანმა რუსუდანმა არ მიიღეს იგი. იოანე ბატონიშვილი (ისევე როგორც მისი ძმა თეიმურაზი) არა უბრალო მემატიანე, არამედ მკვლევარი მეცნიერი გახლდათ, რომელიც ყურმოკრულ ამბებს კი არ წერდა, არამედ თითოეულ საკითხს ძირისძირობამდე მისდევდა. მთავარი სათქმელი შორს რომ არ დაგვრჩეს, მოკლედ მოვჭრი: **სუსანას გვარი იყო მიწობლიძე (ფუძნარის ეკლესიის წარწერაში, მგონი, ეს სუსანა-ხათუნაყი არის მოხსენიებული). ეს თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი წინაპრები ერთ დროს მიწობის ხევის პატრონები ყოფილან და იძულებით კახეთში გადასახლებულან. მიწობი და მიწობის ხევი კლდეკარის ერისთავ ბაღვაშთა მფლობელობაში თუ არ შედიოდა, ის ხომ მაინც უდავოა, რომ მათ საზღვარზე მიკრული ალაგი იყო. ამდენად ბუნებრივია, რომ ბაღვაშთა დინასტიის ერთ-ერთი განაყარი — მიწობში მცხოვრები მიწობელაძეები იქნებოდნენ.**

როგორც ითქვა, ტაძარი სოფლიდან მოშორებით, მიწობისწყლის მარჯვენა სანაპიროზეა. იგი ტყის პირას დგას და თუმცა კი წმ. სტეფანეს სახელობისაა, მეორენაირად **გოლას საყდარს** უწოდებენ ადგილობრივები. ეკლესია ძალიანაა დაზიანებული: არა აქვს კამარა და კონქი, კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეულ კამარას თან ჩამოჰყოლია, ჩრდილოეთის მხარე კი მოშავებულ მიწას დაუფარავს. ტაძარი ნაგებია ზერელედ გათლილი ქვიშაქვის მსხვილი ლოდებით. იგი დიდი არაა (3,7X5,8 მ.), მაგრამ სამი შესასვლელი აქვს: დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ საყდარს, სულ მცირე, ორი მინაშენი ექნებოდა — ჩრდილოეთით სამკვეთლო, სამხრეთით— სტოა. ძალიან საინტერესოა აფსიდი, რომლის ორ მხარეს ორ-ორი მაღალი ნიშია და ერთ-ერთში









**წვიმოეთის ტაძარი: საერთო ხედი აღმოსავლეთიდან, წარწერები სარკმელთან და სამკაულების ერთი ნაწილი**

მცირე სამალავია მოწყობილი. ასევე ყურადღებას იქცევს აფსიდის წყვილი (და არა შუაზე გაყოფილი), არშიაშემოვლებული სარკმელი. მცირე, დარბაზულ საყდრებში ასეთი რამ იშვიათობაა. ბრტყელი ნალისებრი მოყვანილობის აფსიდი, სარკმლებისა და არქიტრავის შემომფარგვლელი მარტივი გრეხილი ლილვები, ნახევარპილასტრები, ინტერიერის დეკორატიული თაღები და სხვა დეტალები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტაძარი IX-X საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. მართალია ლაპიდარული წარწერების ნაკვალევიც კი არსად შეინიშნება, მაგრამ ერთი პატარა გოლგოთის ჯვრითაც კი (დასავლეთის კარის თავზე) ტაძარი თავისებური ქვის მატიანეა.

... სოფელ ხცისში მისი გამგებელი გოჩა მსხალაძე შემოგვიერთდა. თავდაპირველად ერთი ნაეკლესიარი და ორიც ახალი ეკლესია შემოვიარეთ („წმ. ნიკოლოზი" — გვ.შ.ს, შლუყურის „წმ. გიორგი" — XIX ს. და სოფლის ცენტრში მდგარი „წმ. გიორგი" — XIX ს), მერე თომა ციციშვილის სასახლე ვნახეთ (1872 წ.) და ბოლოს სამხრეთით, მთებისკენ დავიძარით. გზამ უეცრად აკრიფა სიმაღლე და 1,5 კილომეტრში, დაახლოებით 400 მეტრით ზევით ავიწიეთ. მანქანა ტაძრიდან ასიოდ ნაბიჯში შეჩერდა.

ამ ადგილს და ტაძარს მეორენაირად **წვიმოეთი** ჰქვია. ტოპონიმის წარმომავლობა დაუდგენელია. შესაძლოა, რომ იგი წვიმასთან იყოს დაკავშირებული. ჩვენში ხომ ზოგან ისეთი ადგილიც იცის, სადაც თავსხმა წვიმაში ერთი წვეთი არ ჩამოვარდება და ისეთიც, საყოველთაო დარში მცირე ღრუბელსაც რომ თავზე ჩამოიწურავს. ტოპონიმის ამგვარ ახსნაში გოჩა მსხილაძე მეთანხმება და ამბობს, რომ ეკლესიაზე ადგილმდებარეობის სახელი გადმოვიდა. საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს თამაზ ლაცაბიძეს. იგი ამბობს, რომ **„წვიმოეთი" სინამდვილეში „სვიმოეთია" და იგი ეკლესიის მაკურთხებლის კათოლიკოს სვიმონის სახელიდან წარმოიქმნა. ცნობილია, რომ კათალიკოსმა სვიმონმა (1001-1010 წ.წ.) ასევე აკურთხა ბაგრატის ცნობილი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ხცისში, ქუთაისისგან განსხვავებით, ბაგრატ III-ის კი არა, კათოლიკოსის სახელია, გაუკვდავებულია — სვიმოეთი.**

ორივე ტაძარი ერთდროულად შენდებოდა. „ბაგრატის" იატაკი, წარწერის მიხედვით, 1003 წელს მოს-



წორდა და განმტკიცდა, წვიმოეთს საძირკველი 1002 წელს ჩაეყარა. პირველიც ეპოქალური ძეგლია (ჯვარგუმბათოვანი ტაძრების შედევრი) და მეორეც (დარბაზული ტიპის ტაძრების შედევრი). ორივე გაერთიანებული საქართველოს ნიშანსვეტია.

წვიმოეთის ტაძარი (ხცისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია) მოზრდილი ნაგებობაა, სიგრძეში 14,3 მ-ია, სიგანეში კი, მინაშენებიანად, 15,5 მ. იგი აშენებულია ფაქიზად გათლილი ოქროსფერი და ბაცი რუხი ქვიშაქვის კვადრებით. მათი ზუსტი თარაზული წყობა განსაკუთრებით შესამჩნევია ცენტრალურ ნაგებობაზე. ტაძრის ფასადები უხვადაა შემკული დახვეწილი რელიეფური ქანდაკებებით, ჩუქურთმებით, დეკორატიული თაღებით. სამკაულიანი ქვების ერთი ნაწილი, პერანგს რომ მოსწყვეტია, იქვე გდია, ნაწილი, ალბათ, მიწაშია დამარხული. აკვირდები და ხვდები, რომ ეს ე.წ. ქართული ბაროკოს კულმინაციაა, რომელმაც მთელი ორი საუკუნე შეინარჩუნა შესაშური დონე. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას — ქართულმა სახელმწიფოებრიობამ თავის პიკს თუ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია (ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, აკადემიკოს ვასილ ბარტოლდის გამოკვლევით იმდროინდელი საქართველო უფრო მდიდარი ქვეყანა იყო, ვიდრე ირანი, ბიზანტია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია), ხუროთმოძღვრებაში ეს პიკი X საუკუნის მიწურულიდან იწყება. ის, ვინც წვიმოეთის ფასადებს იხილავს, ამაში ეჭვს ვერ შეიტანს.

თლილია და ფაქიზია შიდა პერანგიც, რაც იმაზე მოგვანიშნებს, რომ ხუროთმოძღვარს ტაძრის მოხატვა გეგმაში არ ჰქონია. ინტერიერის მთელი ღირსება, ქვათა მხატვრული წყობა, სამსაფეხურიანი პოლასტრები და აფსიდში ჩაწერილი 4 მაღალი ნახევარწრიული ნიშაა.

ვინ არის ხუროთმოძღვარი ანუ გალატოზი და ტაძრის უშუალო მშენებელი?

პასუხს ამ შეკითხვებზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების ასომთავრული წარწერები იძლევა.

აღმ. ფასადი: **„სახელითა ღმრთისაითა მე გლახაკმან ანანია ვიწყე შენებად წმიდას ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაისა ნათლისმცემლისასა სალოცველად, ადიდენ ღმერთმან, ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემთვის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის. ქორონიკონი იყო სკბ" (ე.ი. 1002წ)**

დას. ფასადი: **1) „წმიდაო ნათლისმცემელო, შეიწყალე და ადიდე გურანდუხტ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა. ქ. უფალი იესო ქრისტე, შეიწყალე და ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა... და ყოველი კურაპალატი. მიეც ძლევაი მტერთა ზედა ხილულთა და უხილველთაო 2) „ქრისტე, შეიწყალე ანან მთავარეპისკოპოსი"; 3) „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო და წმიდაო, ნათლისმცემელო, შეიწყალე იოანე".**

**წარწერებში ნახსენები არიან ბაგრატ III, მისი მეუღლე გურანდუხტი, ძე მათი გიორგი I, ანან (ანანია) მთავარეპისკოპოსი და ხუროთმოძღვარი იოანე.**

ამჟამად ურბნისის და რუისის ეპარქიაში შემავალი ეს საყდარი (იგი აღდგენილი არაა) მოქმედი მონასტრის შემადგენელი ნაწილია.

... საციციანოში ჩვენს მოგზაურობას კიდევ ერთი დღე დავუთმეთ. ბიზნესმენ ჯემალ ენჯიბაძის დახმარებით 3-ხიდიანი სატვირთო ავტომანქანით კრისისხევში გადავინაცვლეთ, გვერდით მოვიტოვეთ სოფლები: დიდი და პატარა ხალები, ერთხანს სოფელ ღართაში შევჩერდით, მერე ალექსანდრესწყარო გავიარეთ და ყელეთის ქედს ზურგზე მოვექეცით. აქედან ძამის ერთ-ერთი სათავის — ბნელეთისწყლის ხეობაში გადავედით სადაც დრო აღარ გვეყო სანახევროდ მიწაში ჩაფლული იმ ძველთაძველი ეკლესიის მისაგნებად, რომელიც დიდი ხნის წინათ ენახა ჩვენს მეგზურს თამაზ ლაცაბიძეს... ბნელეთიდან სათიბის ხევში გადავედით და სამ საათში თორის მთის თხემზე გამოვჩნდით. ჩვენს ქვევით, ისე რომ ვერ ვხედავდით, ქოზიფა და აბუხალი იყო. წვიმოეთის მადლი სათიბელ მეცხვარეებთან გატეხილი პურის მადლით გაგრძელდა. იმ ღამეს ცხვართან და ვარსკვლავებთან დავრჩით.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები.**

**მიწობის (გოლას) საყდარი გარედან და შიგნიდან**





# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვარ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილი. ბრალდებულთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება. როგორ იქნება ზარალის ანაზღაურების საკითხი?**

— სისხლის სამართლის საქმეზე დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა არ ხდება.

დარწმუნებული ვარ, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ჩაგაყენებდათ საქმის კურსში, ამასთან, ბრალდებულს გააფრთხილებდა იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

თქვენ შეგიძლიათ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, როგორც დაზარალებულმა, მიმართოთ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ უნდა დავრეგისტრირდეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რა პირობებით ხდება შემწეობის მიღება?**

— სახელმწიფო ადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზას. იმისთვის, რომ თქვენ მოხვდეთ ამ მონაცემთა ბაზაში, უნდა გაიაროთ რეგისტრაცია. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისათვის ოჯახის ქმედუნარიანმა, სრულწლოვანმა წევრმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს განაცხადი. განაცხადის შევსებისას უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

1) ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის მოწმობები, საქართველოს მოქალაქის პასპორტები ან ბინადრობის მოწმობები;

2) ოჯახის არასრულწლოვან პირთა დაბადების მოწმობები;

3) მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნება (თუ განმცხადებელი არ არის ოჯახის წევრი).

თუ ოჯახის წევრებს შეზღუდული აქვთ გადაადგილების უფლება, მასთან მივა სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი და მასთან ერთად შეავსებს „ოჯახის დეკლარაციას“. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციას. სწორედ დეკლარაციის საფუძველზე ხდება სარეიტინგო ქულების მინიჭება (სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 57 000-ს).

ქულების მინიჭების საფუძველზე, ოჯახს ეძლევა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა“. თქვენ იმ წუთიდან ხდებით ბენეფიციარი. ბენეფიციარი იმ წუთიდანვე არ ღებულობს შემწეობას. დახმარებას მიიღებთ სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის მეოთხე თვეს.



ფულადი სოციალური დახმარების გაანგარიშებისას არ იქნებიან გათვალისწინებული ოჯახის ის წევრები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულნი სოციალური დახმარების დანიშვნისათვის არიან:

1) სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პირი (პირები), რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.

2) გაგზავნილნი არიან იძულებით მკურნალობაზე;

3) იმყოფებიან ვადიან სამხედრო სამსახურში.

4) გასულნი არიან ქვეყნიდან 3 თვეზე მეტი ვადით.

5) პირი, რომელიც იმყოფება მოხუცთა თავშესაფარში, ბავშვთა სახლში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ან წინასწარ პატიმრობაში და მის მიმართ კანონიერ ძალაში არ არის შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

---

მალე ზაიცევმა „ალფას“ თანამშრომლები შეგვკრიბა და მოლაპარაკების შედეგით გაგვაცნო: ვიღაცას ჩვენს შორის მომლაპარაკებლის როლი უნდა ეტვირთა.

მე ვთქვი, რომ მომლაპარაკებლად, მე უნდა წავსულიყავი.

რატომ? შტაბში ყოფნისას ვიღებდი რა ინფორმაციას, მე მქონდა შესაძლებლობა გამეანალიზებინა და გამეთვალა ვარიანტები, თუ როგორ უნდა მივსულიყავი დამნაშავეებთან, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც სხვებზე ადრე მივიღე. ამასთან ერთად მე ხასიათითა და განწყობით მიყვარდა და მიყვარს მოქმედება ყველაზე მწვავე ვითარებებში.

გენადი ნიკოლოზის ძესთან ერთად შევედით საშტაბო ოთახში. გენერალი ინაური ჩემსკენ წამოვიდა და მკითხა: „ჰა, არ შეგეშინდება?!“ ამ დროს, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მე თავს სრულიად მშვიდად ვგრძნობდი. ვუპასუხე, რომ არ შემეშინდება და ნა სამასი მეტრი აეროვაგზლის შენობამდე.

ბოლო წუთს ტერორისტებმა გადაიფარეს ბორტზე მომლაპარაკებლის შეშვება.

ღამის განმავლობაში ბანდიტებთან მოლაპარაკების რამდენიმე მცდელობა იყო. თვითმფრინავთან მიდიოდნენ ქართველი ამხანაგები, რომლებიც მშობლიურ ენაზე ცდილობდნენ დაერწმუნებინათ დამნაშავეები გაეშვათ მგზავრები, უარი ეთქვათ თავის განზრახვაზე, მაგრამ ყველამ ერთი პასუხი — უარი მიიღო. მუდმივად ისმოდა ქალის ტირილი და გოდება „სულიკო! სულიკო! — ასე მის შვილს ერქვა.

დამნაშავეებს რესპუბლიკის პროკურორმა მიმართა. ჯავშანჟილეტში იგი თვითმფრინავთან მივიდა და მათ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსიდან რამდენიმე მუხლი წაუკითხა, სცადა დაეყოლიებინა ისინი შეეწყვიტათ შემდგომი ძალადობა. შედეგი იყო ნულოვანი.

რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიგვეყენებინა მგზავრებისთვის. მაგრამ ჩვენს წრეში გადავწყვიტეთ, მიუხედავად იმისა, რომ შტურმს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარეშე განვახორციელებდით, დამნაშავეები მათ ზუსტად რომ არ დაყრიდნენ, და ჩვენ მათ არ დავინდობდით!




# `alfa~ TbilisSi mifrinavs~

შევეცდები არამარტო მოლაპარაკება ჩავატარო, არამედ დავზვერო ვითარება სალონში, რომ შევიმუშავოთ ოპერაციის საბოლოო გეგმა.

ამ დროს, იყო მცდელობა დაეთანხმებინათ დამნაშავეები შეეწყვიტათ ძალადობა და გაენთავისუფლებინათ მძევლები. აეროპორტში ტერორისტების მშობლები მოიყვანეს. მათ სურდათ თვითმფრინავში შესვლა, საკუთარ შვილებთან მოლაპარაკება რომ „სული ცოდვებით არ დაემძიმებინათ“. მართალია, შემდგომ ამ განზრახვაზე უარი თქვეს.

ღამის ორი საათისთვის ჩვენ საწყისი პოზიციები დავიკავეთ. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ აეროპორტის ერთი საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი დამეთანხმდა ჩემთან ერთად წამოსულიყო, რათა ავარიული განათლება ჩაერთო ჩაბნელებულ სალონში. ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ური არ თქვა, სხვებმა მათი აეროფლოტის უფროსობის მითითების მიუხედავად, უარი განაცხადეს თვითმფრინავისკენ წამოსულიყვნენ. ჩემმა გამყოლმაც ბლომად „მიიღო“ მაგარი ჩაი და კონიაკი, სანამ ჩემთან ერთად ლაინერისკენ წამოვიდა.

მივუახლოვდით თუ არა, გაიღო თვითმფრინავის შესასვლელი კარი და გასასვლელში ქალი გამოჩნდა, რომელმაც ისტერიული ყვირილი დაიწყო:

— არ მოგვიახლოვდეთ! არ მოგვიახლოვდეთ!

როგორც შემდგომ გაირკვა, ის მგზავრთაგანი იყო, რომელსაც ტერორისტებმა ორი წლის გოგონა წაართვეს და დაემუქრნენ მისი მოკვლით, თუ მოტყუებას იგრძნობდნენ.

შემდეგ კარებში კიდევ ერთი ქალი გამოჩნდა. ჩემმა კოლეგამ, რომელიც უკვე ფუზელაჟის ქვეშ იმყოფებოდა, მას ჩუმად უთხრა, რომ ჩამომხტარიყო. მიწაზე დაცემისთანავე, ქალი სწრაფად გაიქცა საფრენ მოედანზე, რომ თვითმფრინავს მოცილებოდა, როგორც შემდგომ გაირკვა მიწაზე დაცემისას მას ორივე ფეხი მოსტყდა, მაგრამ შოკმა მას მისცა ძალა შეუძლებელი გაეკეთებინა — გაერბივითარება იძაბებოდა. ტერორისტებმა მუქარა დაიწყეს, რომ მიმართავდნენ მძევლების დახვრეტას, თუ თვითმფრინავს საზღვარგარეთ არ გაუშვებდნენ.

ვითარების გამწვავებისა და იმის გამო, რომ თუნდაც გაცემული ყოფილიყო ლაინერის საზღვარგარეთ გაშვების თანხმობა, ტექნიკური მიზეზების გამო იგი გადაფრენას ვერ შეძლებდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შტურმის შესახებ.

თბილისში ჩამოფრენისთანავე, სანამ დამნაშავეებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ჩვენ შესაძლო შტურმის გეგმის შემუშავება დავიწყეთ. იქვე აეროპორტში მდგომ იმავე ტიპის თვითმფრინავზე დავათვალიერეთ ჩვენთვის საჭირო ყველა ლუკი და სარქველი, მისი კონსტრუქციული განსაკუთრებულობანი. კიდევ ერთხელ „ცოცხალ“ მაკეტზე გავივარჯიშეთ, გავიხსენეთ ყველაფერი, რაც ნასწავლი გვქონდა.

შემდეგ დაიწყო უშუალო მომზადება. მე დამევალა მოერიშე გუნდის მეთაურობა, რომელსაც ლაინერის წინა ნაწილში უნდა ემოქმედა. მეორე გუნდის მეთაურობა მიხეილ ვასილის ძე გოლოვატოვს, ხოლო მესამე გუნდს — ვლადიმერ ვასილის ძე ზაბროდინს დაევალა. ვიქტორ თევდორეს ძე კარპუხინიც ითხოვდა, მაგრამ მისი საკმაოდ დიდი კომპლექსიის გათვალისწინებით, ზაიცევამ ნება არ დართო:

— ჩვენთან ჯგუფში საბჭოთა კავშირის გმირი ერთი ხარ. და უნდა გაგიფრთხილდეთ!

მას დაევალა დამხმარე გუნდის მეთაურობა და შტაბთან კავშირის განხორციელება, მოიერიშეთა მოქმედების კოორდინირება.

ჩემთან ორი თანამშრომელი ავიყვანე, ლეიტენანტები ვიტალი დემიდკინი და ვლადიმერ სერეგინი, რომელთაც განსაკუთრებული ათლეტური აღნაგობა არ ჰქონდათ. საქმე საა, რომ გზა რომლითაც ჩვენ თვითმფრინავში უნდა შეგვეღწია, მოქნილობასა და მოხერხებულობას მოითხოვდა. თანაც დამცავი საშუალებები შესამჩნევად ართულებდნენ ჩვენს მდგომარეობას.

გარდა ჩვეულებრივი საშტატო იარაღისა თან წავიღეთ პისტოლეტები პლასტიკური ტყვიებით,

ამის შემდეგ გაიმართა საუბარი შევარდნაძესთან. ედუარდ ამბროსის ძემ თქვა, რომ თუ სხვა ვარიანტები არ რჩება, ის წინააღმდეგი არაა და მხოლოდ ერთს გვთხოვდა — გავფრთხილებოდით მგზავრებსა და ჩვენს ადამიანებს. შემდეგ მეთაურს გადაუხვია და წარმატება უსურვა.

ჩვენ გამოვედით. ზაიცევი შტაბში დარჩა, მოიერიშე გუნდებმა კარპუხინის მეთაურობით პოზიციებზე გადაინაცვლეს.

... თვითმფრინავიდან ყვირილის ხმა გრძელდებოდა, ბეტონზე რაღაც ნივთები ცვიოდა. კვლავ ისტერიულად კიოდა ქალი, ვისი შვილიც ბანდიტების ხელში იყო. ამ დროისთვის ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ტერორისტები იყვნენ შეიარაღებულნი.

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელმა, რომელიც თვითმფრინავში იმყოფებოდა. დაჯდომისას აღმოჩნდა რა, გაღებულ საავარიო ლუკთან მან დრო შეარჩია, როდესაც ბანდიტები სალონიდან გავიდნენ და საფრენ ზოლზე ჩამოხტა. საბედნიეროდ, ამ დროს არ დაშავდა, მაგრამ გადატანილი შიშის გამო შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოვიდა რა გონებაზე, მოგვიყვა, რომ ორი დამნაშავე ზის პირველი სალონის ბოლოში და ხელში საჯარისო სახეობის ყუმბარები უკავიათ. ერთი მათგანი ჩვენ შევაფასეთ როგორც შეტევითი ? და მეორე როგორც თავდაცვითი ? მოწმემ ტერორისტებს პისტოლეტებიც შეამჩნია.

... შტურმის მზადებისას, ჩვენ რამდენიმე საათი საფრენ. მოედანზე ვიმყოფებოდით. თუ ჩემი მოიერიშე გუნდის წევრებს კომბინიზონის გარდა შალის სპორტულ კოსტუმი, ტყავის ქურთუკები და ჯავშანჟილეტი ემოსათ, მე იმავე მსუბუქ კომბინიზონში ვრჩებოდი, რომელშიც მომლაპარაკებლის მისიის შესრულებას ვაპირებდი და მეცვა ჯავშანჟილეტი, რომელიც არ მათბობდა. ტემპერატურა კვლავ ნულოვან ნიშნულთან იმყოფებოდა, ქარი შეუჩერებლად უბერავდა. ისე გავიყინე, რომ მოხრა ან დახრაც კი არ შემეძლო, არათუ აქტიური საბრძოლო მოქმედება.

**დავით არაბიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #20-22







## თავსატეხი

ვერტიკალურად: აბაზი, მაყია, ნაღვა, ტრაკი, არბატი, ამოხტა, გილდია, დუმილი, ლალიძე, პრიორი, რაკეტა, სიგარა, ღრიალი, ყალღა, ჩანახი, ზარიზა, სერიალი.

ჰორიზონტალურად: ადუქი, ალამა, გალუა, არმანი, ასკეტი, ბრაუნი, გალური, ზღარბი, კენელი, ორზეგი, ტიგრან, ფარაჯა, ჩიჩიკო, ჯაპანა, პიჩამი, პარიტეტი, ტრიპტიხი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. ფელიცია, ხუჭუჭა, მოდელი. 2. შამოტი, ჯაგარი, თემიდა. 3. მარიკა, ზელენი, პომადა. 4. კლიშე, ელიპსი, უნაბი. 5. ალავე, სკოპი, შვონი. 6. ანთეა, იმედა, ალისა. 11. ქოჩქუნი, ანაკლია, ტროუზერი. 12. პეტარდა, კარმენი, პეტრიდი. 13. კორიდორი, ბულვარი, დამასხი. 14. ბეკონი, ფელიცია, იარისი. 15. მასალა, ზალათი, ყველი. 16. გუნბადი, მოდელი, ლეოპარი.

ჰორიზონტალურად: 3. ფლეგმატი, შალამანი, მათუსალა. 7. მუზეუმი, ქლუნი, ტიფლისი. 8. დილიჟანსი, რასპადი, კანცელარი. 9. სუპრემა, მორანი, მუტიკა. 10. კლოაკელა, ციცოკორი, ჭალადიდი. 14. ბომბა, ბეგელი, ბანალი. 17. მენეჯი, ფანტომი, კამხოლი. 18. ლუდიში, სამარა, კოლოფი. 19. კლარნეტი, ტრიპტიხი, პრიატინი. 20. კომეტა, მორალი, ნათურა. 21. სიგილია, კოკარდა, ლეტარია.

## შიფრვორდი

ა-9, ბ, გ, დ, ე-22, ვ, ზ, თ, ი 1, კ, ლ-4, მ, ნ, ო-24, პ, ჟ, რ 3, ს, ტ, უ 5, ფ, ქ, ღ, ყ, შ-16, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ-25, ჯ, ჰ

# თამარ ერისთავი - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი თამარ ერისთავი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა მისალმებაში ნათქვამია:.

ძვირფასო ქალბატონო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, ღირსეულ პიროვნებას, სათნოებითა და კდემამოსილებით გამორჩეულ მანდილოსანს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.



ეს 80 წელი მამულის, ლექსის უანგარო მსახურებაში გალიეთ და თქვენი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებაში, როგორც ჩინებულმა პოეტმა და მთარგმნელმა.

ქართველი მკითხველისთვის ძალზე ფასეულია და მახლობელი თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „ლექსები“, „იარე მზეზე“, „ვარსკვლავიანი ცის ქვეშ“, „იალკიალი“, „რჩეული“, „რაც იყო – იყო, რაც არის – არის“ – ლირიზმი, ნატიფად ჩამოქნილი სტრიქონის ელვარება, სათქმელის სიცხადე და გულითადობა გამოარჩევს ამ კრებულებში შესულ ლექსებს. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემებზე დაფიქრებული პოლიგრიმი, რომელსაც არა აბადია რა, ქართული სიტყვის მართლისა და ლექსის ხმიადის გარდა, ამითაც კმაყოფილია, ამითაც ბედნიერია, რადგან ციურ ცვარში განბანილი ვარდების ტევრში აღმართული უდიადესი ტაძრის – ქართული ანბანის ქურუმთაგანია, იმ ტაძრისა, ჭირთა თმენის ნიჭი რომ მოგემადლა და ამავე დროს მარადიული არსებობისთვისაც რომ გაგვწირა. ბედნიერია იმ ქვეყნის შვილობით, რომელმაც საუკუნეების უღრანებში თავაწეულმა იარა და ისე შეინარჩუნა სულიერი სინატიფეცა და სისხლის მდუღარებაც. საოცარი ხილვებითაა დამუხტული მისი არსებობა. ხან ფეხშიშველა ქეთევანი ეზმანება, შირაზისკენ თავაწეულად და ამაყად მიმავალი და ეს გზა გოლგოთის სანახებს აგონებს, თავად ქეთევანი კი – მის სათაყვანებელ სამშობლოს... ხან უეცრად საღამოს ფერი აელვარდება მის წინ, ოცნებასავით დაუსაბამო ფერი.. ავდარში გარეთ გასული უცბად გახევდება უცნაური მუსიკის მოწმე, დგას და სულშეკრული უსმენს, თუ როგორ უკრავს ფერდაკარგულ მოგონების ვილინოზე წვიმის ხემი. სწორედ ამ დროს აბორგდება ოდესღაც ძველ კიდობანში საგანგებოდ გადამალული წრფელი დაუხარჯავი გრძნობები, ხელუხლებელი შოთი პურებივით რომ ობდება უმოწყალოდ...

თქვენი მხატვრული თარგმანები ქართული მთარგმნელობითი სკოლის მიღწევათა რიგს განეკუთვნება. ბრწყინვალედ თარგმნეთ უილიამ შექსპირის, ჯორჯ ბაირონის, რობერტ ბერნსის, ჟაკ პრევერის, ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ფედერიკო გარსია ლორკას, უილიამ ბლეიკის პოეზიის ცალკეული ნიმუშები უნდა აღინიშნოს მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის სერიით გადმოცემული „შოტლანდიური პოეზია“, რომელმაც საყოველთაო აღიარება, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ავტორი ხართ საყურადღებო რუსთველოლოგიური ნაშრომისა „ესე ამბავი სპარსული ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება, სცენარისტი ხართ მულტიპლიკაციური ფილმის „ქოთნის დღეობა“.

თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

პირდაპირი შთამომავალი ბრძანდებით კოტე მაყაშვილისა, რომელსაც მისმა თანამედროვეებმა ქართული მწერლობის სინდისი უწოდეს და რა გასაკვირია, რომ ყველას გვაოცებთ სიკეთით, კდემამოსილებით, სათნოებით, პატიოსნებით და, რაც მთავარია, ღირსების გამძაფრებული გრძნობით, რისი გულისმომკვლელი დეფიცია დღევანდელ საქართველოში.

ქალბატონო თამარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ სააიუბილეო თარიღს ჩვენს ამაგდარ, ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ყველა სანუკვარი ოცნების ასრულებას გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# ხვალ შიო მღვიმელის ხსენების დღეა



ხვალ მართლმადიდებლური ეკლესია ღირსი მამის, წმინდა შიო მღვიმელის მიცვალების დღეს აღნიშნავს.

ამ დღესთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა შესრულდება.

შიო მღვიმელი ერთ-ერთი ასურელი მამაა, რომელმაც შიომღვიმის მონასტერი დააარსა.

შიო მღვიმელი ანტიოქიაში დაიბადა და 20 წლისა განთქმული მეუდაბნოის, იოანეს მოწაფე გახდა, თავისი ქონება გლახაკებს და მონასტრებს დაურიგა და ბერად აღიკვეცა.

იოანე თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში VI საუკუნის შუა წლებში მოვიდა. ისინი ჯერ მცხეთაში, შემდეგ კი ზედაზნის მთაზე ცხოვრობდნენ. ოთხი წლის შემდებ შიო მღვიმელი გამოეყო ძმობას და სარკინეს მთაზე შიომღვიმის მონასტერი დააარსა.



მისი ინიციატივით აქ ააგეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის პირველი ეკლესია. სიცოცხლის უკანასკნელი წლები შიო მღვიმელმა გაატარა განმარტოებით, 12 მ სიღრმის მღვიმეში. ანდერძის თანახმად, იქვე დაკრძალეს.

**„მედიანიუსი“**

# vladimer jologuas xsovnas



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატი ვლადიმერ ჯოლოგუა.

ძვირფასო ვოვა, შენს მოულოდნელ წასვლას მწარედ განვიცდით შენი თითქმის სიყრმის მეგობრები. ეს უმძიმესი წუთებია, გაგრის დაცემის დღის გლოვა გვიდგას შენს ძმებს, ასე გვგონია, შენთან ერთად, ჩვენს ყმაწვილკაცობის ქალაქსაც ვეთხოვებით. იმ გაგრას, რომელიც შენთვის ერთი ფიქრი და ტკივილი, დარდი და სიხარული, თვალმარგალიტი იყო! ვიღაცა ფიქრობს, შენი ქალაქი მძივივით შეიბა ყელზე და წავიდა, არა მგონია, შერჩეს. სიმართლე მარტო ცაში არ ბოგინობს, ზოგჯერ მიწაზეც ჩამოიპარება განგების მახვილად...

შენ, ძვირფასო ვოვა, შენი ცხოვრება ამ ქალაქს მიუძღვენი. შენ შემოქმედებას, თუ საქართველო იარსებებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი და დამფასებელი, ვიდრე დღეს ჰყავს. შენ ყოველთვის შენ იყავი, როგორც საკუთარ შემოქმედებასთან, ისე ისტორიულ დროსთან სუფთა და მართალი, არსად არასოდეს არაფერი შეგშლია! შენ ასე გწამდა. ნაღდი შემოქმედის ხვედრიც ეს არის, შენ როგორც შენი მეგობარი მწერლების, ისე საკუთარი ფასიც დიდებულად იცოდი, მაგრამ ტაქტიც შენებური გქონდა, უფრო ჩრდილში დგომას არჩევდი და ჩვენც, სამწუხაროდ, ჩვეულებრივად ვიღებდით ამას. შენთან შეხვედრები, ქვეყნის ავ-კარგზე თუ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე საუბარი, მნიშვნელოვანი და ყურადსაღები იყო, ზოგჯერ უეცარი დუმილი და გარინდება – გადამდები...

შენი უბრწყინვალესი მოთხრობა „თამაკონი და ალიასა“, რომანი „დაკარგული მისამართები“ – ამის დასტურია!

მოვა დრო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის წამკითხველი და გადამფასებელი გამოუჩნდება და შენი მწერლობა სხვა სიმაღლით გაბრწყინდება.

დღეს შორია გაგრამდე...

ვიფიქროთ, იმედია, არც ისე შორია...

დარწმუნებული ვარ, დღეს იქ მცხოვრები თუ ჩარჩენილი გაგრელები, მიუხედავად ეროვნებისა, უეჭველად წაუქცევენ ჭიქას და მოგიგონებენ შენ – მართალს და უშურველს, ინტელიგენტსა და კეთილს, მიმტევებელსა და ღირსეულ მწერალს...

**გენო კალანდია, თეიმურაზ დოიაშვილი,**
**ნოდარ ხუნდაძე, გივი ბერაია, რენე კალანდია,**
**მურმან ჯგუბურია, აკაკი გასვიანი,**
**თამაზ ჯოლოგუა, ვახტანგ ხარჩილავა,**
**გურამ ოდიშარია, ზაურ კალანდია,**
**ჯემალ შონია, ზაალ ბოტკოველი,**
**ინდიკო კვეკვესკირი, მანონ ბულისკერია**

---

საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს მწერალსა და მეცნიერს დალი ფანჯიკიძე-კოკაიას ძმის

**მალხაზ კოკაიას**

გარდაცვალების გამო.

---

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მწერლისა და მეცნიერის დალი ფანჯიკიძე-კოკაიას ძმის

**მალხაზ კოკაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, თვალსაჩინო ქართველი მწერალი

**ვლადიმერ ჯოლოგუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

„საერთო გაზეთის“ რედქცია მწუხარებას გამოთქვამს ქართველი მწერლის

**ვლადიმერ ჯოლოგუას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# man qarTvelieris sulieri avtoportreti Seqmna...

მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს, რომ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის, ამ დიდი და ლამაზი ტაძრის აშენებით ქართველმა ერმა შექმნა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი.

რას ნიშნავს ავტოპორტრეტი?!

ავტოპორტრეტებს მხატვრები ხატავენ. ხელოვანი თავისი ავტოპორტრეტით საზოგადოებას აჩვენებს, როგორ ხედავს ის თავის თავს. ქართველმა ხალხმა კი ჩვენი სულიერი მამის, მისი უწმინდესობის განმარტებით წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შექმნით მთელ მსოფლიოს აჩვენა თავისი თავი, აჩვენა, თუ როგორ ხედავს ის თავის თავს, ვინ არის სულიერად, რა არის მის სულიერ სამყაროში მთავარი.

მე პროფესიით არქიტექტორი გახლავართ, მაგრამ ჩემმა მეუღლემ ლადო ანდრონიკაშვილმა, რომელიც ცნობილი მეან-გინეკოლოგი იყო და ადამიანებისთვის თავგანწირული, ჩემი პროფესია დამავიწყა... მაგრამ მისი უწმინდესობის სიტყვების შემდეგ, მე, როგორც არქიტექტორი, დავფიქრდი, რაღაც დიდი აზრი უნდა იყოს ჩადებული ამ სიტყვებში: „წმინდა სამების ტაძრის სახით ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი“.

როცა განათებულ ჩვენს ულამაზეს დედაქალაქს, ღამის თბილისს გახედავს კაცი, შინაური თუ მოსული, შეუძლებელია სამების ტაძარზე არ შეუჩერდეს თვალი. ეს მადლიერება უკვდავად დაიმსახურა ბატონმა ბიძინამ და ეს მადლიერება შეეწევა მის ოჯახსა და შთამომავლობას.

მისმა უწმინდესობამ ბიძინა ივანიშვილს მისსავე აშენებულ ტაძარში გადაუხადა ჯანმრთელობის პარაკლისი.

ამას წინათ დიდი ქველმოქმედის მთელი ოჯახი იდგა უწმინდესის მიერ აღსრულებულ წირვაზე სამების დიდ ტაძარში. მისი ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი — ცოტნე ივანიშვილი ანთებული სანთლით ხელში შემოფრენილ ანგელოზს ჰგავდა.





ცოტნე დადიანი ჰყვარებია ბატონ ბიძინას. საქართველოს ეროვნული გმირი. მისი სახელი დაურქმევია თავისი მესამე ვაჟისთვის...

ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროში, როცა ძალიან ხშირად ესა თუ ის კეთილი იდეა თავის თავს არ ნიშნავს და ასევე, ესა თუ ის კეთილქმედებაც შეიძლება არ ნიშნავდეს თავის თავს. ამიტომ დღეს ქართველი ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალს ბატონი ბიძინა ივანიშვილის ყოველ სიტყვასა და მოქმედებას.

მინდა მჯეროდეს, რომ ცოტნე დადიანის უკვდავი სულია პატარა ანგელოზივით შემოფრენილი — პატარა ცოტნე ივანიშვილის მფარველი ანგელოზი. მინდა მჯეროდეს, რომ პატარა ცოტნე და მისი ქველმოქმედი მამა წმინდა სამების მადლით რეალობაზე აღმატებულ სასწაულს შეძლებენ და საკუთარი ქვეყნის სიყვარულით შეაჩერებენ ჩვენს თავზე დატეხილ კაცთმოძულების ნიაღვარს.

არ გაგვწირავს წმინდა სამება! მინდა მწამდეს, რომ ქართული ოცნება ერთად აუხდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ოჯახსაც და ქართველ ხალხსაც.

**ლამარა ანდრონიკაშვილი**

---


მიმდინარე წლის 30 მაისს, 15 საათზე, დიღუბის საგამოფენო ცენტრში, მე-11 პავილიონში შედგება მორაობა „ეროვნულების“ დამფუძნებელი ყრილობა. გთხოვთ მობრძანდეთ





## მოძრაობა „ეროვნულების“ საინიციატივო ჯგუფის განცხადება

მოძრაობა „ეროვნულების“ საინიციატივო ჯგუფი მოუწოდებს ეროვნულად მოაზროვნე ყველა მოქალაქეს, აქტიურად დაუჭირონ მხარი 2012 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ აქციას.

ვთვლით, რომ არსებული ავტოკრატიული რეჟიმის შესაცვლელად აუცილებელია ეროვნული, ოპოზიციური ძალების გაერთიანება და დიდი ოპოზიციური ფრონტის შექმნა.

საინიციატივო ჯგუფის სახელით:
**დავით სოკოლოვი; სანდრო ბრეგაძე; რენე კალანდია; გია ფერაძე; შალვა ხაჭაპურიძე; პაატა ბარათაშვილი; კახა მიგინეიშვილი**






## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

**კურო** — შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტყუპები** — დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**კირჩხიბი** — მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** — თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** — თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** — საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** — ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** — ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** — მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მერწყული** — თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თევზები** — დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები: სკანვორდი**

1.კაუნასი. 2. ზასტავა. 3. ზენიტი. 4. სელექციონერი. 5. ტიტო. 6. ვაიკიკი. 7. შკიპერი. 8. ტექსტი. 9. კონცხი. 10. ტურფა. 11. ტიატია. 12. კონტინენტი. 13. ხოკერა. 14. ნობელი. 15. მური. 16. კოკობი. 17. პენელოპა. 18. მამბა. 19. ბალერონი. 20. იალბუზი. 21. პირი. 22. შევრო. 23. ლადოგი. 24. ტრუსი. 25. პოლო. 26. ვეშაპი. 27. დევი. 28. პედიატრია. 29. პუიოლი. 30. ციგურები. 31. დალასი. 32. ჰიტი. 33. ბადმინტონი. 34. ურდუ. 35. კანდელაბრი. 36. ჰინგისი. 37. ფრიცი. 38. ხმიადი. 39. გაბელია. 40. ბლეზ. 41. ლიმპოპო. 42. ლუკა. 43. ფაქსი. 44. რამაიანა. 45. მადლი. 46. სკოულზი. 47. მარიკა. 48. მონაკო. 49. ბოდვა. 50. უეფა. 51. პაკმაია. 52. კაპუა. 53. ნიკაპი. 54. შირაქი. 55. პრავდა. 56. ბრიუსელი. 57. სეკანსი. 58. დისერტანტი. 59. გიბონი. 60. ფრაუ. 61. კარდიფი. 62. უილ. 63. კალიგულა. 64. სიპი. 65. კიფი. 66. კები. 67. კოდრი. 68. ჯიპიესი. 69. კიარა. 70. ნიფნიფი. 71. იგრიკა.